# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი 8 | 1999

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

8 | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:
გალათერ არაგული
ირაკლი გაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:
გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შალიკო შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აგულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

### გამოიღვიძე, ქნარო!

3. ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

### პოეზია და პროზა

11. ვახტანგ ღლონტი. ლექსები
14. კობა არაბული. ლექსები
18. ზურაბ ჭუბაბრია. იქ, ჩემს ქალაქში. მოთხრობა
28. დავით თედორაძე. ლექსები
32. აკაკი დაუშვილი. ყვითელი დათუნია. მოთხრობა
39. დავით კალანდია. ლექსები
42. შალვა საბაშვილი. ლექსები
44. მურმან ხუნწარია. მოთხრობები
57. ამირან ახობაძე. ლექსები
60. ზაზა ფირალიშვილი. ერთი საღამო. მოთხრობა
76. ალექსანდრე გიგიტაშვილი. ლექსები
77. გაურ კოდუა. მედალიონი. ნოველა
83. ზაზა ღვალიშვილი. უცნაური ამბავი. მოთხრობა

### ალექსანდრე პუშკინი – 200

89. ვალერიან გუნია. „პიკის ქალი“: გერმანი - ბანქოს თამაშის „იაკობინელი“

### Tabula Rasa

98. გური ოტობაია. ქართული მასმედიის მშებუდობა

### გამოსათხოვარი

114. წუთისოფელი ასეა...

### გვაქვს უთვალავი ფერითა...

115. ინგა ქარაია. რეზო იაშვილის „ფერწერული ტილოები“

### წერილები

119. ალექსანდრე ჯიბლაძე. ცეცხლის პერანგი
122. ოლეგ გოლიაძე. სულხან-საბა ორბელიანის სამეტყველო ენის სპეციფიკისათვის
126. რევაზ კვერენჩხილაძე. დავით კოპალი
130. ზურაბ ტაბლიაშვილი, მიხეილ მამნიაშვილი. სულის კრიზისი
135. ალექსანდრე მღებრიშვილი. მაჩაბლიანთ ღირსეული სტუმრები

# შოთა ნიშნიანიძე

## სიმღერა სამეგრელოზე

ამერსა და იმერს გამოარჩევ განა?
მთაშია თუ ბარში – სამოთხეებს ჰგვანან.
შენ სულ ჩურჩული ხარ... სულ კივილი თანაც,
შენ არაგვის ჰგავხარ, სულ არაგვის, ნანა,
მოდგმას ამორძალთა
და მგელკაცას მოდგმას
ასე უნაზესი და ღვთიური მოთქმა?
გლოვაა თუ ლხინი, ვინ თქვას შენისთანა,
შენ სხვა ცვივილი ხარ, სხვა სიცოცხლე, ნანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





იერუსალიმი. სიონის მთა.

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 129

ზეაღსავალთა საგალობელი.

1. მრავალგზის მგვემეს სიყრმიდანვე –
იტყვის ისრაელ –
2. მრავალგზის მგვემეს სიყრმიდანვე –
და ვერ დამძლიეს.
3. ჩემს ქედზე ხნავდნენ
მხვნელები სახნავს
და თავიანთი ორნატები გაჰყავდათ ხნულად.
4. მაგრამ უფალი აღიძრა რისხვით,
კლდეს შეახეთქა
უღელი ცოდვის.
5. და*შეუსვეულად უკუაქცია
გაწბილებული მოძულენი სიონისანი.
6. და დაამსგავსა ერდოთა ბალახს, რომელიც ხმება
ამოსვლის უმალ; –
7. რომ ვერ აივსოს მომკელმა ჰეშვი,
ვერც მეძნეურმა დაიმძიმოს
უბე და
კალთა;
8. ვერც გამვლელებმა გაიხმიანონ:
,,ღმერთმა მოგაგოთ კურთხევის მადლი,
რომ სახელითა უფლისაითა
ჩვენც გაკურთხოთო საუკუნო ლოცვა-კურთხევით“.

## ფსალმუნი 130

ზეაღსავალთა საგალობელი.

1. სიღრმეებიდან გიხმობ, უფალო!
2. უფალო, გესავ, ყურად იღო
ჩემი მახილი, –
მომაყურადე,
მომაპყარ სმენა,
რომ შეისმინო ჩემეული ვედრების ხმები.
3. თუ ჩემს ცოდვა-ბრალს შემოინახავ,
უფალო, ვინღა დაგიდგება მაშინ –
უფალო!
4. მაგრამ შენ მოხვალ მსასოებლის შესაწყნარებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა


5. გსასოებდი და ჩემი სულიც შენ გსასოებდა,
უფალო ჩემო,
თავს შენი სიტყვით ვინუგეშებდი.
6. და ჩემი სული
უფრო მეტად მოელის უფალს,
ვიდრე გუშაგი განთიადის ამოცისკრებას,
ვიდრე გუშაგი
განთიადის ამოცისკრებას.
7. ო, ისრაელო,
ესავდე უფალს,
რადგან უფალთან არის წყალობა
და მისგან მოვალს
დიადი დახსნა.
8. და გამოიხსნის ისრაელის შთამომავლობას
ყოველი მისი
ცოდვა-ბრალისგან.

## ფსალმუნი 131

შეაღსავალთა საგალობელი.
დავითისათვის.

1. უფალო,
ჩემს გულს არასოდეს უგოროზია,
არც მედიდურად აღმიპყრია ცისკენ თვალები,
არც დიდ საქმეებს დავდევნებივარ
და არც უცხოს და
უცნაურს რასმე; –
2. არამედ ჩემს სულს ვამშვიდებდი,
ვანანავებდი,
ვით დედის ძუძუს მოწყვეტილ პირმშოს.
3. და როგორც ჩვილი –
მოწყვეტილი დედის ძუძუდან, –
ფოფინებს ჩემში
ჩემივე სული.
4. მაშ, ისრაელო, ესავდე უფალს
აწ და მარადის,
უკუნითი უკუნისამდე!..

## ფსალმუნი 132

შეაღსავალთა საგალობელი.

1. უფალო ჩემო,
მოიგონე შენი დავითი
და ყველა მისი სატანჯველი
მოიხსენიე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



2. როგორ შეჰფიცა არსთაგამრიგეს
და აღთქმა დადო ძლევამოსილ იაკობთან:
3. ,,არც ჩემი სახლის
კარავში შევალ,
არც აღვიძრები
სარეცელზე ასამაღლებლად;
4. არც თვალებს მივდრეკ
მისაძინებლად,
არც მივარულებ
წამწამებს ჩემსას; –
5. თუ ვეღარ ვპოვე სავანე უფლის
და საბრძანისი
უძლეველი იაკობის".
6. ეფრათში ვყესმა სახელი მისი,
თავად კი მთისპირ –
მაღნარებში გამოგვეცხადა:
7. ,,ჰა, მივაშურებთ სავანეს მისას,
მის ნაფეხურებს
სასოებით ვეთაყვანებით.
8. აღსდექ, უფალო,
დაავანე შენი სუფევა
და შენი ძალის კიდობანი,
ყოვლადძლიერო!
9. რომ სიწრფოებით შეიმოსონ შენი მომღვრები
და შენეულმა წმინდანებმა
იმხიარულონ".
10. მონისა შენის
დავითისათვის
არ მოიკვეთო
ცხებული შენი.
11. ფიცით აღუთქვა უფალმა დავითს
და ჭეშმარიტად აღასრულებს მიცემულ აღთქმას:
,,მუცლადღებულს და
ნაშიერს შენსას
მე დავაბრძანებ
შენეულ ტახტზე.
12. თუ ძეთა შენთა დაიმარხეს ჩემი მომღვრება
და შეიმეცნეს
მცნებანი ჩემნი, –
ტახტს დაიმკვიდრებს
ნაგრამი მათი
და იბატონებს უკუნითი უკუნისამდე".
13. რადგან უფალი დაადგრა სიონს
და მოისურვა
საკუთარ საყდრად:
14. ,,ეს არის ჩემი
საუკუნო სასუფეველი,
აქ დავსახლდები
ჩემეული ნება-სურვილით.
15. საზრდოს ვუკურთხებ
კურთხევის მადლით
და პურეულით განვიკითხავ ღარიბ-ღატაკებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



16. შევმოსავ მის მღვდლებს
    კეთილწყალობით
        და წმინდანები სიხარულით გაიხარებენ.
17. აღმოვაცენებ დავითისთვის მეფურ ღირსებას
    და ცხებულს ჩემსას დავუმკვიდრებ სხივს და
                                                                    სინათლეს.
18. სირცხვილ-აუგით შევმოსავ მის მტრებს,
    ხოლო მის გვირგვინს
                        გავაბრწყინებ შარავანდედით".

## ფსალმუნი 133

ზეაღსავალთა საგალობელი.
დავითისათვის.

1. ო, რა კარგია
    და რა საამო,
    როდესაც ერთად
                ცხოვრობენ ძმები:
2. ეს არის ზეთი – წმინდა ზეთი –
                        თავზე ცხებული,
    რომელიც წვერზე –
    აჰარონის წვერზე გადმოდის
    და ღვთაებრივი ხელსურნელებით
    ელვრება მისი
            სამოსლის კალთებს.
3. ეს არის ნამი,
    ხერმონის ნამი,
    რომელიც წვეთ-წვეთ მოიმცვრევა სიონის მთებზე,
    სადაც უფალმა გადმოფინა
                        წმინდა კურთხევა
    და საუკუნო
    ცხოვრების მადლი.

## ფსალმუნი 134

ზეაღსავალთა საგალობელი.

1. ლოცვა-კურთხევით განადიდეთ თქვენი უფალი,
    უფლის მსახურნო, –
                        მშვიდობა თქვენდა! –
    ვინც უფლის საყდარს მსახურებთ ღამით.
2. საკურთხევლისკენ აღაპყარით თრთოლვით ხელები,
    შეჰღაღადეთ და
    კურთხევა ჰყავით –
3. და შენც გაკურთხებს სიონიდან
                            შენი უფალი –
    ცისა და ქვეყნის დამბადებელი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ფსალმუნი 135

1. აქებდეთ უფალს,
განადიდეთ უფლის სახელი,
უფლის მონებო,
აქებდეთ უფალს; –
2. ვინც უფლის სახლში დამდგარხართ ლოცვად
და საღვთო სახლის ეზოებში
დამკვიდრებულხართ.
3. შეჰღაღადეთ და
შეასხით ქება,
რადგან დიდია უფალი ჩვენი,
და სახელს მისას უგალობეთ საგალობელი,
რადგან ტკბილია
ხსენება მისი;
4. რადგან უფალმა აირჩია იაკობი
და ისრაელი
სამოსახლოდ გაიგულისხმა.
5. ვიცი: დიდია უფალი ჩვენი,
ვიცი – დიდია უფალი ჩვენი და ყველა ღმერთზე
აღმატებული.
6. უფალს რაც სწადის, ყოველივეს მოიმოქმედებს –
ცათა შინა და
მიწასა ზედა,
ზღვათა შინა და
წიაღთა შინა;
7. ღრუბლებს აღავლენს დედამიწის კიდეებიდან,
ელვა-ქუხილით გასერავს წვიმას,
ქარს გამოიხმობს
ჩაკლიტული საცავებიდან.
8. სრულ ამოხოცა ეგვიპტელთა პირველშობილნი –
კაცად-კაცი და
პირუტყვი მათი.
9. ჯერარნახული სასწაულები დასცა, ეგვიპტევ,
სანახებს შენსას –
ფარაონის და
დიდებულთა შესამუსრავად.
10. რამდენი ხალხი აღგავა მიწით,
რა უძლეველი მეფეები
განართხო პირქვე:
11. სიხონი – მეფე ამორისა,
ოგი – ბაშანის
და ქანაანის მეფეთა მოდგმა.
12. და წარცა მიწა, მათი მიწა –
მემკვიდრეობად,
თავისი ხალხის – ისრაელის
დასამკვიდრებლად; –

ეროვნული ბიბლიოთეკა


13. რომ მარად ეგოს, მოწყალეო, შენი სახელი,
და თაობიდან თაობაში –
უკუნისამდე
მოიხსენიონ შენეული სახსენებელი.
14. რადგან თავის ხალხს განიკითხავს არსთაგამრიგე
და შეიფრდომებს
მსახურებს თვისას.
15. სხვათა კერპები –
ოქრო და
ვერცხლი –
მეხორციელის გარჯითაა ნაქანდაკევი.
16. ბაგენი აქვთ და –
სათქმელად უტყვი,
თვალები აქვთ და –
საჭვრეტად ურგი,
17. ყურები აქვთ და –
სასმენად უქმი,
პირი აქვთ, მაგრამ
სუნთქვისათვის მოუხმარისი.
18. ღმერთო, მათ კვალზე მოაქციე მათი შემქმნელი
და ყველა მათი მოიმედე,
მოსავი მათი.
19. სთქვი, სახლო ისრაელისაო: კურთხევა უფალს,
სთქვი, სახლო აჰარონისაო –
კურთხევა უფალს!
20. სახლო ლევისა:
კურთხევა უფალს,
უფლის მოშიშნო –
კურთხევა უფალს!
21. კურთხეული ხარ სიონიდან, უფალო ჩვენო, –
იერუსალიმს დამკვიდრებულო –
ალილუია!

## ფსალმუნი 136

1. გაქებთ, უფალო,
კეთილმოწყალევ –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
2. გაქებთ, ღმერთების
დიადო ღმერთო, –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
3. გაქებთ, უფალო
უფლებათაო, –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
4. ვინც მარტომ მოეც
სასწაულები, –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;

ეროვნული
ბიბლიოთეკა



5. ზეცა განსახე
გონიერებით –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
6. წყალზე განავრცე
ქვეყნიერება, –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
7. ჰქმენ მანათობლად
დიადნი მნათნი, –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
8. მზე განაწესე
მეუფედ დღისა, –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
9. დასხი მთვარე და ვარსკვლავები
გამრიგედ ღამის –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
10. მუსრი გაავლე
ეგვიპტის პირმშოთ
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
11. და ისრაელი
მონობას დახსენ –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
12. მტკიცე ხელით და
გაწვდილი მკლავით –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი –
13. ზღვა მეწამული
გააპე ორად –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
14. და წყალთა შუა
ისრაელი გამოატარე –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
15. ფარაონი და
მხედრობა მისი
წყალში შთანთქიე უფსკრულთა წიაღ –
მარადის ჰგიეს
წყალობა შენი;
16. და ერი შენი
უდაბნოსკენ გარე-აქციე –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი –
17. მძლევამოსილი მეფეების
შესამუსრავად –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
18. სრულად დაამხე
მეფეთა მოდგმა –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი –
19. სიხონ – ხელმწიფე ამორეველთა –
მარადის ჰგიეს
წყალობა შენი,
20. და ოგ – ბაშანის ხელისუფალი –
მარადის ჰგიეს
წყალობა შენი;

21. და მიწა მათი განამკვიდრე,
როგორც სამკვიდრო –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი,
22. როგორც სამკვიდრო ისრაელისა,
შენი მონისა –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
23. ვინც გაგვიხსენე
მეჭირვებისას –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი –
24. და მტრის ხელიდან
გამოგვიყვანე –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი;
25. ვინც ყოველ სულდგმულს
მოჰგვარე საზრდო –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი –
26. გაქებთ, უფალო,
მაღალთა მინა –
მარადის ჰგიეს წყალობა შენი.

ებრაულიდან თარგმნა

ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვახტანგ ღლონტი



* * *

აქებს მაძღართა კასტა,
ვისაც შიმშილით ჰკლავენ.
მე აღარ შევჭამ – ბასტა!
ნუ გაითავებთ თავებს,
ისევ ცოცხალი ვარ და
ვებრძვი ჩემს მესაფლავეს.

მე არ გამტყუნებთ, სკალდებს
როცა შიმშილით ხოცავთ,
როცა დილეგში აგდებთ,
ტყვიას უმიზნებთ როცა
და თუ ფერფლიდან აღდგნენ,
ხართ მათი გარემოცვა.

ეძებთ ბულბულთა ჰანგებს,
მათ ნაფეხურებს ეძებთ,
მათი ბუმბულით იმკობთ
ბიბილოებს და ღეზებს.
სულ გძულთ, რატომღაც, და სულ
სიყვარულს იმიზეზებთ.

ჩვენ ჩვენი ფასი ვიცით
და თქვენი ფასიც, ფარსად
მიტომ გვიქციეთ ყოფნა
და არ გვაყენებთ არსად.
სხვა ცხვარი ნახეთ, ძმებო,
დღეიდან, გასაპარსად.

მე ის ცხვარი ვარ, მგლებთან
მგლობაში მგლად რომ იქცა.
აქ მიწა გამირბოდა,
არ მღებულობდა იქ ცა.
და ჩემი სულიც ბევრჯერ
უკანვე გამოიქცა.

ისევ თქვენს შორის დავალ
და მაინც შორითშორს ვართ.
მე ისევ ჩემსას ვღაობ,
თქვენ ისევ თქვენსას როშავთ.
გიკვირთ, უბრალო ვინმე
გადაქცეულა დროშად.

და იშვერთ ხელებს, ცოცხალ
მკვდარს რომ არ გაუწოდეთ.
თან თავს იმართლებთ მორცხვად;
„არმცოდნე – არამცოდე!..“
ფრთხილად, აქაა ზეცა,
მაგრამ აქვეა კბოდეც!

კმარა! დაფლულს და აღმდგარს
ვერ მიიტყუებთ ხორცით;
თქვენ ორი მიწით ცოცხლობთ,
ჩვენ – ორი ფრთით და ორ ცით.
ვიცით, თუ რა ღირს კოცნა,
რის ღმერთის იუდა კოცნის.

* * *

ხალხს გაურბიხარ... გრცხვენია,
რომ ცოცხალი ხარ ჯერ კიდევ.
სხვა გაისრისა ჯგლეთაში,
შენ კი... შენ ჯვარზე ეკიდე.
გაწუხებს, მოსეირეებს
ჯვრიდან ვერ შემოეხიდე.

მკვლელი თუ მაცხოვნებელი?!
ო, რა თქმა უნდა, ბარაბა!
ქვეყნის ჭუჭყიან აბანოს
ვინც ჩამოგლიჯა დარაბა,
თვითვე ემსხვერპლა შიშველი
ვნებების დავიდარაბას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოდომ-გომორის გმირთაგან
გამოელოდი აბა, რას?! -
ეფარებიან ურთიერთს,
სხვისი სიშიშვლე სხვას ფარავს.
ო, შენს მეორედ მოსვლამდე
არ ეშველება ამ ფარას!

არ ეშველება არავის,
არ ეშველება არაფერს,
ლოდინში, სასოებაში,
ქვა-მიწა დაეყარა ბევრს.
საცა შენ ეპატიჟები
იმ ცაში ჩიტიც არა ფრენს.

კაცს კი სული აქვს ფრთის ნაცვლად
და სულზე მძიმე ტანი აქვს.
სანთლით რა დამეს გაუნთებ
ბოღმიანსა და დანიანს,
ამათთან შენი წამება
აბა, რა მოსატანია.

ასე დარჩებით ბოლომდე:
ისინი ერთად, შენ - ცალად.
შენ უფალს ბაძავ... მასაც კი
ძალ-ღონე გამოეცალა,
რაც ერთხელ შექმნა, სიკვდილის
ფასადაც ველარ შეცვალა.

ჰოდა, რად გესირცხვილება,
რომ ცოცხალი ხარ ჯერ კიდევ,
როცა სხვას ცერზე ეკიდა
ჯვარი, რომელზეც ეკიდე...
ამათ ძვირს მაინც ნუ იტყვი,
როცა მამასთან შეხვიდე!

* * *

ვარ ცოცხალ-მკვდარი, არც ისე
ცუდად ვარ მყოფი ორად.
ამ ჭკნობაშეყრილ ნარცისებს,
ამ პატივნაჩვევ გროვას,
უჯობს, საერთოდ არ ვიყვეთ,
არადა, ღმერთო, რო ვარ?! -

ამათზე ართუ ნაკლები,
სიკვდილ-სიცოცხლით მეტი.
რად უნდა მძულდეს მე, მონტეგს,
ლამაზი კაპულეტი.
ფუი, ამ დაცლილ კაცტიკებს
ფსკერზე შერჩენილ თხლეთი!

რა გვიან ვისინამდვილე,
რა ხელოვნებით მკლავენ;
ხან მომისევენ ნადირებს,
ხან გადამხვევენ მკლავებს.
ველურებთან ვარ ნადიმზე
და ვყვირი: „Cave canem!"*

სიტყვა თუ ამოიცოხნეს
არის ელდის და რისხვის.
ბრალად გვედება სიცოცხლე
და ვერაფერი გვიხსნის.
რად ვერ ძღებიან, ვიცოდე,
ახალგაზრდული სისხლით.

ხელთა აქვთ სარდაფ-სასახლის
ყოველი ხვრელის კლიტე.
რომ ფიქრობ - „მოკვდა, საწყალი!"
უცებ, დგება და გიტევს.
არ დავბერდებით ათას წელს
ამათი გადამკიდე.

სანამ არ დავუხოცივართ
ასე ცალ-ცალკე ყველა,
შევწიხლოთ თავის კოშკებში,
კარზე დავუდგეთ მცველად,
ან მივანებოთ ეს მიწა
თავპირზე წასაყრელად...

ღმერთო, შენ მოეც ამის მთქმელს
პატიება და შველა!

* * *

1.
შენს პრინცს ოფოფები უფრენს,
ოფ-ოფ-ები, ოფ-ელია!
ყურს ნუ უგდებ მის საუბრებს
თუმც დანიის მფლობელია,
შენი მეფე და მეუფე
ჯერ ძმაა და მშობელია.

2.
ოფელია, ბავშვი ხარ და
ვერ შეგიცნობს ვერვინ ქალად.
ანგელოზის სახე გაქვს და
პრინცი უცქერს თავის ქალას.
რა სცოდნია, გამჩენელი
დედისა და ბედის ღალატს.

3.
ოფელია, მამის ტახტი
ჩემია და შენთვის მინდა.
მაგრამ ტახტი ლაფში დგას და
სისხლით თუ არ გაიწმინდა...
ნუ იჩქარებ, განაჩენს ნუ
გამომიტან მდინარიდან.

\- - - - - -
* Cave canem (ლათ) - განერიდე ძაღლს; ფრთხილად - ძაღლია!

ეროვნული ბიბლიოთეკა



4.
არ ისმინა ოფელიამ
მუდარა და შეგონება;
დაშნა - დაშნას, გვამი - გვამს და
მკვლელი მოკლულს ეკონება,
ისე წვანან - კაცს ნამდვილი
წარმოდგენა გეგონება.

5.
ბოლოს ქრება ყველა-ფერი,
რჩება ერთი - მწვანე - ბორცვი:
შიგნით ყრია უსქესო და
უსახელო ბევრი ჩონჩხი.
ვერვინ იტყვის - მამა ძეს თუ
ნეფე საპატარძლოს ჰკოცნის.

6.
როცა მდიდრის ქელეხია
მიაგებენ ყველას ორწილ:
წელს მღვდელი და მესაფლავე
გადუხდიან შვილებს ქორწილს.
არც ბიჭია - „ეს რა ვნახე!“
არც გოგო ჩანს - „ისე ნორჩი“.

7.
შენაც დაშნით დაგწერენ ჯვარს,
გულდიდობას თუ არ მორჩი!

## კარმენ

ვიყავ ღრუბლის ბინადარი,
უფლის ახლო ცად მოკარვე.
მაგრამ მოიყოლა ქარი
შენმა კაბის კალთამ, კარმენ!

შემოლეწა ცხრავე კარი,
მე რომ ცხარე ცრემლით ვქარვე.
წამომაგდო, მუხლზე მდგარი,
შენმა შემოხედვამ, კარმენ!

შემაჩეჩე არჩევანი -
„ან უფალი ღმერთი, ან მე!“
შეიშალა ყველა ზღვარი
ცას და მიწას შორის, კარმენ!

ირგვლივ ახლობელთა ჯარი
მომისრე და მომისარმე.
შემრჩი, ერთადერთი ჯვარი,
მკერდით აგეკარი, კარმენ!

ვნება იყო ელვის დარი,
გამენთე და გამესალმე.
რად შენს ჯვარზე არ მომკალი,
რად ვერ ამიტანე, კარმენ!

შენი ნაქმარევის დანით
დაგკალ, როცა ხელი მკარ მე.
სხვა, შენს ჯვარზე, ვერვინ ავა,
შავს, შავ მიწას გაყრი, კარმენ!

ვერც ჯალათი, ვერც სხვა მხეცი,
შენს გრიგალს ვერ გამიქარვებს.
ნეტამც, იყოს ჯოჯოხეთი...
ღმერთო, მაპატიე, კარმენ!

* * *

გაკოტრებულ ხეთა სევდა
პეპლის ფრთებად მოთიოვილი.
ქარდრო ყველას გადახვეწავს
ფრთიაშეტრუსულ ფოთოლივით.
მეც მეჭირა გეზი ცისკენ
ბაბილონურ გოდოლივით.
საკუთარი მხრით რომ ვზიდე
იმ ქვებქვეშ ვარ მოყოლილი.
მამალმერთიც გავარისხე,
ვცოცხლობ ელდით ბოლო დილის -
რა მძიმეა ხელმეორედ
დაბადების მოლოდინი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კობა არაბული

## ციკლიდან „ჯვრიანი კაფიები და... ერთი ინტეგრალი“

### მუცო

გადახრილია სამხრეთით
მეშვიდე კოშკი ძაგანის:
ციხე-ქალაქი ასეთი
და ერთი იმათაგანი?!
მე არსად არ შემხვედრია -
დრო აკლდამებში ჩამდნარი:
მწარე საწუთროს ბადაგი -
იელის თაფლის მაგვარი!..
. . .
მესამე კოშკის ფარაგზე -
ჰკიდია მთვარის ნამგალი,
მზიანი ღამის სარანგთა -
მუზარადები მაგარი!!
დგას ნიში დროშის საბრძანი, -
თასების ჩამოსადგამი...
შავი რაშების ნახრავი -
წყდება სიცოცხლის ლაგამი!..
შემოკრბეს დროის მაცნენი,
მე - ერთი იმათაგანი!??

ამ საუკუნის ნაშალში -
დგა ქამი შარშანწინდელი...
დღე არ ჩანს არც დღევანდელი,
არც - ხვალინდელი მინდვრები:
ათოვენ თეთრი ზამთრები,
დილა-საღამოს ბინდები...
.......
უმთვარო ღამეს უთევენ -
ფრთა-დაცვეთილი ქედნები,
მთვარის ნალი და მითები:
ჩემი საწუთროს ღერბები!..
ოთხივე კუთხით მოდიან -
ოთხივე დროის მხედრები?!

ქანგიან ქვებზე ხატია -
თორღვაის ხელის ნიშნები...
მისი სიმაღლის საზომი -
ქონგურზე მთვარის ხიფები?!
აკლდამის მხარეს იხრება -
მკვდართა მზე-მწვანე თითბერი!..
დროს ხვთიშობელი ამშვიდებს,
როგორც სახლს დედის ნივთები...
........
თავს იკლავს კოშკი ვერაგთა -
ლეგა ღრუბლების წაწალი:
მუცოს მდინარეს ჩამოაქვს
ჩემი სწორფერის ნაწნავი, -
ჩემი მზიანი სტრიქონი
სულთაკრეფაში ნასწავლი...
........
აქ ბეწვის ხიდზე გადიან -
სულები ლამენათევი, -
ალალნი ცაში ადიან,
არამთ უქრებათ სანთლები...
მართალთა სიტყვას მადლი აქვს,
მტყუანთ ერთმევათ სათქმელი...
აქ არც ცოცხალი მკვდარია,
არც - ცოცხალმკვდართა საქმენი!..
... დროის კარებზე სწერია -
უცხო მეომრის სახელი?!

### სინანულის ლექსი

ვერ მოვუარე ჩემს მამულს,
ვერ ვიქმენ იმის პატრონი!
შევუთქვი საღვთო კოდები, -
ვავედრე - რასაც ვნატრობდი...
ვერ შევეშველე ჩემს ნიშებს -
რწმენა დავკარგე ნაქონი -
შორს დარჩა ჩემი სურვილი,
როგორც ცა-ირმის ნახტომი...
ქალამანივით გამიცვდა -
გზა-მთვარის შუქით ნაქსოვი...
შვიდჯერ ვცადე და ამიცდა -
ისარი მტრისთვის ნასროლი!..
....
ჩამოიარეს ომებმა -
ნიშებს ჩაუქრეს სანთლები...
ბრჭყალ-დაცვეთილმა ლომებმა
ბეჭზე დამადეს თათები...
შემომაბღერტეს ქარებმა
ბებერი ციხის კალთები...
თავ-დახოცილი ქორები,
ატირებული მართვენი...

ეროვნული ბიბლიოთეკა





...ლაშარის გორზე შავდგები -
„შავ ნისლით“ შავიკვართები?!
სხვა გზა არა მაქვს სავალი,
არც სიტყვა დამრჩა სათქმელი...

## იმედის სამოსელი

ცრემლი მინდა და ტირილი -
გული მაქვს აჩუყებული,
ცის გადუნული ცხრილიდან -
მაწვიმს მნათობთა კრებული...
ორმოცდაათი ზაფხულის -
დრო მიდგას გაფითრებული...
შორით მინათებს ბეჭედი -
მამის ჯვარი და დედული,
დედიძმის ჯაჭვის პერანგი,
დის შუქით შეფაკლებული...
გულს მიკლავს მტრების საყვირი -
ჩვენს მთებზე შეკმაკებული!..
ერი საფლავში შეყრილი -
სხვის ნებით შესახლებული!
ოღნავ მამშვიდებს ხვთისმშობლის -
ღიმილი შესხვაფრებული!..

...ცრემლი მინდა და ტირილი,
გული მისკდება უთქმელი:
ქება მწადს გველისპირულის,
ლექსი მჭირდება რუსთველის!..
გამოსვლა გმირთა სულების -
„მათ სამთა“ - განსაკუთრებით...
შემოსვა ჩემი მამულის -
იმედით შეუმუსვრელით!

## ჩემს თავზე

ჩემს თავზე დიან ნისლები,
არ ბორბალოზე დიანო...
ჩემს კარზე ქრიან ისევე -
ქარნი, მუდამ რო ქრიანო!
ვერც მე აგიგეთ იმედის -
კოშკები ბროლის ქვიანო!!!

. . . . . . .
გათენდი, ნუმც გასთენდები -
დიდო ღამეო სთვლიანო...
გაცხადდი, ნუმც გასცხადდები -
სიზმარო, ყორნის ფრთიანო??!
მუცუს-თორღვაის კარზედა
ქამთა დროშების ქრიალო!..

თქვენ ამიწეწეთ საწუთრო
გორებო აკლდამიანნო!...

მტერიმც ნუ აგიმაღლდება -
ჩემო სამშობლოვ მტრიანო!
ლექსო, შენ ჩემგან ნათქვამო -
სხვებმა უკუღმა გთქვიანო...
ვეფხო, შენ ჩემგან მოკლულო, -
რად შემომაკვდი ტიალო?! -
სიზმარში მომელანდები
ტოტო მოჭრილო, მწკლიანო...
ნიშებო, სულში ნაგებო,
კოშკებო - ქრისტეს ჯვრიანო!..
..........
ჩემს თავზე დიან ნისლები,
არ ბორბალოზე დიანო...

## უთხოვრიანი

იდგა თვალჭრელი მარიობის თვე
და იყო ბუნების ძილად შესვლის ჟამი, -
ანუ სთველი...
კალმახს მდინარეებში დაყრილი ჰქონდა
ვერცხლისფერი ვეწყი -
და ირმები ყვირილობას ამთავრებდნენ...

უთხოვრიანში უთხოვროს -
ხეებს რომ ვნახავ ხოლმე, -
რა დია გმეხარდება:
ქორ-შევარდნები მოელენ...
მობრუნდებიან მაღალნი -
აამაღლებენ ყოველთ!..
უთხოვრიანში, ჭიშოველს -
ჭრელი კაფია ვთხოვე:
მაღალი ღმერთი გვიშველის,
ლექსი უშველის ფხოველს...
ფიქრად ამოვლენ ნისლები -
ლექსის წვიმებად მოვლენ!..

## სურათი

ეს საქართველო...
დატკეპნილია ჩემი ტერფით,
ჩემი დარდით და ჩემი ფიქრით...
დაფარულია სულის ფერფლით -
მთები სამცხის და მთები ლიხის...

ეროვნული ბიბლიოთეკა



დატბორილია დამარხულია შუქი მცხეთის,
კაცნი სირცხვილის სასჯელს ვიხდით...
შეფუთულია მთები ნისლით
მწვანე-შავით და მწვანე-სისვით...
.......
ეს მითები მოქსოვილია ჩემი ხელით,
ჩემი ლექსით და ჩემი ძაფით...
ეს ხეობები დაქსელილია სევდის ქსელით -
და შემოდგომის მწარე თაფლით...
ასევე ჩვენი ბედისწერით -
გადახრილია ჩვენი სახლი...
..........
ეს აკლდამები დატენილია ჩვენზე ფიქრით,
ჩვენზე დარდით და ჩვენი სულით:
ქვებზე რომ რჩება, როგორც ფითრი -
ცხოვრება ჩვენი გარდასული!..
თითქმის ფითრდება ერი, თითქმის, -
დაქანცულია ყველა ნივთი...
ჩემს სამშობლოში არის ბინდი,
დღე - შეუვალი ღამის ნიმბით...

## ხმალი

„...და ხევსურებმა ხარივით დაკლეს
თვისი გამზრდელი ბებერი ლექსი..."
ნუ გეშინია!.. იმედი გაქვნდეს, -
რომ არ დაუკლავს იმასაც გეტყვი...

ხმალო! - წინაპრის მახვილო, -
როდის გიხმაროს ქართველმა??!
ერმა ომებში დაღლილმა -
წვიმებში ღამე-ნათევმა?!
ვადა-ჭრელო და ნათელო -
იქნება გული დაგწყდება:
ქართველი ვეღარ ქართველობს, -
ომშიც ქართველი მარცხდება!!!
ქარქაშში დარდი ამოგწევს,
ხანდახან გაგეცინ(დ)ება...
შენი პატრონი არ მოგწონს, -
ძველი პატრონი გინდება?!
ნატვრაში ჩაგეძინება,
სიზმრებში - ჩაგებინდება:
იქნება ნატვრა აგიხდეს
თუ კი უფალმა ინება!?!
მე თუ ციხის კარ გამოვალ -
ვინმეს ხომ არ ეწყინება?!
თუ კი ამ მახვილს ამოვწევ -
ვინმეს ხომ არ ეტკინება!? -
ეწყინოს, თუ კი იწყენენ:
წყენა თუ მოესურვება...
თუ ეტკინება, ეტკინოს -
....
სისხლი რომ მოესხურება!!!
სააქაოში ურწმუნოთ -
სული წურბელით ევსება...
რაც სიტყვით ვერ დავუწესეთ
მახვილით დაუწესდება!..
საიქიოში შესულთა -
სული სიცხადით ნათდება:
რაც ცხადად არ დაიჯერეს -
სულეთის კართან დახვდება!

## ხევსურო!

„რას სჩა, ქრისტიან არა ხარა?!" -
*ხევსურის საკრალურ-საკრამენტული ფრაზა*

„რას სჩა, ქრისტიან არა ხარა?!" -
კაცო, რა მოგდის, ხევსურო...

შენ საქართველოს მარხავენ,
ცოცხლად მარხავენ, ხევსურო!!!
ეს მინდა კარგად „გახარო",
არ გეგონოს რომ გეხუმრო...

შენს ამერსა და შენს იმერს,
შენს ერს მარხავენ, ფხოველო!
მსხვერპლად შენ თვითონ შეგწირეს -
უფლისთვის მადლის მთხოველო...
შენი მამულის დამცველო,
ქაჯავეთ ჯაჭვის მპყრობელო!

შენ შეგაკლეს და შეგაქეს -
დავითფერულის მჭედელო!
შეგაფურთხეს და შეგაფსეს -
შატილის ლურჯო კედელო...
მოძმის მოჭრილი მარჯვენა -
ყელზე დაგკიდეს, ბებერო...

შენი მამულის მტრის მტერო,
კაფია გაუცვეთელო!
პირველ: მორწმუნე ქრისტესო,
მერმე მინდიას ბეთლემო...
დიდო მოლაშქრევ ქისტეთის,
ქაჯთა ქამანდის მკვნეტელო!

გაგიცინეს და გაგწირეს -
კაცო ხახმატში ნაწურთნო!
არაგვის წყალში გაგწურეს,
თავზე დაგხურეს საწუთრო...
„რას სჩა, ქრისტიან არა ხარა?!"
ხმალი არ უკნდა აკურთხო?!
ეშმაკის ჩლიქით ნათხარში -
თამბაქოს წვენით აპურჭყო...

საკუთარ ხელით გმარხავენ -
საკუთარ მიწის ნაწილო!
„რას სჩა, ქრისტიან არა ხარა?!"-
უფალს არ უნდა აწყინო! -

ეროვნული ბიბლიოთეკა



შენი წინაპრის ნაკურთხი -
წესი არ უნდა გასწირო...
თვალი თვალის წილ, ან - ხრმალი,
ან: ცრემლი უნდა აწვიმო!!!

მარხვა არ უნდა გასტეხო -
მაძახურების მძახალო, -
ვეფხვის ჭანგივით მშიერო,
ზოგჯერ ნისლებით დამთვრალო...

ჯვარის ლუდივით ნადულო, -
ქერის პურივით მართალო!..
ძმასთან ბარძიმით შეყრილო -
ფიც-ვერცხლ-კაფია ნათალო!...
ბეჭზე ჯვრებ გახუნებულო,
უაბჯრო პერანგგამცვდარო...
„რას სჩა, ქრისტიან არ ხარა?!“ -
მტერს კიდევ უნდა აცალო?..

## ლექსი სიზმრისა და სიცხადისა

სამი მღინარე ჩამოდის ჭრელი სიჩუმის კარებში, -
თრთის სული საქართველოსი, ქვები ბზუიან ღამეში...
მღვრიე სიმურის ფსკერიდან ხმა ისმის სასაფლაოსი -
ზარებს რეკავენ მკვდრებისთვის ნასახნი სააქაოსი...
გაღმა ხახმატის ნიში სჩანს - ქვას ახატია ფალოსი!
მოდიან მექალთანენი: აცვიათ ფლასის სამოსი,
ქალები - უბე-ჭრელები, - მოაქვთ რძე სულის წყაროსი, -
თრთის სული საქართველოსი, დგას იდუმალი ტაროსი...
ხრიოკ გორის ფხას აკრული - მე ვჩანვარ თრიმლის ფოთლებში,
გორი რომ ჩასდგამს შუბისწვრად, იმის მიღმა ჩანს სოფელი, -
ფარიკაობენ ქაჯები, ისმის ხვივილი თოფების...
გულანის ჯვარში მელუდეთ გაუცვლათ წუთისოფელი!
...რა უღროობა დაგვიდგა, რა დარებია ასეთი:
ყორნის ფრთე ჩამომაფარეს, დამიდგეს დარდის თასები,
მამის მამულებს ყიდიან - მოვიდნენ „სახლიკაცები“ -
დედის ერთა ვარ, მიშველეთ, მცრის ბედისწერის საცერი...
...კარი რომ მოსჩანს ბეთლემის(ა)-ა, იმ კარს მივეფარები...
გორი რომ ჩასდგამს შუბისწვრად-ა, იმ გორს მივეჯარები...
ქისტეთით მოვლენ მაცნენი, არხვატით - მეაბჯარენი:
ძველი მამულის საზღვარზე დავდგათ იმედის ჯვარები!
ხადას ციხე გვაქვს, ამირთას მახვილებს ჭედენ მჭედლები,
ხუთი აკლდამის ქიმი ჩანს: შუქ შეუვალი კედლები,
გულან-ლომისა-ლაშარის, ხახმატის ჯვარის ხედები: -
შეეხვეწენით საყმონო, - აქედან მოვლენ მხედრები!!!
....
სამი მდინარე ჩამოდის ჭრელი სიჩუმის ჭალებში,
ჩანს სახლი გველის-მჭამელის - თმას ივარცხნიან ქალები...
„ქადაგობს გაიდაური“ - ადიან წვიმის ჭავლები! -
დროს უცდის სამი მხედარი - „რა მექნას ციხის“ კარებში!!!



# ზურაბ ჭუბაბრია

## იქ, ჩემს ქალაქში



*ვუძღვნი ჩემი მეგობრების -*
*ბადრი ჭოხონელიძისა და*
*რამაზ გიორგობიანის ხსოვნას.*

საქართველოში სტუმრად მყოფ ერთ უცხოელ მოგზაურს ამ ორმოციოდე წლის წინ უთქვამს: მთელი მსოფლიო შემოვლილი მაქვს და იმდენი გაცინებული სახე, თბილისში რომ ვნახე, არსად არ შემხვედრიაო.

ასეც იყო.

მერე და მერე ჩვენს თავზე დატრიალებულმა გრიგალებმა ცოდვა-მადლით, სისხლითა და უსამართლობით სავსე წლებმა ქალაქი ყველაზე ბნელი ინსტინქტების ამოფრქვევის ასპარეზად აქცია და ის ღიმილი ჯერ სახეზე მიგვაყინა და შემდეგ უკვალოდ წაგვიშალა.

დავდივარ ყოველდღიური საზრუნავით დაფეთებული, ლამის შეშლილი სახეებით, იაფფასიანი პორნოგრაფიით, მეათეხარისხოვანი ტრილერებიდან გადმომხტარი შავსათვალიანი ტიპებით, მათხოვრებით, გულგრილობითა და უნდობლობით დატენილ ქუჩებში და ხშირად მგონია, სხვა პლანეტაზე მოვხვდი-მეთქი.

არა, მშვენივრად ვიცი, რომ საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდება, რომ ჩვენი შვილები თუ არა, შვილიშვილები მაინც გაცილებით უკეთეს ქვეყანაში იცხოვრებენ, ვიდრე ჩვენ ვცხოვრობდით, მაგრამ მე, პირადად, დავიღალე „ნათელ მომავალში“ ცხოვრებით, მთელი ცხოვრება „ცხოვრებისთვის“ მზადებით.

ამიტომ მინდა, ცოტა გავხალისდე და ჩემს სტუდენტობისდროინდელ თბილისში მიგიწვიოთ სულ ორიოდე დღით. მით უმეტეს, რომ ის ქალაქი წარსულს ჩაბარდა და აღარასოდეს განმეორდება ისევე, როგორც ჩვენი პაპების სანატრელი ძველი ტფილისი.

იმედი მაქვს, ჩემო სიმწრით ნაშოვნო საყვარელო მკითხველო, არ იფიქრებ, ჩემი მეგობრები და მე იმდენად ბრიყვები ან ნაძირალები ვიყავით, რომ უკურნებელი სენით დაავადებული ურჩხულის მყრალ ანაორთქლში ნებივრობა მოგვწონდა, ანდა ვერა ვგრძნობდით იმ ამაზრზენ სიცრუესა და უიმედობას, გარს რომ გვეხვია.

მაგრამ მაშინ ოცდაორი წლისანი ვიყავით.

მთელი ღამე ერთი ძველისძველი ინგლისური დეტექტივის კითხვაში გავათენე. უკვე ვამთავრებდი, როცა აღმოვაჩინე, რომ ბოლო სამი გვერდი წიგნიდან ვიღაცას ამოეგლიჯა. არადა, ისე მაინტერესებდა, ვინ იყო მკვლელი, რომ კინაღამ ავყმუვლდი. მოდი შენ და ნუ გასკდები გულზე. ეს იდიოტური რარიტეტი კი საჯარო ბიბლიოთეკაშიც არ იქნება. გამწარებულმა ის იყო, ლამპა ჩავაქრე, საბანი თავზე გადავიხურე და ტკბილადაც ჩავთვლიმე, რომ საბჭოთა კავშირის ჰიმნის ოპტიმისტური ჰანგები ბულდოზერივით დამეტაკა. რადიო, ეს ბოლო სამი თვეა, ხმა რომ არ ამოუღია და ყველას გაფუჭებული გვეგონა, ამ დილაუთენია უცებ აღრიალდა. ამ ჰიმნზე სიმართლე გითხრათ, თვალზე ცრემლი არასოდეს მომდგომია და ახლა განსაკუთრებული ენთუზიაზმით გავიხსენე მისი მომგონი. არ ვიცი, ქვეყანა რომ დაიქცეს, ლოგინიდან ამდგომი არა ვარ - მცივა და საზიზღრად მეძინება. ისე კი, ძალიან მაინტერესებს, ამ დროს გაფუჭებული რადიოხაზი ვინ აღადგინა. დედაჩემს, მამაჩემს და ჩემს უმცროს ძმას - ლევანს სამზარეულოდან მოშორებით სძინავთ და არაფერი ესმით. ბებიაჩემს რომ ჰკითხო, უძილობა ჭირს. არადა, მე, პირადად, არსად გამიგია, მოხუც ადამიანს ამდენი ძილი შეეძლოს. საღამოს ცხრა საათზე უკვე ტელევიზორთან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყვინთავს, მერე წვება და დილის რვა საათამდე ზარბაზანი რომ გაარდეს, არ შეტოკდება. თუმცა, ზარბაზანი რა საჭიროა - აგერ, ლომივით ჰიმნზე ისე ტკბილად ფშვინავს, გეგონება, რადიოდან იავნანას უმღერიანო. ღამით მხოლოდ მანქანის ხმაზე ეღვიძება. იმიტომ, რომ თავის დროზე, პაპაჩემი შუაღამისას დიდი შავი მანქანით წაუყვანიათ მოუსავლეთში.

მაინც, რომელ საათზეა ეს დაწყევლილი ჰიმნი, ექვსზე თუ შვიდზე? თანაც რომ აღარ თავდება?!

ისე, საკვირველი ქალი კია ბებიაჩემი - ოთხმოცდაათს გადააბიჯა და დილიდან საღამომდე ოჯახში ტრიალებს: რეცხავს, ალაგებს, მაღაზიაში დადის და იბუტება, როცა სადილის გაკეთებას ან ბინის დალაგებას დედაჩემი ითავებს ხოლმე. სულ წუწუნშია, დავბერდი, აღარაფერი აღარ შემიძლიაო, დაეხმარები და წყინს! ერთი სიტყვით, მაგარი ვინმეა!

ერთხელ, თემომ და მე ლადიძის წყლებში ორი ლენინგრადელი ქალიშვილი გავიცანით, მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით, საღამოს რვა საათზე გაგვეგრძელებინა ასე დიდებულად დაწყებული ნაცნობობა.

თემო ახლად მოჭრილი აბაზიანივით ბზინავდა და უნივერსიტეტამდე ისე მივედით, სახიდან ღიმილი არ მოსცილებია. ალბათ, არც მე ვიყავი უკეთეს დღეში, რადგან სანდროს მთელი ხუთი წუთი ვულანძღივართ და ვუნჯღრევივართ, სანამ აზრზე მოვიდოდით, რა უნდოდა ჩვენგან... არა, მშვენიერი გოგოები იყვნენ, რაც მართალია, მართალია! სანდრო კი თურმე სამ-სამ მანეთს გვთხოვდა ნატოს დაბადების დღისთვის. ფულის ხსენებამ გამოგვაფხიზლა და იგივე სანდროს თქმით, სიმბოლისტი პოეტების გამომეტყველება როდენის „მოაზროვნის" გამომეტყველებით შეგვიცვალა (ხედავთ, რა განათლებული თანაჯგუფელები გვყავს!).

თემომ შემომხედა, რა ვქნათო?!

სანდრო, როცა დარწმუნდა, ჩვენ ფულის მიმცემები არ ვიყავით, ბუზღუნ-ბუზღუნით გაგვშორდა და გამწარებულმა, მგონი მათხოვრებიც გვიწოდა. სხვა სადარდებელი რომ არა გვქონოდა, ნაღდად დაისჯებოდა, ახლა კი, რა დროს სანდრო იყო, ვიღუპებოდით! საღამოს ანგელოზივით გოგოებთან პაემანი გვქონდა ჯიბეში კი გროში არ გვიჭყაოდა.

- დალი! - წამოიყვირა თემომ და კიბისკენ გაიქცა.

მეც კუდში აველევნე და კინაღამ გულზე შემოგვეყარა, როცა გავიგეთ, რომ ყოველი ჩვენგანის გულის მესაიდუმლე და გამკითხავი, ღვთისნიერი მოლარე დალი, რომელიც სტიპენდიის წინასწარ მოცემაზე უარს არასოდეს გვეუბნებოდა და რომლის ორ-ორი თვის სტიპენდია უკვე გვემართა, ავად გამხდარიყო. ჩვენი ჯგუფელებისთვის ფულის თხოვნა სრული უაზრობა იყო. ერთი სიტყვით, აქეთ ვეცით, იქით ვეცით და დავრწმუნდით, რომ მშობლიური უნივერსიტეტის კედლებში არაფერი გამოგვივიდოდა.

ბოლოს იდეები ამოგვეწურა.

- რა ვქნათ? - დავსვი მე იდიოტური კითხვა.

- ოთხის ნახევარია უკვე!

მერე, დატრიალდი შე კაი კაცო!

დატრიალებით ისე დავტრიალდები, რომ შეიძლება დედამიწა გავბურღო, მაგრამ ფული სად ვიშოვო, შენ ის მითხარი... აფსუს ბიძაჩემი აქ იყოს?! - დანანებით ჩაილაპარაკა თემომ.

- რომელი?

- რომელი და ქორა. აბა, დათას ყინულოვან ოკეანეში ყინული რომ თხოვო, იმას არ მოგცემს. შენი ნათელა დეიდა?!

- მისი ოთხი თუმანი რომ გვმართებს, დაგავიწყდა?

- ჰოო?!

- ჰო... ამ დროს ბებიაჩემს დასამარხავი ფული აქვს გადანახული. წამომცდა ღრმა ფიქრებში დანთქმულს.

- დაუმარხავი მკვდარი სად გინახავს, შე კაცო! - გამოცოცხლდა თემო. - მამაშენი დატოვებს დაუმარხავს თუ დედაშენი?! თანაც, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს...

- მართალი ხარ, ხომ იცი?! მოიცა, მოვიტვინო.

ბებიაჩემი რომ არა, იდეალური მდგომარეობა იქმნებოდა - მამა სადღაც რუსეთში იყო მივლინებით, დედაჩემი და ლევანი ქობულეთში ისვენებდნენ. ერთადერთი დაბრკოლება ძველისძველი, გამობრძმედილი და შეუდრეკელი მორალისტი-ბებიაჩემი გახლდათ და მე მტკიცედ გადავწყვიტე ამ ბარიერის გადალახვა!

თემოს დედის - დეიდა ნუცას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთი ცარიელი ბოთლი, ორი ბროწეული, მურაბის წვენი, ლიმონი და ჭაჭა (ეს არ გაჰკვირვებია!) გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვართვით. დეიდა ნუცამ ყველაფერი ეს მაგიდაზე გადმოგვიწყო, მერე კარგად დაგვაკვირდა, თავი გააქნია და მეზობლებთან გავიდა. ამასობაში თემომ ბარბიტალი, ლუმინალი და კიდევ რაღაც წამალი დაფხვნა, ბოთლში ჩაყარა, ზედ ჭაჭა დაასხა, მურაბის წვენი, ბროწეული და ლიმონი ჩააწურა და ბოთლი კარადაში აღმოჩენილი ლიქიორით „ბენედიქტინით" შეავსო.

ასე, ბოთლით ხელდამშვენებულები მივედით ჩემსას.

თემო, რომელიც მოხუცს ძალიან უყვარდა, ბებიას მიელაქუცა და უძილობაზე ერთი სიტყვის თქმაც არ აცალა, ისე გახსნა ქაღალდში საგულდაგულოდ შეფუთული ბოთლი.

– ეს რა არის?! – იკითხა ბებიამ და ფრთხილად დასუნა.

– რა და, სრულიად უნიკალური რეცეპტით დამზადებული ბრაზილიური მიქსტურაა! – საზეიმოდ გამოაცხადა თემომ. – საგანგებოდ თქვენთვის დავამზადებინე!

ბებიაჩემმა, რომელსაც ყველაფერი უცხოური, განსაკუთრებით წამლები აღაფრთოვანებდა, სიტყვა „ბრაზილიურის" გაგონებაზე ყურები ცქვიტა.

– არყის სუნი რომ ასდის?! – შეიჭმუხნა შუბლი.

– ფრანგულ სპირტზეა დამზადებული და იმიტომ. მიირთვი და ისე დაგეძინება, შენი მოწონებული, – ჩავერიე საქმეში და ჩაის ჭიქა თითქმის პირთამდე ავუვსე.

– ამდენი?

– ჯერ ნახევარი დალიე, ბატონო!

ბებიამ წამალი ფრთხილად მოსვა, მერე, როგორც ჩანს, მოეწონა და დროზე რომ არ გამოვერთმია ჭიქა, ბოლომდე დაცლიდა.

– მაინც რას ნიშნავს, ბრაზილიური რომაა, წამალიც რა გემრიელი აქვთ მაგ ოჯახაშენებულებს!

ბებია აშკარად კარგ ხასიათზე დადგა და ლოყებიც ვარდისფრად აუელვარდა.

აბა, წავედით, ბებია, წამალი მალე იმოქმედებს. თუ გაგეღვიძა, კიდევ დალიე. ოღონდ აუცილებლად, თორემ ის ეფექტი აღარ ექნება. კარგი?

ბებიას იმდენი ფული დაეგროვებინა ზეწარქვეშ, რომ ხუთიოდე მკვდარს ღირსეულად გაისტუმრებდა იმქვეყნად, ქელეხებითურთ, რასაკვირველია!

სტიპენდიას რომ ავიღებთ, დანაკლისი შევუვსოთ, – სინდისი დაიმშვიდა თემომ და ჩვენც საყიდლებზე გავვარდით.

ისეთი სუფრა გაიშალა, თქვენი მოწონებული! ის კი არა, დასალევად შამპანურიც კი შევიძინეთ, რომელიც მაშინ ორმანეთნახევარი ღირდა და ფრიად გვეძვირა.

ეს ყველაფერი პარასკევ დღეს მოხდა.

კარგი დრო გავატარეთ და შაბათ საღამოს გოგოები აეროპორტში გავაცილეთ.

იმდენად ნაზი იყო ჩვენი დამშვიდობება, რომ ნაყლაპ თეიმურაზს კურცხალიც კი გადმოუვარდა.

ბებიაჩემს კი ისევ ეძინა!

წამისწამ საათს დავხედავდი ხოლმე, რამე არ დაემართოს-მეთქი, მაგრამ არაფერი – ბებია ნეტარი სახით მშვიდად სუნთქავდა. მთელი ღამე საშინელებები მესიზმრებოდა და გულს ლოდი გადამევარდა, როცა მოხუცმა გაიღვიძა.

ღმერთმა უშველოს თემურს, ეგ რა კარგი წამალი მომიტანაო, – დალოცა ბებიამ თემო და დარბაისლურად დასძინა, – როგორც იქნა, გემრიელად წავთვლიმეო.

წავთვლიმეო, ზედმეტად მორიდებულად გამოუვიდა ბებიაჩემს. კვირა დილა თენდებოდა!

როგორც იქნა, ჰიმნი დამთავრდა.

დიქტორმა ისეთი მხნე და საზეიმო ხმით გვამცნო, დღეს 1969 წლის 19 დეკემბერიაო, თითქოს ეს დღე რამით ყოფილიყო გამორჩეული 10 მარტისაგან, ანდა 5 ივლისისგან. თუმცა, ბოდიში, დღეს ჩვენი საყვარელი პოლიტბიუროს უთვალსაჩინოესი წევრის, მგზნებარე ლენინის დაბადების დღე ყოფილა! აი, მოგვეხმარა ღმერთი!

ახლა დაიწყება „შრომითს გამარჯვებებზე" ლაპარაკი – თუ რა კარგად იმუშავეს უბედნიერესმა ვორონეჟელმა მეღორეებმა და მათზე უფრო ბედნიერმა ქართველმა მეჩაიეებმა, ანდა როგორ გამოუშვა რომელიღაც ქარხანამ მემილიარდე ბურთულსაკისარი. ერთი ის მაცოდინა, ვინ დაითვალა ის ბურთულსაკისრები და წუნი თუ შედის იმ მილიარდში?! უცებ წარმოვიდგინე, რამდენი გაჭირვებული უსმენს ამ სისულელეს მთელ საბჭოთა კავშირში, წყალწყალა ჩაის სვამს და იმედი უჭიატებს – იქნებ გაისად მაინც გვეშველოს რამეო. წარმოვიდგინე და ბოლომდე მაინც ვერ წარმოვიდგინე. მერე, რა თქმა უნდა, ჩეხოსლოვაკიაზე დაიწყებენ ყბედობას – „საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხალხის ურყევ მეგობრობაზე“. ამ დროს შარშან ტანკებით გადაუარეს იმ საცოდავებს. ჩვენ ვინ რას გვეკითხება, მაგრამ რამე რომ თქვა, უკეთეს შემთხვევაში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიგაბრძანებენ, გიჟიაო. რას იზამ. უბრალოდ, კაცმა მეტი ჭკუა უნდა იხმაროს და სოციალისტურ სამშობლოში არ დაიბადოს. სხვა გზა არ არის!

ყოველივე ამის გახსენებაზე მტკიცედ გადავწყვიტე, აემდგარიყავი და, უპირველეს ყოვლისა, რადიო გამომერთო. პირველი ლექცია ჯანდაბას, მაგრამ მეორეზე თუ არ მივედი, ის აფთარივით ქალი ჩათვლას ცოცხალი თავით არ მომცემს!

სადარბაზოში ჩემი მეზობელი ბუბუკინა შემხვდა. როგორც ყოველთვის ქამარი ლამის მკერდზე ჰქონდა შეკრული და ამის გამო, რაც უნდა გრძელი შარვალი ჩაეცვა, ჭყეტელა წინდები მაინც მუდმივად მოუჩანდა. ბუბუკინას რამაზი ჰქვია, მაგრამ ფეხბურთის თამაშისას იმდენი ეძახა ბიჭებს, - ბუბუკინ პასი მომაწოდეო, რომ მოსკოველი ცენტრფორვარდის გვარი თვითონვე შერჩა მეტსახელად და ახლა დედ-მამაც ბუბუკინას ეძახის.

- ბუბუკინას გაუმარჯოს!

- სალამი! - დიდის ამბით ჩამომართვა ხელი ბუბუკინამ და ფრიად სერიოზულად შემომხედა თვალებში.

გულმა მიგრძნო, კიდევ ვიღაც შეჰყვარებოდა. ისე, კაცი ვარო, მაგან უნდა დაიტრაბახოს. ნაცნობ გოგონებს, უკლებლივ ყველას, სიყვარულს უხსნიდა და როცა არაფერი გამოუვიდოდა, მერე უკვე საუკუნო მეგობრობას სთავაზობდა. გოგოები მაინცდამაინც სერიოზულად არ ეკიდებოდნენ ბუბუკინას და ამიტომაც მასთან „საუკუნოდ დამეგობრებულთა“ რიცხვი ერთობ სახიფათოდ იზრდებოდა. კიდევ ერთი ზნე სჭირდა ბუბუკინას - ყველას ადგილს უთმობდა. ოთახში ასი სკამი რომ მდგარიყო, მაინც მოახერხებდა და ვინმეს - ასაკისა და სქესის განურჩევლად, ადგილს დაუთმობდა. ამის გამო მეზობლობაში ზრდილობიანი ყმაწვილის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

ტროლეიბუსის გაჩერებამდე კარგა მოზრდილი გზა იყო გასავლელი.

ბუბუკინას აშკარად ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა ჩემთვის, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან გზაში რამდენიმე უბნელი ბიჭი შემოგვიერთდა. ბოლოს, როცა გაჩერებაზე მარტონი დავრჩით, ამოღერღა: „თუ ძმა ხარ, თინიკოსთან რომ მნახო, ბუბუკინა აღარ დამიძახო... არც რამაზი!“ დაამატა პატარა პაუზის შემდეგ.

- მაშ რა ვქნა?! - გულწრფელად გავიკვირვე მე.

- არ ვიცი, რომელი სახელი ავირჩიო, რუდოლფი თუ ტომაში. - ბუბუკინა გაწითლდა, ეტყობა დაიმორცხვა.

„ასე იცის პოლონური ესტრადის უზომო თაყვანისცემამ-მეთქი“, გავიფიქრე გუნებაში და გამეცინა.

რა გაცინებს? - ეტყობა, ჩემმა გამხიარულებამ ბუბუკინას გარკვეული ეჭვები აღუძრა და განმგმირავი მზერა მომაპყრო.

- არაფერი, ისე გამეცინა... მე მგონი, რუდოლფი აჯობებს. შემოკლებით რუდი!

- ჰო, რუდი კარგია - აღფრთოვანდა ბუბუკინა და კიდევ ერთხელ ჩაილაპარაკა ფიქრიანად - რუდი! რუდი! დიდებულია! თინიკოსაც ნამდვილად მოეწონება! ხვალ ერთად უნდა წავსულიყავით კონცერტზე, მაგრამ მამაჩემი სოფელში მიმათრევს.

ვიცოდი, რომელ თინიკოზეც ლაპარაკობდა. ის გოგო ჩვენს მეზობელ ეზოში ცხოვრობდა და მეც ძალიან მომწონდა. ის კი არა, ჩვენი ურთიერთობა, დიპლომატიური ენით რომ ვილაპარაკოთ, დღე-დღეზე „კიდევ უფრო უნდა გამტკიცებულიყო“. ერთი პირობა ეჭვმაც კი გამკენწლა, მაგრამ მაშინვე ბუბუკინას ამურული თავგადასავლების უსასრულო სერიალი გავიხსენე და გულზე მომეშვა.

ტროლეიბუსში ბუბუკინა თავის პრობლემებზე მედუდღუნებოდა. კიდევ კარგი, სამიოდე გაჩერების მერე ჩადიოდა. ჩასვლისას ბოდიშები მიხადა, მარტო გტოვებო და ბოლოს იმდენი ქნა, რომ ნახევრად ცარიელ ტროლეიბუსში მაინცდამაინც ჩემს გვერდით დაუთმო ადგილი ვიღაცა ფაშფაშა ქალს, რომელმაც ლამის ფანჯარას მიმაჭყლიტა. ამას კიდევ ბუბუკინა მერჩივნა.

უნივერსიტეტში იმ დროს მივედი, დოცენტი ლილი ჩახხიანი უკვე კართან რომ იდგა და აუდიტორიაში შედიოდა. ამ დროს თვალი მოვკარი ვახოს და ბადრის, რომლებიც მანიშნებდნენ, არ შეხვიდეო.

მე მხრები ავიჩეჩე, ლექტორს საცოდავად გავუღიმე და ბიჭებს ვაგრძნობინე, რა ვქნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნდა შევიდე-მეთქი.

– მობრძანდა, როგორც იქნა! – ტუჩაბზუებით ჩაიწიკვინა ლილი ჩაჩხიანმა.

კიდევ ერთხელ გადავხედე ბიჭებს დასაკლავი ხარის თვალებით, მაგრამ მათ მკაცრ სახეებზე ულმობელი განაჩენი წავიკითხე – არ იყვნენ ესენი ერთ საათს დამლოდინებლები! რა მექნა – გუნებაში შევუკურთხე ათეიზმის მომგონის მშობლებს და ჩათვლას დავემშვიდობე.

– ახლავე მოვალ, ქალბატონო ლილი, ერთი წუთით! – ჩავიბუტბუტე მე და ლექტორის მზერას რომ არ გადავყროდი, ადგილიდან მოვწყდი.

– ამდენს რას ელაპარაკებოდი იმ ქალს?! იმდენი ვიქნიე ხელები, შალიკაშვილს რომ დავენახე, უეჭველად პანტომიმის თეატრში მიმიღებდა, – დამტუქსა ვახომ.

– ჰო, არა?! რომ მომიხსნის ლილი ჩაჩხიანი სტიპენდიას, გაიხარეთ მერე, – ვთქვი მე. – თქვენ რა გენაღვლებათ, ჩათვლა ჯიბეში გიდევთ.

ტაქსის გაჩერებაზე არავინ იყო.

– ერთი გამაგებინა, ვის რა ჯანდაბად უნდა ეგ ათეიზმი და მერე მომკლა, – თქვა ბადრიმ და გასათბობად ლამის ბუქნაობა დაიწყო.

– ვის უნდა და ლილი ჩაჩხიანს! – დაასკვნა ვახომ.

– კიდევ აგერ, სანდრო კალისტრატოვიჩს! – ვთქვი მე.

მართლაც, გაჩერებასთან შავი კომკავშირული „ვოლგა" გაჩერდა და იქიდან სანდრო გადმოვიდა. იგი დაჟინებით მიიწევდა მაღლა ახალგაზრდობის დამმოძღვრავეთა იერარქიულ კიბეზე. ასე რომ ფრთები ესხმებოდა სანდროს ყმაწვილობისდროინდელ მისწრაფებას, რომელიც მან ამ სამიოდე წლის წინ სპილოსთან არყის სმის დროს გაგვანდო, – ჩემი ოცნებაა კიროვის რაიკომის მესამე მდივანი გავხდეო! რატომ მაინცდამაინც კიროვის და რატომ მაინცდამაინც მესამე, ეს გამოუცნობ ამოცანად დარჩა ჩვენთვის.

– წამოდით, ბიჭებო, ჩასხედით. სად მიდიხართ?

– არ ვიცი! – მხრები აიჩეჩა ბადრიმ.

– არც მე ვიცი! – ვთქვი მე.

სანდრომ უნდობლად შემოგვხედა.

– ჩვენ ათეიზმის ლექციას ვაცდენთ და არ გვინდა ამ მანქანაში ჩაჯდომით შენს კომკავშირულ გრძნობებს შეურაცხყოფა მივაყენოთ, – თქვა ვახომ.

– კარგით, რა ბიჭებო... – საერთოდ თვითდაჯერებული სანდრო შეცბუნებული ჩანდა.

– არა, სანდრო, დღეს ჩვენ იმდენი საქმე გვაქვს, შენ ამდენს ვერ მოგაცდენთ. – რბილად უთხრა ბადრიმ.

– აკი არ ვიცით, სად მივდივართო?! –

– ძალიან გაინტერესებს სად მივდივართ? კითხვა შეუბრუნა ვახომ.

– აბა!

– ჯემალს უნდა გავუაროთ და მცხეთაში წავიდეთ საპურმარილოდ. წამოხვალ?

– მცხეთაში? – შეიშმუშნა სანდრო.

– ჰო, მცხეთაში! – გაიმეორა ვახომ.

– არა, პირველ საათზე რაიკომში უნდა ვიყო.

– აი, ხომ ხედავ?!

– კარგით ბიჭებო, აბა წავედი, კარგად!

– კარგად!

სანდრო მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

სწორედ ამ დროს ცარიელი ტაქსი გამოჩნდა.

– საბურთალო! – ჩახლეჩილი ხმით დაიძახა მძღოლმა და უნდობლად შეგვათვალიერა.

ვახომ კარი გამოაღო და უხმოდ მოკალათდა წინ.

– გარაჟში მივდივარ, – თქვა მძღოლმა.

– გარაჟში კი არა, მცხეთაში მივდივართ საპურმარილოდ. იქამდე ჯემალს უნდა გავუაროთ სანაპიროზე. ნუ გეშინია, ბიძაჩემო, პატივისცემა ჩემზე იყოს!

– რისი უნდა მეშინოდეს?! – თავი გამოიდო მძღოლმა.

– ჰოდა წავსულვართ და ეგ არის! – უთხრა შოფერს ვახომ და შინაურულად გაუღიმა.

– მცხეთაში რა გვინდა? – ფრთხილად იკითხა ბადრიმ, როცა უკვე მანქანაში ჩავსხედით და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა.

ჩემთვის სრულიად გასაგები იყო, რას ფიქრობდა ბადრი. ჯერ ერთი, მცხეთის მარანში დახარჯული ფული ბარე სამ დუქანსაც ეყოფოდა და ადამიანს კი, მოგეხსენებათ, ყოველდღე უნდა კვება. მეორე, მარანში გაგანია ზაფხულშიც გრილა და ახლა, ალბათ, გავითოშებოდით. და მესამე, მთვრალი ვახოს მოვლა-გაცილება მცხეთაში ფრიად გაჭირდებოდა.

– მარანში კარგია! – ავტორიტეტულად თქვა ვახომ და ჩვენც ბედს შევურიგდით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯემალი თავის სახლთან, ქუჩაში გველოდებოდა.

- გამარჯობათ! - თავისებურად მოგვესალმა ის და მანქანაში ძლივს შემოეტია. - სად მივდივართ?

- მცხეთაში. - ჩაილაპარაკა ბადრიმ.

- Хорошо! - თქვა ჯემალმა და ხელები მოიფშვნიტა. იგი, როგორც ყოველთვის, ცხოვრებით ფრიად კმაყოფილი იყო.

- არა, ამ იდიოტურ ათეიზმზე რატომ უნდა იყოს ჩემი სტიპენდია დამოკიდებული?! - ისე, დავიწყე მე.

- ლილი ჩაჩხიანზე უფრო სასიამოვნო საფიქრალი არაფერი გაქვს? - შემეკითხა ბადრი.

- ეგ ვილაა? - იკითხა ჯემალმა.

- ვინ არის და, შენი ათეიზმის მასწავლებელი! - გავანათლე ჯემალი. ურწმუნო და ღვთისმგმობელი კაპარჩხინა. იმასაც ვნახავ, იმ ქალთან ჩათვლას როგორ მივიღებთ ან მე, ან შენ!

- მივიღებთ! - არხეინად ჩაილაპარაკა ჯემალმა და მივხვდი, ამ თემაზე ლაპარაკი რამხელა სისულელე იყო.

- იქნებ მწამს, ბატონო, ღმერთი! - თქვა ვახომ. მძღოლმა მას ეჭვით შეხედა.

- საბჭოთა ჟურნალისტს ღმერთი არ უნდა სწამდეს! - ისე უიმედოდ ჩაილაპარაკა ბადრიმ, რომ მე, პირადად, მაშინღა ვიგრძენი მთელი სიცხადით, როგორ მდომებოდა დალევა.

რა ვქნა, ვერაფრით შევიყვარე ეს მარანი. ყველაფერი ხელოვნურად მეჩვენება: ოფიციანტების ჩაცმულობა, მოუხერხებელი ჯორკოები, კედელზე დაკიდული ნივრის რამდენიმე გალა, სიმინდის ტაროები, კერძები და ბუხარში დანთებული ცეცხლიც კი. ისე, ამ ბოლო დროს მაინც ყველაფერი მაღიზიანებს, განსაკუთრებით სიყალბე და პათეტიკა. და რადგან ეს სიკეთე ჩვენში უხვადაა, ზოგჯერ ლამისაა გავგიჟდე. კიდევ კარგი, ღვინო მოუგონია ღმერთს...

მარანში, როგორც ყოველთვის, ბნელოდა და თავდაპირველად ვერაფერი გავარჩიე, ჩვენი განათებული ტაბლის გარდა. მოგვიანებით მარნის სიღრმეში წითლად მობდღვრიალე მიხაკი შევნიშნე და აღმოვაჩინე, რომ ეს მიხაკი უიმისოდაც ძალიან ლამაზ ქალს ამშვენებდა. იმ მაგიდიდან პოლონური და რუსული ლაპარაკი მოისმოდა. სუფრას გურამ ფანჯიკიძე ხელმძღვანელობდა და ჩანს, ძალიან კარგადაც, რადგან სტუმრები განუწყვეტლივ იცინოდნენ და ტაშს უკრავდნენ. თვითონ ბატონი გურამი ჩვენკენ ზურგით იჯდა და ვერ გვხედავდა.

მარანში მეტი არც არავინ იყო.

ოფიციანტმა საუზმეული მოგვიტანა ასარჩევად. ბოლოკი, ყველი და შაშხი პლასტმასისას ჰგავდა, მაგრამ ხმა არ ამოვიღე. ვახომ თითქმის ყველაფერი გადმოალაგებინა სუფრაზე, გარდა საეჭვოდ გამხმარი მწვანილისა და შეუხედავი მუჟუჟისა და სამზარეულოში კუპატი და მწვადი შეუკვეთა.

ღვინო კი მართლა კარგი გამოდგა - სუფთა და კამკამა „ტიბაანი“.

თამადობა, როგორც ყოველთვის, ჯემალმა ითავა.

- რამაზი და გია სად არიან? - იკითხა ჯემალმა, როცა ორიოდე ჭიქა დავლიეთ. კარგ დროს კი გაახსენდა!

- რამაზი გადაღებაზეა. გიას ბათუმელი ძმები ჩამოუვიდნენ და იმათთან გრიალებს, - უპასუხა ბადრიმ.

რამაზი უკვე საკმაოდ ცნობილი კინომსახიობია, მაგრამ პოპულარობას ვერაფრით შეეჩვია. ამ ბოლო დროს ქუჩაში გავლასაც ერიდება, რადგან როცა ცნობენ, რცხვენია. ერთხელ სანდრომ ბადრი, რამაზი და მე დუქანში დაგვპატიჟა, მაგრამ ისე დათვრა, რომ ბაღში ერთი საქმისთვის გასულმა, დუქნის კარს ველარ მიაგნო და უგზო-უკვლოდ გაქრა. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავი, დანახარჯი გადახდილი იყო, დარჩენილი ღვინო თავზე დავიწურეთ და არხეინად გავედით დუქნიდან. იმ დუქანში ოფიციანტად ცალთვალა მარინა მუშაობდა. მეორედ ჯემალს, გიას, ბადრის და მე მოგვიხდა იმ დუქანშგი შესვლა. ცალთვალა მარინამ ბადრი და მე ეჭვით შეგვათვალიერა და ბოლოს გვითხრა:

- ცოდვას ვერ დავიდებ, თქვენ იყავით თუ არა, ვერ ვიხსენებ, მაგრამ ის არტისტი სად დამემალება, ოთხში ამოვიღებ მაგ უბედურს!

ის „არტისტი“, რა თქმა უნდა, რამაზი იყო. მივადექით სანდროს და ის პურმარილი ორმაგად ვაზღვევინეთ.

ფხიზელს, ხშირად მიფიქრია, ვის რაში სჭირდება ეს ერთი და იგივე სადღეგრძელოები-მეთქი, მაგრამ საკმარისია სამი-ოთხი ჭიქა დავლიო, რომ აზრი მეცვლება და თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თონაც მეშლება ლაპარაკის სადღრღელი.

თანდათან ვუმატეთ ლაპარაკს.

სიცივეს ვეღარ ვგრძნობდით.

ბადრის თმა აეჩეჩა.

ვახოს ისედაც უფერული წარბები სულ წაეშალა და ჯოკონდას დაემგვანა.

ჯემალი კი გაუთავებლად ლაპარაკობდა, თავის მონაყოლზე იცინოდა და ნაკლებად აინტერესებდა, ვუსმენდით თუ არა.

მე დიდი სურვილი გამიჩნდა, ღმერთის არსებობა-არარსებობაზე ჩემი აზრი გამომეთქვა, მაგრამ სლოკინი ამივარდა და ამ განზრახვაზე ხელი ამაღებინა.

მერე ჩვენთან ბატონი გურამი მოვიდა და თავის მაგიდასთან მიგვიპატიჟა.

ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად ვიცნობდით ბატონ გურამს და სიამოვნებით მივიღეთ მისი მიწვევა, მაგრამ ვახოც რომ წამოდგა, შევატყვეთ, საქმე მთლად კარგად ვერ იყო.

- შენ წაყევი, უხერხულია, მე და ჯემალი ამას როგორმე მოვუვლით. ეცადე, დროზე წამოხვიდე.

ბატონმა გურამმა ჩემი სადღეგრძელო დალია, მერე სტუმრებმაც მადღეგრძელეს. ბოლოს მეც გავილექსე და პოლონეთის სადიდებული ერთი მამაპაპური სადღეგრძელო დავახვიე.

ერთი სიტყვით, გარეთ რომ გამოვედი, დარაჯის მეტი აღარავინ დამხვდა.

ნუღა ეძებ, წავიდნენ შენი ძმაკაცები, - მითხრა უზარმაზარ ტყაპუჭში გახვეულმა დარაჯმა.

- წავიდნენ?

- მაშ! - სასწრაფო დახმარების მანქანა გააჩერეს. შენ გიცდიდნენ, მაგრამ იმ ერთმა... აი, მაგარი მთვრალი რომ იყო...

- ვახო?

- ჰო, ჰო, იმან აიტეხა, გინდა თუ არა, ღამის გასათევად მორგში უნდა წავიდეთო. მერე ღამის იჩხუბეს. ის კაცი ჭირვეულობდა. შენ აღარ გამოჩნდი. რა ექნათ, შოფერი თავისას გაიძახოდა - მეჩქარებაო. ჰოდა, ჩასხდნენ და წავიდნენ.

- მერე, მე? - გულუბრყვილოდ ვიკითხე.

- სხვა გზა არ ჰქონდათ, შვილო, დამიჯერე.

ფულიც რომ მქონოდა, მანქანის ჭაჭანება არსად ჩანდა. მეტი რა ჩარა იყო, უკან შევბრუნდი, ბატონ გურამს ვითარება ავუხსენი და ვთხოვე, იქნებ თბილისში თქვენ გამოგყვეთ-მეთქი.

- რა თხოვნა უნდა მაგას?! - გაიცინა ბატონმა გურამმა. შენი ძმაკაცებიც დარჩენილიყვნენ, კარგი იყო. ეხედები, რაც მოხდა, არა უშავს! იმ დღეს ჟურნალში ბადრის მოთხრობა წავიკითხე. კარგი ბიჭი ჩანს. აბა, ახლა ჭიქები შევავსოთ...

მაგრად დავთვერი. ისე რომ თავს ძლივს ვიკავებდი, სიმღერა არ წამომეწყო. ჩემი ხმის პატრონი ამით უეჭველად შევბღალავდი საქართველოს ღირსებას, მაგრამ სტუმრები რომ ამღერდნენ, მაშინ მივხვდი - ჩემი სიმღერა შეიძლებოდა ანგელოზთა გალობად ჩათვლილიყო.

მერე წამოვედით.

მე „პობედაში" მომიწია ჯდომა.

თბილისში რომ ჩამოვედით, უკვე ძალიან გვიანი იყო.

ცოტა რომ გამოვფხიზლდი (ამას თუ გამოფხიზლება ერქვა), გავიგე, სტუმრები ახლა კობა გურულის სახელოსნოში მიჰყავდათ. ადგილზე რომ მივედით, მძღოლს შევთავაზე, თქვენ შებრძანდით, მანქანას მე მოვატრიალებ-მეთქი. მძღოლმა გასაღები მომცა და ეზოში შევიდა.

მე მანქანა დავქოქე და თავდაღმართში ჩავუხვიე. ისეთი კარგები და ლამაზები იყვნენ სტუმრებიცა და მასპინძლებიც, რომ სიბრიყვის ჩადენა მომინდა. „მეჩვენება, თორემ როგორ შეიძლება ამ გაუსაძლის ჭაობში მშვენიერება და სიკეთე არსებობდეს-მეთქი", გუნებაში ჩავილაპარაკე და გაზის სატერფულს ისე დავაჭირე ფეხი, რომ ავტომობილი ლამის ყალყზე შევაყენე.

მერე სად ვიყავი ვერ გეტყვით.

რომ დავბრუნდი, ცა უკვე იცრიცებოდა.

ის სახელოსნო ვეღარაფრით ვიპოვე და გადავწყვიტე, მანქანა რომელიმე მეზობლისათვის ჩამებარებინა. ბედად, ამ დილაუთენია უკვე ეზოში მოფუსფუსე ქალი შევნიშნე. იმ ქალს ავუხსენი, კობა გურულთან ვიყავით სტუმრად, მაგრამ მანქანა ვეღარ დავქოქე და თქვენი ჭირიმეთ, ეს გასაღები გადაეცით-მეთქი...

მაგრა მაქრქოლებდა ტანში, მაგრამ შინ დაბრუნებაზე ფიქრიც არ მინდოდა.

აბა, წარმოიდგინეთ, ბებიაჩემი, დედაჩემი, მამაჩემი და ყველანი ცამდე მართლები! ერთადერთი ადამიანი, ვინც გამიგებდა, ჩემი ძმა, ლევანი იყო, მაგრამ თხუთმეტი წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიჭის აზრი ვის რაში აინტერესებდა.

ოჯახზე რომ ვფიქრობდი, მაშინღა გამახსენდა, რომ დღეს ჩემი დაბადების დღე იყო. თქვენი არ ვიცი და მე დაბადების დღე ყოველთვის ფილოსოფიურ ხასიათზე მაყენებს. თუმცა, რა დროს ფილოსოფია იყო - ციოდა, ქვეყანა თავზე მენგრეოდა, არც კი ვიცოდი, სად წავსულიყავი. თემო უნდა მენახა და ვნახე კიდეც თავის ინსტიტუტში.

- ცოცხალი ხარ? იცი...

- ვიცი.

- არა, შენ ნორმალური ხარ?! - გული მოუვიდა თემოს. - მთელი ღამე გეძებდნენ!

- კარგი რა, თემო, ნუ მახსენებ. თანაც დღეს ჩემი დაბადების დღეა. არ გეცოდები?

- ჰო, შენი საცოდაობით ქვა ატირდება. რას ჰგავხარ, შე უბედურო! კარგი, ჯანდაბას შენი თავი, ძია ქორას გავუაროთ.

ძია ქორას ოთახიდან ვიღაც კაცის გამყივანი კივილი ისმოდა.

- არა, მე ხომ დამპირდნენ, იქ, ზევით! როგორ შეიძლება ადამიანის ასე მოტყუება! მე მოვითხოვ ჩემს კუთვნილ წითელ ტყავს! აი, რეზოლუცია.

- არ მოიტანეს, ბატონო, აგერ, მშვენიერი ლურჯი ტყავია. რითაა ახლა ეს ტყავი ურიგო?

- არ მინდა ურიგო! - უკვე კრინით აწივლდა მომჩივანი. - ჩემი წიგნი ყველაზე ლამაზ, ყველაზე გამორჩეულ ყდაში უნდა ჩაისვას. ამას მე ასე არ დავტოვებ, ყველას გიჩვენებთ სეირს, ყველას!!!

კარი გაიღო და იქიდან ერთი საქვეყნოდ ცნობილი პოეტი გამოვარდა. გამოვარდა და ისე ჩაგვიქროლა გვერდით, რომ ქოჩრები აგვიწეწა. არადა, ეს კაცი ქუჩაში ნაცნობ-უცნობს მზიურ სალამს ურიგებდა ხოლმე.

რა დაემართა? - იკითხა თემომ.

- რა ვიცი, თემოჯან, ძია ქორამ ყარაჩოხელის საკადრისი უზარმაზარი ცხვირსახოცით შუბლზე მომსკდარი ოფლი შეიწმინდა, - ერთი შეხედეთ, რა მშვენიერი ლურჯი ტყავია! არა, გინდა თუ არა, წითელყდიანი წიგნი მინდაო! არა გვაქვს ეს ოხერი წითელი ტყავი. ინდიელად მაინც დავბადებულიყავი. მამაძაღლი ვიყო, ტყავს გავიძრობდი, ოღონდ ეგ აქ აღარ დამანახა.

მე და თემოს სიცილი აგვიტყდა.

- იცინეთ, ჰო, რა გენაღვლებათ! ისე, რომ იცოდეთ, ბიჭებო, ომი ახალი დამთავრებული იყო, მაგას პირველი წიგნი რომ დავუბეჭდე. მაშინ სარჩევად არ იყო საქმე და ის წიგნი ლამის ხორცის გასახვევ ქაღალდზე დავუბეჭდეთ. იმის მერე არაფერი დაეწერა, ისა სჯობდა! აბა, ახლა ისა თქვით, ბებერი ქორასაგან რა გინდათ?! მუქთად თქვენ აქ არ მოხვიდოდით!

- დღეს ამის დაბადების დღეა და...

ჰოო! - გაიკვირვა ძია ქორამ და დაკვირვებით შემათვალიერა. - რაღაც იუბილარს არ ჰგავხარ. რამდენისა გახდი?

- ოცდაორის. - დავიმორცხვე მე.

- ეჰ, კარგია... ჰოდა, ოჯახს ეჩხუბე და ძია ქორამ დაბადების დღე უნდა გადაგიხადოს, არა?!

- ვა, შენ საიდან იცი? - პირი დააღო თემომ.

- ჩემხელა რო გახდები, შეიძლება ჩინურად ალაპარაკდე. თუმცა, აგერ ნესტორა მამაჩემის ხნისაა და ქართულიც ვერ ისწავლა... ჰო, კარგი, აქ მომიცადეთ!

ძია ქორა სადღაც გავიდა და წუთში უკან მობრუნდა. ხელში ოთხი ოცდახუთმანეთიანი ეჭირა.

- ეს შენ, ეს შენ, ეს ორიც დაამღერეთ. მოსულა?! მომილოცავს! - ძია ქორა გადამეხვია და მაკოცა.

- ძია ქორა... - გრძნობით წამოვიწყე მე, მაგრამ ვინ გაცალა.

- სამადლობელო იქ, სუფრაზე. ახლა თავიდან მომწყდით, საქმე მაქვს. ბიჭო! - თემოს მიუბრუნდა ძია ქორა, - დედაშენ ნუცას არ უთხრა, ფული რომ მოგეცი, თორემ შემჭამს. გაიგე?

- შენ ისეთი ვირი ხარ, შინ არ მიხვალ არა?!

- ასეა.

- მაშინ ჩემთან ავიდეთ. ცოტა დაისვენე და სასაქონლო სახე მიიღე, თორემ სპილოს ნაღეჭსა გავხარ.

რამდენიმე საათის მერე დაბანილი, გასუფთავებული და დაუთოებული სარკეში თმას ვივარცხნიდი და ვგრძნობდი, როგორ უკვალოდ ქრებოდა დილანდელი სიმძიმე. პერანგი, რომელიც თემომ ბუზღუნ-ბურტყუნით მაჩუქა, მშვენივრად მომერგო. მაღალი საყელო სასიამოვნოდ მედებოდა ლოყაზე.

- მოგწონს, არა?! კარგი, გეყო პრანჭიაობა, წამო, საქმეს მივხედოთ!

- სად წავიდეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა



- სადა და კონსერვატორიაში! - იოხუნჯა თემომ.

- ჰო, ბიჭო, შენი დასაცინია კონსერვატორია!

- ვინ გაკადრა, ბატონო, მაგრამ დაბადების დღეს კონსერვატორიაში იხდიდნენ, არ გამიგია! მიშასთან ჩავიდეთ.

- კარგი.

მიშა რესტორან „გრემში" მუშაობდა. ერთხელ ნისიად გვაქეიფა. ჩვენ კიდევ ვერაფრით მოვუყარეთ თავი მისთვის მისაცემ ფულს. ამიტომაც კარგა ხნით ამოვიკვეთეთ ფეხი „გრემიდან". ერთხელაც მიშა მე და თემოს რუსთაველზე შეგვეფეთა. მიწა გაგვსკდომოდა, გვერჩივნა, მაგრამ მიშამ არაფერი შეიმჩნია, გულითადად გადაგვეხვია და მხოლოდ გამომშვიდობებისას გვითხრა:

- ბიჭებო, რომ იცოდეთ, ამ ცოტა ხნის წინ ქალიშვილი გავათხოვე. კარგი მზითევიც გავატანე.

- მომილოცავს!

- ჰო, კიდევ ბიჭი დავასახლე, ორსართულიანი აგარაკი ავიშენე, მანქანა ვიყიდე...

- ჰოო?

- ჰო. მერე, იცით საიდან? თქვენი ფულით, ბიჭებო, თქვენი და თქვენი ძმაკაცების ფულით. მთელი უნივერსიტეტი აქ რომ მომიზიდეთ, განა დამეწყებია?! ჰოდა, ის თქვენი სამთუმანნახევარი ეშმაკსაც წაუღია. ასე რომ გამოიარეთ, ნუ შეგრცხვებათ!

ამის მერე საბოლოოდ გავუშინაურდით ერთმანეთს. ეს იმით აღინიშნა, რომ რესტორნის დაკეტვის მერე დაგვტოვეს და მზარეულ-ოფიციანტებმა ისეთი სუფრა გაშალეს არც ერთ კლიენტს რომ არ დასიზმრებია.

„გრემში" ჩასულებს ოფიციანტი ლიკა შემოგვეგება - ლერწამივით გოგო, რომელსაც თემო კარგა ხანია ამაოდ უპრაწავდა თვალებს.

- მოდით, ბიჩებო, დღეს მე მოგემსახურებით, კარქი? მიშაც მალე მოვა.

- კარგი, კარგი, ძალიან კარგი, - წაუმღერა თემომ, - თანაც, რომ იცოდე, დღეს ამის დაბადების დღეა. ასე, რომ...

Правда?! - ლიკამ გახარებული ბავშივით შემოჰკრა ტაში. - Ой как хорошо, поздравляю! ლიკამ ლოყაზე მაკოცა.

- აფსუს, მე რომ ნორმალური ვიყო, 29 თებერვალს დავიბადებოდი?! - დანანებით ჩაილაპარაკა თემომ.

- Ну, давай, и тебя поцелую черт! - გაუღიმა ლიკამ და თემოსაც აკოცა. მერე მიშაც შემოგვიერთდა.

მიშას თემოს ორი მეგობარი მოჰყვა და ისინიც ჩვენ სუფრაზე მოვიპატიჟეთ.

ევსვამდი და ყოველ ჭიქასთან ერთად გარშემო ყველა და ყველაფერი ლამაზდებოდა. თანაც მეჩვენებოდა, რომ ყველას ძალიან ვუყვარდი და რატომღაც საკუთარი თავი მეცოდებოდა. უცებ ქრუანტელმა დამიარა, ისე მომინდა თინიკოს ნახვა. მიშას მაჯაზე დავხედე. შვიდის ნახევარი იყო. ავდექი.

- ხალხო, მაპატიეთ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ!

თემომ ისე შემომხედა, სინდისის ნატამალი რომ მქონოდა, უნდა დავფერფლილიყავი.

- ბებია ცუდად არის და უნდა მიხედო, არა?!

- თემო!

- რა „თემო". შეიძლება ასე?!

- ასეა საჭირო. აბა, კარგად გნახეთ, ძმებო. დიდი მადლობა.

გარეთ ისევ ციოდა და ქარიც უბერავდა. საყელო ავიწიე. ვიდექი და არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. ერთი პირობა ისიც გავიფიქრე, ქაშუეთში შევალ და სანთელს დავანთებ-მეთქი, მაგრამ უცებ ის მოპოეტო ტიპები გამახსენდა, წამდაუწუმ ეკლესიაში რომ დადიან და თან თავს იწონებენ - შეგვხედეთ, რა კარგი ბიჭები ვართო. „თანაც თუ ლოცვა გინდა, მარტო უნდა ილოცო-მეთქი", გავიფიქრე და რუსთაველზე გაველი.

ქუჩაში, მიუხედავად სიცივისა, საკმაოდ ბევრი ხალხი დადიოდა.

გალერეასთან გაჩერებაზე ტროლეიბუსი ჩამოდგა.

მძღოლმა - სვანურქუდიანმა კაცმა დაორთქლილი მინა ჩერით გადაწმინდა, მერე დაღლილი თვალებით შემომხედა და როცა დარწმუნდა, რომ მისი მგზავრი არ ვიყავი, ტროლეიბუსი ადგილიდან დაძრა.

ტროლეიბუსზე ბუბუკინას ნათქვამი გამახსენდა, თინიკო კონცერტზე მიდისო.

როგორც რუსთაველის თეატრთან გაკრული აფიშებიდან დავასკვენი, იმ დღეს თბილისში ერთადერთი კონცერტი კონსერვატორიაში ტარდებოდა და მეც გეზი იქითკენ ავიღე.

დარბაზში მაშინ შევედი, როცა ტაშის ხმა მომესმა.

ადგილების ნახევარზე მეტი თავისუფალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



იყო.

თინიკო, დედამისთან ერთად, მესამე რიგში იჯდა.

მე ორიოდე რიგით უკან დავჯექი.

შევყურებდი თინიკოს საგულდაგულოდ ავარცხნილი თმიდან გამოქცეულ რამდენიმე ოქროსფერ კულულს და მიკვირდა, აქამდე როგორ ვძლებდი ამ გოგოს გარეშე.

ამასობაში კონცერტის წამყვანმა ახალი ნომერი გამოაცხადა:

– იოჰან სებასტიან ბახი. ფუგა რე მინორი. ასრულებს ვოლფგანგ მაიერი.

სცენაზე ყანჩასავით აწოწილი სათვალიანი კაცი გამოვიდა და ორღანს მიუჯდა. ღმერთო შეგცოდე და გავიფიქრე, ამ კაცს ბახთან რა ესაქმება-მეთქი, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ თვითონ ბახი კარგი ჭამასმის მოყვარული გახლდათ, თვრამეტი შვილი ჰყავდა, ამდენივე კათხა ლუდს მიირთმევდა სადილზე და თავადაც ლუდის კასრის მოყვანილობა ჰქონია.

მაგრამ დაიწყო იმ კაცმა დაკვრა და ამქვეყნად ყველაფერი დამავიწყდა.

ქათქათა მუქზე მოელვარე ორღანი ყინულის ფანტაზიას ჰგავდა.

სადღაც ზემოდან, ანგელოზებიდან წამოვიდა პირველი აკორდები.

მერე იმ ხმებს წვრილი მილები აჰყვა, ორღანის მილები მალ-მალე აღებდნენ პირს და რაღაცას მეჟღურტულებოდნენ. მალე მას მსხვილმა ბუბუნა მილებმა მისცეს ბანი.

კეთილად დამგუგუნებდა თავს ორღანი, მეფერებოდა, მამშვიდებდა, შევყურებდი თინიკოს და ვხვდებოდი, რომ ცხოვრება ჩემს ასაკშიც არ მთავრდება...

აუ, რა დრო გასულა მას აქეთ.

ოცდაათი წელი თავისთავად დიდი დროა ადამიანის ცხოვრებაში. მით უმეტეს, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთი ისტორიული ეპოქა მეორეთი შეიცვალა. დიდი ხანია, უკეთეს სამყაროში გადაინაცვლეს ბებიაჩემმა, დედაჩემმა და მამაჩემმა, ძია ჟორამ, პოეტმა, რომლის სახელი დღეს აღარავის ახსოვს და ბევრმა, ბევრმა სხვამ. ეგ კი არა, უკვე მეოთხე წელია, ბადრის და რამაზს სასაფლაოზე ვაკითხავ.

ვახო ამერიკაში გადაიკარგა.

გია ამ ცოტა ხნის წინ ვნახე – ცირკთან, გაპრიალებული მანქანის გვერდით იდგა და მობილური ტელეფონით ვიღაცას გამწარებული აგინებდა. ამ საქმიანობას რომ მორჩა, ჩემთვისაც მოიცალა და წუწუნით ამიკლო შესახებ იმისა, თუ რა დაუჯდა ეს ავტომობილი და რომ აგარაკის გასარემონტებელი ფული აღარ დარჩა.

ჯემალს უმთავრესად პანაშვიდებზე ვხვდები, უფრო ხშირად ტელეფონით ვეხმიანებით ერთმანეთს. ის რომ თავისებურად შემომძახებს „როგორა ხარო, კარგ ხასიათზე ვდგები. ლევანი, ჩემი ძმა, ღვთის მადლით, უძლებს ამ ცხოვრებას და თუ დღეს ზოგჯერ ვსუნთქავ, იმის წყალობით.

თემო დილიდან ღამემდე არყის ძებნაშია და ჩემთან შეხვედრასა და ლაპარაკს თავს არიდებს.

გაჭირვებას რა ვუთხარი და, ერთ მშვენიერ დღეს სანდროს მივაკითხე დახმარებისთვის. იქამდე კარგა ხანი არ შევხვედრივარ. სულ ბოლოს ქართლის ერთ ტრიალ მინდორში მდგარ მუხასთან ვნახე. რომელიღაც ღვთისმოსავი პრეფექტის თანამდებობების მიხედვით დამწკრივებულ ამალაში გამოსარჩენ ადგილას იდგა და გულმოდგინედ იწერდა პირჯვარს. დღევანდელ მთავრობაში სანდროს მინისტრის პოსტი უჭირავს და ათასობით ადამიანის ბედს განაგებს. იცით, როგორ მიმიღო?! სულ თავს შემომევლო, კაბინეტი ჩაკეტა და მდივანი გააფრთხილა, არავინ შეგვაწუხოსო. მერე მაცივრიდან „ბორჯომი" გამოიღო, დამისხა და ყურადღებად იქცა. როცა ლაპარაკს მოვრჩი, მისვლისათვის დიდი მადლობა მითხრა. ხომ იცი, ძველი მეგობრობა ყოველთვის ძალაშიაო.

ლამის გულაჩუყებული წამოვედი სამინისტროდან და ვგრძნობდი, თანდათან როგორ მემატებოდა ადამიანებისადმი რწმენა...

მაგრამ გავიდა ერთი თვე, ორი, სამი, ნახევარი წელიწადი. სანდრო რამდენჯერმე ვნახე – ხან ვიღაცის პანაშვიდზე, ხან ვიღაცის საიუბილეო საღამოზე. ყველგან „მახსოვს, მახსოვსო", შორიდან ხელს მიქნევდა და ალერსიანად მიღიმოდა. ბოლოს ველარ მოვითმინე და „აიღოსტს თუ მეთამაშები, მითხარი-მეთქი", მივახალე.

თუმცა არა უშავს. სანდრო სანდროა და რა ქნას. თანაც ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

მთავარი ისაა, რომ დღეს ჩემს შვილიშვილს ორი წელი შეუსრულდა.

და რომ ეს ბიჭი თავის ქალაქში დაიბადა და იცხოვრებს. ქალაქში, რომელიც ოდესღაც ჩემი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დავით თედორაძე

ძმაო დათო, ორმოცდაათი წლის გამხდარხარ.

თუმცა რა, თითქმის სამი ათეული წელიწადია მესმის შენი გამორჩეული ხმა, მიყვარს შენი მართალი, ვაჟკაცური ქართული ლექსი.

შენ შენი სიხარულისა და ტკივილის სარკმელი გაქვს, საიდანაც ჩვენი ერთიანი, დიდი, დიდებული სალოცავი სამშობლო-ხატი ჩანს.

შენს პოეზიაზე ბევრის თქმა მინდა, თუმცა ისე კარგად და ლამაზად ვერ ვიტყვი, ალბათ, როგორც ჩვენი ძვირფასი ალეკო ჯიბლაძე ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში ახერხებს ამას.

* * *

შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ,
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს.

შენ გავიწყდება, რომ ხარ უმწეო,
როცა მგლებივით ძრწიან მზაკვრები,
შენ შენთვის ცოცხლობ სადღაც, უმზეოდ,
სულს ბორკილივით ადევს საზღვრები.

გტკივა, ტკივილმა ლამის შეგშალა,
შენ გიხუჭავენ თვალებს გახელილს,
არ მოდრკე, ბიჭო, ერს და ქვეყანას
მაინც შერჩება შენი სახელი.

რა ვუყოთ, თუ კი დღეს ხარ უმწეო,
დამიზნებული შუბლში ლულებით,
სხვისთვის მზეს ნატრობ თავად უმზეო,
მოძულე ლიქნის და ავსულების.

## მეფეების სპასალარი

*მურად თედორაძეს*

სიყვარულში სწორუპოვარს
გიხსენებთ და გეფერებით,
ღვთისგან პირჯვარდაწერილო,
სპასალარო მეფეების.

ფარნავაზთან ერთად ქმნიდი
ქართულ ანბანს სასოებით,
გადაგქონდა ეტრატებზე
საამბორო ასოები.

ჭოროხისპირს დავით მეფის
ლაშქარს გადასახე ჯვარი,
შვიდმნათობი თამარისთვის
ბრძოლით გახსენ ტაოსკარი.

აბრეშუმით ქსოვდი დროშას,
უმზადებდი რუსთველს მელანს,
თინათინის მიჯნურს გაჰყევ
ტარიელის დასახსნელად.

მოუსინჯე ქაჯებს ღონე,
ხანჯლით გამოსჭერი ყელი,
დაჰკარი და დაიმონე
პირუტყვნიც და პირმეტყველნიც.

ერეკლესთვის საასპინძოდ
შეგიკაზმავს თავად ცხენი,
გითრევია სამარცხვინოდ
ღალატისთვის ტოტლებენი.

აშენებდი, ამშვენებდი
მამულს მუმლით შენაწუხარს,
შინ შვილებთან ბრუნდებოდი,
ტოტებძლიერს ჰგავდი მუხას.

„დედა ენას“ გადაშლიდი
მოძღვართუხუცესი, ქველი,
იყავ მარჯვე მოსაუბრე,
გულწრფელი და გულფიცხელი.

ცხრით ხარობდი, ცხრანი ვიყავთ
ცხრა ზღვა, ცხრა მთა, ცხრაკლიტულით...
საქართველოს ველ-მინდვრებში
ცხრათვალა მზით გაზიდული.

გვჯერა, ღმერთთან ახლოსა ხარ,
ხსოვნას შენსას ვეფერებით,
ღვთისგან პირჯვარდაწერილო,
სპასალარო მეფეების.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლოცავ შენს მამულიშვილურ საქმიანობას და გეთაყვანები, როგორც ტოლს, გულისხმას, კაცურკაცს.

შენ კაცი-მონატრება, კაცი-იმედი, კაცი-დღესასწაული ხარ საძმოსი.

თითოეულ ცისკრელს უგრძვნია ეს.
შენ ხომ ჩვენი რედკოლეგიის წევრიც ხარ.
დიდხანს იცოცხლე!
თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში შეხვედრამდე

შენი *ზაურ კალანდია*
12.8.99 წ.



## გაზაფხული

ჩამოდნა, ჩამოილია
თოვლი ქმარმოკლულ ქალივით,
შემოგოგმანდა აპრილი
ტყემლების ფერ-უმარილით.

ჩიტებმა გამოზამთრება
ერთმანეთს სტვენით ახარეს
და სიხარულის ცრემლები
სველ მიწას გადმოაყარეს.

პეპლები ფერადკოპლება
ყვავილზე ნაზად სხდებიან,
ცეცხლს უკიდებენ ცის წიაღს,
ვარდის სურნელით თვრებიან.

ამობიბინდა ბალახი,
გამოხალისდა გზა-შარა,
სკა აზუზუნდა, ფუტკარმა
ჯაფისთვის ფრთები გაშალა.

გამოეფინა ნახირი
ეჟვნების აჟღარუნებით,
ველ-მინდვრებს ალამაზებენ
ბოჩოლები და ფურები.

მთას და ბარს, ზამთარგამოვლილს,
სულ სხვა ხიბლი და ფერი აქვს...
მღერიან გოგო-ბიჭები,
ემღერებათ და მღერიან.

## მანიშნე, რომ არ გამწირავ

შენს მეციხოვნეს მომხედე,
სათოფურიდან მზირალს,
შენგან თუ გაწირული ვარ
მე მაინც ვერ გაგწირავ.

ყვავილი ისევ ამოდის,
ფუტკარი ისევ ბზუის,
შენ მას პატრონობ, ვინც გყიდის,
ვინც კეკლუცობს და ტყუის.

სული ძლებს, გული - გულია,
გაჩერდება და უი..!
რაც გვქონდა, დაკარგულია
სიმუხთლით და სიცრუით.

შენს მეციხოვნეს მომხედე,
გრძნობის ნალეწში მხარშავს,
მანიშნე, რომ არ გამწირავ
ფარს, მახვილსა და ჯავშანს.

## ტბეთის ტაძარს

მინდა, შენს ქვებს ვეფერო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სულის მაცხოვნებელო,
ტბეთის დიდო ტაძარო.

ღვთაებრივი ფარდაგით
მრევლს ყოველთვის ფარავდი,
ჰქონდათ შენი იმედი:
ერგეს, კირნათს, მარადიდს...

უფლის კვართით დაწინდულ
საქართველოს შვენოდი,
წუხდი, ჟამით დაბინდულს
გარბევდნენ, ვერ გშველოდი.

მითხარ, ვის მოვეფერო,
მითხარ, ვის გავუჯავრდე,
აღსდგე, ვთქვათ, გურიიდან
ზარმმა - არტანუჯამდე.

საბა ეპისკოპოსის
ვხედავ დიდ ეპარქიას
სიზმარში
და მივსტირი,
რაც დღემდე დამკარგვია.

ახლა, ასე, შორიდან
შენს ხატს უნდა ვეფერო,
სულის მაცხოვნებელო,
სალოცავო ბებერო.

სალოცავო მზეგრძელო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სათნოების მთესველო,
ტბეთის დიდო ტაძარო.

## რომ ვიამაყოთ მეფით

აღარ გათენდა, ისევ ღამეა,
ისევ ძაღლები ყეფენ...
ახლა ნუგეში დიდი რამეა,
ბრძანე მეფურად, მეფევ!

აბა, როდემდე უნდა ვუსმინოთ
კატის კნუტების კნავილს...
არ გათეთრდება,
არ გათეთრდება,
არ გათეთრდება ყვავი!!!

მეც მირჩევნია, მეც მირჩევნია
ვწერდე ლირიკულ ლექსებს,
რომ არ მითხრიდნენ
რომ არ მიხმობდნენ
ჯიშს, ჯილაგსა და ფესვებს.

და თუკი მგოსნის დასაგმობია
ხოცვა, ქლეტა და ომი,
ვგმობ, მაგრამ მაინც ამ ნაბიჭვარებს
უნდა შევხედო წყრომით.

ლამის ქვეყანა თავზე გვენგრევა
მათი ბოროტი ყეფით...
ბრძანე მეფურად, მეფევ ბატონო,
რომ ვიამაყოთ მეფით.

## მახსოვხარ

მახსოვხარ, სულის შემძვრელო,
მიჯნურს გულწრფელი გრძნობითა,
გონების ჩემის შემშლელო,
გამალამაზე ტრფობითა.

ჩვენს შორის მყინვარწვერივით
წევს წელთა მწარე წუხილი...
აჰა, გულწრფელი წერილი -
მახსოვხარ სისხლის დუღილით.

მახსოვხარ დღისით, ღამითაც,
მახსოვხარ განუწყვეტელად,
მახსოვხარ ავსილს შხამითა,
შობილი ჩემს სანთებელად.

## შენი სიტურფე მაბრმავებს

შენი სიტურფე მაბრმავებს,
შენი ტრფიალი გულში მჭირს,
შენთან შეხვედრა მინდოდა
შამპანურით მთვრალს გუშინწინ.

გუშინაც მსურდი, დღესაც მსურს,
ცისკრის ვარსკვლავი გიხილო,
ვასიამოვნო სულს და გულს,
სიმღერა ჩავიღიღინო.

ძილს მიკრთობს მწველი თვალები -
ზღვას დაფენილი მზის სხივი,
სხვის გრძნობებს ავეფარები,
ხევში გაწოლილ ნისლივით.

სიზმრებში აგოგმანდები,
ცალს ჩამორჩენილ გნოლივით...
სხვა რაღა გითხრა, მწყურიხარ,
წყურვილით არგაგონილით.

## ორას დოლარად

ოცნებით რძისფერ ღრუბლებში ვწევართ,
ხომ კარგად ვიცით, ვინც ვართ და რაც ვართ,
ორას დოლარად იყიდი მწერალს,
ორას დოლარად იყიდი მხატვარს.

დაემსგავსება გამოწვრთნილ მწევარს
კაცი, რომელიც აივსებს სტომაქს,
ორას დოლარად იყიდი მკვლევარს,
მეცნიერს - ძველის თუ ახლის ქომაგს.

ჭირს არსებობა, ყოფაა მძიმე
(ამ დღეში ჩამგდებს მიეცა დარდი),
როცა დაკარგავს ყოველგვარ იმედს,
ორას დოლარად იყიდი არტისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორას დოლარად გაიჩენ ბორდელს
მზემოკიდებულ ბანოვანების,
ორას დოლარად მიიღებ ორდენს
მასმედიაში გახმოვანებით.

## როცა წვიმები ამირბარობენ

წვიმს -
ბათუმს წვიმა როდის უკვირდა,
ცა წარბის გახსნას არც კი აპირებს,
ამოაგორე, ცაო უბიდან
მზე - სიხარულით რომ ამატიროს.
რომ მოილხინოს ჩემმა სტუმარმა
და ზღვას დარდები მიასამაროს,
რომ მიატოვონ რეტრო ქალებმა,
იენძელონ და იასამანონ -
ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე და სიცოცხლეს მიეც ხალისი,
დაბრუნდებიან სიყრმის სიზმრები
და სიყვარულიც მოვა თავისით.
მაგრამ ვის მისწვდეს
სიბრძნე სურვილთა,
როცა წვიმები ამირბარობენ,
ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე და ქალაქი ამიგალობე!

## საქართველოს მზე გვეხატოს გულზე

მისი იყოს გამორჩენის სიხარული,
ვინც ლოზუნგობს შეზღონგების გულისთვის,
მე მოვკვდები საქართველოს სიყვარულით,
არც რას ველი დედის სამსახურისთვის.

ვტკბები მზით და მლოცველივით უხმაუროდ
ვმსახურობ და ვუნთებ თაფლის სანთელს,
შენ დაიხსნი ჩემს სამშობლოს, სიყვარულო,
შენი მადლი არ მოაკლდეს ქართველს.

პირჯვარს ვიწერ, საქართველო უკვდავია,
ასე მწამს და ასე სწამდათ ოდით,
ჩვენს მამულზე მტრებს უჩვენოდ უდავიათ
და ჩვენს ბედზე სულ უჩვენოდ ბჭობდნენ.

ახლა, როცა ცა გაიხსნა ვარდისფერად,
ახლა, როცა ღვთიურ ნათელს ვუმზერთ,
თქვენ მოგიძღვნით ლაღი სულის ამ სიმღერას -
საქართველოს მზე გვეხატოს გულზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკი დაუშვილი

## ყვითელი დათუნია



ერთი კვირაა, სუფთა ჰაერს ვსუნთქავ, ანკარა წყალს ვსვამ, საკუთარი ხელით დაკრეფილ ტყის მარწყვსა და ჟოლოს მივირთმევ, ზღაპრული მთების ცქერით ვტკბები და სული და სხეული მეწმინდება. საწერად იდეალური პირობებია. სიზარმაცეს ვერც აუცილებელ საქმეს და ვერც ოჯახურ ხმაურსა და დავიდარაბას დააბრალებ. სამუშაოდ მაინც ვერ განვეწყე, წერას კითხვას ვამჯობინებ და ბრაზი მომდის, წიგნები არ უნდა წამომეღო.

დილით სიპით ნაგები სახლის წინ ჩამოვჯექი. ადრე გზაზე მოძრაობა ღამითაც არ წყდებოდა, გამუდმებით გაისმოდა აღმართს შეჭიდებული მანქანების ღმუილი და ძარაზე დამაგრებული რეპროდუქტორიდან გადმოღვრილი სევდიანი თუშური მელოდიები. ახლა გზა დახრამულა, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები დაწყვეტილა და სადენები ღრმა ხეობებშია ჩაკიდული. ჩემს მესამეკლასელ ქალიშვილს მუხლებზე რვეული უდევს და თუშეთში მოგზაურობასა და ყოველდღიურ ამბებზე ხალისით წერს. ცოლმა დამცინა, შენზე უკეთ წერს, ყოველ შემთხვევაში, მუშაობს მაინცო. გავბრაზდი. ფურცლები ავიღე და ეზოდან გავედი. მეუღლის ირონიული მზერა კიდევ უფრო მახელებს. ტყე სახლის ზემოთ, ოციოდ მეტრზე იწყება. იქ მიტოვებული მორები ყრია და მოსახერხებელი საჯდომი მაქვს მოწყობილი. მეუღლეს რამდენჯერმე ვუთხარი, საწერად მივდივარო, მაგრამ შებინდებამდე წიგნს ვკითხულობდი. შინ დაბრუნებული კი ცარიელ ფურცლებს მაგიდაზე მორიდებით ვალაგებდი. წიგნი არ მიმაქვს, გავძახე ცოლს და ბილიკს მხნედ ავუყევი. თავს პირობა მივეცი, თუ არ დავწერდი, მწერლობაზე აღარასოდეს მეფიქრა.

მორებზე ჩამოვჯექი და მზერა ყვავილებით მოჩითული მინდვრისკენ გამექცა. მინდორში ოთხი ვირი ძოვს, რომელთაც თეთრი ნაგაზი დარაჯობს. შევლენ ვირები ტყეში, ძაღლიც იქ გაჩნდება, მზის გულზე ძოვენ, ისიც იქვეა წამოწოლილი, მდინარისაკენ დაეშვებიან, ძაღლიც ჩაქანდება, რაიმე საეჭვოს შენიშნავს და იქაურობას ყეფით იკლებს. ვირები ხან ახუნტრუცდებიან, დაკუნტრუშებენ, ერთმანეთს ახტებიან, ძაღლსაც უნდა მათ მარაქაში გაერიოს, მაგრამ ისეთ წიხლს უთავაზებენ, სურვილი მაშინვე უქრება. ასე უხდიან ერთგულების საფასურს. თუმცა უანგარო შრომის დაფასება ადამიანებსაც ასევე გვჩვევია. კმარა, ვირებისთვის არა მცალია, ცარიელი ფურცელი მკაცრი გამომცდელივით შემომცქერის.

- სად არის? - სიდედრის ხმა მომესმა.

- კაბინეტში ავიდა, მიღება ეწყება, - სიცილით თქვა მეუღლემ.

დამცინით, არა? ახლა კი მაგრად გავუტევ.

* * *

ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ავიღე:

- გისმენთ!
- ნიკო...
- დიახ!
- ნიკო...
- რა გნებავთ?!
- ვერ მიცანი?!

ხმამ დავიწყების სქელი ბურუსი უმალ გაკვეთა და ძველი ტკივილი პირვანდელი სიცხადით მეძგერა. მეგი რეკავდა, ჩემი ყოფილი მეუღლე.

- მეგი!
- ოცი წელია...
- დაგითვლია.
- დარეკვას დიდხანს ვერ ვბედავდი...
- სითამამე არასოდეს გაკლდა.
- გთხოვ, მასე ნუ მელაპარაკები. ჩვენი ქალიშვილის გამო ვრეკავ.

ჩემი ლამაზი თამთა. მღელვარებისაგან სუნთქვა შემეკრა. გამახსენდა ფუნჩულა ხელებით როგორ მეხვეოდა, ლოყაზე მკოცნიდა. მერე მე ვუკოცნიდი პაჭუა ცხვირს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



თვალებს, შუბლს. ორი წელი გრძელდებოდა ენით უთქმელი ბედნიერება, რომელიც ქვეყნიერებასავით მარადიული მეჩვენებოდა.

დარდსა და მონატრებას ველარ გავუძელი, ჯერ თვითმფრინავით ვიფრინე, მერე მატარებლით ვიჩაქჩაქე და, როგორც იქნა, რეზოს კაბინეტის კარი შევაღე. რა თქმა უნდა, მიცნო, შეცბა და ხელქვეითსავით მკაცრად მკითხა:

- რისთვის მოხვედი?!

- ბავშვი უნდა ვნახო!

- მეგის წინადადება რომ მივეცი, ოფიციალურად იყავით გაყრილები. არ მინდა ჩემს ოჯახურ ცხოვრებაში სხვა კაცი აფათურებდეს ხელებს.

- გოგონა მაჩვენე და კაცურ სიტყვას გაძლევ, დღესვე დავბრუნდები.

- ორ საათში მოდი. მეგის ნახვას ნუ ეცდები.

- სამაგისოდ არ ჩამოვსულვარ.

გოგონა უცხოსავით მიყურებდა. გულში ჩავიკარი და თვალები დავუკოცნე. თამთამ ლოყაზე ხელი მომიცაცუნა და მაკოცა. კიდევ უფრო მეტად მოვეხვიე, მინდოდა მისი თმის სურნელი სამუდამოდ ჩემთან დარჩენილიყო.

რეზომ მღივანს გამოუძახა და გოგონას სახლში წაყვანა დაავალა. ყვითელი დათუნია ვაჩუქე. ცხადად მახსოვს, ღია კარში მდგომი, გულზე დათუჩამიხუტებული. თამთას სიხარულით გაბრწყინებული თვალები.

- აღარასოდეს მოხვიდე, - მითხრა რეზომ. - ამით ბავშვს მხოლოდ ტკივილს მიაყენებ, ცხოვრებას დაუმახინჯებ.

ყველა ბავშვში თამთას ვხედავდი, მისი თვალები მელანდებოდა, ძლიერ ვიტანჯებოდი და საკუთარ თავს ვადანაშაულებდი, რომ ასე უსუსურად მოვიქეცი, გოგონა არ მოვიტაცე, თან არ წამოვიყვანე. უკანასკნელად ექვსი წლისა ვნახე. რეზოს სახლს უჩუმრად მივადექი. ეზოში თამაშობდა, მაშინვე ვიცანი. ქურდივით ფრთხილად მივუახლოვდი, ხელში ავიტაცე, გულში ჩავიკარი, თმის სურნელი შევიგრძენი და გამიხარდა. ატირდა. ძირს დავსვი, ჩავიმუხლე. გაჩუმდა, შიშით მიყურებდა - თამთა, ეს მე ვარ! - ხელიდან გამისხლტა და სადარბაზოსაკენ გაქანდა. განადგურებული გამოვბრუნდი, თამთასთვის აღარ ვარსებობდი.

- როდის ჩამოხვედით?

- თითქმის ერთი წელია.

- ერთი?

- ჰო.

- მიგატოვა?

- ნიკო, სადმე შევხვდეთ, ძალიან გთხოვ.

- თამთა...

- არა, მარტო ვიქნები, ასე სჯობია.

- იცის, რომ მამა ვარ?

- ყველაფერი ვუამბე, დამალვას აზრი აღარა ჰქონდა.

ოცწლიანი განშორების შემდეგ უნდა შევხვედროდი ქალს, რომელთანაც სამი წელი ვცხოვრობდი და პატივს ვცემდი მანამდე, სანამ თავად არ აღიარა საკუთარი დანაშაული.

მეგი და მზია განუყრელი მეგობრები იყვნენ. მზია შემიყვარდა. ლამაზი, ჭკვიანი, ბავშვივით გულუბრყვილო, მიმნდობი ქალიშვილი იყო. ვხვდებოდი, მასაც ვუყვარდი და არ ვჩქარობდი ამ დიდებული გრძნობის გამჟღავნებას.

ამპარტავანი და ცინიკოსი მეგი ყველაფერს მიგვიხვდა და იმით შეურაცხყოფილმა, რომ ორ მეგობარს შორის მზია გამოვარჩიე და შევიყვარე, შურისძიება განიზრახა. თურმე ერთთავად ჩასჩიჩინებდა, ნიკო მოსვენებას არ მაძლევს, ძალით მეხვევა, მეალერსება, ლამის არის, კაბა შემომახიოს, შენისთანა ეშხიანი და ენებიანი ქალი ჯერ არ შემხვედრიაო. მეგიმ თავისას მიაღწია. მზია ჩამომაშორა. ეს რომ მიამბო, თავი ველარ მოვთოკე და სილა გავაწანი. ასლუკუნდა, აყვირდა, ისევ მზიას მისტირი, არაფრად მაგდებ, მისი გულისთვის მცემ, აწი ერთად როგორ უნდა ვიცხოვროთო.

როდესაც სასამართლოში განქორწინებაზე განცხადების შეტანა დააპირა, ვუთხარი, ცოდვა მიპატიებია, სილისთვისაც ბოდიშს გიხდი, ბავშვის გულისთვის ყველაფერი დავივიწყოთ-მეთქი. სასამართლოს უწყება რომ მივიღე მაშინღა მივხვდი, მისი აღსარება გულწრფელობით კი არა, ჩემს გამოსაწვევად იყო თქმული. მეგი სხვა კაცს უმიზნებდა და მე დაბრკოლებად ვქცეულიყავი. ასეთ ქალთან ცხოვრებას ჯოჯოხეთში ყოფნა მერჩივნა და ბევრი არ მიფიქრია, განქორწინებაზე თანხმობა განვაცხადე.

მეგის გახსენება მუდამ ზიზღს მგვრიდა. რა უნდა გვქონოდა საერთო? თამთა, კვლავ ნათელი სხივი აკიაფდა ჩემს ერთფეროვან და მოსაწყენ ცხოვრებაში, მაგრამ თამთა ახლა ექვსი წლის გოგონა კი არა, ოცდასამი

ეროვნული ბიბლიოთეკა



წლის ქალიშვილია, ვინ იცის, რას ფიქრობს ჩემზე გულზე დათუჩამიხუტებული გოგონა.

მანქანიდან გადმოვედი და იქაურობა მოვათვალიერე. დათქმულ ადგილას დამხვდა. შორიდან ვიცანი. მართალია, ტანწერწეტი აღარ ეთქმოდა, მაგრამ ურიგოდ არ გამოიყურებოდა. თვითონ მომიახლოვდა, უხმოდ მომაჩერდა. სახეზე ნაოჭები შევნიშნე, ამპარტავნული გამომეტყველებაც გაჰქრობოდა, რაღაც მოტეხილი მეჩვენა.

– შეცვლილხარ, – ვუთხარი.

– აღარც შენა ხარ ოცდახუთი წლის ბიჭი.

– არ მეგონა, თუ კიდევ გნახავდი. ჩამოვსხდეთ.

– ფეხი ფეხზე გადაიდო და მარჯვენა ხელი მუხლისთავს ძველებურად მოხდენილად დააყრდნო:

– გაინტერესებს ჩვენი ამბავი?

სიტყვა ჩვენს ხაზი გაუსვა, ცხადია, თამთა იგულისხმა. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და სიგარეტის კოლოფი გავხსენი.

– მეც მომაწევინე!

– ამბის დაწყება უჭირს. ნაფაზი დაარტყა: ხუთი თვის წინ მიგვატოვა.

– ყურმოკვრით ვიცი, მისგან ქალიშვილი შეგეძინა.

– ჩემი დალი, – სახე გაუფითრდა, სიგარეტიანი ხელი აუცახცახდა, ცრემლმა თვალები დაუნთმა, – ოთხი წლის წინ დაიღუპა, ავტოკატასტროფაში.

– გულწრფელად გითანაგრძნობ.

თავი დახარა, ცხვირსახოცით თვალები შეიმშრალა:

– თამთაა ჩემი ერთადერთი იმედი, დარდი და სიხარული. იქ ქართველები გულზე აღარავის ეხატება. რეზო სამსახურიდან გაათავისუფლეს. აქაც სახეიროს ვერაფერს მოეკიდა. ძალიან გაგვიჭირდა. ძველ ნაცნობებს მიაწვდინა ხმა, ყოფილი საყვარელი გამოეხმაურა. ის ქალი უკრაინაში სარფიან ბიზნესს ეწევა, იმასთან წავიდა.

– ძნელი არ უნდა იყოს სხვისი შვილისა და ზედმეტ ბარგად ქცეული ქალის მიტოვება.

– გთხოვ! – სახეზე სასოწარკვეთილება გამოეხატა, – ერთოთახიანი ვიქირავეთ, მეტის საშუალება არა გვქონდა. არ გეგონოს, გაჭირვებამ მომიყვანა, თამთას ბედი მაღელვებს, რაღაცნაირად ცხოვრებაზე ხელჩაქნეულია.

– ტკივილს მიაყენებ, ცხოვრებას დაუმახინჯებო, ასეთი სასტიკი სიტყვებით გამომისტუმრეთ.

– რეზო ეჭვიანი კაცი იყო, არ უნდოდა ჩემს სიახლოვეს ყოფილიყავი.

– თამთას რა უთხარი? ალბათ, ყველაფერში მე დამადანაშაულე.

– იძულებული გავხდი ასე მოვქცეულიყავი, რათა თამთას ჩემშიც არ შეჰპარვოდა ეჭვი. მინდა გაგაფრთხილო, რომ თამთა ნაზ, სათუთ მოპყრობას საჭიროებს და უნდა დაეხმარო, მამობის სითბო აგრძნობინო. გთხოვ, ჩემზე შურს ნუ იძიებ, ძველ ცოდვებს ნუ გაუმხელ.

– მიკვირს, შენს საქციელს ცოდვა უწოდე, მაგრამ სხვანაირად თავი როგორ ვიმართლო?

– ძალიან გთხოვ, – მაჯაში ჩამაფრინდა, შიშითა და მუდარით შემომხედა.

შინ მანქანით მივაცილე.

– თუ სახლშია, დაგიძახებ და ამოდი.

– არა, ხვალ მოვალ, ორი საათისთვის. მარტო ჩამოუშვი, სადმე გავივლით, ასე უფრო იოლი იქნება.

– კარგი, დაგელოდებით, – ხუთსართულიანი სახლის სადარბაზოსთან წამით შეჩერდა, შემომხედა და გაუჩინარდა.

მთელი ღამე ვბორგავდი. ოცდასამი წლის ქალიშვილის გარეგნობას წარმოსახვა ათასგვარად მიხატავდა. „ცხოვრებაზე ხელჩაქნეული" – მეგის ეს სიტყვები წამდაუწუმ ჩამესმოდა და სულს მიწვავდა. მზიას თამთა მოჰყავდა, მათკენ გაქცევას ვლამობდი, მაგრამ ფეხები მებორკებოდა. მეგი ვიღაც კაცს ეკეკლუცებოდა და აცრემლებულ გოგონას ხელის კვრით იცილებდა. მდიდარი ქალი გულში დათუჩაკრულ თამთას მიარბენინებდა, დაეეწიე, ბავშვი გამაპარებინე-მეთქი, ვემუდარებოდი. ვერაო, რეზოს ვერ ვუღალატებო, აი, ბავშვს შინ მივიყვან და თუ გინდა, რესტორანში გამოგყვებიო. მრავალი ხილვა, აზრი, ვარაუდი თუ სურვილი ერთმანეთში იბურდებოდა, ხვალინდელი შეხვედრის სცენები სწრაფად იცვლებოდა და გამუდმებით ქალიშვილისთვის სათქმელ სიტყვებს ვბუტბუტებდი. დილით დავწყნარდი, გონება დამეწმინდა და გადავწყვიტე წინასწარ არაფერი დამეგეგმა.

შეხვედრის დრო ახლოვდება, ვნერვიულობ, ჩასაცმელს ვერ ვარჩევ და თავს იმის სურვილში ვიჭერ, რომ ძალიან მინდა თამთას მოვეწონო. ქვეცნობიერება შეუმცდარ დასკვნებს აკეთებს და არა ექვსი წლის გოგონასთან, არამედ ოცდასამი წლის ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიშვილთან შესახვედრად მამზადებს.

მანქანა სადარბაზოსთან გავაჩერე. კოლოფიდან სიგარეტი ამოვიღე, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია, მოვუკიდო თუ არა. სადაცაა შეხვედრა და მღელვარება უკან დარჩება, უთუოდ შვებას ვიგრძნობ. კარი გავაღე, გადმოვედი, იქვე დავდექი და სახლს ავხედე. მეოთხე სართულის აივნიდან მეგი რაღაცას მანიშნებდა. იმავე წამს სადარბაზოდან ლამაზი ქალიშვილი გამოვიდა და ნელა, გაუბედავად მომიახლოვდა. გაღიმების მეტს ვერაფერს ვახერხებთ. ჩემი თამთა, რამდენი ტანჯვა გადავიტანე მასთან განშორების გამო და იმის მაგივრად, რომ ახლა ალერსით გავგუდო, სარგადაყლაპულივით ვდგავარ. ძალიან მინდა ისევ ის მოკისკისე გოგონა მყავდეს ჩახუტებული და დაკარგულმა ოცმა წელმა ხელახლა ჩაირბინოს. თითქოს ძალისძალად, სიფრთხილითა და შიშით მაკოცა. ტუჩების სისველე და თმის სურნელი ვერ შევიგრძენი, მაგრამ დედასავით თაფლისფერმა თვალებმა და პაჭუა ცხვირმა მხნეობა შემმატა და შუბლზე ვაკოცე.

- სადმე გავიაროთ, - მხნელად მანქანა მომეულინა.

კარგი.

მხრებზე ჩამოშლილი წაბლისფერი თმა, საგულეამოღებული, მუხლებზევით გადაჭრილი კაბა ძალიან შვენის. მიუხედავად იმისა, რომ თამთას გარეგნობა ცოტა სხვაგვარად წარმომედგინა, მის იერში არის რაღაც, რაც ექვსი წლის გოგონას მაგონებს. სიგარეტი კვლავ ხელში მიჭირავს, ვერაფერს ვუხერხებ და მანქანას ვერ ვქოქავ. თამთას გაეცინა.

ადვილია მანქანაში საქმის მოგვარება. იძულებული არა ხარ, მოსაუბრეს თვალებში უცქირო, გზას გაჰყურებ, გვერდით მჯდომს ზრდილობის გულისთვის გახედავ, ყურადღება მანქანის მართვაზე გადაგაქვს და გაცილებით მეტი დრო გრჩება სათქმელის მოსაფიქრებლად.

- გახსოვს, ციგაზე რომ დაგსვი და ფუნიკულიორზე ბილიკ-ბილიკ აგიყვანე?

- მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, - რუსული აქცენტით ლაპარაკობს.

- კაშნე შინ დაგვრჩა და მალიმალ ვიხრებოდი, ტოტებიდან ჩამოცვენილ თოვლს გაცილებდი. შენ კისკისებდი და ხელზე მეჭიდებოდი. პარკში ბავშვების ტევა არ იყო, ციგაზე შემოგიჯექი და ერთად დავეშვით. კიდევ უფრო გახალისდი, მაგრამ ბეჭებში ჩამდნარმა თოვლმა შეგაცია და აკანკალდი. ძალიან შემეშინდა, ჩემი პალტო შემოგახვიე, კისერზე შეგისვი და ფუნიკულიორის ვაგონისკენ გაგაქანე. ვიღაცამ სურათი გადაგვიღო. მერედა ვინანე, რატომ იმ კაცთან არ მივედი, მისამართს ვკითხავდი, ფოტოსურათს გამოვართმევდი-მეთქი. მთელი ზამთარი ჟურნალ-გაზეთებს ვათვალიერებდი, იქნებ ფოტოკორესპონდენტი იყო, სურათი მოეწონათ და დაბეჭდეს?

თამთა დუმდა. მერე ფეხი ფეხზე გადაიდო და ხელი სიგარეტის კოლოფს წაატანა. უმალ გონს მოეგო, ფეხი ჩამოიღო, ხელჩანთა შიშველ მუხლებზე დაიფარა, კაბა ჩამოიწია და არაგულწრფელად გამიღიმა. გულში რაღაც ჩამწყდა. მივხვდი, მასთან მისასვლელი გზა იოლი არ იქნებოდა.

- გახსოვს ყვითელი დათუნია რომ გაჩუქე?

- ხო გითხარი, მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, არაფერი მახსოვს, არაფერი, - გაღიზიანებით მიპასუხა.

- იცი, ზოოპარკში მაიმუნებს რა სასაცილოდ ეჭყანებოდი? ცირკშიც ვიყავით, მაგრამ არ მოგეწონა და წარმოდგენის დამთავრებამდე გამოვედით.

თამთა ისევ დუმდა.

- იქნებ არ გაინტერესებს?

- ნუთუ არ გენატრებოდი?

ამ შეკითხვას ველოდი. პასუხიც მზად მქონდა, პასუხი, რომელიც მეგის ხელს არ აძლევდა და ქალიშვილის მდგომარეობას დაამძიმებდა. მომეჩვენა, რომ ეს მტკივნეული კითხვა აუღელვებლად იყო ნათქვამი. ალბათ, წარმოსახვაში უამრავჯერ უკითხავს და ახლაც ხელოვნურად გამოუვიდა.

- თამთა, დანამდვილებით არაფერი იცი. შენთან განშორების გამო ბევრი ვიტანჯე და მხოლოდ ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ვერავინ დაგვაშორებდა, ახლა ერთად ვართ და თუ მოვინდომებთ, ყველაფერი გამოსწორდება.

- ხო, ალბათ, ასე იქნება, - იმედი არ გადამიწურა.

- თამთა, შენს ფოტოსურათებს ხომ მაჩვენებ?

- იცი, დაიბნა, შეყოყმანდა. - სურათები მგზავრობისას დავკარგეთ.

- დაკარგეთ?

- ჰო, ძალიან განვიცადეთ. დედა ტიროდა. ვერ ვამშვიდებდი.

- ყველაფერი ხდება, არა უშავს, - არ მინდა ჩემი გულგატეხილობით გუნება გაუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



უჭდეს, - სურათი ერთად გადავიღოთ.

- კარგი, მამა, გადავიღოთ, - აქამდე ასე არ მოუმართავს. ამ სიტყვებმა ყალბად გაიჟღერა.

მინდა სამშობლოს სიყვარული გავუღვიძო და მეორე დღეს მცხეთა დავათვალიერეთ. სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტრის ხილვამ ქალიშვილი აღაფრთოვანა. ვცდილობ ისეთ რამეზე არ ვესაუბრო, რაც თამთას გააღიზიანებს. თავი მაინც ვერ შევიკავე:

- მთელი წელია თბილისში ხართ, ადრევე დაგერეკათ.

- არ ვიცი, დედას ჰკითხე, - მზერა ამარიდა, სვეტიცხოველს გადახედა.

გული ვატკინე, ეს მართლაც დედამისთან გასარკვევი საკითხია, თუმცა მეგისთან ამაზე საუბარი შერიგების მცდელობად ჩამეთვლება. მინდა კი შერიგება? მეგი რომ დამთანხმდეს, შევძლებ პატიებას? მომასვენებს კი სულში ჩაღვრილი სიძულვილი? თამთას შევხედე და შინაგანმა ხმამ მიპასუხა, ტყუილად აზვიადებ, სიძულვილი დიდი ხანია განელდა, პატიებასაც შეძლებ, თამთას გამო შეძლებ, ის ხომ უცოდველია.

- ნუთუ შეიძლება საყვარელი ადამიანი ხელოვნებას ანაცვალო? - გამომცდელად შემომხედა.

დიდოსტატზე დაწერილი რომანი მოკლედ ვუამბე და ვურჩიე, აუცილებლად წაეკითხა. ეტყობა, არსაკიძისა და კოლონკელიძის ასულის ტრაგიკული სიყვარულის ამბავმა აალელვა.

- ნუ გეშინია, აღარასოდეს დაგკარგავ,

- ეგ რომანი აუცილებლად წამაკითხე.

- სახლში მაქვს, შენი სახლი მაინც არ მოგენატრა?

გაიცინა, თავი დამიქნია:

- ქართული წერა დედამ მასწავლა. მე და ის კაცი... - ცრემლი მოადგა, ზურგი შემაქცია, - სულ ქართულად ვლაპარაკობდით.

ნუთუ მამინაცვლის ხსენებამ ასე დაასევდიანა? თუმცა, რა გასაკვირია, ოცი წელი ერთად ცხოვრობდნენ. ალბათ, როგორ ანებივრებდა, ყველა სურვილს უსრულებდა. რა თქმა უნდა ჩემზე ძალიან ეყვარება.

უხმოდ ვბრუნდებოდით. გზად რესტორანში შევიარეთ. სანამ სუფრას გააწყობდნენ, თამთამ დამტოვა. იქნებ რეზოსთან განშორებამ იმოქმედა ქალიშვილზე? კვლავ ეჭვის ჭია შემიჩნდა.

თამთა გამხიარულებული დაბრუნდა, შამპანურს მიეძალა, უაზროდ იცინოდა, ცდილობდა იქ მყოფთა ყურადღება მიექცია. მაჯაში ხელი ჩავავლე, სუფრიდან წამოვაყენე. ცნობისმოყვარეობით გაღღაბნილი სახეები სიამოვნებით მოგვჩერებიან და საინტერესო ფინალის მოლოდინში გარინდულან. მე მათთვის ვნებააშლილი მამაკაცი ვიყავი, რომელიც გაჯიუტებულ საყვარელს ძონძივით გაათრევდა და ჭკუას ასწავლიდა.

მანქანაში მოეშვა, ჩასთვლიმა. საკუთარ თავს არ ვუტყდებოდი, თამთა გაშლილ სუფრასთან დაჯდა თუ არა, იმ ბალახის სუნი მეცა, ბიჭობაში შიშით რომ მომიწევია. სავარძელზე მიწოლილს, სისხლძარღვები ცისფრად მოუჩანს და ბოლმა მახრჩობს. რამდენი რამ არ ვიცი მის შესახებ. მეგიზე გავბრაზდი, ქალიშვილი აქამდე არ უნდა მიეყვანა. მეც ბრალი მიმიძღვის, განქორწინებაზე ასე უცებ არ უნდა დავთანხმებულიყავი. შვილის გულისთვის უნდა მომეთმინა, მეცადა მაინც. ძლიერ განცდებს გავექეცი, მშვიდი ცხოვრება ვამჯობინე, საკუთარ ნაჭუჭში ჩავიკეტე. იქნებ ახლა უფრო სჭირდება ჩემი თავი?

თამთამ შუბლზე ხელი გადაისვა. ეტყობა, სასმელი და ის ოხრობა გამონელდა. თვალს ვერ მისწორებს, დამნაშავესავით დუმს.

სახლში უხალისოდ ამომყვა. სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან მივიყვანე:

- ამ რაფაზე გიყვარდა დადგომა. ქუჩას ათვალიერებდი, ხელებს იქნევდი და გაუჩერებლად მეტიტინებოდი. მერე მომეხვეოდი, მაკოცებდი, - ხელი მოვხვიე, უეცრად მხრები შეუთრთოლდა, გამცილდა, მოშორებით დადგა, თავი ჩაღუნა:

- გამიშვი, შინ წავალ, დედასთან, - ცრემლი წასკდა.

მივუახლოვდი, თავზე ხელი გაუბედავად გადავუსვი.

- მამა, მაპატიე, - უკვე თბილად მითხრა.

- შენ ჩემი კარგი გოგონა ხარ, ასეა, ასე იქნება...

მანქანა სადარბაზოსთან გავაჩერე.

- დედამ ჩვენი შეხვედრის საზეიმოდ აღნიშვნა გადაწყვიტა. ხვალ, ოთხ საათზე გელოდებით, - იმდენი მუდარა იყო მის თვალებში, უარი ვეღარ ვუთხარი.

- კარგი, მოვალ. სურათის გადაღება კი ისევ დაგვავიწყდა.

- სამივემ ერთად გადავიღოთ.

დიდოსტატზე დაწერილი რომანი გავუწოდე, გამომართვა და სადარბაზოში შეირბინა.

დაძრული მანქანა უმალ შევაჩერე. გამახსენდა, ხვალ ოთხ საათზე საქმიანი შეხვედრა მქონდა დანიშნული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარი თამთამ გამიღო, ერთი ბეწო ოთახში შემიძღვა. მეგის კარტი გაეშალა და მკითხაობდა. წამოდგა, თითქოს შეცბა, მაგიდიდან რაღაც ალბომი აიღო, კარადის უჯრაში ჩადო, მერე კარტი წამოკრიფა.

- მთელი დღე გასულები ხართ, გეშიებათ.

- ნუ წუხდები, კარგად ვისაუზმეთ.

თამთას სახეზე შიშმა გადაურბინა. გავუღიმე, თვალი ჩავუკარი.

- ხვალ ოთხ საათზე არ მცალია, გადაუდებელი საქმე მაქვს, შვიდზე მოვალ, კარგი?

- შვიდზე იყოს...

საქმიანი შეხვედრა სწრაფად დასრულდა, მხოლოდ ხუთი საათი იყო. გადავწყვიტე, დროზე ადრე მივსულიყავი, ოჯახური ფუსფუსი მომნატრებოდა.

ზარი დავრეკე, არავინ გამომპასუხებია. კიდევ დავრეკე, მერე დავაკაკუნე. მოპირდაპირე კარი გაიღო და თამთა გამოვიდა:

- ასე ადრე არ გელოდით. მეზობელმა მძინარე ბავშვი დამიტოვა. დედა სადაცაა მოვა.

- ეს ერთმანეთის პოვნისა იყოს, - სუნამო და ყვავილები გავუწოდე.

მაკოცა.

- იცი, რა საყვარელი და ჭკვიანი ბავშვია? ორი წლისაა.

- შენ კი ძალიან ჭირვეული იყავი. აკვანში არ ჩერდებოდი, თავისუფლება გინდოდა. ამოგიყვანდი, ხელში გახტუნავებდი. სიამოვნებისგან კიოდი და ორად ორი კბილი საყვარლად მოგიჩანდა.

ყვავილები ვაზაში ჩაალაგა, სუნამო კარადაში შეინახა:

- ბავშვს გავხედავ.

მაგიდასთან დავჯექი, სიგარეტს მოვუკიდე, იქაურობა შევათვალიერე, სასტუმრო ოთახიც ესაა და საძილეც. მარტოხელა, ცხოვრებას გარიდებული ადამიანი თუ იგუებს. მაგიდა, ოთხი სკამი, დივანი და ცარიელი წიგნების კარადა, მეტი არც არაფერი დაეტევა. ბინის პატრონს ნახმარი ავეჯის გარდა, ყველაფერი გაუზიდავს. უცებ, თვალწინ ამიდგა, როგორ წამოდგა მეგი, ალბომს ხელი დაავლო და კარადის უჯრაში შეინახა. აკი ფოტოები დავკარგეთო, ნუთუ მომატყუეს? მერედა, რისთვის? იქნებ ფოტოები არცაა? მაშ რად მომარიდა? წამოვდექი, უჯრა გამოვაღე, ალბომი ამოვიღე, გადავშალე და აღელვებისაგან სიგარეტი ხელიდან გამივარდა, ფოტოსურათიდან თამთა მიღიმოდა. რაში დასჭირდათ ტყუილი? ეს უცხო ბავშვის სურათია. ერთად გადაღებული ფოტო ამოვაბრუნე, წარწერას დავხედე, თამთა 14 წლის, დალი 10 წლის. ისევ რეზოს ქალიშვილი, უფრო მოზრდილი. ანაზდად გამკრთალმა აზრმა თავბრუ დამახვია, სკამზე ჩამოვჯექი და სურათები მიყოლებით ჩავათვალიერე. შვილი, რომელსაც სამი დღეა ვასეირნებ, დალი ყოფილა. აკი დაიღუპაო?! სად არის ჩემი თამთა?! სული შემეხუთა, კარს გავხედე. მეგი უხმოდ დგას და მაგიდაზე გაშლილ ფოტოსურათებს სახეგაფითრებული დაჰყურებს.

- თამთა სად არის?! - ვუყვირე.

- თამთა... - ნაბიჯი გადადგა, სკამზე ჩაიკეცა, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა.

თქვი! - მხარში ხელი ჩავავლე. მერე თმაში ვწვდი.

- თამთა აღარ არის... - უმეტყველო ხმით ამოთქვა და მაგიდას დაემხო.

ასეთი ელდა არასოდეს განმიცდია, ერთბაშად უძირო ჭაში აღმოვჩნდი, ყურები მიწიოდა, ვარდნას ბოლო არ უჩანდა. მაჯა დავუჭირე და მთელი ძალით შევანჯღრიე.

ორი თვის წინ ჩამოვედით, - ამოიოხრა, სული მოითქვა. - ხუთი წელი იქნება, რაც რეზომ მიგვატოვა და უკვალოდ გაქრა. ძალიან გაგვიჭირდა. მუშაობა დავიწყე, მთელი დღე გარეთ ვიყავი, გოგონებს ყურადღებას ვეღარ ვაქცევდი. საქართველოდან საშინელი ამბები მოდიოდა, ან ვისთან ჩამოვსულიყავით, ახლობელი აღარავინ მყავს. თანაც ასე გაუბედურებული და განადგურებული ვის ვჩვენებოდი? თამთამ შენი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. რეზომ რომ მიგვატოვა მინდოდა ყველაფერი გულახდილად მეთქვა. ვეღარ მოვასწარი, ოთხი წლის წინ დაიღუპა. მეგობრის მამის მანქანით ბრუნდებოდა, ტრამვაის შეასკდნენ. ჩამოსვლას აღარ ვაპირებდი, თამთას საფლავი ხომ იქ არის.

გული მომეწურა. ცრემლმა დახუჭულ თვალებში გამოჟონა.

- უმუშევრად დავრჩი და შემეშინდა დალი ცუდ გზას არ დასდგომოდა. დროდადრო გირეკავდი, ყურმილს სულ შენ იღებდი და მივხვდი, მარტო ცხოვრობდი. იმედი მომეცა. დალისთვის ეს ძალიან ძნელი იყო...

- ბოზია შენი დალი!

- არა, მაგას ნუ ამბობ!

- ვეღარავინ შეაცდინე, დაბალ ღობეს მოადექი, კვლავ ჩემი გაბითურება განიზრახე. ყველაფერი წინასწარ გათვალეთ, საკმაო დრო გავიდოდა, სანამ სიმართლე გაირკვეოდა. მანამ ოფიციალურად შემირიგდებოდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოლონიერდებოდი. მერე, ალბათ, თავიდან მომიშორებდით, ბინა და ქონება დაგრჩებოდათ.

- არა, რას ამბობ!..

- ასეა!

- ნიკო, შემიბრალე, არ დაგვღუპო! - სასოწარკვეთით თქვა მეგიმ.

ოთახიდან გამოვედი და წამით წინკარში შევდექი. კედელზე აკრულმა დალიმ ნამტირალევი თვალები ამარიდა.

მანქანა ახალბედა მძღოლივით დავძარი, საჭე არ მემორჩილება. სირენაჩართული ავტოინსპექციის მანქანა წამომეწია, მეგაფონს ახრიალებს, მიბრძანებს, გავჩერდე.

ლაპარაკის თავი არა მაქვს. ერთხანს ასე მდია, სანაპიროზე სვლა შევანელე, მანქანა ხრჭიალით ჩამიყენა, სასწრაფოდ გადმოვიდა, მომიახლოვდა:

- სახელმწიფო ავტოინსპექცია, ლეიტენანტი თავართქილაძე, თქვენი საბუთები!

ჩამომართვა, ჩახედა, დაკვირვებით მიყურებს, ეტყობა, დარწმუნდა, რომ ნასვამი არ ვიყავი.

- ბატონო ნიკო, თქვენ მოძრაობის წესები დაარღვიეთ, ნიშანს არ დაემორჩილეთ, აკრძალულ ადგილას ჩაუხვიეთ. თქვენ არც ჩემ მოთხოვნას ასრულებდით, კარგა ხანს გდიეთ. აქტი შევადგინო?

ათლარიანი გავუწოდე. გამომართვა.

- აღელვებული ჩანხართ, ყურადღებით იარეთ, - ათასჯერ ნათქვამი სიტყვები გაიმეორა და გამცილდა.

კოსტიუმის ჯიბიდან მეგისთვის ნაყიდი სუნამო ამოვიღე და მტკვარში ვისროლე. მერე მკლავები ქვითკირის მოაჯირს დავაბჯინე და თავი ხელებში ჩავრგე.

ღამე თვალი არ მომიხუჭავს. გადავწყვიტე, როდესაც იასამანი აყვავდებოდა, თამთას ცხედარს გადმოვასვენებდი და ლამაზ საფლავს მოვუწყობდი. სულ ეს იყო, რისი გაკეთებაც შემეძლო ჩემი საბრალო გოგონასათვის.

ზარის ხმამ გამომაღვიძა. სავარძელში ჩამძინებოდა. გათენებულიყო. თავი საშინლად მტკიოდა. კარი გამოვაღე, არავინ იყო. ალბათ, ტელეფონის ზარში ამერია. დაბლა დავიხედე, სურათების ალბომზე დასკუპებული ყვითელი დათუნია შევნიშნე და ადგილზე გავხევდი. ბოლო დღეების მღელვარებამ და იმედგაცრუებამ, სულში ჩაგუბებულმა ბოღმამ და სევდამ სადინარი მონახა, კარი მივხურე და ავტირდი.

რამდენიმე დღე მომხდარზე ვფიქრობდი.

დალი სადარბაზოდან გამოვიდა, მანქანა დავქოქე, ნელი სვლით მივყვები. შემამჩნია, შედგა. კარი გავუღე. ადგილიდან არ იძვრის. მერე წინა საქარე მინასთან, სარკეზე დაკიდებული ყვითელი დათუნია შენიშნა და გამიღიმა.

- დალი, სურათი გადავიღოთ, პირობა პირობაა.

- კარგი, გადავიღოთ.

მანქანა დავძარი. ყვითელი დათუნია, რომელიც ოცი წლის წინათ თამთასთვის ნაჩუქარ დათუნიაზე ბევრად პატარაა, მხიარულად ქანაობს.

ფიჭვებით დაკბილულ მთის თხემს მზე შუაზე გადაეხერხა. დღე თავდება. ვერხვზე ჩხიკვები ცელქობენ. ნახირმა ახლოს ჩამიარა და რძის სუნი დატოვა. ბუსუსა, ფუტკარივით მწერი ცისფერ ყვავილს ბზუილით ჩაჰკერია. მდელოზე მობალახე ვირებს კვლავ ფხიზლად დარაჯობს თეთრი ძაღლი. შინდისფერი კვიცი კოხტად მიჭენაობს. ფერდობზე ცხვრის ფარა ბრინჯის მარცვლებივით მიმოფანტულა. წერაში გართული, მწერებმა მაგრად დამკბინეს. წამოვდექი, დაბუჟებული ხელფეხი დავჭიმე და სასიამოვნო ტკივილი შევიგრძენი. ჩემს ქალიშვილს მინდვრის ყვავილების თაიგული შეუკრავს. უცებ ცხვირწინ ღობემძვრალა დაუსკუპდა. გოგონა ერთი ბეწო ფრინველს მიაჩერდა და ნაბიჯი ფრთხილად გადადგა. ჩიტი დაფრთხა და მოშორებით გადაფრინდა. აღტაცებული ბავშვი უკან მიჰყვა. ღობემძვრალა ისევ აფრინდა და იქვე ჩამოჯდა. გოგონა ჩაცუცქდა და ახლა ასე სცადა ჩიტთან მიახლოება.

„მე, დედა და მამა მდინარეზე სათევზაოდ წავედით. მამამ მატლები სანეხვედან ამოქექა. დიდხანს ვუცდიდით თევზს. უცებ მამას სახე გაუბრწყინდა, ანკესი აიქნია და კაუჭს დამპალი ხის ტოტი ამოყვა. ბევრი ვიცინეთ. რა კარგია, რომ მთაში მამაც წამოვიდა, თორემ ერთად ხომ ვერ ვიცინებდით?..

გუბეში სამი პატარა ბაყაყი დავიჭირე. მამამ მითხრა, დედ-მამა მაგათაც ჰყავთ, წადი და გუბეში ჩასხიო. მაშინვე მოვკურცხლე და ბაყაყები ისევ იმ გუბეში გავუშვი. ძალიან მიყვარს დედა და მამა“.

ეს ჩემი გოგონას ჩანაწერებია.

მიხარია, რომ სახლში შესული, მაგიდაზე ფურცლებს თამამად დავალაგებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დავით კალანდია

## მინდა...

მინდა რამეს შევეფარო,
პირზე ხელი ავიფარო,
მინდა ჩუმად გავიპარო,
ფეხაკრეფით,
მინდა ცხრა-მთა გავიარო,
ნაზ გოგონას შევეყარო,
მასთან ერთად გავიხარო
ჩუმი ვნებით.
მინდა ვიყო პოლიგლოტი,
სახლთან მქონდეს სოჭის პორტი,
ხშირად ვჭამო მსუყე ტორტი,
ვიჯდე ქურდად,
მინდა შევთხზა კარგი ლექსი
უსაშველოდ დიდი ტექსტით,
მეტსახელად მერქვას ზევსი
ანდა ბუდა.

მინდა გავიზარდო ფრთიები,
მინდა გავაცოცხლო მკვდრები,
რუსები თუ აფხაზები,
განურჩევლად,
მინდა მყავდეს ბევრი შვილი,
მოზრდილი და სულ მთლად ჩვილი,
ხასიათი მქონდეს რბილი,
როგორც ძველად.

მინდა, მინდა, მინდა მინდა,
ესეც მინდა, ისიც მინდა...
თავზე ბუზი დამაფრინდა,
გამელვიძა.
ხალხი დადის ღვარძლიანი,
ისევ ბრუნავს ნაღვლიანი
დედამიწა

* * *

სულ დაგვიბერდა ათასწლეული,
ვამჩნევ სკლეროზის ნიშნებს,
ძლივსლა დაბობღავს გამოლეული
და ხელებს ცისკენ იშვერს.

მას აღარ ესმის ჩვენი ხუმრობა,
ხშირად ეწყება ბნედა,
მარაზმატიკულ უსასრულობას
მე მის თვალებში ვხედავ.

ცოტაღა დარჩა, სულ ორი ბიძგი
და სულს გაატანს ნიავს,
ახალი ერა, ლამაზი, წიწკვი,
შუბლში დაახლის ტყვიას.

მშვიდობით, ძველი დროის დიდებავ,
ჭირი წაგვეღოს ჩვენი,
შენი ძუძუდან შენმა შვილებმა
ბოლო მოგწოვეთ წვენი.

## ბოდვა №66

მე მიძნელდება ურთიერთობა
ნორმალურ ხალხთან,
ისინი ხშირად ქუსლით მისრესენ ნიჭს,
აღარ მიტაცებს მე პაექრობა
ქალიშვილ-ქალთან,
და მირჩევნია მხარი ავუბა გიჟს.
მთელი ცხოვრება დავდივარ მარტო,
ვით ამირანი,
მარტო ცხოვრება ცოტა არ იყოს - ჭირს,
და ისევ მიჰქრის უგზო-უკვალოდ
ჩემი მერანი,
მე რა ხანია ვგდივარ ღეზებით ძირს.
ვებღაუჭები სიცოცხლის წყაროს
კვნესით, ტირილით,
ვიცი, სამოთხის კარი ჩემთვის აღარ არს,
ჩემს სულში შიში ულმერთოდ ხარობს
შავი ჭირივით,
და ის გამიღებს მე ჯოჯოხეთის კარს.

## წმინდანი

ბევრი ცხრა-მთა გავიარე,
ავიცილე ბევრი ხარჯი,
ერთი ორჯერ დავიხარე
და ვიხარე, რომ გადავრჩი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ერთი ხეც არ დამირგია
ერთი სახლიც არ ავაგე,
ბავშვის აღზრდაც არ მიცდია,
და ვფიქრობ, რომ არ წავაგე.

არავისი არ მაქვს ვალი,
როგორც კატა ვარ ეული,
არ მჭირდება დედაქალი,
არ ვარ ხორციით დამშეული.

ყოველდამე ვიცვლი ბინას,
ვარ ძლიერი, როგორც დევი,
სადილზე ვჭამ ქინა-ქინას,
არცა ვსვამ, და არც ვეწევი.

არც ვუყვარვარ და არც მიყვარს,
არც მტერი მყავს, არც მოყვარე,
არ ვიძახი ლამაზ სიტყვას,
და სიბილწეს არ ვიკარებ.

დიდ გალავანს ავეფარე.
ერთადერთი ვინც მახარებს
ეს არს ორი მეგობარი
დღისით მზე და ღამით მთვარე.

## ეს არს ჩემი ოცნება

*შთაგონებული The Beatles-ის
სიმღერის There is a Place-ის მოსმენით*

არის ერთი ადგილი,
სადაც მივალ დახრილი,
სულიერად დაშლილი,
დავივიწყებ ავს,
იქ სუნთქვა მაქვს გახსნილი,
იქ ვარ აღვირახსნილი,
ვფრინავ, როგორც აზრდილი,
მსუბუქად ვგრძნობ თავს.

ეს არს ჩემი ოცნება...
იქ ღიად მაქვს გონება,
იქ დიდი მაქვს ქონება,
ვთვრები მხოლოდ რძით,
იქ მყავს ცოლი ლამაზი,
ხატავს, როგორც ვარაზი,
მღერის, როგორც კალასი,
ოღონდ ბოხი ხმით.

იქ ერთად ვართ ყველანი,
იქ ივსება მტევანი,
დანტეს ვიგებ დედანით
და არ ვშიშობ ზარს,
იქ მიწას ხნავს ტრაქტორი,
არ მჭირდება „ატმორი“,
მიყვარს ინკასატორი,
ფართოდ ვუღებ კარს.
იქ აღარ ვკლავთ არავის,
აღარ ვანგრევთ ძველ თბილისს,
ვილხენთ აწ და მარადის.
შევჭამთ ღორის სუკს,
იქ სიცოცხლე არ ქრება,
და არავინ არ კვდება,
და როდესაც ღამდება,
არ გვიქრობენ შუქს.

ღვთისმშობელო მარიამ,
გეხვეწები ძალიან,
ცოტათი თუ გცალიან
და სიკეთე გსურს,
ხედავ, როგორ ვირჯები?
გამინაღდე ფიქრები,
შენი მონა ვიქნები
და გიბოძებ სულს.

არის ერთი ადგილი,
იქ შაქარს ჰგავს მარილი
და ვარდს უშნო ასკილი,
იქ ვიმართავ წელს,
ეს არს ჩემი ფიქრები...
ბითლები და წიგნები.
ვაი, რომ მარტოდ ვიქნები
მე იქ მრავალ წელს.

* * *

*ციკლიდან - „ჩემი
საყვარელი პარანოია“*

მე მინდა ვიყო თავისუფალი,
ჩემი თავის მე ვიყო უფალი,
ვიარო ცალკე გზაზე,
ყველას კანონი და ამბიცია,
მრუში სამყაროს ცრუ ტრადიცია
ფეხზე მეკიდოს ცალზე.

დავეჭიდები ყველა სტიქიას,
ასი სიცოცხლის ცეცხლი მინთია,
მიწას დავიდებ მხარზე,
მოვეფერები ცაში ვარსკვლავებს,
მტერს ვაპატიებ სისხლიან ვალებს,
მთას ავაგორებ მთაზე.

ფართოდ გავუღებ ყველას კარის კარს,
შევუცვლი წარსულს ყველა ნაციხარს,
ორ მზეს ავანთებ ცაზე,
ყველა უბიწოს, ყველა ავგაროზს,
ყველა ეშმაკს თუ ყველა ანგელოზს,
ერთად გავიყვან მზრალზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მე გადავლებავ ყველა გალავანს,
მე გადავკოცნი ყველა ლამაზმანს,
ვილხენ ტივებით მტკვარზე,
მე ავისრულებ ყველა ოცნებას,
და ოდეს ვიგრძნობ საჭიროებას,
ჩემით ავძვრები ჯვარზე.

## მიყვარს

*ციკლიდან „ფანტაზიები“*

მიყვარს, მზე როცა მიჭვრეტს თვალებში,
მიყვარს თევზების ლაღი თარეში,
მიყვარს ხორხოცი ლამაზ ქალებში,
ნაღველს რომ ვატან ქარს,
მიყვარს, როდესაც ილვიძებს ვნება,
როდესაც ღამე ლამაზად კვდება,
და ჩემი ტანი შენს უერთდება,
როგორც მდინარე - ზღვას.
მიყვარს, როდესაც წევხარ ჩემს გვერდით,
როცა იცინი ლამაზი სევდით,
როცა ერთმანეთს მხურვალედ ვეტრფით,
როცა მიწეწავ თმას.
მაშინ ვივიწყებ არსებას ჩემსას,
როცა მე ვისმენ შენს მძიმე კვნესას,
როცა შენს გულმკერდს ტუჩებით ვსრესავ,
როცა შენს ვლოკავ კანს.
მიყვარს აშლილი ჩემი ლოგინი,
მიყვარს საღამოს ჩუმი ლოდინი,
საძინებელში ტანის ბოგინი,
როდესაც ვხარჯავ ჯანს,
სიყვარულისგან მე ვარ სვიანი,
ჩემო ქალღმერთო, ჩემო დიანა,
შემოვეხვევი როგორც ლიანა
შენს უნატიფეს ტანს.

## ორი პარალელი

ალბათ კარგია, რომ არ გიყვარვარ,
რომ არ მჭირდება შენთან ჭიდილი,
და მე შენს გვერდით ნამდვილი „მე“ ვარ,
გამობრძმედილი ბუნების შვილი.
ვიცი, რომ ჩემი შენ არ იქნები,
ამასზედ არც ღირს ცრუ ლაპარაკი,
ჩვენ გვაახლოვებს მხოლოდ წიგნები,
შოპენჰაუერი და პასტერნაკი.
მე შენ ვერაფრით ვერ გაგახარებ,
მე არც ფული მაქვს და არც ქონება,
და შენ არასდროს არ შემიყვარებ,
და ჩვენ შვილები არ გვეყოლება.
მე არ მიშველის ვნების ვედრება,
ჩვენ ამას კარგად ორივე ვხვდებით,
და არასოდეს არ შეერთდება
პარალელურად მოძრავი გზები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შალვა საბაშვილი

## ზამთრის დღეების ფარდით

თვალი სიცივეს ხვდება
სევდით, წუხილით, ვიშით,
სულში რაღაცა კვდება
ზამთრის დღეების შიშით.

ზეცა დაფარა რუხმა
ღრუბელმა... მწამდეს რისღა?
მინდა ვიღაცას ვუხმო,
რომ შეაჩეროს რისხვა.

მაგრამ ზამთარი მოდის,
რომ ქარმა დაიქროლოს,
ჩემს ამდენი ხნის ლოდინს
ერთად მოუღებს ბოლოს.

ლურჯი ფიქრები ათოვს
მხარეს, საითაც მივალ,
მაგრამ ოცნებებს სათუთს
თოვლი დაჰფარავს ცივად;

ვხვდები უგულო ნახატს
წუხილით, ჩუმი დარდით
და იფარება რაღაც
ზამთრის დღეების ფარდით...

## სივრცე პირქუში...

ელვარებს ჩემი მწუხარება, ლურჯად ნაფერი,
სივრცეს ვაშფოთებ ჩაძირვითაც, განახლებითაც,
არ არის ირგვლივ დარჩენილი აღარაფერი
ჩემი სპეტაკი და სათუთი სანახებიდან.

მე ახლა ვუსმენ, მაგრამ შორი სიმღერა წყდება,
დაღლილი თვალი ვერ ნახულობს ნისლებში კარავს,
ჩემი პირველი ნაბიჯები დამავიწყდება,
ჩემს არსებობას თეთრი თოვლის ფენა დაფარავს.

ვუახლოვდები მკაცრ დასასრულს თეთრი ქარებით,
ამოაქვს ხსოვნას სურათები, - ცრემლისმდევნელი,
და მებრძოლება თავგანწირულ გამძვინვარებით
სივრცე - პირქუში, ულმობელი, თვალუწვდენელი...

## ღრმად ჩაეწვნება

ეს ქარიშხალიც უეჭველად გადაიგრგვინებს,
ვიცი, დაჰკარგავს თავის ძალას გრძნობათა ღვარი,
დაე, მრისხანედ აწყდებოდნენ ქარები მინებს -
მით უფრო მძაფრად შეიგრძნობა ქართა საზღვარი!

არაფერია ქვეყანაზე უდასასრულო,
ხარბად ლოკავენ ყველა ტაძარს ცეცხლის ალები,
გაითარეშე, მდუმარებას შეაწყდი, სულო,
უმიზნო ბრძოლას შეალიე მთელი ძალები!

სულ ერთი არის, მდინარებით გატაცებული
ჩაიკარგება გზათა მწკრივიც, სურვილთა ნებაც,
მერე კი, ცისთვის შენგან თრთოლვით გადაცემული
სულ ბოლო ფიქრიც გულგრილ დუმილს ღრმად
ჩაეწვნება...

## დღე

თეთრი ღრუბლები ჰორიზონტზე აქათქათდება,
ფრთებს გაშლის ლაღად და მოიცავს სულს
ბრწყინვა მათი,
თვალსაწიერი იმედიან მზით განათდება
და გადიშლება ირგვლივ ზეცის ლურჯი გუმბათი.

თეთრი ღრუბლები დაიშლება ნისლთა ფარებად,
ირგვლივ სივრცეა... ცა მდუმარებს... სევდა სწუხს
ნელი,
გრძნობის ქარავნებს ბურუსები დაეფარება,
მომცელავს კითხვა - უპასუხო, ამოუხსნელი;

შეეჯიბრება სინამდვილე ცისფერ ზმანებებს,
აღმოაჩნდება უფსკრულებსაც უცხო იერი
და ფიქრი ჩემი გზის გაგნებას თავს დაანებებს,
და მზერას ჩემსას მიიტაცებს დასალიერი...

## ნაპირთა სევდა

ნაპირთა სევდა
სხვანაირი არის ყოველთვის,
ჩვენ, იქ მისულნი,
პირს ვიბრუნებთ,
უკან მოველტვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დასასრულის მზე
ვერასოდეს იგუებს მჭვრეტელს,
იქ კანონები, შეჩვეულნი,
ქმედებას წყვეტენ.

იქ შეიძლება გახმიანდეს
უცხო არია,
წამში მიაგნო,
რაც მარადის საძებარია.

მაგრამ სხვა ბედიც
შეიძლება გეწვიოთ აქ და
ხელიდან გასხლტეს ის, რაც მყარი
გეგონათ დავლა.

არავინ იცნობს,
იმ შორეულ
ჟამთა სამყოფელს
რომელი ფერნი,
რანაირნი სხივნი ამკობენ.

ვერც ვუძლებთ დიდხანს,
იქ მისულნი
უკან მოველტვით,
ნაპირთა სევდა
სხვანაირი
არის ყოველთვის.



## ლექსი

კალამი. თეთრი ფურცელი.
შენც - გარინდული აქავე.
თუკი არ მოდის - ნურც ელი,
თუ მოდის - ნუ შეაკავებ!

თვით მთების ამომბურცველი
შენში ფიქრები გრგვინავენ,
და იცდის სუფთა ფურცელი -
მასზე აზრს დააბინავებ!

თუ მოვა - ნაპირს გადავა,
თუკი აღარ ჩანს - ნურც ელი,
შენს წინ კი მუდამ მზადაა
თეთრი და სუფთა ფურცელი.

## თუ არ იპოვა

ირგვლივ ხასხასა ფერთა შრიალი,
ზოგჯერ - ბგერები მქისე,
სული თუ არვის შეუქრიალა,
ლექსი რა არის ისე?

თუ არ აკრიბა ხმათა წყებაში
სხვა სამყაროთა რხევა,
ისე სიცოცხლის უკვდავებაში
ლექსი რა ძალით შევა?

თუკი არ განვლო ფიქრთა, გრძნობათა
დაუსრულებელი რიგი,
თუ არ იპოვა რამ უჭკნობადი, -
ვისღა სჭირდება იგი?

აბა, რად მინდა წყნარად იგალოს,
არ ჩაიძიროს ცაში?
თუ ვერ ისმინა სუნთქვა გრიგალის,
სხვას რას მოისმენს მაშინ?

ირგვლივ - სამყაროს ფერთა ციალი,
ქარი - ბგერები მქისე,
სული თუ არვის შეუქრიალა,
ლექსი რა არის ისე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მურმან ხუნწარია

## ძაღლი

*ვუძღვნი საქართველოს ცხოველთა დაცვის პრეზიდენტს,*

*მხატვარ მზია ლოლიშვილს*

ვეებერთელა სიმაღლეზე აღმართულ კბოდეს ძირას მხიარულად მიედინება პატარა მდინარე. აქაფებული გადადის უშველებელ ლოდებზე. წყალს იმდენი უვლია და ისე მოუსიპავს, რომ კლდიდან მონაწყვეტზე სულდგმული ფეხს ვერ მოიკიდებს.

დავაკებულ ადგილას წყალი თითქმის უძრავია – საამო ფერისაა, როგორც ნათელი და სუფთა ცა. ჩახედავ და ფსკერიდან გიღიმიან ფერადი კენჭები.

დასცქერი სიხარულით.

დასცქერი აღტაცებით. წამი. უეცრად, თამაშით გაიელვებს წითლად დაფოლაქებული კალმახი, ამოხტება წყლიდან და შეშლილ ზვირთებში სიხარულით გადაეშვება.

მშვიდია მდინარე, მაგრამ ხანგრძლივი წვიმების ჟამს ან გვიან გაზაფხულზე, როდესაც მყინვარზე თოვლი იწყებს დნობას, ეს ერთი ციცქნა ისე ადიდდება, ისე გადაირევა, რომ ძირფესვიანად ამოთხრილ ორასწლიან ხეებს ნაფოტივით მიაქანებს.

მეორე დღეს მნახველს გული მოგიკვდება – ნაომარს ჰგავს სტიქიის მძვინვარებით გადათელილი მიდამო.

ღიმილივით საამო სანახავია მდინარე, როდესაც ტყის სიხშირიდან გამოღწეული მზის სხივს აირეკლავს და ათას ფერად მიმოაბნევს...

დგახარ მოჯადოებული და ვერ მოგიშორებია თვალი. ისეთი ცივია, შიგ ხელს წუთითაც ვერ გააჩერებ. გარშემო წიფელნარევი ორასწლოვანი წაბლის უღრანი ტყეა. ასეული წლებით ფოთოლცვენით გაფუებულ ნიადაგში ფეხი ღრმად ეფლობა. ზოგჯერ გაისმის სიმძიმით გადამტვრეული ხმელი ტოტის ტკაცანი.

აქ უმეტესწილად მეფობს სიჩუმე.

ასეა დღე. ღამე, როდესაც ლასლასით ამოძრავდებიან ლანდები, დგახარ და უსმენ.

უსმენ და გესმის საკუთარი გულის ცემა.

რაღაც მოხდა, შენს წინ გაიელვა ლანდმა, ეს დამფრთხალი შველია.

კიდევ წუთი, გესმის მოახლოებული სუნთქვა. გაიხედავ და სიბნელეს ხანჯლავს ორი მწვანე სინათლე, ეს შველსდაღევნებული მგლის თვალების ელვაა.

მხეცი შეჩერდა. ასწია თავი. დაყნოსა, ყურები რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა და სულმოუთქმელად განაგრძო დევნა...

სიჩუმე.

სიჩუმე დიდხანს.

გაისმის მკვახე ჭახანი, მერე – გაბმული შქრთიალი. გრძნობ, რაღაც მძიმე დაეცა.

მკვდარი სიჩუმეა – ტყემ გაიგო! ბებერმა წიფელმა ვერ გაუძლო საკუთარ სიმძიმეს და სიცოცხლეს გამოესალმა.

დაეცა ვეებერთელა წიფელი და ასე, დასა თუ ძმას თუ სატრფოს ჩახუტებული წევს სულთმობრძავი. წევს, სანამ მიწიდან ამოთხრილი ფესვები არ გახმებიან და არ შეუწყვეტენ საკვების მიწოდებას. შემდეგ წაქცეულს გაუყვითლდება ფოთლები და ხე იწყებს ლპობას...

სიჩუმე.

სიჩუმე თუ წაქცეული წიფელის გლოვა... მთვარემ გადასერა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და სადღაც ღამეულ სივრცეში გაუჩინარდა.

უკუნი ღამე. სიგრილემ დაუქროლა.

წამები...

აღმოსავლეთს გაჰკრა მტრედისფერმა. უხილავმა მისცა ნიშანი და ფრინველებმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა





დაიწყეს გახარების სიმღერა...

მღერის ტყე...

დაიწყო განთიადი. საოცარია, არც ერთი ფრინველი ბუდეს არ დატოვებს, სანამ სიმღერას არ დაასრულებს. ამ დროს სძინავს მხოლოდ ხეზე თავდაღმა დაკიდებულ, ღამე სისხლით ნაალაფევ ბუსა და დევნით გადაღლილ, ლეკვებს ჩახუტებულ ძუ მგელს.

დასრულდა სიმღერა, გაისმის ფრთების ფრთხიალი - ტყემ გამოიღვიძა.

ისმის:

ჭიკჭიკი სხვადასხვა ხმაზე.

ძახილი სხვადასხვა ხმაზე. და კოდალას რიტმული კაკუნი. ვეება კბოდეს ძირას მიმავალ პატარა მდინარეს კრიჭა გაეხსნა და გაისმა წყლის მშვიდი და საამო ქღურტული...

ტყუის ვიღაც, მდინარემ შეისვენაო. არა, მდინარე არასოდეს ისვენებს და კიდევ არ ისვენებს ადამიანის გული. ეს კია, მოძრაობის რიტმს ორივე იცვლის.

უღრან ტყეში, ველობზე, მაღალი მესრით შემოღობილი, მორებისაგან შეკრული, ისლით გადახურული ქოხი დგას. აქ ცხოვრობენ მეტყევე ბერო და მისი კავკასიური ნაგაზი მურია. უკვე თვრამეტი წელია ძაღლი ერთგულად ემსახურება პატრონს.

ამ ხნის განმავლობაში ბეროს მურიას გაწეული სამსახურიდან ბევრი აქვს მოსაგონარი, თუმცა ერთი შემთხვევა გამორჩეულია. მეტყევემ ბუნაგში ადამიანების მოძულე ბელიანი დათვი დაჭრა. ჭრილობით გაცოფებული მხეცი დაედევნა და, ის იყო, უნდა დაეტორა, რომ ყალყზე შემდგარს მურია ფეხში სწვდა. გამხეცებული ნადირი ძაღლს შემოუბრუნდა; ბერომ ისარგებლა და ეზოში შეასწრო.

ორი დღე მურია არ გამოჩენილა. ბეროს დაღუპული ეგონა, მაგრამ, აი სიხარული, მესამე დღეს საღამოზე მურია უვნებელი დაბრუნდა. ბეროს ახლაც საწოლის თავზე უკიდია წითელი მელას ტყავი, რომელიც მურიამ დაჭერილი მოუყვანა... თუმცა ამ ბოლო წლებში მეტყევისა და ძაღლის ურთიერთობას გაუჩნდა ბზარი. საქმე იმაშია, რომ წლებმა ძაღლს სმენა და მხედველობა დაუქვეითა, ასე, რომ მურიას კონტროლის გარეშე კაციც ადვილად შემოდიოდა და მელაც ცხვირწინ ჰპარავდა ქათამს. უკმაყოფილო ბერო ცემით უმასპინძლდებოდა მურიას. ყურებგადაწურული საბრალო იწვა თავის სადგომში და, თუ პატრონი მოიხმობდა, ქვეყანა თავისი ეგონა, კუნტრუშით გაუგორდებოდა და წკმუტუნით ულოკავდა ფეხებს.

ბეროს შეხედულება ჩვეულებრივია, ძაღლმა სახლს უნდა უდარაჯოს, პატრონმა კი ნარჩენებით კვებოს, მაგრამ, თუ ძაღლი თავის მოვალეობას ვერ ასრულებს, რა საჭიროა მუქთამჭამელი. სწორედ ასეთი შეხედულებით აითვალწუნა ბერომ მურია.

ერთ მღვრიე დღეს ბერომ ნაკრძალში მოკლული ტახი დაატოვებინა ბრაკონიერს, მაგრამ, იმის მაგივრად, რომ მოკლული ნადირი უფროსი მეტყევისათვის ჩაებარებინა, გადაწყვიტა, ზამთრისათვის დაეშაშხა.

შორიდან ძლივს მოათრია უშველებელი ტახი და იმ იმედით, რომ ძაღლის შიშით ეზოში ფეხს ვერავინ შემოდგამდა, დაიწყო დაკიდებული ნანადირევის დამუშავება.

საღამო ჟამი იყო. მთელი დღე ტყეში ნასიარულებსა და ტახის უვარგისი ნაჭრებით გამაძღარ ძაღლს ისეთი ღრმა ძილით ჩაეძინა, რომ ვერც კი გაიგო, ეზოში როგორ შემოვიდა უფროსი მეტყევე და მოულოდნელად თავს როგორ წამოადგა სისხლში ხელებამოსვრილ ბეროს.

- ბერო! - შესძახა მოსულმა.

მოულოდნელობით თავზარდაცემულმა ბერომ სიტყვა ვერ დაძრა:

- რას შემომჩერებიხარ, ეს არის შენი პატიოსნება?

შეურაცხმყოფელმა სიტყვებმა ბეროს ყელში წაუჭირა:

- მე არ მომიკლავს, ბრაკონიერს ჩამოვართვი! - სიმართლე უთხრა მეტყევემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსულს ირონიულმა ღიმილმა სახე დაუბრიცა:

- იქნებ მოკლული ნადირი დამზადების პუნქტისათვის არ უნდა ჩაგებარებინა?

ბერომ თავი ჩაქინდრა.

- რატომ არ მიპასუხებ?

მეტყევე წელში გაიმართა:

- შემიძლია გითხრა, აწი ვაპირებდი-მეთქი...

- მერე რატომ არ მეუბნები?

- იმიტომ, რომ არ მინდა ტყუილი ვთქვა!

- რას უპირებ?

- მინდოდა ზამთრისათვის დამეშაშხა.

- ახლავე ზურგზე აიკიდე და წინ გამიძეხი! - იყვირა უფროსმა მეტყევემ...

ბერო მხოლოდ მეორე დღის ნაშუადღევს დაბრუნდა. ბრაზი აღრჩობდა, რადგან იცოდა, მეტყევე ხორცს, როგორც წესი იყო, დამზადებას კი არ ჩააბარებდა, გაყიდდა და ფულს ჩაიჯიბავდა. უფროსის უსინდისობით აღშფოთებულმა ბევრჯერ სცადა ჩივილი, მაგრამ ტყის შვილმა ჩივილი მეტ უსინდისობად ჩათვალა და დუმილი არჩია.

პატრონის დაბრუნებით გახარებული მურია ყეფითა და თამაშით მიეგება, ტახის თრევითა და უფროსის არაკაცობით გამწარებულმა ბერომ კი თავის მარცხში ძაღლი დაადანაშაულა:

- სულ შენი ბრალია! - იყვირა და გამეტებით ჩასცხო წიხლი.

სიბერით დაუძლურებულმა ვერ მოასწრო გაცლა. მორჩილი ფეხქვეშ ამოიგდო ბერომ.

სცემს.

სცემს ბრაზის დასაოკებლად.

ურტყამს გამეტებით.

კიდევ.

კიდევ ეტკინა ფეხი. უფრო მეტად გამწარდა. ახლა ჯოხს დასტაცა ხელი. ძაღლმა თავის სადგომში შეასწრო...

დაბნელდა.

თუმცა მურია ყოველთვის ხვდებოდა, რა მოსწონდა პატრონს და რისთვის სჯიდა, მაგრამ ის ღამე ისე გაათენა, რომ ვერაფრით მიხვდა, ასე რისთვის გაიმეტეს.

მეორე დილას ბერომ მურიას დაუძახა. წინა დღით ნაცემი მიწაზე განრთხმული ფორთხვით მიუახლოვდა. ბეროს აღარ დაურტყამს, კისერზე თოკი შეაბა და ტყეში გასწია.

მიდიან.

ძაღლი ადამიანს მინდობილი მიჰყვება. დიდი ხნის სიარულის შემდეგ გაჩერდა იქ, სადაც მგელი ეგულებოდა. ძაღლი ხეზე საიმედოდ მიაბა.

რისხვა და გაბრაზება ადამიანს სწორი განსჯის უნარს უკარგავს. სხვანაირად ვერ ახსნი, როგორ გაუძლო ბეროს გულმა მურიას მზერას.

ძაღლის თვალები გამოხატავდნენ საოცარ სევდას, ეს იყო მიტოვებულის სულის ქვითინი. მურიას ისე უყვაროდა ბერო, რომ წინ ვერ აღუდგა პატრონის მიერ გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს.

ადამიანმა ვერ გაბედა, თვალი გაესწორებინა ძაღლისათვის. ბერო წამოვიდა, მაგრამ ეს წამოსვლა გაქცევას უფრო ჰგავდა.

ვიცი, მგელი შველს იმიტომ ჭამს, რომ თავი დაიხსნას შიმშილით სიკვდილისაგან, მაგრამ არ მესმის, რა ემართება ადამიანს, რომელიც ასეთ სისასტიკეს ჩადის!?

ფიქრებში ჩაძირული ბერო სიცივემ გამოაღვიძა. ადგა. კარში გაიხედა. წვიმამ გადაიღო. შეშის შემოსატანად გამოვიდა. რაღაც ვერ არის გუნებაზე...

ფიქრი, რა მოხდა?

წამები...

წუთი, მოაგონდა, მესამე დღეა, რაც ხეზე მიბმული მურია ტყეში დატოვა... რაღაცამ შეაწუხა, თუმცა, ვერ მიხვდა, რამ და თავის თავს დაუწყო განმარტება: მაშ, რა უნდა მექნა, რამდენ ხანს უნდა შემენახა მუქთამჭამელი?.. მის გამო კინაღამ სამსახური დავკარგე. ეზოს ველარ სდარაჯობს, მელა ქათმებს ცხვირწინ პარავს... მკლავზე შეშებდაწყობილი შემობრუნდა, რას ხედავს, სუმთლად გალუმპული, კისერზე გადაღრღნილ თოკშემობმული მურია თავისი განუმეორებელი მზერით შემოსცქერის.

მეტყევის არსებაში მხეცმა გაიღვიძა. ბრაზმა ყელში დასახრჩობად წაუჭირა. გაიფიქრა, ახლა ისე ვცემ, რომ აქვე განუტევოს სული და, ის იყო, ჯოხს დაუწყო ძებნა, რომ ჩანაფიქრის აღსრულება აღარ დასცალდა, ერთბაშად წვიმამ დაუშვა. ბერომ ქოხში შეასწრო.

დაბნელდა. ბუხარში ცეცხლი აგიზგიზდა. ნაღვლიანი სიმღერასავით ისმის სახურავზე დაშვებული წვიმის ხმაური.

უზის ბუხარს და შეჰყურებს მოცეკვავე ცეცხლის თამაშს. ჩვეულებრივ, ბერო ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქამს სამომავლო გეგმებს აწყობდა, მაგრამ ამ ბოლო ხანს წარსულის ტკივილიანი მოგონებები დასჩემდა. პატარა ბიჭია. დედამ აქ, თავის ძმასთან მოიყვანა. საუბრის შემდეგ შვილს მოუბრუნდა: „მამაშენი ნახვას მთხოვს. ის ისეთი კაცია, რომ არ უჭირდეს, არ დამიბარებდა. შორი გზა მაქვს გასავლელი. დაუჯერე ბიძაშენს, კეთილი კაცია, არ მოგაშიებს“. ბიჭუნა გულში ჩაიხუტა. კართან მისულმა დაუძახა: „მალე დავბრუნდები!“.

საოცარია ადამიანის ბუნება, ამ ხნის კაცი დღესაც ელოდება და დღესაც გრძნობს დედის ცრემლების სითბოს!

უზის ბერო ბუხარს, ცეცხლზე ხელებმიფიცხებული და მისცემია მოგონებებს. ცხრამეტი წელი შეუსრულდა მაშინ, როდესაც ბიძა დათვმა დატორა. იმ დღიდან მეტყევის ადგილი მან დაიჭირა.

ბერო ბუნებით კეთილი იყო. ოჯახის შექმნაზე და ნათესავ-მეგობრებთან ბედნიერ ცხოვრებაზე ოცნებობდა.

ერთ დღეს მამის ძმამ მოაკითხა. ისაუბრეს, დალიეს, შემდეგ კი ბიძამ თავისი ჩანაფიქრი გაუმხილა: მამაშენის დატოვებულ სახლში მაინც არ ცხოვრობ. მოდი, გავყიდი. საქმეს ავაწყობ, ერთი წლის შემდეგ კი შენს ფულს დაგიბრუნებ და როგორც გენებოს ისე მოიხმარეო.

ბერო დაეთანხმა, რადგან მეზობელ სოფელში გოგო უყვარდა, სახელად ციცო. ბიძის მოსვლიდან თვეც არ იყო გასული, რომ ცოლი შეირთო. ბიძას ფულის ნაწილი მოსთხოვა. მან კი ძროხა მოუყვანა. თაფლის თვეც არ იყო გასული, რომ ორმა ახალგაზრდა გეოლოგმა ღამის გათენება სთხოვა. მეორე დღეს ტყის შემოვლიდან დაბრუნებულს ქოხი ცარიელი დახვდა, წერილში კი ეწერა: „არ მეძებო. ციცო...“ დანაღვლიანებული მთელი კვირა ქოხიდან არ გასულა. გადამეტებით სვამდა. მთვრალს ძროხა მოპარეს...

ასე, ადამიანებთან ურთიერთობით რწმენადაკარგული, მარტოსულად იქცა.

ფიქრებში ჩაძირულს კივილი შემოესმა. ქოხიდან გაიხედა - ტურები შეჰკიოდნენ ღამეს. გაეღიმა, ამდენი ხნის მეტყევეს ტურების მოთქმა ადამიანისაში როგორ ამერიაო.

წელიწადის ის დროა, როდესაც თვეობით გადაუღებლად წვიმს. კილომეტრი სიღრმის ხევი ნიაღვრით აივსო. მღვრიე და შეშლილი ტალღები ნაფოტივით მიაქანებენ ძირფესვიანად მოთხრილ ვეებერთელა ხეებს. სტიქიის რისხვით დამფრთხალი ნადირი ბუნაგიდან გამოსვლას ვერ ბედავს. თვალს შეავლებ გაცოფებულ სტიქიას და შეგიპყრობს შიში. გეჩვენება, რომ ნიაღვარი ცოცხალი არსებაა, მასაც გააჩნია გონება, თვალი და გველეშაპივით გიპირებს შეჭმას.

დგახარ სამშვიდობოს, იცი, აქ სტიქიას ხელი არ მოუწვდება, შენ კი რაღაც უხილავის შიში გზარავს...

წვიმს. მღვრიე წყლის უშველებელი მასა ნგრევით მიედინება. მიედინება და თან იტაცებს ყველასა და ყველაფერს...

დილით წვიმამ უკლო. მზემ სუსტად გამოაჭყიტა. ღამენათევი ბერო ეზოში გამოვიდა. ახედა ცას. გაიფიქრა, ისევ დაწვიმს. ეზოში ქათმის მიმობნეული ბუმბული დაინახა. წაიჩურჩულა: „ჩემი მამალი!“ და საქათმესთან მივიდა. ცარიელია. საქათმის უკანა მხრიდან მელას მიწა გამოუთხრია... მიიჭრა ძაღლის სადგომთან. მურიას სძინავს:

- მურია! - იყვირა. შემდეგ მოაგონდა, გაბრაზებულ ძახილზე ძაღლი შეიძლება არც გამოვიდეს, - მურია, მურია! - მოფერებით მოუხმო პირუტყვს.

ძაღლს ახსოვს, გუშინ რომ სცემეს, მიწას განერთხო და ფორთხვით მიუახლოვდა. ბერომ ზურგსუკან დამალული ჯოხი დაჰკრა:

- ესეც შენ!
- ესეც შენ!
- ესეც შენ! - ბრაზით ხმაჩაწყვეტილი იმეორებს ბერო. შემდეგ მოეჩვენა, რომ ჯოხი აღარ ტკენს. ჩასცხო წიხლი.

ერთი.

მეორე.

მესამე. სცემს გამეტებით. სცემს სასტიკად. ხან ფეხით, ხან ჯოხით. მურია წინააღმდეგობას არ უწევს. ითმენს მორჩილი.

ფიქრი განრისხებული ადამიანისა, როგორ მოვახერხო, რომ ვატკინო!..

დაიღალა. თითქოს მხოლოდ ახლა ჩაესმა სტიქიის შემზარავი ღრიალი. დასტაცა თოკს ხელი, ძაღლს კისერზე მოაბა და ხევზე აღმართულ ქარაფისკენ წაიყვანა.

სუნთქვაშეკრულმა ძაღლი კლდის წვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზე აიყვანა. გახელებული სტიქიის ღრიალმა მთლიანად მოიცვა მისი არსება. სითამამე გაუქრა. გადმოიხედა და შეძრწუნებულმა გაიფიქრა, აი თურმე როგორი ყოფილა წარღვნა!

შიში.

შიში, ბერომ ცურვა არ იცის. მოკლე-მოკლე ნაბიჯებით ძაღლი ქარაფის კიდესთან მიიყვანა. გაუბედავად შეჩერდა. გადმოიხედა. თვალი აერია. მუხლებში ძალა წაერთვა. ქვეყანა თავდაყირა შეუტრიალდა და მაშინ, როდესაც მურიასათვის ხელი უნდა ეკრა, ფეხი დაუცურდა...

გაისმა განწირული ძახილი: „ააააა!..“ ჰაერში გაფრენილი ბერო მღვრიე ტალღებში მოწყვეტილი ლოდივით ჩავარდა. ზვირთებმა სიღრმეში ჩაითრიეს. რამდენჯერმე შეატრიალეს და საოცარი სიძლიერით ამოისროლეს...

პატრონის უჩვეულო ქცევით გაკვირვებული პირუტყვი დასცქერის შეშლილ დინებას და ვერ მიმხვდარა, რა ხდება.

წყლიდან ამოგდებულმა ბერომ ქარაფზე მდგარ ძაღლს მოჰკრა თვალი.

იმედი...

„მურიააა!“ - ძახილი პირზე მომდგარმა წყალმა შეწყვიტა.

სხეულმა დაიწყო ჩაძირვა. განწირული უაზროდ ეპოტინება, მაგრამ თავს ვერაფერზე იმაგრებს. ეს აგონიაა!

შიში.

შიში სიკვდილის. გინდა და საშველად ვერ იხმარ ძალას, რომელიც ჯერ კიდევ შემოგრჩენია.

უაზრო მოძრაობები თუ წამება!

შიში მატულობს - ადამიანი პირუტყვს გაუტოლდა.

წამი,

მეორე. სხეულში რაღაც მოეშვა. კიდევ წამი და სრული უძლურება - ძალაგამოცლილი მინებდა სტიქიას...

პირუტყვი მიხვდა, პატრონი ეძახის. მურია აზვირთებულ ტალღებში გადაეშვა...

არავინ იცის, ტანსაცმელში კბილებჩავლებული ძაღლი და ადამიანი რამდენი ხანი ატარეს ტალღებმა. მურიამ ბერო ნაპირზე გამოათრია. წყალწაღებული მოეგო გონს. ბერომ სითბო იგრძნო, ბედნიერი მურია სახეს ულოკავდა.

## მამა

ეკისა და ზანას შორის გაგუები სახლობენ. ამ სოფელს ერთი მხრიდან მდინარე ცივი ჩაუდის და ისე პატარაა, ადამიანი ფეხით ადვილად გადადის, მაგრამ წვიმების ჟამს ეს ციცქნა ცისფერთვალება ისე ადიდდება, ისე გადაირევა და გაავდება, რომ ახლომახლო ყველაფერს იტაცებს, გლეჯს და შავ ზღვაში გრგვინვით მიაქანებს. ასეთ დროს არათუ ადამიანი, ტყის ნადირიც კი ვერ ბედავს მასთან მიკარებას. აქ მაცხოვრებელს მაშინაც კი ახსოვს მისი სიავე და უნდოდ არიდებს თავს, როდესაც ზაფხულობით მდინარე ღელის სიდიდეს ძლივს უტოლდება.

სოფლის ბოლოს, მაღლობზე ასვეტილ კვიპაროსებს შორის მოჩანს ჭყონდიდელის დროინდელი თეთრი ქვით ნაშენი პატარა ეკლესია.

დაღამდება და სალოცავი ისე მოიწყენს, გეგონება, სამეგრელოს სევდამ და ტკივილმა დაუმძიმა გულიო.

ამ მიდამოებში ღამეც სხვანაირი იცის, სიჩუმეში ამოსული მთვარე სევდიანი ღიმილით მიცურავს ვარსკვლავებით მოჭედილ სივრცეში. ასეთ ჟამს ობლის ნანასავით ისმის მდინარის ხმა.

შემდეგ?

შემდეგ თითქოს დრო ზღაპარს ყვება, ტყე ჯოჯოხეთივით აირევა, მაზარუ გერის ყმუილი და ტურების ვაი და ვიში შიშის ზარივით გადაევლება მიდამოს...

და ასე მძიმე ფიქრივით დუმს ღამე და მიწაზე დაფენილ ხეთა ჩრდილებს შორის დგას შავნაბადმოსხმული სალოცავი.

დგას, როგორც ობლობა.

დგას, როგორც მიტოვებული გული. დრო კი მიედინება და მთვარე დასაძინებლად დასავლეთისაკენ მიდის.

აქ დილაც საოცარი იცის. გაბრწყინებულმა მზემ არემარეს ღიმილი მოჰგვარა. მდინარემაც დაიკლო და ახლა მხოლოდ მუქარით მიშხუის.

ეკლესიის აღმოსავლეთით ერთი ჯარგვალი და ერთიც ოდა დგას. ჯარგვალში ქვრივი კესარია ცხოვრობს თავისი თორმეტი წლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კოჩათი. შარშან ოჯახის მამა, ბახვა, ზუგდიდის პოლიცმეისტერმა კეგამოვმა დადიანების ავად ხსენებისათვის ატეხილ შფოთში მონაწილეობის გამო გააციმბირა, ხოლო გვანჯი დადიანმა სხვა რომ ვერა გააწყო რა, ქერივ-ობოლს საჩუქრად ძროხა გამოუგზავნა.

დედის დარიგებით, კოჩა ძროხას ყოველთვის ეკლესიის მახლობლად აძოვებს, რადგან მეგრელებს სჯერათ, აქ ხიფათისაგან წმინდა გიორგი დაიფარავს.

ოდა ჯუნი გაგუას ეკუთვნის. სოფლელები ყვებიან, ბათუმში საშოვარზე წასულ ჯუნის ცირკში ათფუთიანი გოლიათი იქ მყოფი სულთნის შვილის ფეხებთან დაუნარცხებია, რისთვისაც თურქმა საჩუქრად ათასი ლირა უბოძა. ეს ოდა ჯუნიმ სწორედ იმ ფულით დაიდგა.

ჯუნის მეუღლე ცაცუს ქორწინების მეცხრე წელს, როდესაც მათ ქალიშვილს, გვანცას რვა წელი შეუსრულდა, დიდი ბატონები ესტუმრნენ და სულ რამდენიმე დღეში თან გაიყოლიეს. იმ დღიდან მამას გვანცა არ მიუტოვებია, საშოვარზე ფეხი არ გადაუდგამს, რადგან გოგონა მის გარეშე ვერ იძინებდა.

ამ სოფელში მზე ყოველთვის აღმოსავლეთიდან ამოდის, მერე კი, მთელი დღის სიარულით გადაღლილი, ზღვის ჰორიზონტზე იკარგება. ხშირად ისეც ხდება, რომ ამობრწყინებულ მზეს ღრუბელი გადაეფარება, მაშინ კი მიწაზე უმზეოდ დარჩენილ სულდგმულს სევდა დაეუფლება ხოლმე.

ღმერთო, თურმე ადამიანის სიცოცხლე როგორ ჰგავს ზოგჯერ გაბრწყინებულსა და ზოგჯერ ღრუბლებით დაფარულ მნათობს!

მზემ დღესაც დილიდან ზეიმით გამოანათა. ლურჯ ცაზე ერთადერთი ღრუბლის ნაგლეჯი სადღაც გაქრა.

ფერი დაედო თებერვლის ბოლო დღეს.

დათბა.

დათბა, როგორც აპრილში. მთელი ორი თვე გადაუღებელი წვიმების შემდეგ მიწამ შვებით ამოისუნთქა...

ტკლუპ!

ტკლუპ!

ტკლუპ, ყოველი დარტყმის ხმას იმეორებს შორეთი.

ტკლუპ, ყოველი დარტყმის შემდეგ კიდევ ისმის ყრუ ხმა, რომელსაც ადამიანი ბგერებით ვერ გამოხატავს - ეს ხე კვნესის ნაჯახის ყოველი სასიკვდილო დარტყმის შემდეგ...

წამები.

წუთი. ჯერ საშინელი ჭრიალი, შემდეგ ჭახანი გადაევლება მთიდან მთას...

ხე დაეცა...

მოკვდა კიდევ ერთი უტყვი სიცოცხლე, რომელიც სიხარულს გაზაფხულზე სიმწვანით იწყებდა და შემოდგომაზე სიყვითლით ასრულდება.

ხის სიკვდილმა გული ატკინა ჯუნის, მაგრამ რა ქნას, პატარა გვანცას შეცივდება!

ჯუნიმ პირჯვარი გადაისახა... ტყის პირას გაისმა ხმამაღალი სიცილი - ქალები ხმელ ფიჩხს აგროვებენ.

კოჩამ ძროხა საბალახოდ მიუშვა. ბუჩქის ძირას მოკრეფილი იებისა და კარაკუჩხასაგან შეკრული თაიგული დაყნოსა. თვალწინ გვანცას სახე წარმოუდგა. გული სიხარულით აუძგერდა და ეამბორა თაიგულს. მოეჩვენა, რომ გვანცამ გაუღიმა...

გაისმა ძროხის შფოთიანი ბღავილი. შემდეგ ქალის შემზარავი კივილი. წამიც და რამდენიმე ქალი ერთად კივის...

სიამის ბურუსი გაიფანტა. კოჩამ თავი ასწია. თავზარდაცემულმა ხმა ვერ დაძრა, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ვეებერთელა დათვი ჩანს, მისკენ მოდის.

ქალების კივილი.

მამაკაცების ყვირილი. შიში მოედო სოფელს.

კივილმა ფიქრებში წასული ჯუნი მოახედა. ხედავს, მისგან ათიოდ საჟენის მოშორებით ბიჭუნას დათვი უახლოვდება.

„ავავიიი!“ გაისმა ლომის გრგვინვა და ნაჯახშემართული მამაკაცი მხეცისაკენ დაიძრა.

შეძახილმა ნადირი შემოაბრუნა...

„ავავაავაიიი!“ - მხეცს ყვირილით უახლოვდება ნაჯახშემართული ადამიანი. ნადირი ბიჭუნას მოეშვა და საფრთხეს ავი ბურდღუნით გამოეგება.

ადამიანი და მხეცი ერთმანეთს უახლოვდება.

წამი. მანძილი მცირდება. ჯუნიმ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. განრისხებული მხეცი ადამიანისაკენ მოიწევს.

შიში.

შიში თუ გაცოფება!

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ღრუაა!“ - ღრიალებს მხეცი.

„ოოოო!“ ყვირილით უტევს მამაკაცი.

წამი,

მეორე. ის იყო, დათვი უნდა შეჰბმოდა ადამიანს, რომ ძლიერი მკლავებით მოქნეულმა ნაჯახმა ნადირს თავი შუაზე გაუპო. ფშუტეტ დაეშვა ვეებერთელა მძორი. ამოხეთქილ სისხლში ამოსვრილმა მამაკაცმა გულშეღონებული ბიჭუნა ხელში აიყვანა და სოფლისაკენ წამოვიდა. კეტებით, ნაჯახებითა და ფილთა თოფებით შეიარაღებული სოფლელები შემოეგებნენ...

ძროხამ მიაბღავლა და მშვიდად განაგრძო ძოვა.

საღამოს სოფელმა ეკლესიის ეზოში სეფა გაშალა. მამაკაცებმა გაატყავეს მოკლული დათვი. ვიღაცამ გოჭი დაუმატა, ვიღაცამ ინდაური, ქათმები. მოაქვთ ღერგის მწნილები. ღვინო მოზიდეს ორ-ორფუთიანი კოკებით. ამ საღამოს სოფელი წმინდა გიორგის მადლობას უხდიდა.

სიხარული.

სიხარულით მოსული რწმენა - წმინდა გიორგი ჩვენი მფარველია. ყოველ აქ მყოფს სჯერა, ღვთის ძალა რომ არა, ადამიანი ვეებერთელა მხეცს ვერას დააკლებდა.

სიცილი.

ვიღაც კვიმატ სიტყვას ამბობს და კვლავ ქალების თავშეუკავებელი კარკაცი და მამაკაცების ჭიხვინი.

აკაპიწებულმა ძარღვიანმა ხელებმა ხის შამფურზე ააგო ხორცის ნაჭრები და მანდილოსანს გაუწოდა. ქალმა ხილაბანდი გაისწორა, ცეცხლიდან ნაკვერჩხლები გამოსწია და მიუჯდა...

ცეკვავენ ანთებული ცეცხლის ენები...

ცეკვავენ ვეებერთელა ჩრდილები.

ქალმა შამფურის წვერი ორკაპზე ჩამოდო. მეორე ბოლო ხელში უჭირავს, ზის კეელაზე და, სიმხურვალემ ლოყები რომ არ დაწვას, თავი გვერდზე გაუწევია. ასე თავგაწეული საუბრობს და იცინის.

ქალებს უჭირავთ შამფურები, ნაკვერჩხლებზე დაცემული ცხიმი შიშინებს. გვერდით ვეებერთელა კარდილებში იხარშება:

ხორცი,

ღომი,.. ღერგის მწნილებმა და საკმაზი სუნელების არომატმა დაბანგა იქაურობა.

ჭაბუკები კოკებიდან დოქებში ასხამენ ღვინოს. ვიღაცამ ძაღლებს უვარგისი ნაჭერი გადაუგდო.

გაისმა:

ყეფა.

ღრენა.

წკმუტუნი.

სიხარულმა ხალხს გასაჭირი დაავიწყა და ახლა ლხინისთვის ემზადებიან. ახალგაზრდამ თამადისათვის განკუთვნილ ადგილას, პატარა მაგიდაზე, ყანწები და ფიალები დააწყო...

ბავშვები თამაშობენ. ხამსა თევზის გუნდივით, ქივილ-ხივილით ხან სად გადაინაცვლებენ და ხან სად.

ძახილი.

კარკაცი (ხმამაღალი სიცილი). კოჩამ გვანცას იაიას და კარაკუჩხას თაიგული მიართვა. (ო, რა საოცრად აუძგერდა გოგონას გული.)

რიდი.

რიდი შვენის სიყვარულს. გვანცამ წაიბორძიკა, კოჩამ ხელი შეაშველა:

- რა მოგივიდა, გვანცა? - შიში, მზრუნველობა.

წამიერი პაუზა.:

- არაფერი, - ღიმილით უპასუხებს გოგონა (დაუმალა მეგობარს, რომ თავბრუ დაეხვა.)

მამა ზაზამ სუფრა აკურთხა:

- შვილებო, ვადიდოთ ჩვენი მფარველი და შემწე, კაბადოკიელი ქართველი წმინდა მოწამე გიორგი!

თამადა გვანჯიმ პირველი სადღეგრძელო წმინდა გიორგის სადიდებლად, ორჩარექიანი დაცალა და ჯუნის დაულოცა. ყანწმა სუფრა შემოიარა.

ბედნიერი წუთები.

თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა რაღაც-რაღაცები თავ-თავის ადგილებზე დააწყო.

წამიც და ჯუნის საამო ტენორი პირველი მერცხალივით აიჭრა ცაში. მას გვანჯი აჰყვა ალერსიანი ხმით და პირველ-მეორის შეხმატკბილებას მამა ზაზას მეთაურობით შეუერთდა სუფრაზე მსხდომ მამაკაცთა ბანების დინჯი, დაგუბებული, ღრმა და მტკიცე დინება:

„ტყვეთა განმათავისუფლებელო,
გლახაკთა ხელის აღმპყრობელო,
სნეულთა მკურნალო,
მეფეთაგან უძლეველო წინამძღოლო,
დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შეწყალებასა სულთა ჩვენთათვის“

გალობენ.

გალობს ყველა და სული იწყებს დამშვიდებას. გულმაც შეება იგრძნო, გონებას დარდი დაავიწყდა. ღვინით გათამამებულმა სილაღემ აუშვა აფრები...

მუსიკალური ბგერებისა და პოეტური სიტყვების ამ ჰარმონიით ადამიანები ადიდებენ წმინდა გიორგის!

ის იყო, საგალობელი დასრულდა, რომ თითქოს ცას ვარსკვლავი მოწყდაო, გაისმა ქალის შემზარავი კივილი.

წამი!

ახლა რამდენიმე ქალი ერთად კივის. ახმაურდნენ მამაკაცები.

- რა ხდება? - იკითხა მოულოდნელობით შეცბუნებულმა თამადამ.

- არ ვიცი - უპასუხა გაკვირვებულმა ჯუნიმ...

შეძახილები:

„გვანცა!“

„გვანცა!“

„გვანცა!“

„რაო?!“ ფეხადგმული კლდე მიიჭრა შეჯგუფებულ ხალხთან. ვიღაცას ხელში აყვანილი გვანცა მოყავს...

ჩამოინგრა ზეცა!

ლომს ფეხქვეშ მიწა შეერყა.

- გვანცა! - როგორც სულის ნაწილი, აღმოხდა ჯუნის.

- არ შეგეშინდეს! - მამას ამშვიდებს კესო, რომელსაც მოჰყვება ატირებული კოჩა.

- მუნაქამა იქნება, - ჯუნის ახლა სოფლის ექიმბაში ნინუცა ამშვიდებს.

სუფრა აიშალა...

ჯუნის ოდაში, იმ საწოლზე, რომელზეც ორი წლის წინათ მისი საყვარელი მეუღლე ცაცუ გარდაიცვალა, დღეს ჯუნის თვალის სინათლე ფერდაკარგული გვანცა წევს.

მამა საწოლთან მუხლებზე დაემხო. აცახცახებული ხელებით ფრთხილად აიღო ულონო გოგონას ხელი:

- გვანცა, ბაბა! - გაბზარული ხმით ჩაიდუდუნა ლომმა.

ფერმკრთალმა მთვარემ თვალი გაახილა:

- ბაბა, ძლივს წაიჩურჩულეს ტუჩებმა.

სიხარული.

ესმის ჩემი, გაიფიქრა იმედმიცემულმა ჯუნიმ. მოეჩვენა, რომ გამოესხა არწივის ფრთები და ახლა ღვთის საუფლოში მიექანება.

მამა შვილის სუსტ ხელს ეამბორა. ციცქნა თითებზე კურცხალი დაეცა.

სითბო..

სითბო თუ დედის მოყოლილი ზღაპრის დასასრული, რომელსაც ბავშვი ძილისპირულ საამო ბურანში შეჰყავს. გოგონამ დამძიმებული ქუთუთოები ვეღარ ასწია. ჩაეძინა...

შელოცვები...

ავგაროზები სასთუმალთან დაუწყვეს... მნათემ ნაკურთხი წყალი ყოველ კუთხე-კუნჭულს მოაპკურა.

ჯუნის ფერი აღარ ადევს.

აიმედებენ ქალები.

აიმედებენ მამაკაცები...

ფიქრი.

ფიქრი მძიმე და უსაშველო. მოულოდნელად ფიქრით მოსული სინათლე: ჩემი გვანცას სიცოცხლეს წმინდა გიორგის შევავედრებო!.. გაიფიქრა. გაუხარდა. დაიბოქა. ეამბორა შვილის პატარა ფეხებს და სწრაფად ოდიდან გავიდა...

ბნელა.

მთვარე ჯერ არ ამოსულა. გახლეჩილი ღრუბლებიდან აქა-იქ ვარსკვლავები ციმციმებენ. თებერვლის ბოლო დღის სუსხია.

მიდის. ეკლესიაში შესასვლელთან შეჩერდა, შეაღო კარი, იცის, იქ ტრაპეზია. დააყოვნა. თვალი სიბნელეს შეეჩვია. ოდნავ შესამჩნევად გამოჩნდა, ტრაპეზის მარჯვენა მხარის კედელზე თეთრ ცხენზე ამხედრებულ წმინდა გიორგის დაულახვრავს გველეშაპი.

გული შეუჩერდა.

მუხლებზე დაეშვა. ორივე ხელი ზეცისკენ აღაპყრო. მზერა გაუშეშდა. გაისმა ჩურჩული: „უფალო, წმინდა მოწამე გიორგი, შენზე ვერ მონდობილი, მაჩუქე ჩემი გვანცას სიცოცხლე, მე კი, შენი მონა, ვდებ აღთქმას, წავალ ანაკლიაში და იქიდან ერთი კაცისთვის აუწეველ ტვირთს შენს ფეხებთან მოგართმევ!“

დადუმდა.

წამები დუმილით.

დუმილი წუთით. თითქოს პასუხს ელისო ზეციდან. უტყვი ღამე კი მლოცველს სურვილს დუმილით უდასტურებს. მოეჩვენა, წმინდა გიორგიმ ამ წუთას ჩასცა ლახვარი ურჩხულს და გველეშაპი სასიკვდილო აგონიაში იკლაკნება...

ჯუნიმ არ იცის, რამდენი ხანი იყო ასე,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხოლოდ ეკლესიის ჭრილებში შემოჭრილმა მზის სხივებმა ამცნეს გათენება.

გარეთ გასულმა სახლისკენ გასწია. ჭიშკართან შეშინებული შეჩერდა. ყური მიუგდო. გაიფიქრა, უბედურების ჟამმა ასეთი სიმშვიდე არ იცის, თამამად შევიდა ოდაში.

ფიქრებში ჩაძირული კესო სასთუმალთან ზის:

- როგორ არის? - იკითხა ჯუნიმ.

- მთელი ღამე ბორგავდა, ხან შენ გიხმობდა, ხან უბედურ ცაცუს, ცოტა ხნის წინ ჩაეძინა.

ჯუნი უსიტყვოდ გავიდა მეორე ოთახში. წელზე ხანჯალი შემოირტყა, გუდა და საწვიმარი ხარის ტყავი მხარზე გადაიგდო, აიღო კომბალი, შემდეგ შვილის საწოლთან დაიჩოქა, ლოგინს ფრთხილად ეამბორა და გარეთ გამოვიდა:

- რას აპირებ, ჯუნი? - ჩურჩულით იკითხა კესომ.

- ანაკლიაში მივდივარ!

- ანაკლიაში რა გინდა? - გაკვირვებას ვერ ფარავს ქალი.

- წმინდა გიორგის მივეცი აღთქმა, ჩემს გვანცას შენ გაბარებ!

- წადი და თავს გაუფრთხილდი, გვანცას კი, როგორც ჩემს კოჩას, ისე მოვუვლი!

- გმადლობთ, - თქვა და ეზოდან უსიტყვოდ გავიდა.

დილით გამოსული შუადღეს ნოჯიხევს გასცდა. საოცარია სოფელი, უტელეგრაფო და უტელეფონო ქვეყანაში, ასეულ ვერსის სიშორეზე, რა ძალამ ამცნო, რომ ჯუნი გაგუამ ქალიშვილის გადასარჩენად აღთქმა მისცა წმინდა გიორგის!

ანაკლიაში მიმავალს ყოველ სოფელში ეპატიჟებიან ღამის გასათევად, მაგრამ ჯუნი შეუჩერებლად მიდის.

მიდის.

გასცდა ნოჯიხევს. გაიარა ხობი. მიდის ჩქარი ნაბიჯით და სჯერა, აღთქმას თუ აღასრულებს, გვანცა გადარჩება.

რწმენა სასწაულმოქმედი ძალაა, მაგრამ ადამიანის ორგანიზმი საკვების გარეშე ვერ იცოცხლებს, მით უმეტეს, რომ ჯუნი მძიმე ტვირთის მოტანას შეპირდა წმინდანს, ამას კი ღონე სჭირდება...

დაღამდა.

დაღამდა და დაიღალა. ხეთაში კვიკვინიას ქერივმა მიიწვია. ჯუნიმ მიიღო ჩიტისოდენა ქალის გულწრფელი მიპატიჟება.

საღამომ ისე ჩაიარა, სიტყვა თითქმის არ გაუცვლიათ, ხოლო ნავახშმევს, როდესაც მასპინძელმა მოსვენება ოდაში შესთავაზა, ჯუნიმ ზრდილობიანად მოუბოდიშა და აგიზგიზებული კერიის პირას გრძელ კველაზე მილულა თვალი.

მთელი დღის ნასიარულევსა და მძიმე ფიქრებით დათრგუნვილს ცეცხლის ტკაცუნზე მალე ჩაეძინა. განთიადისას გარდაცვლილი მეუღლე ეზმანა. ჯუნი ეძახდა, მან კი ერთხელაც არ მოიხედა, ისე გაქრა...

წამოიჭრა. ქვრივს ტაბაკზე საუზმე უკვე გაეწყო. ჯუნიმ პირზე წყალი შეისხა, მაგრამ არ ასვენებს ფიქრი: რატომ მემდურის ჩემი ცაცუ, რატომ ერთხელ მაინც არ მომხედა?!..

ჯუნის სჯერა, რომ სიზმარიც ადამიანების სიცოცხლის ისეთივე ნაწილია, როგორც მომავალი, წარსული და დღევანდელი დღე. მაშ, რატომ ერთხელაც არ მოიხედა, ნუთუ რაღაც ვერ არის ისე, როგორც უნდა იყოს?!.

მასპინძელმა გუდაში საგზალი ჩაუწყო. აღთქმამიცემულმა გულით დალოცა და გაუდგა გზას.

ჭაობიანია კოლხეთის მიწა, ეს გზა კი მის შუაგულში გადის და, თუ ბილიკები არ იცი, გაგიჭირდება სიარული. ჯუნი აქ ბევრჯერ არის ნამყოფი და კარგად იცის, რომელი ბილიკით უნდა იაროს.

განთიადის მოლოდინში მთვარე კარგა ხნის ჩაძინებული იყო, მალე ვარსკვლავებიც გაქრნენ. კიდევ რამდენიმე წუთი და აღმოსავლეთს მტრედისფერმა გაჰკრა, მალე ჩიტუნებმა განთიადის სამახარობლო სიმღერა დაიწყეს. ახმიანდა მიდამო. ახედა ცას, გაუხარდა, კარგი დარი იქნებაო... ნაცნობი ადგილები, სულ მალე მდინარე მუნჩია გამოჩნდება. ნაწვიმარზე ადიდებული იქნება, მაგრამ მოვლით ხიდამდის ზედმეტი ათი ვერსის გავლა მაინც მოუწევს. შეაწუხა ფიქრმა. როგორ მოვიქცე, ეკითხება თავის თავს... არა, არა, გავცურავ, მიიღო გადაწყვეტილება და განაგრძო გზა..

მიმავალს უკანა მხრიდან საეჭვო ხმაური მოესმა. მოიხედა, ღიჭიანში გაშეშებული მგლის თავი შეამჩნია. ძუს გვერდით მოზრდილი ლეკვის წრიალი რომ არა, ნადირს ვერც კი შეამჩნევდა. მზერა მარჯვენივ გადაიტანა. გული შეეკუმშა, აქ ორი მგელი დგას: მარტო არ ყოფილა, გაუელვა ფიქრმა, ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარცხნივ გაიხედა - ერთი აქ დგას...

ჯუნიმ იცის, ავი და დაუნდობელია მაზარუ გერი, ერთი წინიდან რომ მოგიხტება, მეორე უკნიდან დაგესხმის, გაიფიქრა, ალყა შემომ-არტყეს!..

ხანჯალს ხელი მოუჭირა...

ფიქრი.

ფიქრი დაძაბული. გზა განაგრძოს თუ ხეზე ავიდეს?

შეჩერდა, ტყეში გაისმა მარტოკაცის ხმა: „წმინდა გიორგი, აღთქმის აღსასრულებლად მომეცი ძალა!“

ყოყმანი, იაროს თუ?.. მოულოდნელად ზეციდან ჩამოესმა ხმა: „გვანცა!“ საოცარი ძალა იგრძნო. გადადგა ნაბიჯი. წინ მყოფმა ორმა მგელმა გზა დაუთმო, უკან მყოფნი კი მიუახლოვდნენ. ეს სახიფათო მანძილია. გაფრთხილდა. დასწვდა კარგა მოზრდილ ხის ტოტს, ესროლა, ძუმ აიცდინა, ხოლო ლეკვი, რომელსაც ფერდში მოხვდა, გნიასით ღიჭიანში შევარდა. ძუს აებურძგნა ბალანი. მიუხედა ნაშიერს. ადამიანმა დრო იხელთა და გაიფიქრა, სანამ გონს მოვიდოდნენ, მდინარესთან მივასწრებო. შემობრუნდა, გადადგა ნაბიჯი, ნადირი გზას არ უთმობს...

ფიქრი: „ჩემი გადარჩენა, გვანცას სიცოცხლის გადარჩენაა!“ „მარჯვენა ხელში კომბალი დაიჭირა, მარცხენაში ხანჯალი. უკნიდან მომხდურმა ფეხში რომ არ სტაცოს კბილი, წელში მოიხარა, თვალების ცეცებით გასწია მდინარისაკენ.

მიდის. უკნიდან თავდასხმის არ ეშინია, რადგან ზურგზე გუდა ჰკიდია და ადვილად ვერას დააკლებენ.

მიდის ჩამუხლული.

მიდის დაძაბული მზერით. კიდევ უფრო მეტად მოიხარა, კაცი ძაფის ვეებერთელა გორგალივით მიგორავს.

მგელს ჩვევა აქვს, მსხვერპლს ჯერ დააფრთხობს და გააქცევს, შემდეგ გაქცეულს უკანალზე დაეკიდება, ხოლო თავზარდაცემული სანამ მოშორებას მოახერხებდეს, მეორე წინ კისერზე დაეკიდება და ახრჩობს... და მორჩა, მსხვერპლი განწირულია. ადამიანმა იცის ნადირის ეს ხერხი და არ გარბის.

მდინარემდის ორი საჟენიღა რჩება... ფიქრი, გაქცევით მგლებს მდინარეში ჩავასწრებ?..

წამი. დაყოვნება არ შეიძლება. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, ახლა კი შეიძლება გაქცევა, მაგრამ არ დასცალდა, მგლებმა ოთხივე მხრიდან შემოურბინეს. ერთი უკან, გუდაზე, ღრენით დაეკიდა, ორი წინიდან უტევს. ერთს ხანჯალი აძგერა, მეორემ დაასწრო და მოქნეულ კომბალს კბილებით ჩაეჭიდა...

ჯუნის ფეხებქვეშ საყრდენი გამოეცალა. წყლის დინებით ფუძეგამოცლილი მიწა ჩაინგრა. ადამიანი და ნადირი წყალმა გაიტაცა.

მხეცები შეეშვნენ მსხვერპლს. ჯუნიმ მხარული დაჰკრა. შეშლილი დინება კი ხან ადამიანს ამოაგდებს და ხან ნადირს. მხეციცა და ადამიანიც იბრძვის სიცოცხლის გადასარჩენად.

გაღმა ნაპირზე მდგარი მონადირე თვალს არ აშორებს ადამიანისა და მგლების ხროვის ბრძოლაში, როგორ ჩაერია სტიქია. ეს რა გაბედული ვაჟკაცი ყოფილა, უკვირს მონადირეს. ჯუნი ცურვით მიჰყვება დინებას. გაღმა მყოფი, სირბილით, გაჰყვა დინებას, იქნება დავეხმარო წყალწაღებულს... სადაც კალაპოტი ვიწროვდება, იქ წყლის სისწრაფე მატულობს. მეთვალყურეს დაეკარგა წყალწაღებული. სინანული, ნუთუ დაიღუპა?

წამები.

წუთი... დაინახა, ადამიანი ცურვით მოჰყვება დინებას. გაიხარა - გადარჩა!

- აქეთ, აქეთ! - ყვირის ნაპირზე მდგარი.

ძახილი არ ესმის. ცდილობს ნაპირს მიაღწიოს. უახლოვდება. ნაპირზე მდგომმა თოკი გადაუგდო. ჯუნი ჩაეჭიდა. მონადირეს უხარია, ვიხსენი; ამ დროს ტალღამ მგლის ლეკვი ამოაგდო, ჯუნის კი გონებაში გაუელვა, თუ მგლის ლეკვს დავიხსნი, გვანცა გადარჩება. ჯუნი გადაეშვა მდინარეში.

- შეიშალა! - იყვირა გაოცებულმა მონადირემ.

წამები... და რას ხედავს, მგლის ლეკვამოღლიავებული ადამიანი ნაპირზე გადმოწოლილ ტირიფის ტოტს მოეკიდა... კიდევ რამდენიმე წუთი და მგლისლეკვამოღლიავებული სამშვიდობოს გამოვიდა. ამოსასუნთქად დაჯდა. ახლა იგრძნო ნადირის სითბო. ესიამოვნა. გალუმპული ლეკვი ადამიანს შესცქერის და შიშით ცახცახებს.

მონადირემ დახედა დასასვენებლად დამჯდარს. ჩავალო გაიფიქრა, რომ შიშის ჟრუანტელმა მთელ ტანში გაუარა. ადამიანისაგან სულ რამდენიმე საჟენის მოშორებით ექვსი მგელი ზის.

შიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შიში თუ თავზარი - მგლებმა არ გაიგონო ჩემი ფეხის ხმა და ადგილზე გაინაბა.

ხროვა ჯუნიმაც დაინახა. რამდენი ყოფილა, ცარიელი ხელებით რას გავხდები! ლეკვი მიწაზე დასვა:

- წადი შენს დედასთან! - ჩურჩულებს ადამიანი.

ლეკვმა ბეწვი გაიბერტყა და დედასთან გაიქცა. ძუმ ალოკა ნაშიერი.

ჯუნის ფიქრი: ახლა დამესხმიან!

წამები.

წუთი. ძუმ მთელი ხმით შეჰყმუვლა, შემდეგ სხვებმაც და ხროვამ ტყეს მისცა თავი.

ნუთუ მგლებმა მადლობა მითხრეს? - უკვირს ჯუნის.

გონსმოსულ მონადირეს კი მოეჩვენა, რომ ადამიანი კი არა, ეშმაკი ზის, რომელსაც მგლის ხროვამაც კი ვერ შეჰბედა თავდასხმა და შეშინებული ფეხაკრეფით გაიპარა...

ჯუნი გაოგნებული ზის. სველი ტანსაცმელი სხეულს მიეკრა, მხოლოდ ახლა იგრძნო სიცივე. ფიხხები შეაგროვა. გუდაში ტალი და კვესი მოიძებნა. ცოტაც და აგიზგიზებულ ცეცხლს მიუჯდა.

ნეტარებაა გათოშილისათვის ცეცხლი, ხოლო ჯუნისათვის უფრო მეტ ნეტარებად გადაიქცა რწმენა - გვანცა გადარჩება!

იმედი.

იმედი ხომ სიცოცხლის უტკბილესი წუთია?!.

ანაკლიის ნავსადგურში ორი თურქული გემი დგას. მეპატრონეები თხილის საყიდლად ნაპირზე გადმოვიდნენ, მეზღვაურები კი არყით დასათრობად.

კვირა დღეა. ის იყო, თურქმა გლეხებს თხილის საფასური გადაუხადა, რომ დანახულმა გაიოცა, ოთხმა ჯანიანმა ახალგაზრდამ მეხუთეს ზურგზე ქანგმოკიდებული ღუზა დაადო. თურქს ინტერესმა სძლია. მივიდა ახალგაზრდებთან:

- რათ გინდათ ეს ღუზა?

- იმ კაცმა წმინდა გიორგის აღთქმა მისცა, ოღონდ ჩემი ქალიშვილი გადამირჩინე და ანაკლიიდან მძიმე ტვირთს შენს ფეხებთან მოგართმევო.

გაოცება.

- სად უნდა მიუტანოს?

- აქიდან ორასი ვერსის დაშორებით!

ამასობაში ჯუნიმ ასი საქენი მაინც გაიარა... თურქი მიმავალ ჯუნის დაეწია:

- აჰა, შენ! - თქვა და ოქროს ფული გაუწოდა.

გაკვირვებულმა ჯუნიმ თურქს შეხედა:

- რისთვის მაძლევ?

- მე ვაჟი მყავს ლოგინად ჩავარდნილი

შეხედა ჯუნიმ.

გთხოვ, შენს ღმერთს ჩემი შვილიც შეავედრე!

მთელი დღე იარა. ის დროა, როდესაც სიბნელე სინათლეს ჯაბნის. გზაზე ჭრელი ძაღლი აეკიდა: „რაო, ბათურა, ვინმემ ხომ არ შეგაშინა?“ გამოელაპარაკა ჯუნი. შავთეთრა კუდის ქიცინით მიუახლოვდა. შესცქერის თვალებში. არა, ეს არ იყო ლაქუცი, ეს იყო მუდარა, არ გამაგდოო. კვლავ გაისმა ჯუნის მშვიდი ხმა:

„ასე რატომ ცახცახებ?“ სადღაც მგელია, გაიფიქრა და ხანჯალი ქარქაშიდან დააძრო.

მიდის.

მიდის თვალების ცეცებით. შეშინებული პირუტყვი ფეხებქვეშ ებლანდება. შეჩერდა. მიმოიხედა. სიბნელიდან ორმა ლურჯ-მოყვითალო სინათლემ შემოანათა. მგელია, ჩაილაპარაკა. ეტყობა, ერთია, თორემ ასე ჩუმათ არ იქნებოდა. განაგრძო გზა.

მთელი საათი იარა. უკუნი სიბნელე ჩამოწვა. რატომ აგვიანებს მთვარე ამოსვლას, ჩაილაპარაკა, პასუხად შორიდან რამდენიმე მგლის ყმუილი მოესმა. ასე სვლა სახიფათოა, მაგრამ ამ საბრალო ჭრელას რა მოუხერხოს, ამას ხომ ხეზე ვერ აიყვანს! განაგრძო გზა. ძაღლი ლამის ფეხებქვეშ ჩაუვარდეს. ცოტაც გაიარა, მაზარე მგლის ყმუილი ახლოს გაისმა. გაიფიქრა - გვიყნოსეს. ხანჯალს ხელი მოუჭირა.

ხმაური.

ღრენა, ყმუილი. ორმა ნადირმა შლიგინით ჩაურბინა. წინიდან დამესხმიან თავს თუ უკნიდან. მგელი წინიდან თავს არ ესხმის. გაიფიქრა. ორმა უკანა მხრიდან მიაყმუვლა. ფიქრი: ალყა შემომარტყეს! თავდასხმისათვის ემზადებიან! წინ გაიხედა, საიმედო ხეს დაუწყო ძებნა... სიხარული, ტყეში ცეცხლი შეამჩნია. უჩქარა ნაბიჯს...

კოცონთან შუახნის მამაკაცი ზის, ცარიელი ურემი კოკინიაზე შეუყენებია. ხარები იქვე თოკით დაუბამს.

- ვინ ხარ? - გაისმა ცეცხლთან მჯდომის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ქრისტიანი! – ჯუნი ურემთან ახლოს შეჩერდა. ძაღლი არ შორდება.

- ეს რა მოგაქვს? – უკვირს ცეცხლთან მჯდომს.

- ღუზა.

- რათ გინდა?

- წმინდა გიორგის აღთქმა მივეცი, – თქვა და ღუზა ურემზე დადო.

აუუუუ! – იყმუვლა ერთმა მგელმა.

აუუუ! – სხვადასხვა მხრიდან გაისმა მაზარუს ყმუილი. თავზარმა გრიგალივით გადაუარა ღამეულ ტყეს. შეშინებულმა ხარებმა ზმუილით სცადეს თოკის აწყვეტა. მეურმის თვალებში შიში აენთო.

შფოთი.

შფოთი შიშით. საოცარია, მაგრამ მგელზე ბევრად ღონიერ ხარებს თავზარს სცემს ნადირის ყმუილი.

მეურმე წამოხტა:

- აშოო! – შესძახა პირუტყვს და სახრე გადაუქნია.

აააუუუუ...

აააუუუუ...გაისმა ყოველ მხრიდან.

აააუუუუ, ზარს სცემს ხროვა. დაბმული ხარების შფოთი სახიფათო ხდება. მეურმემ სახრეს დაავლო ხელი. ჯუნი წინ გადაუდგა:

- შეშინებულს ყვირილი და ცემა კი არა, მოფერება უნდა! – მეურმეს არიგებს ჯუნი.

- რა დროს მოფერებაა...

ჯუნი ხარებთან მივიდა. ალერსიანად კისერზე ხელი მოუსვა:

- დაწყნარდი, ლომა; ახლა მეორე ხარსაც მოეფარა...

ხარებმა შეშინებული თვალები შეანათეს ადამიანს. პირუტყვი ოდნავ დამშვიდდა.

- ცემითა და გაწყრომით შიშს ვერ განუქარვებ!

- ეს ორია ჩემი ოჯახის მარჩენალი, – კვნესით აღმოხდა მეურმეს.

- გასაგებია, მაგრამ უგუნურებით სიკეთეს ვერ შეინარჩუნებ!

მეურმეს პასუხი არ გაუცია...

- ძაღლი შენია? – იკითხა მამაკაცმა.

- არა, გზაზე მომეკედლა...

აააუუუუ...

აააუუუუ... ისმის ყოველმხრიდან ყმუილი და ნადირის შლიგინი.

- ავად შემოგვიტიეს! – ბურდღუნებს შეშინებული მეურმე.

- ცეცხლთან მოსვლას ვერ გაბედავენ! – ამშვიდებს ჯუნი.

აააუუუუ...

აააუუუუ... მატულობს ნადირის შფოთი და ღრიალი. შფოთავენ ხარები.

მუუუუ! – ისმის დაბმული ხარების საშველად მოხმობილი ზმუილი. ერთი მგლის სილუეტი გაანათა ცეცხლის ალმა. ძაღლი ჯუნის ფეხებთან ცახცახებს. მეურმემ ძაღლს ხელი დაავლო.

- რას ჩადიხარ! – იყვირა ჯუნიმ.

- მგლებს მივუგდებ, იქნებ მოგვეშვან! – ასწია ძაღლი.

გაისმა თავზარდაცემული ძაღლის წკავილი.

- არ გაბედო! – იყვირა ფეხზე წამომხტარმა ჯუნიმ.

- ჩვენს გაწირვას ამის გაწირვა არ სჯობს! – თქვა და, ის იყო, საბრალო ბარდებში უნდა გადაეგდო, რომ ჯუნიმ მხარზე ძლიერი დარტყმით მეურმე მიწაზე დასცა.

- ადამიანი კი არა, ვირთხა ხარ! – ზიზღით მიახალა ჯუნიმ.

- ეს ხარები რომ დამეკარგოს, ჩემი ცოდვა არ გაგახარებს!..

- უბედურო, შიშით არავის არასოდეს არ დაუხსნია თავი! – თქვა და შეშინებული ჭრელა ფეხებთან დაიწვინა.

ის ღამე ადამიანმა, პირუტყვმა და ნადირმა თეთრად გაათენეს. ჭრელა ჯუნის არ მოშორებია. მარტის თვის დასაწყისმა მშვიდობიანად შემოდგა ფეხი...

ჯუნიმ და ჭრელამ განაგრძეს გზა.

მიდიან.

მიდიან უსიტყვოდ. ჯუნის თავისი განვლილი სიცოცხლე ზღაპრად მოეჩვენა. მშობლიური ადგილების გამოჩენამ გული აუძგერა. მხოლოდ ერთი ფიქრი: როგორ არის გვანცა!

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როდესაც ჯუნიმ ეკლესიის ეზოში შედგა ფეხი.

სიჩუმე.

სიბნელით დაფარული სიჩუმე. სადღაც შორს ძაღლის ყეფა მოესმა. შემდეგ მამალმა იყივლა. განთიადი მოახლოებულა, გაიფიქრა და ეკლესიის კარი შეაღო. წმინდა გიორგის გამოსახულების ფეხებთან დადო მოტანილი ტვირთი.

- უფალო, პირობა აღვასრულე! – წარმოთქვა.

- „მუხლებზე დაემხე!“ ჩამოესმა ზეციდან ხმა. შეშინებული მუხლებზე დაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ილოცე!

ილოცე! – ჩასძახის საკუთარი მე.

– წმინდაო გიორგი, გევედრები, მაჩუქე ჩემი გვანცას სიცოცხლე! – სხვისი სიმღერასავით ჩაესმა საკუთარი ხმა... ცოტაც და დაღლილობით მოსული ძილის საამო ბურანმა მოიცვა მისი არსება... მზე თვალის მომჭრელად ანათებს. ცაზე რაღაც ფრინველი ილანდება. დაეშვა. უკვირს, ასეთი არაფერი უნახავს. მიუახლოვდა. ფრინველი მისკენ ზურგით დგას.

უყურებს, ვინ არის?.. შემობრუნდა.

– ცაცუ! – აღმოხდა გახარებულს.

ქალმა გაუღიმა:

– მე ვარ, შენი ცაცუ. – თქვა და გადადგა ნაბიჯი.

– ცაცუ, თოლიგე, სად მიდიხარ?

– შენთან მოვედი...

– მომენატრე...

– წამოდი ჩემთან!

– როგორ, გვანცა მარტო დავტოვოთ?..

– რატომ მარტო, დღე მზესთან იქნება, ღამე მთვარესთან!..

– არა, არა,... სიზმარში შფოთავს ჯუნი...

მზიანი დღეა. შუადღე ახლოვდება. ჯუნი საკუთარმა ხმამ გამოაღვიძა. წამოხტა. მზე, გაუხარდა. გარეთ ხალხი შეიკრიბა. ყველას პირზე ეკერა:„ჯუნი მოვიდა!“

ბავშვები დამალობანას თამაშობენ. ფანჯარასთან მდგარ გვანცას გაუკვირდა, ბავშვები რატომ აირივნენ. კოჩამ ოდასთან მიირბინა:

– გვანცა, შენი ბაბაია მოვიდა!

– ბაბაია! – შეჰკივლა გახარებულმა გოგონამ და ფეხშიშველი ეზოში გამოვარდა.

ჯუნიმ გოგონა დაინახა:

– გვანცა! – იყვირა და იქვე ჩაიკეცა. გვანცა მოეხვია. ჯუნის გოგონა აღარ დაუნახავს, მხოლოდ ყურებში ჩაესმის სანატრელის ხმა, რომელიც ნელ-ნელა სადღაც შორეთში იკარგება. ცაცუმ ხელი ჩაავლო და ცის სივრცეში მიაქანებს სასურველ ადამიანს.

– ბაბაია, ჩქიმი ბაბაია, – ეალერსება გოგონა მამას.

გვანცა მამის დუმილმა შეაშინა...

კესარიამ ჯუნის თვალები დაუხუჭა.

P.S.

დღესაც დგას სუროშთენილი, ნახევრად დანგრეული ეკლესიის შენობა. დროსა და წვიმა-თოვლს წმინდა გიორგის თვალები და მის მიერ დალახვრული გველეშაპის კუდიღა გადაურჩა.

აქ მოსულს, დღესაც აკვირვებს, ანაკლიიდან ამ სიმძიმე ტვირთის მოტანა როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა.





ეროვნული ბიბლიოთეკა



ამირან ახობაძეს ვულოცავთ დაბადების მე–60 წლისთავს და „ცისკრის" მკითხველს ვთავაზობთ პოეტის ახალ ლექსებს.



# ამირან ახობაძე

## ამ საწუთროში

ახალშობილო
პატარა ნერგო
წახველ... ამავსე სევდით,
ამ საწუთროში,
რა უცებ გერგო -
ბაბუაწვერას ბედი...

## ეგ თვალები

როცა წარსულში
ფიქრით ვიწყებ ხოლმე ბორიალს,
გამახსენდება,
რომ გიყვარდა ჩემი წვალება...
დღეს ისე მიცქერ,
ეგ თვალები, ასე მგონია,
მთხოვდეს შენდობას
და შეწყალებას.

## ზოგს კი...

წარსულში დარჩეს
წარსული რაც არი,
ნუ ყვები იმ ძველ ამბებს...
ზოგს სიყვარული
ცხოვრებას ასწავლის,
ზოგს კი ბავშვივით აბნევს.

## ნეტავი სულაც

ამ სულზე, ხელი
ისე შემახე, -
აქ მოსვლას მარტოდ
ყოფნა მერჩივნა...
ნეტავი, სულაც
აღარ მენახე
და ძველი სითბო
გადამერჩინა.

## მაშინ მითხარი...

ამ ქვეყანაზე, სად არ მივლია,
რა არ მინახავს ამ ქვეყანაზე...
იგი ღიმილი, რა ღიმილია,
თუ ნიღბით სახეს გაილამაზებ.

აი, ეს კაცი, - მაგრად მიყვარსო, -
გიბრძანებია ადრე, მირანდა,
მაგრამ თუ ნიღბით თავს აწონებდი
მაშინ მითხარი, როგორ გიყვარდა?

## ღვთის გზას მიენდე

ყოველთვის სხვისი გაწუხებს დარდი,
გული გაქვს მართლაც წმინდაზე წმინდა,
შენს გვერდით ბევრი კეთილი დადის,
ნიშნის მომგები? - რამდენიც გინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



როცა მაგ სულზე ბევრი ხელს გახლებს,
როცა ამდენი ტრიალებს ცოდვა,
შეინარჩუნო შენ შენი სახე,
ჩემო მამულო, არ არის ცოტა.

მძიმე დღეები ვერ დაგამცირებს
ტკივილებით და სევდით მოცულო...
შენს ყოველ ნაბიჯს თვალს არ ვაცილებ,
შენს გადარჩენას ისევ ვლოცულობ.

რომ გამეფანტა ზოგჯერ იჭვები,
ხშირად მტრის სისხლი მკერდზე მიმახმა.
შენ ერთმა იცი, როგორ მჭირდები,
შენ ერთმა იცი, როგორ მიყვარხარ.

იქნებ, ხვალის მზე სხვა შუქს იმეტებს,
იქნებ ნანატრი დადგეს ამინდი,
რაც მთავარია, ღვთის გზას მიენდე,
რომელიც ტაძრის იქით არ მიდის.

## მე კი ყოველთვის

ამ სახლში, ისევ იმ გრძნობით მხვდები,
კვლავ მოფერების მომეცა ნება...
გადატალღული ეგ შავი თმები
ჩემს მკერდზე ღამის ჩრდილებად წვება.

ხვალ, არვინ იცის, ლამაზო ხვითო,
ამ გზაზე, ვის რა იღბალი უცდის,
მე კი ყოველთვის გამყვება სითბოდ
ამ·ღამის ყველა წამი და წუთი.

## მეგობრის საფლავთან

ვიცი,
რომ დიდხანს
მეც არ ვიქნები,
მეც შენებრ მშთანთქავს
დრო - სატიალე...
აქ, რამდენს მოვალ,
ჩემი ფიქრები,
მხოლოდ სიკვდილის
ირგვლივ ტრიალებს.

## იმ წვას

ამ დღეთა ქროლვას თუ დღეთა ნიავს
ბევრჯერ ავყევით და გაგვაწბილა...
აწყვეტილ დრო-ჟამს რა ჯიქურ მიაქვს
ჩვენი სიცოცხლე ნაწილ-ნაწილად.

ზოგს გაურბოდა სიბნელე ღამის,
ისეთი ჰქონდა ფასი და წონა...
მერე, ო, მერე გამოხტა ჟამი,
აღარ შემორჩა ბევრი რამ ხსოვნას.

ჩავლილო დღეო, კარგად გამიგე,
ტკივილს ტკივილით ნუ შემილახავ,
იმ წვას, რაც შენთვის ასე გავიღე
ალბათ, მოუვლი და შემინახავ.

## ვინც წლობით ბჟუტავს

თურმე, შენ ძილში მწვერვალებს ფეხი
დაადგი... ახდა დიდი ხნის ნატვრა...
სიზმარში მართლაც ვეფხვი ხარ, ვეფხვი,
სიცხადეში კი ვეფხვივით კატა.

ოცნების გზაზე, დაცლილი მიხვალ,
ათვალიერებ უაზროდ სივრცეს...
ვინც წლობით ბჟუტავს, მერწმუნე, ის ხვალ
არ შეიძლება დიდ შუქად იქცეს.

## ნიკო სამადაშვილს

ვხედავ, დღეს ასე ხელფეხგახსნილი
მიემართები მაღლა...
რამდენი კიდევ მივიწყებული
სინათლეს ელის ახლაც.

არ ვიცი, ზოგჯერ რა გვემართება
ალბათ, თვალს გვიან ვახელთ...
სიკვდილის მერე მიუბრუნდებით
ზოგის მტვერწაყრილ სახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლოს და ბოლოს ხომ დავინახეთ
შენი ცეცხლი და ნიჭი...
მაგრამ ვაი, რომ ზოგის დანახვაც
სიკვდილის მერეც გვიჭირს.

## აეროდრომზე

გამოგარჩიე უამრავ მგზავრში
თავისებური პეწით და ეშხით,
უეცრად ისე ჩამხედე თვალში
შენი შემოსვლა ვიგრძენი ჩემში.

რახან გვაჩქარებს ყოველი წამი,
მოდი, გაცნობაც მოვასწროთ ბარემ, -
თორემ საცაა დარეკავს ჟამი
და გავფრინდებით სხვადახვა მხარეს.

## ამიტომ მსურს

ზოგიერთი დღისით, ღამით
მარტო ფიქრებს უნდება
და ზოგს კიდევ სუყველაფერს
ურჩევნია ეს ჩერო...
რადგან ზოგი ახლოს მისვლით
უფრო უფერულდება,
ამიტომ მსურს სულ შორს იდგე,
სულ ლამაზი მეჩვენო.

## მაგრამ, შენ მაინც

რახან არ არი -
სხვა ხსნა, საშველი...
ებრძვი წუთებს და წამებს...
ჯერ, მაგ სიცოცხლის კვალის წამშლელი
ღმერთმა გაშოროს ღამე.

იცი, სულ რაღაც
ახლოს ხმაურობს
შავი სიკვდილის ცელი,
მაგრამ, შენ, მაინც არ დაიჩოქო,
არ დამანახო ცრემლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა ფირალიშვილი

# ერთი საღამო

გოგის ყველაფრის დასაწყისად ის დღე მიაჩნდა, აივანზე გადამდგარმა, ანიკოს სიკვდილი რომ ინატრა. ცხადია, ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო, მაგრამ იმის გახსენება რომ მოენდომებინა, როდის აგორდა ამბავი, რომლის ჯიუტ გულმოდგინებასაც ერთადერთი სიტყვა, ბედისწერა თუ ახსნიდა, არაფერი გამოუვიდოდა. ადრინდელიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ თუ აგონდებოდა რამე, პირველ რიგში კი ის საღამო, ელენესთან ერთად რომ გაატარა და მის მეხსიერებას იმ წამიერი განცდის სახით შემორჩენოდა, მაშინ რომ დაეუფლა ქალიშვილთან საუბარში გართულს, დამორცხვებულსა და გათამამების მცდელს: უცებ იგრძნო, რომ მასა და ელენეს შორის უკვე არსებობდა რაღაც ჩანასახი ერთობისა, რომლისკენაც მიისწრაფოდნენ ორივენი. ეს არ იყო სიყვარული ან ნდომა. ეს რაღაც სულ სხვა იყო და ბოროტი აქ არაფერი ეგულებოდა, არც მაშინ და არც მას შემდეგ, პირიქით, მიუწვდომლად მშვენიერადაც ესახებოდა. ამბის ნამდვილი დედა კი ის დღე იყო, სახლში იმ ხანებში აკვიატებული მძიმე განწყობით რომ დაბრუნდა და უკვე მძიმე დღეში მყოფი ანიკოს სიტყვებზე, როგორ გაგაწვალე, შე საწყალოო, ისე გაღიზიანდა, აივანზე გავიდა, არაფერი რომ არ შესტყობოდა, სწორედ მაშინ, არეული და აფორიაქებული სიგარეტს რომ ეწეოდა, თან ცდილობდა, მის ფიქრებში გამოკვეთილიყო აზრი, რომ ანა არაფერ შუაში იყო, სრულიად უაზროდ გაღიზიანდა, თან დამნაშავე თვითონვე იყო, რადგან მისი გაღიზიანების თავი და ბოლო ელენესთან, ახლა უკვე მათეიშვილების, მისი კარის მეზობლების რძალთან წამოწყებული თამაში იყო. ანიკოს სიკვდილი ინატრა. ეს ნატვრა თითქოს დაუკითხავად მოევლინა და გააწვალა, ბრძოლაში გაატარებინა ანას სიკვდილამდე დარჩენილი დღეები: ცალკე მეუღლის მძიმე მდგომარეობას განიცდიდა, ცალკე კი ცდილობდა, ფიქრები დაემორჩილებინა, უხეშად შემოჩენილი და ჭუჭყიანით მოდებული ნატვრა მოესპო ან მიეჩქმალა მაინც; შემთხვევით რამედ მიეჩნია და დამშვიდებულიყო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. საკმარისი იყო, ოდნავ გართულიყო ოცნებაში, ერთხელ მაინც დასდგომოდა თვალწინ ელენე, მეზობელი ბინის რომელიმე ოთახში, საშინაოდ გამოწყობილი, თავისი მთელემარე და მუდამ გაღვიძების მომლოდინე ვნებებით, თავისი მარტოობით ამ დიდ, უგემოვნოდ გაწყობილ ოთახებში, სადაც ოჯახის უფროსი საგანგებოდ ცდილობდა საზეიმო განწყობილების შექმნას, რომ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ეს ქალი მუდამ ერთნაირი ჰყავდა წარმოდგენილი: ცუდად დამორჩილებული მზერით, ნაძალადევი ქცევით, განაბული და გადარაჯებული, შესამჩნევად გაღიზიანებული და შემცბარი, ალბათ, ერთი კუნჭულიც არა ჰქონდა ამ ბინაში ისეთი, სადაც შეეძლო მცირეოდენად მაინც გათავისუფლებულიყო, არ ეფიქრა იმაზე, თუ როგორ იქცეოდა, როგორ იცქირებოდა, ყველა ღილი შეკრული ჰქონდა თუ არა და, რას ფიქრობდა მასზე მამამთილი, ბატონი ნიკოლოზი, რომელიც თავს ვალდებულად თვლიდა ყველასთან ერთნაირად მომთმენი და მკაცრი ყოფილიყო, თუმცა კი თავისი უმცროსი ვაჟის თანდასწრებით ერთბაშად მოტყდებოდა ხოლმე; ქალს ხშირად ალბათ იმის გამოხატვაც უწევდა, თუ როგორ ენატრებოდა თავისი ცხრა მთას იქით გადაკარგული ქმარი, განსაკუთრებით კი მაზლის დასანახად, რომელიც, რასაკვირველია, არ მოასვენებდა, მუდამ აგრძნობინებდა, რომ მან რაღაც იცოდა, თუ არ იცოდა, ხვდებოდა მაინც, თუმცა კი, შესაძლოა, აზრზეც არ იყო, რა უნდა სცოდნოდა. გოგის ვერ გაეგო, რა ექაჩებოდა ამ ქალისკენ, მით უმეტეს რომ, მასთან ერთად გატარებული იმ საღამოს შემდეგვე მიხვდა, ელენე არ იყო ნამდვილი ქალი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა



არც კაცისთვის მშვიდი, უშფოთველი სამოთხის შექმნის უნარით იყო დაჯილდოებული. ბუნებას მისთვის, შემთხვევით, მამაკაცური პატივმოყვარეობა ერგუნებინა და ტანჯავდა ეს, ქალობის გაწევის ძალას მხოლოდ მანამ აძლევდა, სანამ პატივმოყვარეობა მთვლემარე და მინაბული იყო. მაშინაც კი, როდესაც კეკლუცობდა და ცდილობდა, მომხიბლავ, ქარაფშუტა ქალად გამოჩენილიყო, გოგი მხოლოდ მისთვის გასაგები ნიშნებით გრძნობდა მასში განაბულ მამაკაცს, გატანჯულს იმით, რომ არასოდეს ეწერა გათავისუფლება, იმითაც, რომ ასე დაუნდობლად ებრძოდნენ და კლავდნენ ქალობის სასოწარკვეთილი ცდებით. გოგისთან წამოწყებული თამაში კი ცდა იყო, ცდა, როგორმე დასჯერებოდა იმას, რითი დაკმაყოფილებაც არ შეეძლო. იგი არ მალავდა, რომ მოსწონდა გოგი. მეზობლური შეხვედრისას თავისი ახალი ოჯახის წევრების თანდასწრებითაც კი იწვევდა ხოლმე, თან ისე ოსტატურად, რომ ეს მხოლოდ მათ ორს სცოდნოდათ. იმგვარი შთაბეჭდილების შექმნასაც ახერხებდა, თითქოს ეს, სხვა ქალების მსგავსად, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქალური ძალმოსილების საბუთად ესაჭიროებოდა და მეტი არაფერი, მაგრამ მამაკაცი მაინც ულმობლად იჭვრიტებოდა ამ ქალის არადედაკაცურად გონიერი, ფხიზელი, ოდნავ ელამი თვალებიდან. გოგის ერთდროულად ეჯავრებოდა იგი, ებრალებოდა და საოცარი ძალით მიისწრაფოდა მისკენ, თითქოს ისევ და ისევ იმ მამაკაცის დასამარცხებლად და იცოდა, რომ თუკი ელენეს ოდესმე ეზიზღებოდა იგი, სწორედ ამ სიბრალულის გამო, ან კიდევ იმის გამო, რომ ასე გამოამზეურა მისი საიდუმლო, ხოლო თუკი ისიც მიისწრაფოდა გოგისკენ, ალბათ, ისევ და ისევ ამ თანაგრძნობის გამო, რადგან ამგვარ თანაგრძნობას ვერავინ გაუწევდა მას, ვერც მშობელი, ვერც და, ვერც ქმარი, თავის დიდებისმოყვარე ზრახვებს აყოლილი ერთ შორეულ ქალაქში რომ იყო გადაკარგული და იქიდან გრძელ წერილებს იწერებოდა თავისი წარმატებების შესახებ, დაწვრილებით აღწერდა, ვინ შეაქო და როგორ. მხოლოდ გოგის შეეძლო ეს, მხოლოდ მას შეეძლო გაეთავისუფლებინა ელენე მათეიშვილების ოჯახის სულისშემძვრელი მხუთრისაგან და გოგიც ამით იმართლებდა თავს, ამით ინიჭებდა უფლებას, ელენეზე ეფიქრა და საოცარი, ხშირად კი ყოვლად უმწეო ოსტატობით გაჰქცეოდა სინდისის ქენჯნას, იმ ფიქრს, რომ ანას ღალატობდა.

არადა, თვითონვე ეჭვიანობდა ამავე დროს. ხანდახან სახლიდან ხუთიოდე წუთით გასვლა არ უნდოდა, თითქოს ამ შიშის მომგვრელად ცარიელ ხუთიოდე წუთში რაიმე შეიძლებოდა მომხდარიყო. ეჭვი ისე აიტანდა ხოლმე, ცოტა აკლდა, სამსახურიდან სახლში გამოქცეულიყო, მაგრამ არა საკუთარი ეჭვების უსაფუძვლობაში დასარწმუნებლად, არამედ, პირიქით, იმის დასამტკიცებლად, რომ მისი ეჭვები არც ისე უსაფუძვლონი იყვნენ და სჯეროდა, ახლა სახლში რომ მივსულიყავი, სწორედ იმას ვნახავდი, რასაც ველოდიო. უამრავ შემთხვევას იხსენებდა ან სულაც იგონებდა ისეთს, ქალს ქმრისთვის რომ უღალატია და ამაში ცუდი არაფერი დაუნახავს. ქალს მეტი უნარი აქვს თავისი ცოდვების მიჩქმალვისა და მათი ათასგვარი ზიზილ-პიპილებით შემკობისაო, ფიქრობდა. ეჭვიანი ფიქრები რაღაც უცნაურ სიხარულს ანიჭებდნენ, რწმენას იმისას, რომ სიყვარულმაც ვერ დააკარგვინა საღი განსჯის·უნარი და თავს ძალად არ იბრმავებდა.

ყოველივე ეს ძალზე ნათლად დაუდგა თვალწინ ანას დაკრძალვის შემდეგ. მანამ კი ბოლომდე ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ მიცვალებული, რომელსაც რამდენიმე დღის განმავლობაში ხედავდა, მისი მეუღლე იყო. ძალიან არ უყვარდა იმ რამდენიმე დღის გახსენება. სიკვდილს და ბინაში დაგუბებულ მძიმე, ოდნავ მოტკბო სუნს, ასე რომ ამდაბლებდა ანას, ზედ იმ უაზრო ფაციფუცის გახსენება ერთვოდა, გარშემო რომ იყო გამეფებული, ყველაფერს რომ აკნინებდა და რაშიც თვითონაც იყო გახვეული: რაღაცას საქმიანობდა, წვრილმანებს აგვარებდა, პანაშვიდის საათებში კუბოს სიახლოვეს იდგა და მიცვალებულს არიდებდა თვალს, რადგან მასში ვერა და ვერ ამოეცნო ანა და მძიმე, სულის შემხუთველ განწყობილებას ზედ გაკვირვებაც ერთვოდა; ილიმებოდა კიდეც, თუკი ვინმე მისი თანდასწრებით მორიდებით გაიხუმრებდა და განუწყვეტლივ აწუხებდა იმისი სურვილი, როგორმე გულწრფელად განეცადა მომხდარი. თითქოს საგანგებოდ არ ეძლეოდა საშუალება, რომ მის ფიქრებსა და ქცევაში არაფერი ყოფილიყო თვალთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაქცური და არტისტული. არ ასვენებდა აზრი, რომ ანა ისე გარდაიცვალა, ერთხელაც ვერ შეძლო მის წინაშე თავისი დანაშაული ბოლომდე ამოეკითხა და მოენანიებინა, ამით მცირე ხნით მაინც აღედგინა ის თანაზიარობა, ოდესღაც რომ აკავშირებდა ანასთან და შემდგომ მოუხელთებელი რომ აღმოჩნდა; რაც დრო გადიოდა, ილეოდა და ქრებოდა. გაურბოდა ცოლს და თვითონვე ვერ გაეგო, რატომ აკეთებდა ამას, რატომ აღიზიანებდა ის, რომ ანა ისეთივე იყო, როგორც თავიდანვე და მას თითქოს ვერ შეეხო ის, რაც გოგის მისი ნების გარეშე ამოქმედებდა. რაღაც თამაშს იყო აყოლილი, რაღაც ჟინის გამო იქცეოდა ასე, თუმცა კი საკმარისი იყო, წარმოედგინა, შეიძლება ანას გარეშე დავრჩეო, რომ ზარნაკრავი გამალებით ცდილიყო გარკვევას, რა გზას უნდა დასდგომოდა, რას არ აკეთებდა ისეთს, ანას რომ გადაარჩენდა. ცხადი იყო, ანა ყველაფერს ხედავდა, განიცდიდა და, ალბათ, საკუთარ თავს მიიჩნევდა დამნაშავედ იმის გამო, რომ ვერც ღელაკაცად ივარგა და ვერც დედად. ვერ მალავდა იმას, ამ დროსაც ისეთივე უანგარო და უანგარიშო იყო, როგორც სხვა დროს. ბრალსაც არაფერში სდებდა ქმარს, საამისო მიზეზი კი ჰქონდა და ესეც აღიზიანებდა გოგის, თუმცა კი ვერ გაეგო, რატომ; იმის ნაცვლად, რომ თვითონაც უანგარო და მშვიდი ყოფილიყო, იმასაც ცდილობდა, აღარ გამოეხატა თავისი სიყვარული, მეტიც, ცდილობდა, ანას ეეჭვიანა და მისი დაკარგვის შიშით კიდევ უფრო მიკედლებოდა. არადა, ანა ავად იყო და გოგისთვის ნელ-ნელა ცხადი ხდებოდა საკუთარი დაუნდობლობა; უკვე უეჭველ სიმართლედ წარმოუდგა, ანაც მასავით რომ მოქცეულიყო ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც რომ ეგრძნო, ისიც ჩემსავით ფრთხილი და ანგარიშიანიაო, აღარ მოუვიდოდა ეს, თითქოს დამშვიდდებოდა, თუ არ დამშვიდდებოდა, ბრძოლის ჟინი მაინც ჩაუქრებოდა ერთგვარად. მაშასადამე, მისნაირ კაცთან სწორედ ასე იყო საჭირო მოქცევა, მას მცირედიც არ გააჩნდა უნარი სიმართლისა და ნდობისა, მისნაირს უმშვენიერესი გრძნობებით აუცილებლად უნდა შეემოსა ათასი წვრილმანი, იმის შიშით, რომ ბრიყვად არ გამოჩენილიყო და მხოლოდ ამის შემდეგლა გაბედავდა მათ სააშკარაოზე გამოტანას. იგი ხომ ნდობას მიამიტობას ეძახდა, სიყვარულს - დამკვიდრების ფორმას და დიდად მოხარული იქნებოდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ყველაფერი ბნელი, ბოროტი ინსტინქტებით აეხსნა, მაგრამ რაღაც უშლიდა ხელს და ეს რაღაც სწორედ ანამ დაანახვა, სწორედ ანამ გაახსენა, არსებობა იმისა, რაც ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი იყო; გრძნობდა, რომ უმწეო იყო ამ სიმართლის წინაშე, თუმცა კი მაინც განაგრძობდა თავისი მდაბიო, სადი ჭკუით პირველ რიგში მდაბლისა და უკეთურის ძებნას. პოულობდა, უხაროდა, თავს მყარად გრძნობდა, თან საოცარი მანქანებით ახერხებდა ელენესთან წამოწყებული ფლირტი დასაშვებად მიეჩნია.

ეჭვი არც აქ ასვენებდა, თუმცა ეს უკვე სხვაგვარი ეჭვი იყო. ფიქრობდა, იქნებ ელენეს ჩემთან თამაში მხოლოდ საკუთარ ქალურ ძალაში დასარწმუნებლად ესაჭიროება, სინამდვილეში საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არც იფიქროს ჩემთან საქმის დაჭერა და მთელი ჩემი ანგარიშები სისულელეაო. ასე იყო თუ ისე, თამაში გრძელდებოდა, არც მატულობდა და არც კლებულობდა, თუმცა კი გამოლაპარაკების საშუალება ხშირად ეძლეოდათ. ბოლოს სინდისის ქენჯნამ და მასთან ბრძოლის ნაზავმა აივანზე ანას სიკვდილის ნატვრის სახე მიიღო და ისე გამყარდა და გასაგნდა, რომ თავიდან ველარ მოიშორა. ეჭვი არ ეპარებოდა, ოთახში რომ შევიდა, ანამაც ამოიკითხა მის სახეზე ეს გასაგნებული ნატვრა და შეიბრალა, იმის გამოც შეიბრალა, რაც შემდგომ დღეებში ელოდა. ცალკე მეუღლის მდგომარეობა უნდა განეცადა, ცალკე კი უნდა ეცადა, თავი დაეღწია ამ, ღმერთმა იცის, საიდან მოვლენილი ნატვრისგან, რომლის მთელი ხიბლი ის იყო, რომ მისი აღსრულება მოვალეობისაგან და სინდისის ქენჯნისაგან გაათავისუფლებდა. აშკარა იყო, ანამ მართლა იცოდა ყველაფერი, თუმცა კი ვინმეს მისთვის რომ ეთქვა, შენმა ქმარმა ესა და ეს გაიფიქრა აივანზეო, არ დაიჯერებდა, რადგან მისი ცოდნა სხვაგვარი იყო და თავიდათავი ამ ცოდნისა ის ნეტარი სიმშვიდე იყო, ხანგამოშვებით რომ დაეუფლებოდა ხოლმე. სხვა დროს განიცდიდა თავის მდგომარეობას, შიში მოიცავდა ხოლმე, ბავშვის ყურება არ შეეძლო, რადგან ვერ იშორებდა აზრს, რომ ამ ორ-ნახევარი წლის ბიჭს მისი მიზეზით

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დიდი სახელი - ობლობა ელოდა; ტკივილებსაც ველარ უძლებდა და შველას თხოულობდა ხოლმე, თუმცა კი შემდგომ ნანობდა ამას. მერე კი დადგებოდა წუთი, როდესაც სულის სიღრმიდან ამოზიდული მომნუსხველი, მომაჯადოებელი სიმშვიდე გათანგავდა ხოლმე. ეს არ იყო სიკვდილის წინათგრძნობა ან მისი შიშის დაძლევა, ეს განცდა იყო იმ დიადისა და ხელთუხლებლისა, გარშემო რომ სუფევდა თურმე და ასეთი მძიმე განსაცდელის გადატანა გახდა საჭირო, რომ დანთქმულიყო მასში, ყველაფერი გასაგები და მისაღები გამხდარიყო, ყოველივეს საოცარი ნათელი მოჰფენოდა. მასთან შედარებით ფერმკრთალდებოდა და ნამცეცდებოდა სიკვდილიც, ბავშვის ლაობლებაც, აუტანელი ტკივილებიც, ისიც, რომ ქმარს შეიძლებოდა სხვა ქალი მოეძებნა, რაზე ფიქრიც არ შეეძლო სხვა დროს. ახლა კი, პირიქით, ყველაფერს იმისი მსუბუქი ხელი ეხებოდა და ყველაფერი იმის მსუბუქ რიღემი ეხვეოდა, რაც მარადჟამ არსებული და ახლადა განცდილი და შეცნობილი იყო, მის წინაშე არაფრად ჩანდა ქმრის შეშფოთება და გაორება, ტანჯვა, უნებურად გაჩენილი ფიქრი იმის შესახებ, რომ მისთვის არ აკეთებდნენ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შეეძლოთ და, ღმერთმა იცის, რატომ გასწირეს და მიატოვეს ასე, რატომ აძლევდნენ უფლებას, რომ სიკვდილი დაუბრკოლებლად დავანებულიყო მასში, თან გამოუცნობის მიმართ კრთომა, დაბნეულობა და სასოწარკვეთა მოეტანა, სიავე იმის გამო, რომ მას ისე შეცვლიდნენ, როგორც ნივთს. მერე კი ისევ დგებოდა წამი, როდესაც ტკივილიც, სასოწარკვეთაც, ქმრის ახლადა შემჩნეული გაორებაც და უკვე გაფერმკრთალებული იმედიც რაღაც იდუმალი დინების წილი ხდებოდა. ნატრობდა, რომ მომავალ საიდუმლოს ამგვარად შეხვედროდა, მაგრამ მის ნატვრას არ ეწერა ახდომა. რაც უფრო ახლოვდებოდა სიკვდილი, მის სულში სულ უფრო და უფრო მყარად სახლდებოდა შიში და თვალნათლივ ჰქონდა წარმოდგენილი, როგორ უნდა ქცეულიყო გვამად, იმად, რაც თავისი შეუცნობლობით მუდამ თავზარს სცემდა. ისეც ხდებოდა, რომ შიშისგან აზრდაკარგულს სხვა აღარაფერი ახსოვდა, აღარც ქმარი, აღარც ბავშვი, უცნაურად რომ უცხოვდებოდნენ ამ დროს. და ველარ ხვდებოდა, თუ რა აკავშირებდა მათთან; გულმოდგინედ იყო ჩაძიებული თავისი სხეულის გვამად ქცევის შესაძლებლობაში, იმის წარმოდგენაში, რომ ის, რაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ერთ დღეს საგანივით უგრძნობელი, გამყარებული და შეუსმინარი უნდა დებულიყო. ამგვარი ფიქრებით გაწამებული სიკვდილის დაჩქარებას ნატრობდა და ვერ გაეგო, რატომ არ განიცდიდნენ მის ტკივილებს ისე, როგორც მას სურდა, განეცადათ, რატომ არ იზიარებდნენ ათმაგად გამოხატულ ტანჯვას, როგორ შეეძლოთ, მოსცილებოდნენ და ოთახში მარტო მიეტოვებინათ, იმის ნაცვლად, რომ სულ მასთან ყოფილიყვნენ, თანაგრძნობა გამოეხატათ და ისეთივე სასოწარკვეთას გაეტანჯა ისინი, როგორიც მას სტანჯავდა, როგორ შეეძლოთ მშვიდად ლაპარაკი, ღიმილი, საქმეების დაგეგმვა და წრიალი მათ მოსაგვარებლად; როგორ ვერ ხვდებოდნენ, რომ მის თავს რაღაც საშინელება იყო, აუტანელი საშინელება და ვალდებულები იყვნენ, მცირედით მაინც გაეზიარებინათ საშინელების ეს განცდა; როგორ შეეძლოთ, ბრმანი და ყრუნი ყოფილიყვნენ იმის მიმართ, რაც მისთვის ყოველდღიურად უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, თუმცა კი გულის სიღრმეში მაინც უციალებდა იმედი იმისა, რომ ყოველივე ეს სიცრუე და თამაში იყო, სულ მცირე ხანში ისევ ფეხზე დადგებოდა და დაუბრუნდებოდა თავის წვრილმანი, ქანცმომგვრელი საზრუნავებით აღსავსე, მაგრამ მაინც მონატრებულ და მომხიბლავ ცხოვრებას; როგორ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ სიკვდილი ნელ-ნელა აშკარა და გარდუვალი ხდებოდა. იმასაც ფიქრობდა, რომ მისი სიკვდილი შურისძიება იქნებოდა, ამით დასჯიდა ყველას მათი გულგრილობისა და იმ უსასრულო მარტოობის გამო, მას რომ არგუნეს წილად, განსაკუთრებით კი ქმარს, რომელიც არა და არ აპირებდა, მეუღლეობა გაეწია მისთვის. იყო წუთები, როდესაც გოგი საოცრად ცხადად ხედავდა, რა ამბავი იყო ანას თავს, მაგრამ ტკივილისმომგვრელად მცირე ხანს გრძელდებოდა ეს მანამ, სანამ საშინაოდ გამოწყობილი, შესამჩნევად შემცბარი და გადარაჯებული ქალი ისევ ჯიუტად არ დაუდგებოდა თვალწინ და ისევ არ გააორმაგებდა და გაასამმაგებდა მის ფიქრებს, ნაძალადევი, საქმიანი კეკლუცობით არ გაახსენებდა იმ ერთ საღამოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

ელენეს ქალიშვილობის გვარის შეცვლა ქორწინებიდან ორი თვის თავზე მოუწია და ბედი ამ დროისთვის უარესს ვერაფერს მოუგონებდა. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ჭუჭყი უნდა მოეცხოთ მისთვის და ისე გაეყვანათ ქვეყნის დასანახად, თვითონაც ისე უნდა მოქცეულიყო, ვითომც სულაც არ აწუხებდა ეს, პირიქით, ისეთივე გახარებული ყოფილიყო, როგორც ქორწინებამდე, თუმცა კი არც მაშინ იყო მთლად ასე საქმე. მაშინაც სასიხარულო მოლოდინს გაურკვეველი, თითქოს უმიზეზო შიში ენაცვლებოდა, საკუთარი თავის დიასახლისად წარმოდგენა ხან ახალისებდა, ხანაც აფრთხობდა, რადგან გრძნობდა, რომ დიასახლისობას მისი დაკარგვა უნდა მოჰყოლოდა, წვრილმან, მარადადამიანურ საზრუნავებში ჩაძირვა, იმაში, რასაც, ალბათ, არც აწმყო ექნებოდა და არც მომავალი, ერთდროულად ერთიც იქნებოდა და მეორეც, თავისი ქანცისმომგვრელი ტყვეობით და ერთადერთი ყველაზე დიდი საზრუნავი ის უნდა ჰქონოდა, საკუთარი თავი დაეთრგუნა როგორმე, ათასგვარი, ტყუილით თუ მართლით დაეშოშმინებინა, წარმოედგინა, რომ სწორედ ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო, უკეთესის მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა, უბრალოდ, უკეთესი შეუძლებელი იყო და, თუ მაინც მოენატრებოდა იგი, ეს მხოლოდ ბავშვური ოცნებების გამოძახილი იქნებოდა და მეტი არაფერი. ქორწილის დღეს თითქოს მიავიწყდა ეს, გამარჯვებული ქალის სიხარულმა შეცვალა, მერე კი ოჯახური ცხოვრების უდიდესი საიდუმლოს სიბილწემ თავზარი რომ დასცა, ისევ აღდგა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ჯერ კიდევ შეეძლო გაქცევა, ახლა კი აღარაფერი შეეძლო. რომ გაქცეულიყო კიდეც, ვერაფერს შეცვლიდა, დამსხვრეული და გათელილი ვეღარ აღდგებოდა და განიწმინდებოდა. თან კიდევ რაღაც უშლიდა ხელს, ისევ და ისევ ის გაურკვეველი და ბუნდოვანი რაღაც, საიდუმლო თანამდევივით რომ აჰკიდებოდა და ნებას არ აძლევდა, ისე მოქცეულიყო, როგორც სურდა.

არასოდეს ისე არ სძულებია, მაგრამ, ამასთან, არასოდეს ისე არ სჭირვებია თავისი ქმარი, როგორც მაშინ, არასოდეს იმგვარად არ განუცდია უმისობა, არასოდეს ისე აღარ უცდია, მასში პატრონი ამოეცნო, ვალდებული რომ იყო, კალთა გადაეფარებინა მისთვის და ეუწყებინა ის სიმართლე, ის მშვენიერი სიმართლე, რომელიც ყველაფერ ამაში იყო თურმე ჩაქსოვილი და რომლის გულისთვისაც ღირდა ყოველივე ამის ატანა. ბავშვივით დასდევდა ქმარს, ვერ მოეთმინა, რომ ამ კაცს ასეთ დროს შეეძლო რაღაც სხვა საქმე ჰქონოდა, ხოლო, თუკი მაინც ჰქონდა, ვალდებული იყო, ისიც ჩაერთო, ისიც თანაზიარი გაეხადა, რათა ამით ისეთი რამისთვის მიეღწიათ, რაც ყველაფერს გადაჰფარავდა და განაქარვებდა. ქმარიც თითქოს გრძნობდა ამას და სურვილს უსრულებდა, ოღონდ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეეძლო, თან კიდევ იმის გამოხატვას ცდილობდა, აი, ხედავ, როგორ მესმის შენი და როგორ გშველიო. ვერა გრძნობდა, თუ როგორ აყალბებდა და ამსხვრევდა ამით ყველაფერს. მაგრამ სხვაგვარად არ შეეძლო. იგი მუდამ კმაყოფილი უნდა ყოფილიყო თავისი ჭკუით და ეს ანიჭებდა ყველაზე დიდ სიხარულს ამ დიდებაზე მეოცნებე კაცს, რომელიც წვრილმან საქმესაც არ გააკეთებდა ისე, საგანგებოდ რომ არ აღენიშნა ან გამოეხატა, თუ როგორ გონივრულად მოიქცა, სწორედ ისე, როგორც ბედის რჩეულებს შეეძლოთ. განა რამეს აკეთებდა ისეთს, რასაც სხვები არ აკეთებდნენ, სისულელეებს სხვებიც ბევრს სჩადიოდნენ, მაგრამ ეს კაცი ყოველ თავის ნამოქმედარს რაღაც განსაკუთრებულობის ნიშანს აღებდა და ეს ხდიდა სასაცილოს, ჯერ, პირველ ხანებში, საყვარლად სასაცილოს და ბავშვურს, მოგვიანებით კი უკვე ისეთ სასაცილოს, ვისთანაც მთელი ცხოვრება უნდა გაეტარებინა და ეცქირა, თუ როგორ ცდილობდა ეს კაცი თავისი სისულელეები გონიერების მწვერვალად გამოეცხადებინა, ირგვლივ მყოფნი თავის წარმატებებში დაერწმუნებინა, რათა მათი მოტყუებით თავიც მოეტყუებინა, დარწმუნებულიყო, ყველაფერი ისე მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს და ჩემი განდიდება ცხოვრების მდინარების ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილიაო. საამისოდ კი რას არ იგონებდა ან მომხდარს როგორ არ ჰყვებოდა. ყოველთვის ახერხებდა, ყველაფერი ისე წარმოედგინა, ისე განელაგებინა, რომ მისი აუცილებელი შედეგი ისევ და ისევ მისი განდიდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მისი ზეობა ყოფილიყო.

ელენემ ძალზე განიცადა, როდესაც ქმარზე პირველად გაიფიქრა ეს.

სტუდენტობისდროინდელ ფარულ სიყვარულზე ლამაზმა მოგონებამაც მაშინ წამოყო თავი (შესაძლოა, ცოტა ადრეც, როდესაც პირველად გაიგო, რომ გოგი არჩვაძე მისი მეზობელი გამხდარიყო) და ისე შენატროდა მას, როგორც წაუბილწავ და შეულახავ რამეს, დროგამოშვებით თავის შეფარების საშუალებას რომ აძლევდა. მერე კი განშორებაზე ფიქრსაც გაუშინაურდა ნელ-ნელა და გვარის გადაკეთებაზე რომ გამოელაპარაკნენ, შეშინდა, რადგან მიხვდა, რომ ამით მისი ტყვეობა კიდევ უფრო დაუნდობელი ხდებოდა. თუკი აქამდე თავის მოსატყუებელი თავისუფლება მაინც ჰქონდა, ახლა ისიც უნდა დაეკარგა, მოგონებაც ძალისძალათი უნდა ჩაეკლა და მთლად უნდა შესისხლხორცებოდა ამ ოჯახს, ხანგამოშვებით მთელი არსებით რომ სძულდა და იმასაც ფიქრობდა, ეს ხალხი შემთხვევით შეყრილიყო ერთად აქ, ამ ბინაში, დროებით სადგომს რომ უფრო ჰგავდა, რადგან ლამის ნიშანიც არა ჰქონდა იმ სითბოსი და მყუდროებისა, თანაცხოვრების იმ სულისა, სხვა ოჯახებში რომ იყო დასადგურებული და ოჯახიც იმდენ ნაწილად იყო დაქუცმაცებული, რამდენი კაციც ცხოვრობდა აქ თავისი ცხოვრებით, ცალკე და განმარტოებით, ოჯახის დანარჩენი წევრები მხოლოდ რამდენადმე რომ ესაჭიროებოდათ და ერთმანეთის სიყვარულიც უფრო ახსოვდათ, ვიდრე ჰქონდათ. არადა, ყოველი მათგანი ატარებდა ერთმანეთის დაკარგვის გამო სასოწარკვეთის, ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, მოუხელთებელ ნიშანს.

უჭირდა აქ გაძლება. თითქოს უჩინარი ქარი უბერავდა ოთახებში და სპობდა იმ მცირედსაც, რისი შექმნაც შეძლეს, სიცოცხლეს ართმევდა, უდაბნოს ამსგავსებდა, მტვერს ადებდა, შფოთს თესავდა. მთელი ეს ოჯახი შფოთით ცხოვრობდა, შფოთით სუნთქავდა და შფოთით იკვებებოდა. გრძნობდნენ, რომ დაკარგული ჰქონდათ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი, ის, რაც ასე ნათლად ჩანდა მათი წინაპრების ფოტოებში, სადაც მათ ხელოსნობის უცოდინრობის გამო ნაკვთები დაუშნოებოდათ და ერთნაირად ყალბად ბრჭყვიალა სახეებით იცქირებოდნენ. არ იცოდნენ, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა მოქცევა. ჩუმი შეთანხმებით რაღაც საერთო წესი გამოუმუშავდათ: სახეზე მამაკაცები მედიდურ, ხოლო ქალები სათნო იერს გადაიკრავდნენ, ქრესტომათიული ღიმილით გაიცისკროვნებდნენ გამომეტყველებას და ელოდნენ ჩიტის გამოფრენას ზვიადობისა და კდემამოსილების გამომხატველნი. ოჯახის შექმნის ოცნებით შედიოდნენ სიმწიფეში და ოჯახის სიყვარულით არსებობდნენ მერე. ვერაფერი არღვევდა ამ მთავარსა და უმთავრესს – ვერც ხელმოკლეობა, ვერც უიღბლობა, ვერც საწუხარი. მათეიშვილების ამ თაობაში კი საერთო სიხარულიც არა ჰქონდათ. საკმარისი იყო, მშობლებს რაიმე გახარებოდათ, რომ თავისი ოთახიდან მაშინვე თავს გამოჰყოფდა გურამი, მათი უმცროსი ვაჟი და, კნინის აღმოჩენით გახარებული, მიახლიდა ხოლმე რაიმეს მათი სიხარულის უმწეობისა და უბარდუკობის გამო, გაოგნებულებსა და დაბნეულებს მიატოვებდა და ისევ ოთახში შეძვრებოდა. ელენეს ქმარს უხაროდა თუ არა რამე, ვერავის გაეგო, რადგან ეს კაცი მხოლოდ მისთვის გასაგები ფიქრებით ცხოვრობდა და, თუკი ოჯახის არსებობა ახსოვდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახი იყო ის, რასაც ხელი უნდა შეეწყო მისი წინსვლისათვის. მამაც, დედაც, ძმაც და მეუღლეც მხოლოდ საიმისოდ შეყრილიყვნენ ერთად, რომ იგი შეექმნათ, ოღონდ არა ისეთი, როგორიც ახლა იყო, არამედ ისეთი, ოცნებაში რომ წარმოედგინა და, ალბათ, უკვირდა კიდეც, რატომ არ მართლდებოდა მისი ვარაუდი, ამ დიად საქმეს რატომ აკლებდნენ ზრუნვას. ასე იყო, სათითაოდ რაღაცაში ესაჭიროებოდათ აქაურობა: მამამთილს საიმისოდ, რომ ბოლოს და ბოლოს ისე ეცხოვრა, როგორც სხვები ცხოვრობდნენ, რაც არა და არ გამოუდიოდა და ხშირად მისი სრულიად უმნიშვნელო საქციელი, სხვისგან ყურადღებასაც რომ არ მიიქცევდა, ამ კაცისგან მეტისმეტად ყალბად ჩანდა. მისი პატივმოყვარეობა დიადი საქმეებისკენ არ იყო მიმართული, როგორც მისი შვილისა. თუნდაც მისი ასაკის გამო. იგი იმ ნატვრის აღსრულებისკენ იყო მიმართული, რომელიც თითქოს დაბადებიდან დაჰყვა: როგორმე თავისი ცხოვრება კეთილშობილური საქმეებისა და ამაღლებული გრძნობების თანმიმდევრობად წარმოედგინა, თავისი თავი – პატრიარქად, გონიერულად და ფხიზლად რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



განაგებდა ოჯახს და ვერ გაეგო, რა იყო მის ქცევაში ისეთი, რის გამოც გარიყავდნენ და დასცინოდნენ ხოლმე, რის გამოც ვერა და ვერ მოეპოვებინა ერთი, თუნდაც რიგითი ადგილი და რის გადასაძლევადაც ხშირად სრულიად უბადრუკად ხუმრობდა, მასხრობდა, ცდილობდა, გონიერი ყოფილიყო, სხვებს ხალისით უგდებდა ყურს, ოღონდ თანაგრძნობა და მოწონება ან, უბრალოდ, განურჩევლობა ეგრძნო, ოღონდ კი ის ულმობელი ციალი არ დაენახა სხვის თვალებში, ასე შეუბრალებლად რომ დაამარტოხელებდა ხოლმე. მაშინ კი აღარც ესაჭიროებოდა ეს ოჯახი და ერთი სული ჰქონდა, როდის გაეცლებოდა აქაურობას, როდის მოშორდებოდა ხალხს, რომელთა გონებაც რაღაც უცნაურ სენს გადაეგვარებინა. რაკი მაინც უწევდა მათთან ურთიერთობა, აღიზიანებდა ეს და დაუნდობელი ხდებოდა მათ მიმართ, ისეთი დაუნდობელი, რომ ელენეს გული ეწურებოდა ხოლმე იმის ცქერაზე, თუ როგორ ცდილობდა ეს ბავშვური გარეგნობისა და სიავის მადის მქონე კაცი მთელი თავისი ბოღმა გადმოენთხია, ისე დაეჩაგრა და დაეჩიავებინა ეს ხალხი, მეორედ ვეღარ გაებედათ თავის წამოყოფა, მიმალულიყვნენ და ისე გასუსულიყვნენ, მეორედ აღარ დასჭირვებოდა იგივეს გამეორება და მშობლებიც ელენეს თვალწინ სულ უფრო და უფრო ჩიავდებოდნენ ან იქნებ აღრევე იყვნენ დაჩიავებულები, მაგრამ ოჯახში რძლის შესვლამ იმედი გაუჩინა ორივეს, მათი ვაჟი ამ უცხო ადამიანის თანდასწრებით მაინც შეიკავებდა თავს, მერე კი იქნებ სულაც დამორჩილებოდა და მიმხვდარიყო, რომ მასაც ისე უნდა ეცხოვრა, როგორც სხვები ცხოვრობდნენ და ცხოვრების რაღაც ახალი გზების ძიება სისულელე იყო, პირველ რიგში კი მუშაობა უნდა დაეწყო. ეს იმედიც გაუქრათ. გურამი მალე გაუშინაურდა რძალს, მალე მიეჩვია მის არაფრად ჩაგდებას და მისი თანდასწრებითაც ძველებურად იქცეოდა, იქნებ მეტი მონდომებითაც, რადგან თითქოს თანამზრახველობას ელოდა ელენესგან, თანამზრახველობას თუ არა, თანაგრძნობას მაინც, რადგან წინასწარ იცოდა, რომ ელენეც მალე მის ჭკუაზე უნდა მოქცეულიყო, მასაც მალე უნდა მოჰბეზრებოდა ამ ოჯახში გამეფებული დამტკბარ-დაშაქრული უგუნურება. მალე ბატონი ნიკო ისევ წინაპრებზე თავის ოცნებებს მიუბრუნდა, თავის მოტყუების ამდენ საშუალებას რომ აძლევდა, ხოლო ქალბატონმა ნინომ ისევ განაგრძო თავისი ცდები ოჯახური კერიის დანთებისა, კედლების გათბობისა, ფუძის ანგელოზის მომადლიერებისა და კიდევ იმისა, რომ როგორმე ერთმანეთის სიყვარული შეეხსენებინა კაცებისთვის, როგორმე დაენახვებინა, რომ სწორედ ეს იყო მთავარი და უმთავრესი, სხვა ყველაფერი სისულელე იყო, ამაზე მეტს ვერაფერს მიაღწევდნენ.

მალე ელენა მართლაც ეთანხმებოდა მაზლს, ოღონდ ეთანხმებოდა მანამ, სანამ გურამი ოჯახში დაგროვილი ჩირქის გადმონთხევას შეუდგებოდა, მერე კი ერთიანად ეჯავრებოდა გურამიც, მისი მშობლებიც, თავისი ქმარიც, რომელმაც ამ ციხეში გამოკეტა და უდარდელად მიატოვა, ეჯავრებოდა, რადგან ვერ გაეგო, რატომ უნდა ყოფილიყო ყველაფერ ამის შემსწრე, შემსწრეს ვინ ჩივის, რატომ უნდა მოეთხოვათ მისთვის თანამონაწილეობა – გურამს ფარულად, ხოლო მოწუწუნე ქალბატონ ნინოს კი აშკარად, როდესაც შეიძლებოდა, არ მომხდარიყო ეს, არ დათანხმებოდა ნიკო მათეიშვილს, მაღალ, მხრებში მოხრილ კაცს, არწივის პროფილი და ძროხის მტკნარი თვალები რომ ჰქონდა, საკუთარი თავი ლამის ძალით არ მოეხიბლა მისი თავაზიანობით, ვიღაცის ქცევას რომ ბაძავდა აშკარად, ძალათი არ დაეგდო ყური მისი ლაპარაკისთვის ათას საკითხზე, რომელთა შესახებაც ამ კაცმა, როგორც წესი, მხოლოდ ყურმოკვრით იცოდა, თვითონ კი არასოდეს არაფერი წაეკითხა; ელენე კი არ იხიბლებოდა, თავს იხიბლავდა, კი არ უყვარდა, გაცნობისთანავე თავი დაიჯერა, უნდა შევიყვაროო და ახლა მოსავალს იმკიდა, თავისი ქმრის ოთახში იმალებოდა, რათა როგორმე გაქცეოდა მაზლის გაღიზიანებულ ხმას, ისე ულმობლად რომ ესხმოდა მშობლებს, როგორც მხოლოდ თავის სისხლხორცს შეიძლება დაესხას კაცი. იჯდა ხოლმე გაყუსული და წასვლაზე ფიქრობდა, იმ დღეზე, როდესაც შვებით მოსილი გავიდოდა ამ ბინიდან ისე, რომ უკან მობრუნება აღარ მოუწევდა. წარმოიდგენდა ხოლმე, თუ როგორ გაათენებდა პირველ მშვიდ ღამეს ამდენი მშფოთვარე, მოუსვენარი ღამის შემდეგ და საოცრად ლამაზი ეჩვენებოდა ეს ნაოცნებარი მომავალი, რომლის დადგომასაც ვერა

ეროვნული ბიბლიოთეკა



და ვერ დააყენა საშველი, რადგან ის საიდუმლო თანამდევი, ის რაღაც, გამუდმებით რომ უშლიდა ხელს, ახლაც წინ აღდგომოდა და ხელ-ფეხს უბორკავდა. ისღა დარჩენოდა, რაიმე ისეთს დალოდებოდა, რაც გარდუვალს გახდიდა ნატვრის ახდომას, ან კიდევ სხვა, საკუთარი ოჯახითა თუ მარტოობით უკმაყოფილო ქალივით ცხოვრების მეგობარი უნდა მოეძებნა და ავხორცი სიყვარულით ეცადა იმის ანაზღაურებას, რაც არა ჰქონდა და რისი სხვაგვარად შეძენის იმედიც არ იყო; საკუთარი თავისთვიხ ჩაეგონებინა, ახლა ყველაფერი მაქვს, რაც მინდოდაო და ეთამაშა, სანამ ძალა და ქალობა ეყოფოდა: ქმრისთვის ერთგულება ემტკიცებინა, საყვარლისთვის – სიყვარული, დედამთილ-მამამთილისთვის – მათდამი პატივისცემა და თვინიერება და კმაყოფილი ყოფილიყო თავისი მოხერხებულობით. ელოდა და ის კი არ იცოდა, რა უნდა მომხდარიყო ან როგორ უნდა მომხდარიყო. მოლოდინით იძინებდა და მოლოდინით იღვიძებდა. სულ დროის სწრაფად გასვლის ნატვრაში იყო, რათა მალე მოვლინებოდა მხსნელი, აქაურობისგან რომ გამოიხსნიდა. არადა, დღეები ერთფეროვნად მიედინებოდა და ახალი არაფერი ჩანდა, ისევ და ისევ მათეიშვილების ხან გაპრანჭულ, ხან შფოთიან და იშვიათად მშვიდ ოჯახში ცხოვრობდა ქმრისგან მიტოვებული, ოჯახში, სადაც ყველა სტუმარი იყო და ყველა გაურბოდა მასპინძლობას, ცალ-ცალკე მიაქანებდა თავიანთი მშფოთვარე და მოუსვენარი „მე“, რომელს მიყურადებულებსაც ერთმანეთის გაგონება არ სურდათ იმის შიშით, რომ ამით ეს „მე“ არ დაზარალებულიყო, განსაკუთრებულობისა და ერთადერთობის ელფერი არ დაჰკარგოდა. მოლოდინით შეპყრობილი დადიოდა ოთახებში, უკან დასდევდა ლამაზი მოგონება, აზრიც იმაზე, რომ შემთხვევით არ მოხვდა ამ სახლში, ფარულ ნუგეშისმცემლად ქცეულ გოგი არჩვაძესთან ერთად და უკვე არაფრად აგდებდა მამამთილის მიერ თავშეკავებულად გამოხატულ უკმაყოფილებას იმით, რომ ვერაფრით ვერ შეეგუა დიასახლისობას თუ არა, დიასახლისის თანაშემწეობას მაინც და ისე ჩაუვლიდა ძირს დაგდებულ საგანს, თითქოს არც არაფერი ყოფილიყოს და მისი მოვალეობა არ იყო ამ საგნის საქმიანი იერით აღება და დაბინავება; აღარც დედამთილს უგდებდა ყურს, რომელიც ლამის ყოველ დღე უყვებოდა თავისი მშობლებისა და ნათესავების შესახებ, განსაკუთრებით კი იმ შორეულ წინაპარზე უყვარდა ლაპარაკი, ერთ ცნობილ გენერალთან ერთად რომ გადაელოთ (წინაპარი მოხერხებული კაცი ჩანდა, გენერლის სიახლოვეს გაძრომა მოეხერხებინა და მეგობრული, ზომიერად აღტაცებული სახით შესცქეროდა სათაყვანებელ არსებას, რომელიც შესამჩნევად დაბნეულიყო მის გარშემო ამდენი ავანტიურისტისა თუ ჩოხებში გამოწყობილი ეგზოტიკური არსებების რიალით, ხელში ყანწმომარჯვებულები რომ დასდევდნენ და გამუდმებით ახსენებდნენ თავიანთ ქართველობას). მოუთმენლობისგან თავმობეზრებულს, ძალა უნდა მოეკრიბა და დალოდებოდა. მერე ყველაფერი შეიცვლებოდა, ყველაფერი განათდებოდა, ოღონდ კი არ შეგუებოდა ბედს და ოჯახში გაკოკეტილ შტერ დედაკაცს არ დამსგავსებოდა. ყველაფერს ისევ ის მშვენიერი ელფერი დაედებოდა, მის გათხოვებამდე რომ ედო და თურმე ვერ ხედავდა, ვერ აფასებდა და პატარქალურ ჟინს აყოლილი თავგამოდებით ცდილობდა რაღაც ახლისა და მნიშვნელოვანის მოპოვებას, რასაც მის წარმოდგენაში დედაკაცის უმაღლესი დანიშნულება ერქვა, თითქოს მაშინვე ზუსტად არ იცოდა, რა უნდა მოჰყოლოდა ამას: დაუსრულებელი ფაციფუცი, წრიალი, მცირეოდენი ეშმაკობები და კეთილდღეობის მისაღწევად გამართული ბრძოლა. იმ დღეს მაინც უნდა დალოდებოდა, როდესაც მიხვდებოდა, თუ რა ამბავი იყო მის თავს, არა ისე, როგორც ახლა ხვდებოდა, არამედ მართლად, უეჭველად, ისე, რომ აღარც გადაწყვეტილების სისწორეში შეეპარებოდა ეჭვი და არც ის საიდუმლო თანამდევი აღუდგებოდა წინ, მოსვენებას რომ არ აძლევდა არასოდეს.

* * *

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. გოგი გრძნობდა, რომ, მიუხედავად წინააღმდეგობის ყველა ცდისა, მიუხედავად იმ რწმენისა, რომ ანას სიკვდილმა ცხადი და ნათელი გახადა ყველაფერი და სიბინძურე ჩამორეცხა, საკუთარი თავისგან ფარულად ყოველივე ისე წარმართა, ბოლოს, აგვისტოს იმ თბილ საღამოს, ის ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მომხდარიყო. მისი ფარული გულმოდგინება ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ვერაფერი აღუდგა წინ, ვერაფერმა შეუშალა ხელი, თითქოს იდუმალ მეორე „მეს" მისას წინასწარ გამოეცნო ბედისწერის ნება და მის განხორციელებას შესდგომოდა. თვითონ კი არაფერს აკეთებდა ამ ბედისწერისაგან გასათავისუფლებლად, პირიქით, ხელსაც უწყობდა იმ იდუმალ ვიღაცას, თუმცა კი თავს ირწმუნებდა, მე არაფერი ვიციო, ან კიდევ, მე სხვა ვარ, ის ვიღაც კი სხვა და მე კი არ ვმოქმედებ, არამედ ისო. მისმა უმწეობამ მოსახდენი გარდუვალად აქცია. ყველაფერი საამისოდ აეწყო. თვეები ისე მიედინებოდა, რომ ბოლოს ის ამბავი უნდა გამოკვანძულიყო. რამდენიმე ხანს ილოთა. ბავშვი მის დედას და დეიდას ჰყავდათ წაყვანილი. ბინა ძალიან მალე დაემსგავსა მარტოხელა, გალოთებული ახალგაზრდა კაცის სადგომს. იატაკი დაილაქა, კედლებს ნაწუწი დაეტყო, ონკანი და სინათლე მოიშალა, საკიდი ცალ ყურზელა ეკიდა, ლოგინს სიყვითლე შეეპარა, რის გამოც მასში მთვრალსაც ეჯავრებოდა წოლა, ხოლო დილაობით ადგომას ჩქარობდა ცალკე მისგან თავის დაღწევის სურვილით, ცალკე კი იმ სურვილით, დროზე წასულიყო მაღაზიაში ერთი ბოთლი ლუდის დასალევად და ამით გაქცეოდა სინდისის ძახილს, უსაგნო შიშს, უსასოობას, ნაღვინევს რომ დასდევდა ხოლმე. დალევდა ერთ ბოთლ ლუდს, იქნებ წაემატებინა კიდეც და მერე მშვიდად ელოდებოდა დაღამებას, თუმცა რაღა მშვიდად, გამუდმებით დაღამების მოლოდინში იყო, მთვრალი დღით უკვე დილიდანვე დაღლილი. დღის ყოველი წამი ჯიუტად ხევდებოდა, თითქოს აიძულებდა, მთელი მისი დამამცირებელი სუსხი, ქანცი და სიუცხოვე შეესვა. საღამოობით კი მისი ბინა ხმაურით ივსებოდა. სანთლის შუქით განათებული მაგიდის ირგვლივ რიალებდნენ აწითლებული თუ გაფითრებული სახეები, მოდუნებული, გამორკვევის მცდელი თვალებით რომ იცქირებოდნენ, ისმოდა თავშეუკავებელი ლაპარაკი, ყველანი საკუთარი პიროვნების რაღაც უცნაური მხარის, რაღაც ნეტარი საიდუმლოს გამოთქმას რომ ლამობდნენ და ერთმანეთს არ აცდიდნენ ხმის ამოღებას; მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა პური, ხახვი და მცირეოდენი საჭმელი, ეწყო სასმელის ბოთლები, ჭიქები და მათი მაგივრობის გამწევი პატარა ქილები. ხანგამოშვებით საკუთარ თავს ჩაკვირვებული გრძნობდა, თუ როგორ უჯდებოდა თავსა და სხეულში სიმძიმე, სხვა სამყაროში რომ გადაჰყავდა იგი, უფრო სწორად, იმ სხვა სამყაროს აქვე, მის გარშემო ამკვიდრებდა. მეორე დილით აღარ ახსოვდა ხოლმე, როგორ წავიდნენ მისი ამხანაგები, როგორ მიაღწია ლოგინამდე და სულ იმის შიშში იყო, სანთელი ანთებული არ დარჩენოდა და ცეცხლი არ მოსდებოდა იქაურობას. ვერ გაქცეოდა იმის მოლოდინს, რომ რაღაც ისეთი უნდა მომხდარიყო, სასჯელად რომ დაატყდებოდა თავს, ყურადღებას რომ არ მიაქცევდა ჯერ კიდევ მაშინ გაჩენილ რწმენას, მე სხვა ვარ და ის ავის მოქმედი კი სხვა, ახლა რომ გალოთებულაო, პირიქით, სულ მცირედი წამუყვით, იქნებ მხოლოდ საკუთარი გამოჩენითაც გაახსენებდა, რომ ერთნი იყვნენ.

აგვისტოს იმ თბილი საღამოს მომხდარი ამბისათვის კი გამუდმებით ემზადებოდა. შემდეგში ფიქრობდა, სმასაც საამისოდ დავანებე თავი და ბინასაც საამისოდ მივხედე, ოღონდ ვცდილობდი, არ გამომეაშკარავებინა, რატომ ვაკეთებდი ამას, მაშინაც კი, როდესაც ელენესთან ერთი გამოლაპარაკებით გახალისებული ყოველ საღამოს აივანზე ვატარებდი, ვითომც სიგარეტის მოსაწევადო. არადა, მაშინვე იცოდა, რომ ელენეს მეორედაც ის ვიღაც სხვა კი არ გამოელაპარაკა, არამედ თვითონ, ის ვიღაც სხვა კი არ დადიოდა ოთახში ელენეს მეორე, ამჯერად უკვე ცივი შეხვედრით შეწუხებული და საკუთარ თავს ეჩიჩინებოდა, რაღაცები იანგარიშე, რაღაცები ივარაუდე და იმ ქალს, თურმე, აზრადაც არ მოსვლია შენთან საქმის დაჭერაო. მიუხედავად გადაწყვეტილებისა, ელენესთან შეხვედრისათვის თავი აერიდებინა, ისევ და ისევ თვითონ გავიდა აივანზე, ვითომც სიგარეტის მოსაწევად, თვითონვე გაახარა იმის დანახვამ, რომ ქალი ჩასაფრებულივით ელოდა მის გამოჩენას და თვითონვე გადმოიპატიჟა სახლში წიგნების ჩვენების საბაბით. ამის შემდეგ ისეთი გახარებული იყო, რომ არც ის სხვა ახსოვდა და არც საკუთარი თავი. კარგა ხანს იდგა კიდევ აივანზე და იმაზე ფიქრობდა თუ რა იყო მოსალოდნელი, იმაზეც, რომ ამაში ბევრი სილამაზე იყო, რომ ბოლოს და ბოლოს ამას სიყვარული ერქვა და ამ დროს საო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცარი რამ ხდებოდა: ქალი და კაცი უცებ შეიცნობდენ ერთმანეთს, უჩვეულო, უცნაურ სიახლოვეს იგრძნობდნენ ერთმანეთის მიმართ და სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი. „ალბათ, სხვა დროს ორი ადამიანი ასე კარგად ვერ გრძნობს ერთმანეთის მნიშვნელობას – ფიქრობდა გატაცებით. – სხვა დროს ბევრი რამ უშლით ხელს. ახლა კი თითქოს იჩრდილება ყოველივე ხელისშემშლელი და ძალიან კარგი რამ ხდება, ძალიან მნიშვნელოვანი. შესაძლოა, ყოველივე ამას თავისი ცუდი და ბინძური მხარეც ჰქონდეს, მაგრამ ეს სიბინძურეც არ ყოფილა მთლად სიბინძურე, თუკი მას ასეთი მშვენიერი რამ ახლავს. თითქოს ჩვენს შორის უფსკრული ამოივსო. მშვენიერია, ძალიან მშვენიერი. ყველაფერს ეკარგება მნიშვნელობა, ყოველგვარ წვრილმანს, ყოველგვარ უწმინდურებას. მთავარია, რომ ორი ადამიანი ერთმანეთს შეიცნობს ისე, როგორც არასოდეს შეუცვნიათ და რაღაც ძალზე დიდს აღწევენ ამით“. განუწყვეტლივ მათეიშვილების აივნისაკენ იცქირებოდა, თუმცა კი იცოდა, რომ ელენე აღარ გამოჩნდებოდა. „მე, შეიძლება, სიფრთხილე არ გამომეჩინა, – გაიფიქრა, – ქალი მაინც სხვანაირია, უფრო რუდუნებით უვლის ყოველივე ამას. კარგია, ძალიან კარგი; „ასე კარგად, დიდი ხანი იყო, თავი არ ეგრძნო. ჰაერში თითქოს ელენესთან გატარებული იმ ერთი საღამოს სუნი დატრიალდა.

მერე კი, თუმცა ისეთი რამ მოხდა, რასაც თითქოს უნდა გამოეფხიზლებინა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა და ღეიღის მიერ თითქოს საგანგებოდ ღამის გასათევად მოყვანილი ბიჭი დროზე ადრე ისევ თვითონ დააძინა და არა სხვამ; ისევ თვითონ იყო, თავს რომ ირწმუნებდა, ყველაფერი ისე ჩაივლის, ბავშვი ვერაფერს გაიგებსო. იმ საღამოს პირველად მაშინ შეეშალა ხელი, როდესაც ჩაისთვის ცხელი წყლის გამოსატანად სამზარეულოში გავიდა. ჩაიდნიდან ამომავალ ორთქლის მოქანავე ჭავლს უყურებდა და ელოდა, როდის გასწორდებოდა და მომძლავრდებოდა იგი. უცებ იგრძნო, რომ ყველაფერი ეს ახლა ხდებოდა, ამ წამს, როდესაც ოთახში მძინარე ბავშვი ფშვინავდა, ხოლო შუშაბანდში მაგიდასთან ელენე იჯდა ისევ გადარაჯებული და მამაკაცურად მომზირალი; იგრძნო, რომ სწორედ რამდენიმე ხნის შემდეგ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო. სხვა დროს არასოდეს განუცდია ასე მძაფრად აწმყო, ასე ნათლად არასოდეს დაუნახავს, რამდენ რამეს იტევდა ეს აწმყო თავის თავში. მიხვდა, რომ ვერაფერს გააკეთებდა. ელენემაც შეატყო ეს, როგორც კი ჩაიდნით ხელში გავიდა მასთან. მზერაში მოციალე ნაპერწკალი გაუქრა და ერთბაშად გამოეცალა ის ერთდროულად საქმიანი და ეშმაკური იერი, მოსვლისას რომ მოჰყვა. კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ, მერე კი ერთად შეუდგნენ ამ, ღმერთმა იცის, საიდან გაჩენილი წინააღმდეგობის გადალახვას. მალე მიაღწიეს ამას. მალე გადალახეს ის ზღვარიც, რომლის შემდეგაც აზრი აღარ ჰქონდა რაიმე კუკუდამალობანას. ხელები უცახცახებდა და სრულიად უაზროდ ცდილობდა ამის დაფარვას. ლოგინის გადასაფარებელს რომ იღებდა, ცდილობდა ელენეს არ დაენახა ეს. ელენეც თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისე ათვალიერებდა შუშაბანდიდან გამომავალ სინათლეზე ოთახს და ეტყობოდა, თვითონაც ისეთი შთაბეჭდილების შექმნას ლამობდა, თითქოს ვერ ამჩნევდა გოგის საქმიანობას. როგორც იქნა, მოათავა ეს საქმე. ბიჭისკენ გაიხედა. ბავშვს ნახევრად გადაეძრო საბანი და მშვიდად ფშვინავდა. „დილამდე არ გაიღვიძებს, – გაიფიქრა. – ყოველთვის ვგრძნობ, როდის სძინავს მოუსვენრად და როდის არა. ახლა მშვიდად სძინავს. ნამდვილად არ გაიღვიძებს“. ერთ წამს ისე წაერთვა ძალა, რომ ელოდა, კიდევ ერთხელ როდის გაუწევდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ თითქოს გამოეცნოთ მისი ფიქრი და საგანგებოდ აღარ ეწინააღმდეგებოდნენ, ხოლო თუკი ერთბაშად ყველაფრის უფლებას არ აძლევდნენ, ამას უფრო კეკლუცობა ერქვა. „ნეტავ არ გაიღვიძოს, – ფიქრობდა ცოტა ხნის შემდეგ და საკუთარ თავზე ბრაზობდა იმის გამო, რომ ვერა და ვერ მოიშორა ეს ფიქრი. – რომ გაიღვიძოს კიდეც, ვერაფერს გაიგებს“. მერე, თითქოს გულმა უგრძნო, რაც უნდა მომხდარიყო, თან სწორედ მაშინ, როცა საოცრად არ უნდოდა ეს. ელენე კი ისევ ვერაფერს ამჩნევდა ან კიდევ მეტი ძალა ჰქონდა, არ შეიმჩნია ის, რისი შემჩნევაც არ იყო საჭირო, ის კი არა, მასაც აიძულებდა თავისი თავდაჯერებით, აღარაფერზე ეფიქრა. ზიზღი მოჰგვარა ამგვარმა ცივმა, ულმობელმა სიბრძნემ, რადგან იცოდა, რომ რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნდა ექნათ ერთსაც და მეორესაც, მოსახდენი მაინც მოხდებოდა, ოღონდ კი ცოტათი მაინც გადადებულიყო ეს, სულ მცირე ხნით, იმ დროისთვის, დაღლილები და მომნანიებლები რომ გაინაბებოდნენ სიბნელეში.

– მამა, – მოესმა სწორედ იმ წამს, როდესაც, როგორც შემდგომში ფიქრობდა, ყველაზე მეტად ელოდა ამას, უფრო სწორად, კი არ ელოდა, უკვე ნამდვილად იცოდა და გაინაბა კიდეც მოლოდინში. ბიჭს გაოფლიანებული თავი წამოეყო და ნამძინარევი სახით იცქირებოდა მამის საწოლისკენ. „მამა!“ – ნელა თქვა მამის დანახვით გახარებულმა და, რადგან მუცელზე მწოლიარემ და ხელებზე დაყრდნობილმა ორივე ხელი ვერ გაიწვდინა მისკენ, მხოლოდ ცალი ასწია და ისიც სწრაფად დააბჯინა. მერე თავი ბალიშს დაადო, ძალა მოიკრიბა და მამას შესცინა. „მამა“, – ჩურჩულით გაიმეორა ცოტა ხანში იმით გაკვირვებულმა, რომ მამა გამოხმაურების ნაცვლად, უცნაურად იცქირებოდა მისკენ და განძრევას არ აპირებად. „დაიძინე, – ხმადაბლა უთხრა მამამ, თან ყელზე მომდგარი ნერწყვი გადაყლაპა. – გადაბრუნდი და დაიძინე“, – ბიჭმა თავი ბალიშზე დადო, მძინარედ მოაჩვენა თავი, მერე წამოიწია და გაიცინა. ერთ ხანს ასე იყო. ბალიშს დასცქეროდა და ოდნავ შესამჩნევად არხევდა თავს. სახეზე ღიმილის ნარჩენები არ სცილდებოდა. მერე ისევ ჩაიმალა საწოლის ფერდს მიღმა. მალე გოგი მიხვდა, რომ ბავშვს ეძინა, თუმცა კი ბოლომდე ეგონა, რომ სანამ ქალს გააცილებდა და კარს ჩაკეტავდა, კიდევ ერთხელ გამეორდებოდა იგივე.

* * *

ელენემ იცოდა, რომ თამაშობდა. თამაშობდა მაშინაც, როდესაც ახლა უკვე მამამთილყოფილი შევიდა მასთან ოთახში და საკუთარი სითამამით დაბნეულმა მიახვედრა, ჩვენთან შენი გაჩერება არ შეიძლებაო. შეეცადა, თავი ყოჩაღად დაეჭირა, მამამთილისთვის დაენახვებინა, რომ ამ ამბავმა არათუ შეაწუხა ან გააკვირვა, არამედ, პირიქით, გაახარა, სწორედ იმ სიხარულმა და შვებამ აავსო, ამდენი ხნის განმავლობაში რომ ელოდა და ეღირსა ბოლოს. ოთახიდან ხელჩანთის ამარა გამოსულმა (ბატონმა ნიკოლოზმა დაიყოლია, ბარგს მე მოგაწვდიო) ნიშნის მოგებით გაიხედა სამზარეულოსკენ, სადაც დედამთილი თუ უკვე ნადედამთილარი ეგულებოდა, ქალი, რომელიც სულის ძირამდე შეეძრა იმ ეჭვს, რომ საქმე არც ისე იყო და ის, რის გაკეთებასაც აპირებდა ახლა მისი ქმარი, არ იყო გასაკეთებელი, ხოლო თუკი თვითონ მაინც არ აღუდგა წინ, მხოლოდ იმ იმედით, ამ ამბავს იქნებ რაიმე ისეთი გამოევლინა, რაც შეცვლიდა ყველაფერს, ახლებურად გამოაჩენდა, დაარწმუნებდა, რომ მომხდარი ცუდი სიზმარი იყო და სხვა არაფერი. გრძნობდა, შეუძლებელი იყო ეს და მით უფრო ეჭიდებოდა იმედს. ლამის გააჩერა ელენეს ოთახისკენ წასული ქმარი, რათა ეთხოვა, არ ყოფილიყო შეუბრალებელი და კარგად ეფიქრა, იქნებ ელენეს გასამართლებელი ეპოვა რამე. ვერა გრძნობდა, მზად იყო, ბევრი რამისთვის აერიდებინა თვალი, ოღონდ კი რძლისთვის ისეთ რამეში არ დაედო ბრალი, რაც, მისი აზრით შეუძლებელი იყო. ამდაგვარი ამბები ბევრი ჰქონდა გაგონილი, განსაკუთრებით კი გათხოვების შემდეგ, მაგრამ არასოდეს ბოლომდე არა სჯეროდა და გულის სიღრმეში სათუთად ინახავდა იმედს, რომ განაგონი ან ჭორი იყო, ან, უბრალოდ, მომყოლი აჭარბებდა. ვერ შეძლო ქმრის გაჩერება, რადგან იცოდა, ქმარი ისეთ რამეს უპასუხებდა ახლა, რასაც წინ ვერ აღუდგებოდა, რაშიაც მოუხელთებელი და დაუმარცხებელი სიმართლე იქნებოდა, საბუთი, რომლის უარყოფის ძალაც არ ეყოფოდა და მიანებდა ბედს. მბჟუტავი იმედის ამარაღა დარჩა და, როდესაც ეს გადაეწურა, გულდაწურული შევიდა სამზარეულოში, რძლისთვის თვალი რომ აერიდებინა. ელენე კი განაგრძობდა თამაშს. ქუჩაში გასული ისევ ცდილობდა, თავი ყოჩაღად დაეჭირა, თუმცა კი ის ბზარი თუ ტკივილი, გოგი არჩვაძის ბინიდან გამოსვლისთანავე რომ გამოჰყვა, არც ახლა ასვენებდა და მთელი გზის განმავლობაში თან დასდევდა იმ კითხვის სახით, თუ რა უნდა ეთქვა მშობლებისთვის, მერე კი ისე იმძლავრა, რომ უკვე მშობლების სახლთან მისული შეაჩერა, უკან გააბრუნა, იქვე მდებარე ბაღის შორეულ სკამზე დასვა და კარგა ხანს ამყოფა ასე იმის ცდაში, როგორმე დარწმუნებულიყო, ის თავისუფლება და შვება, რომელზედაც ვოცნებობდი, მართლა მეახლაო, თან უკვირდა, რატომ არ უხაროდა ეს ისე, როგორც უნდა გახარებოდა. მერე კი, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაინც გაბედა სახლში მისვლა და სიხარულის მოლოდინი სასოწარკვეთილმა დედას ლამის მიახალა, მათეიშვილებიდან წამოვედიო, უკვე გამარჯვებული ქალის გამომეტყველებით აკეთებდა ამას. დედას სწრაფად გაეცალა, სველი ხელების წინსაფარზე წმენდით რომ მოსდევდა უკან და ეკითხებოდა, გამაგებინე, რა მოხდაო, თავის უცნაურად გაუცხოებულ ოთახში ჩაიკეტა და იქიდან მანამ არ აპირებდა გამოსვლას, სანამ მართლა გამარჯვებულად არ იგრძნობდა თავს, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ, ვინ იცის, როდის აკიდებული იდუმალი თანამდევი იმ რაღაცის მიერ ჩათესილი ეჭვი თუ ბზარი უადგილო და უაზრო იყო. ოთახში იჯდა, ათას რამეზე ფიქრობდა ზერელედ, რადგან იცოდა, რომ დაფიქრება ახლა არ არგებდა და იმას არ მოუტანდა, რაც უნდა მოეტანა. ესმოდა, დედა როგორ წრიალებდა სამზარეულოში, ჭურჭელს ახმაურებდა, მერე როგორ შემოაღო შემოსასვლელი კარი ვიღაცამ, როგორც აღმოჩნდა, მისმა დამ, ნატომ, როგორ გაიხმო იგი დედამ და კარგა ხანს ელაპარაკა, იმდენ ხანს, რომ ელენე მოუთმენლობისგან წამოდგა და ოთახში სიარულს მოჰყვა. ერთი სული ჰქონდა, როდის შემოვიდოდა, როდის აუწყებდა მომხდარს და როდის უთანაგრძნობდნენ. სჯეროდა, რომ ნატო უცებ მიუხვდებოდა და ამ წამიდან უნდა დაწყებულიყო ის, რასაც ასე ნატრობდა მათეიშვილებთან ტყვეობის მანძილზე, განსაკუთრებით კი ახლა, როდესაც ყველაფერმა ჩაიარა და ვერც კი გარკვეულიყო, რა მოხდა. ნატო ოთახში რომ შევიდა, იცოდა, რომ ახლა მაინც არ უნდა ეთამაშა, რადგან ეს ლაპარაკი ერთადერთი საშუალება იყო შვებისა და სიხარულის განივთებისა. ამის შემდეგ უკვე შეძლებდა დედასთან ლაპარაკსაც, მამასთან თავის ისე დაჭერასაც, რომ მის მხარეს უეჭველი სიმართლე ეგრძნოთ, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო აღედგინა და გაემშვენიერებინა ის, რასაც ასე უმოწყალოდ თრგუნავდა და სპობდა მათეიშვილებთან ცხოვრებისას. არ გამოუვიდა. თამაში თითქოს მისი ფიქრების ძირად ქცეულიყო. მოყოლა რომ მოათავა, მერედა მიხვდა, რამდენი იცრუა, თუმცა კი არაფერი გადაუკეთებია ან მოუგონია, უბრალოდ, იცრუა და მორჩა, ცრემლმოწოლილმა ხელმეორედ დაიწყო მოყოლა, მაგრამ არც ახლა გამოუვიდა. სასოწარკვეთისაგან ტირილი დაიწყო. იცოდა, რომ თუ ახლა ვერ მიაღწევდა საწადელს, მერე უკვე გვიან იქნებოდა, ყველანი კაცებთან თამაშის მოყვარულ ერთ ჩვეულებრივ ქალად მიიჩნევდნენ, ვისაც დროზე გაუგეს და თავის გზას გაუყენეს. იქნებ მალე მოკლევადიანი სიყვარულის მოიმედე თაყვანისმცემლებიც გამოსჩენოდნენ, ზურგს უკან რომ გაჭორავდნენ და დაამცირებდნენ. დედ-მამაც თვალს აღარ მოაცილებდა, რათა არაფერი ჩაედინა ისეთი, მეორედ გათხოვების იმედი რომ გადასწურვოდა. საკუთარ სიმართლეში შეეჭვებული ნატო ისევე განაგრძობდა მის დამშვიდებას, როგორც ახლა: ახსენებდა, რომ სიყვარულით არ წაჰყოლია ნიკო მათეიშვილს, ერთი შინაბერად დარჩენის მოშიში გოგო იყო, პირველივე შემხვედრს რომ დაეთანხმა და, თუკი რაიმე დანაშაული მიუძღვოდა, მხოლოდ ეს, სხვა არაფერი, დანარჩენი იმ სულელის დამსახურება იყო, საკუთარი თავის მეტი რომ არაფერი ახსოვდა და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ქება გამოეცინცლა ვინმესთვის. თუ მიაღწევდა ამას და ცხვირი უწითლდებოდა, გაბრწყინებული გადახედავდა ყველას, აი, ხომ ხედავთ, არ შევმცდარვარ ჩემს ანგარიშში, არც იმაში, ოჯახური ცხოვრების სიამტკბილობა საქმეს რომ არ შევწირეო. ნატო იმასაც ეუბნებოდა, რომ, თუკი სინანული ასე ეწერებოდა სახეზე, მართლა დაიჯერებდნენ მის დანაშაულს და მართლა გაჭორავდნენ. მას ხომ არ სურდა, ქვეყანას ხელიდან წასულ ქალად მიეჩნია. ცხადია, არ სურდა. ამისთვის კი ჯერ ერთი, უნდა ხსომებოდა, რომ დამნაშავე არაფერში იყო, თან კიდევ იმდენი ეშმაკობაც უნდა ჰქონოდა, ისე მოქცეულიყო, როგორც საჭირო. კი არ უნდა ედარდა, მოხარული უნდა ყოფილიყო, რომ იმ ბრიყვს დააღწია თავი, თორემ დიდებული მომავალი ელოდა: რამდენიმე ხანში მისი ქმარი შეურიგდებოდა საშუალ[illegible] მეცნიერის მდგომარეობას და სახ[illegible]ბრუნდებოდა ან სულაც თავს დაირწ[illegible]ებდა, დიდი მეცნიერი ვარ და ამის დასამტკიცებლად არც რაიმე საბუთი მინდა და არც ხოტბაო. პატივმოყვარეობას უზარმაზარი პორტფელის ყიდვით დაიკმაყოფილებდა. იყოლიებდნენ ერთ შვილს, რომელიც, ცხადია ბიჭი იქნებოდა და რომელსაც, ასევე ცხადია, ნიკოს დაარქმევდნენ მათეიშვ[illegible]ის ოჯახის მტერული თვითკმარობის გა[illegible]ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტველი წესის გასაგრძელებლად. თვითონ ელენე კი ცოტა ხანში მთელი მეზობლების დასანახად გამოჰფენდა საცვლებს და ახალგაზრდა ბიჭებს სასაცილოდ გაეკეკლუცებოდა, იმაში დასარწმუნებლად, ჯერ კიდევ ქალი მქვიაო. ისიც უნდა ხსომებოდა, რა ამბავი აუტეხა ქმარმა, როდესაც გაუგო, დაორსულდა და მიმალავსო. სანამ არ მოაშლევინა არ შეეშვა. შეთქმულებად მიიჩნია ეს ამბავი. ცოლი და მისი ნათესავები ბავშვით მიპირებენ დაბმასო, წარმოიდგენდა. ელენე უსმენდა, თავს უქნევდა და იცოდა, რომ ისევ თამაშობდა, რადგან არა და არ სურდა გაეაზრებინა ის, რაც დაინახა: ნატოს ეტყობოდა, რომ გრძნობდა, იმას არ ამბობდა, რაც უნდა ეთქვა, დას იმით არ ანუგეშებდა, რითიც უნდა ენუგეშებინა და უფრო მეტი თავგამოდებით განაგრძობდა ლაპარაკს. მალე უკვე ყურსაც აღარ უგდებდა დას. საწოლის კუთხეში მიმჯდარი უაზროდ ითვალიერებდა ხელებს და ელოდა, როდის მიწყდებოდა ხმა, როდის მიეცემოდა საშუალება, მარტო დარჩენილიყო, მშვიდად და წყნარად ეფიქრა რამეზე. ნატოს ლაპარაკი კი უნებურად აღვიძებდა იმ რაღაცას, არასოდეს გასაქანს რომ არ აძლევდა, ხოლო ახლა, მას შემდეგ, რაც სჯობნიდა, გამარჯვებული თავში სცემდა, არწმუნებდა, რომ თურმე ნამდვილი და არსებული ყოფილა და სწორედ მისთვის უნდა ეგდო ყური: მათეიშვილებს კი არ უნდა გაქცეოდა და გასაბრძოლებლად თუ ბრძოლის შთაბეჭდილების შესაქმნელად გოგი არჩვაძესთან კი არ უნდა შემძვრალიყო, თვალი კი არ უნდა დაებრმავებინა იმაზე, რომ არჩვაძეშიც ბოგინობდა ის რაღაც, არამედ უნდა შეჰგუებოდა იმ აწეწილ და არეულ ოჯახს, სიმშვიდე და სითბო შეეტანა იქ. სწორედ ეს მოჰგვრიდა შვებას და არა თავის დასაცავად წამოწყებული ის უსუსური თავგადასავალი, რომლის ბოლოც ჯერ კიდევ უცნობი იყო, თუკი ექნებოდა ბოლო. თამაში ვეღარ ერეოდა იმ რაღაცას, არადა, ესაჭიროებოდა იგი, ოღონდ უკვე არა თავის დასაცავად, არამედ მხსნელად. ლამის იყო და, დედას დღეში სამჯერ უყვებოდა მომხდარს, უფრო სწორად, იმას, რაც უნდა მოეყოლა მომხდარის შესახებ, და დედაც ერთნაირი გაფაციცებით უსმენდა იმ იმედით, რომ, ეთხელაც იქნებოდა და, იმას მოისმენდა, რაც საბოლოოდ დაარწმუნებდა ქალიშვილის სიმართლეში და გულიდან ლოდს მოაშორებდა. ახლანდელი ქმრის ოჯახი ამ ქალისთვის მესამე იყო და მას შემდეგ, რაც მესამე ქმართან ორი ქალიშვილი ეყოლა (პირველ ორთან შვილი არა ჰყოლია), სულ იმის ნატვრაში იყო, მის შვილებს სხვაგვარი ბედი რგებოდათ. მომხდარი კი სასოს წარკვეთდა იმ ულმობელი სიმართლით, რომ მისი თავგადასავალი მეორდებოდა და შველა არსაიდან იყო. მამას კი, დაბნეულ და გაუბედავ კაცს არაფერი უკითხავს ქალიშვილისთვის, თუმცა კი ელენეს ერთი სული ჰქონდა, მისთვისაც ეამბნა ის გამონაგონი ამბავი და საბოლოოდ დარწმუნებულიყო, ყველამ დამიჯერა და დამქანცველ თამაშში გავიმარჯვეო, თორემ ის რაღაც ისევ არ ასვენებდა და იქამდე მიიყვანა, ერთხელ თავის ოთახში გამოკეტილი ფიქრობდა, რომ ახლა მისთვის ცხადი გამხდარიყო, იგიც ერთი ჩვეულებრივი ქალი იყო, რომელიც სიყვარულით კი არ გათხოვდა, არამედ გათხოვების მტერული ანგარიშით, რომელსაც შემდგომ გული გაუტყდა ქმარზე და თვალი სხვა მამაკაცებისკენ გაექცა, ბოლოს გაუგეს და გამოისტუმრეს. ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესის მიხედვით წარიმართა ისე, როგორც, ღმერთმა იცის, რამდენჯერ წარმართულა და არა ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რომ მის ამბავში რაიმე იყო განსხვავებული. თვითონ კი ადგილი აღარ დარჩა ამ უძველეს თავგადასავალში, საჭირო იყო მხოლოდ საიმისოდ, რომ ეს ამბავი ხელახლა გათამაშებულიყო. ეგ იყო და ეგ. შეეშინდა ამის წარმოდგენისა. ასე ეგონა, თვითონ კი არ მოქმედებდა ამ დროს, არამედ თოჯინასავით ათამაშებდა ვიღაცა. ჯერ ბავშვობანა ათამაშა, მერე ცოლობანა, მერე ქმრის ღალატი; თითქოს ვიღაც ლამობდა, როგორმე მიემალა და მიეჩქმალა ყველაფერი, რასაც მისი პიროვნული ერქვა. თვითონ კი გარემოს ჩვევას იყო აყოლილი და მიისწრაფოდა ამგვარი უსახური არსებობისკენ, ემორჩილებოდა ყოფას, რომელშიც ოდითგანვე საყოველთაო თავგადასავლები იყო დამკვიდრებული, მსგავსი დიდებისკენ პატივმოყვარე მისწრაფებისა, გაუთხოვარი ქალის უხასიათობისა და სხვა. გაიმეორა ის, რაც დახვდა და აზრადაც არ მოსვლია, წინააღმდეგობა გაეწია, გათავისუფლებაზე ეფიქრა, რაიმე ისეთი მოემოქმედა, რაც

გამოარჩევდა და ადამიანურს გახდიდა მის არსებობას. ყველაფერი განსაცვიფრებელი, ულმობელი მიზანდასახულობით წარიმართა. დაიწყო ის, რაც უნდა დაწყებულიყო და დამთავრდა იმით, რითაც უნდა დამთავრებულიყო. და განა მხოლოდ თვითონ, ახლაღა მიხვდა, რომ მის გარშემო ყველანი ასეთივე ტყვეობაში იყვნენ, უკლებლივ ყველანი. გოგი არჩვაძეც ერთი ჩვეულებრივი კაცი იყო, რომელსაც ამგვარი თავგადასავალი ერგო წილად: ჯერ ცოლი გარდაეცვალა, ცოტა ხანს იგლოვა, მერე კი სხვა ქალის ძებნა დაიწყო. მამაც ასეთ დღეში იყო: ჯერ სკოლა დაამთავრა, მერე ინჟინერი გახდა, დაოჯახდა, დადგენილი ნორმის თანახმად, ორი შვილი იყოლია, უფროსი გაათხოვა, ახლა კი უმცროსის გათხოვებაზე ზრუნავდა. ყველასთვის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესრიგი სუფევდა. ვინმეს რომ ეთქვა მამისთვის, შენც ისევე მოიქეცი, ისეთივე წვრილმანი ანგარიშით, როგორც, ვინ იცის, რამდენი მოქცეულა, უბირი კაცით დაწყებული და განათლებული კაცით დამთავრებულიო, თავს დაუქნევდა, გულში კი წმინდად შეინახავდა იმის რწმენას, რომ მისი საქმე სულ სხვა იყო. „ღმერთო შენ მიშველე“, გაიფიქრა ელენემ და თავი უმწეოდ იგრძნო. მიხვდა, რომ ვერც ვერსად გაიქცეოდა და თავსაც ვერაფერს დააღწევდა. ერთი მზამზარეული წრისგან გაქცეული მაშინვე მეორის ტყვეობაში აღმოჩნდებოდა. არადა, რაღაც გამოსავალი ხომ უნდა ყოფილიყო. და სწორედ ამ დროს იმ რაღაცამ კიდევ ერთხელ შეაჩეჩა ხელში უკვე ერთხელ უკვე ახმიანებული პასუხი: ქმრისთვის რომ მიეტევებინა, მოთმინებითა და სიყვარულით რომ დახვედროდა იმას, რაც ბედმა არგუნა, უფრო გათავისუფლდებოდა, ვიდრე თავისუფლების მისაღწევად წამოწყებული იმ ამბით, ქმარს რომ გაექცა და შვილის საპოვნელად გოგი არჩვაძეს მიადგა, უფრო კი იმ ლამაზ მოგონებას, უკან რომ დასდევდა გათხოვების შემდეგ და თვითონვე დააქცია ეს მოგონება. რაც გააკეთა, არ ყოფილა გამოსავალი. გამოსავალი ის იყო, რაც ძნელად და თითქმის შეუძლებლად, ხანდისხან კი სასაცილოდაც ეჩვენებოდა მაშინ: მოთმენა და სიყვარულის გამოზრდა საკუთარ თავში, სიყვარულისა და არა სიძულვილის, ასე რუდუნებით რომ ანანავებდა. კი არ უნდა ებრძოლა იმ ოჯახის წინააღმდეგ, არამედ შეცდილიყო, დაენახა ერთი ციდა მარცვალი მიმალული სიკეთისა და ის უნდა ჰყვარებოდა მთელი არსებით, სწორედ ის და არა იქ გაბატონებული სიბინძურე. ახლა, ცხადია, უკვე ადვილი იყო ამაზე ფიქრი. ერთი თვის წინათ მაინც უნდა ეფიქრა ასე. ახლა გვიან იყო, თან იმასაც ხვდებოდა, რომ არც ახლა იყო გულწრფელი, რომ ამ დროსაც თამაშობდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ცოტა ხანში გატაცებით არ იოცნებებდა იმაზე, თუ რა კარგი იქნებოდა, მათეიშვილების ოჯახს რომ დაბრუნებოდა და ხელახლა ეცადა ყველაფერი. ოცნებას შეაფარა თავი. მთელი იმ დღეების მანძილზე მხოლოდ ერთხელ იყო გულწრფელი და ისიც სულ რამდენიმე წამის განმავლობაში. წვიმის მოლოდინით მოქუფრული ცივი საღამო იდგა. ნატო სახლში დაბრუნდა თუ არა, დას მიაკითხა და, უგუნებობა რომ შეატყო, მის გამხიარულებას შეუდგა. შეუჩერებლად ლაქლაქებდა. თავის თაყვანისმცემლებს დასცინოდა. მერე ელენეს ამბავს გადასწვდა და ახლა იმაზე დაიწყო ლაპარაკი, თუ როგორ აპირებდა წიგნის დაწერას, სადაც დის თავგადასავალს აღწერდა და მთელ საქალეთს ჭკუას ასწავლიდა. დის გაღიმებით გახალისებულმა კარგა ხანს იქაქანა, სანამ ძილი არ მოერია. მერე დაწვა. კედლისკენ იყო გადაბრუნებული. რატომღაც გუნება დაუმძიმდა. ვერ ისვენებდა. განძრევა არ უნდოდა, რათა ელენეს ყურადღება არ მიეპყრო და, ეძინა, არ გამოეფხიზლებინა. კარგა ხანს იწვა ასე. მერე სიჩუმეში რაღაც ხმა მოესმა. ყური მიუგდო, იფიქრა, მომეჩვენაო. ცოტა ხანში გაიგონა, როგორ შეინძრა ელენე. გადაბრუნება უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა. რაიმეს გაგონებას ცდილობდა. მერე ტირილის ხმა შემოესმა. მხარიღლივ გაიხედა. ელენე საწოლის კუთხეში მიყუჟულიყო და ხელისგულებით იწმენდდა თვალებს.

– იქ ბავშვი იყო, გესმის, ბავშვი, – ტიროდა გულამოსკვნით, – გესმის? ბავშვი იყო, – სული ეხუთებოდა იმ აზრით თავზარდაცემულს, რომ ცოტა ხანში თამაში უნდა განახლებულიყო.

* * *

გოგი ელოდა, როდის ეხლებოდა ის, რის მოლოდინშიც უნებურად ინაბებოდა და რასაც, ასევე უნებურად, თვითონვე გაურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, თუმცა კი გრძნობდა, თუ როგორ ჰქონდა ძვალსა და რბილში გამჯდარი საკუთარი დანაშაულის განცდის სურვილი. ეგონა, ელენეს მასთან სტუმრობის მეორე დღესვე მოხდებოდა ეს, როგორც კი ბიჭი გაიღვიძებდა და ზუსტად ისევე წამოჰყოფდა თავს ლოგინიდან, როგორც ღამით, მაგრამ არ მოხდა ასე; პირიქით, ერთხანს მიავიწყდა, კიდეც ეს მოლოდინი ან იქნებ დაივიწყა, სანა ბიჭს თავისიანებთან მიიყვანდა და ჩააბარებდა. მოგვიანებით მიხვდა, რომ ივიწყებდა, თუმცა კი დიდი ხნით ვერ შეძლო ეს და დედის სახლიდან გამოსვლისთანავე აღსდგა მოლოდინი იმისა, რომ ერთხელაც იქნებოდა, ღამით, ახლად ჩათვლემილს, ძილსა და სიფხიზლეს შორის თავს დაატყდებოდა ის, რაც მაშინ დაატყდებოდა ხოლმე, ანიკოსთან მოღალატე ცოლებზე რომ გააბამდა ლაპარაკს, თანაც არა ისე, საჭორაოდ, როგორც ცდილობდა ამის წარმოდგენას, არამედ საიმისოდ, რომ ამით ეთქვა, ყველაფერი მომეხსენება და არაფერი გამომეპარებაო. ანაც ხვდებოდა, რატომ უყვებოდნენ ამას და ერთხელ ატირებულსაც შეუსწრო. მერე კი ღამით, თვლემაში წასულს, მოულოდნელად აფხიზლებდა სურვილი იმისა, რომ პატიება ეთხოვა ცოლისთვის იმ შეურაცხყოფის გამო, მას რომ აყენებდა და ცოტა შვება ეგრძნო ამით. დიდხანს არ მიჰყვებოდა ეს. ღამის მეორე დღესვე იგივეს იმეორებდა, რადგან თურმე მხოლოდ ანას გაფრთხილებაში არ იყო საქმე. ახლაღა ხვდებოდა, რომ მიზეზი კიდევ იყო, ოღონდ უფრო შეფარული: სურდა, დაენგრია ის, რაც მის ბოროტ ნახევარს მოჩვენებითად და შეუვალად ჰქონდა მიჩნეული. ეჭვი უნდა ჩაეთესა იქ, სადაც იგი ჯერ არ იყო აღმოცენებული, რათა ყველაფერი ადგილზე დაბინავებულიყო და მერე სიხარულით შეესუნთქა გარშემო დატრიალებული ყროლი. ნელ-ნელა, ბეჯითად ემსახურებოდა ამ საქმეს. თუკი რამე უშლიდა ხელს, ისევ და ისევ თვლემაში შეპარული სინანული იყო, თუმცა კი იმასაც ადვილად სძლევდა ბრიყვად და მიამიტად გამოჩენის მოშიში, იმის მოშიში, რომ ცრუ ოცნებებით არ გართულიყო და დაბრმავებულს ვეღარ დაენახა, თუ როგორ მიემართებოდა ყველაფერი თავისი წესითა და რიგით. იმასაც ფიქრობდა, რომ სიკვდილმა იხსნა ქალი მისგან; სიკვდილი რომ არა, ისეთი რამ მოხდებოდა, რასაც ვეღარ გამოასწორებდა და უფრო ცუდიც იყო მოსალოდნელი: შეიძლებოდა შეჰგუებოდა მომხდარს და, მიზანმიღწეულს, აღარც თვლემამორეულის ზმანებები შეაწუხებდა ისე, როგორც ახლა, სულ მათ მოლოდინში რომ იყო, ისინი კი ჯიუტად არ მოდიოდნენ და მიტოვებულად გრძნობდა თავს. ეშინოდა ამგვარი მარტოობისა, დანაშაულსაც რომ არავინ მოჰკითხავდა. ერჩივნა, გაწვალებულიყო, ღამეები არ სძინებოდა, ვიდრე ასე მიტოვებულად ეგრძნო თავი, ვიდრე ასე მშვიდად ყოფილიყო მაშინ, როდესაც ნგრევის ჟინი, ანაზე რომ ვერ დაიკმაყოფილა, ბიჭზე გადაიტანა ელენეს სტუმრობის ღამით და ნამდვილად იცოდა, რომ ვერ გაჩერდებოდა ამ გზაზე მავალი, თუკი რაიმე ძალზე ძლიერი არ გააჩერებდა, თუკი რაიმე თავის მარწუხებში არ მოაქცევდა. თითქმის დაწვრილებით იცოდა, რა უნდა მომხდარიყო. უამრავჯერ ჰქონდა წარმოდგენილი. რაღაც უცნაური წესით, მთელი თავისი ცხოვრება თვალწინ უნდა დასდგომოდა. ბავშვობისდროინდელი ამბები ისევე ახლოს იქნებოდნენ მასთან, როგორც უახლოესი წარსულისა. ყველაფერს მეტად მართლად და ნათლად დაინახავდა, ყოველ თავის საქციელს, ყოველ თავის ფიქრს. ნებისმიერი წვრილმანის გახსენებას დანაშაულის დამთრგუნველი გრძნობა უნდა მოჰყოლოდა თან. ყველაფერი, რისი გაკეთებაც ცხოვრებაში მოასწრო, სინდისის ქენჯნის მიზეზად უნდა ქცეულიყო. დაუნდობლად დაეშვებოდა თავისი სულის წიაღში და, ვინ იცის, რა სიბინძურეს არ ამოიტანდა იქიდან. დაინახავდა, რამდენი სიცრუე, უგუნურება და ანგარება დაჰყვებოდა მთელ მის ცხოვრებას, რამდენ ბოროტებას სჩადიოდა გამუდმებით, თან კიდევ სულ იმას ოცნებობდა, რამე შეეცვალა, რაღაც ისეთი მოემოქმედა, რაც სიმართლეს მოაპოვებინებდა. ყოველდღიურად აკნინებდა და ანამცეცებდა ამ სურვილს. დილით მშვიდი და უცნაური ნათლით მოსილი იღვიძებდა, დაღამებამდე კი ისე მოისურვებდა ხოლმე, რომ არაფრის გახსენება აღარ უნდოდა, რადგან იცოდა, ერთხელაც არ გაუკეთებია ის, რისი გაკეთებაც იყო საჭირო: იმის ნაცვლად, რომ მინდობოდა ანას, როგორც ანა იყო მასზე მინდობილი, ცუდი გამოძიებით დაანგრია ყველაფერი; იმის ნაცვლად, რომ მინდობოდა იმ იდუმალ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩანასახს ერთობისას, ელენესთან რომ აკავშირებდა, დაამახინჯა იგი. არადა, შეეძლო, სხვაგვარად მოქცეულიყო, რადგან ყოველთვის იცოდა, ყოველ მის სიტყვას შეეძლო აღედგინა და გაემშვენიერებინა ან შეელახა და დაენგრია ადამიანი. ამის ნაცვლად კი შესციცინებდა მომავალში წარმოდგენილ საკუთარ თავს, ათას სიავეს სჩადიოდა და თავს იმშვიდებდა, ერთხელაც იქნება, ნამდვილი ცხოვრებით ვიცხოვრებო. თვალწინ დაუდგებოდა ყველა, ვისთანაც რაიმე აკავშირებდა. ყოველი მათგანის გახსენებას სინანული მოჰყვებოდა თან იმ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დანაშაულის გამო, მათ მიმართ რომ მიუძღოდა. რა ბოროტებასაც არ დაიბრალებდა, ყველაფერი მართალი აღმოჩნდებოდა. როგორც კი გაცოცხლებული სირცხვილი დააპირებდა უკუეგდო ეს ბრალდება, მაშინვე უამრავი ისეთი რამ გაახსენდებოდა, რაც დანაშაულს დაუდასტურებდა და სასოს წარკვეთდა; მეხსიერებას თითქოს სარქველი მოეხსნებოდა; სიხარბეს დაიბრალებდა და მაშინვე გაახსენდებოდა ის სამარცხვინო უგუნურება, ამ დროს რომ დაეუფლებოდა ხოლმე. გაიძვერობას დაიბრალებდა და საამისოდაც ბევრი რამ დაუდგებოდა თვალწინ. გაუტანლობა, ორპირობა, ჭორი და ცილისწამება, ბიწი და სილაჩრე ყოველი მხრიდან ჩამოეკონწიალებოდა მის გახევებულ სხეულს. ბევრი ისეთი რამ მოჰგვრიდა უზომო ტკივილს, რის გამო სინანულიც ადრე სისულელედ მოეჩვენებოდა. გაიხსენებდა, როგორ დაკლა ერთხელ ბატკანი. პირუტყვი სხვა დროსაც დაუკლავს, მაგრამ იმ ერთი ამბის გახსენება შესძრავდა ხოლმე. დაწვრილებით წარმოიდგენდა, როგორ გაამზადა დანა, როგორ უსინჯავდა ფხას და სასიამოვნო მოლოდინი როგორ დაურბოდა მკერდში; როგორ დასდევდა დამფრთხალ პირუტყვს, რაღაც საშინელის წინათგრძნობით შეპყრობილი აქეთ-იქით რომ აწყდებოდა, ყოველი ძარღვი უთრთოდა და შიშის ზარი აღბეჭდილოდა თვალებზე; როგორ გაუხარდა, რომ პირუტყვი ისე დაკლა, სისხლის წვეთიც არ დასცემია არსად. მოკლა არსება, რომლისთვისაც ბოლო იმედი მისი ყოვლისშემძლე სხეული იყო, ყოველ წამს რომ შეეძლო თავისი დაუნდობლობა მოწყალებით, უფრო მეტიც, სიყვარულით შეეცვალა. ათასი ამგვარი ამბავი დატრიალდებოდა მის თავს და ათას აღმოდებულ ნაწილად იქნებოდა დაქუცმაცებული.

მერე იქნებ ის თავისი შეულახავი „მეც“ დაენახა, ოღონდ არა ნაოცნებარი, არამედ ნამდვილი და არსებული, აქამდე მხოლოდ შორეულ წარსულსა და მომავალში რომ ეგულებოდა; დაინახავდა, თუ ბიწის ამ დღესასწაულში გზას როგორ იკვლევდა იმის მცდელი, რომ იქ, სადაც მისმა ბოროტმა ორეულმა სიავე დათესა, ეს სიავე სიკეთედ მოექცია. დაინახავდა, თუ როგორ სდევნიდნენ, როგორ ცდილობდნენ მის დაჩიავებას და მოსპობას იმისა, რისკენაც უნდა ევლო თურმე, რადგან ეს იყო მისი მიზანი და არა ის, რაც ადრე წარმოედგინა: დაბადება, სახელოვანი სიცოცხლე და დიდებული სიკვდილი, სწორედ ეს იყო დიდი, იდუმალი, შიშის მომგვრელი მიზანი და ბედი კი არ სჯიდა, არამედ აღვიძებდა თურმე, თვალებს უხელდა ამ მიზნის დასანახად.

დღეები გადიოდა და იმედითა და შიშით ელოდა, სანამ არ მიხვდა, რომ ყოველივე უკვე მომხდარიყო. თვითონაც ვერ შეამჩნია, ისე შეეპარა, დაეპატრონა, წავიდა და ისევ მარტო დატოვა. შეაშინა და დააბნია ამან, რადგან ძალიან არ უნდოდა, მარტო და საკუთარ თავს მინდობილი ყოფილიყო ახლა.



# ალექსანდრე გიგიტაშვილი

* * *

დაგელოდები, მომწერენ წერილს...
დაგელოდები, მიდიან დღენი...
მან მიაწერა ბარათს გაღეღილს
„შენი კარმენი, შენი კარმენი“.

* * *

როგორც სიზმარი ხშირად ნანახი,
ხარ საოცრება ნაზი, ციური;
როგორაც ტყეში ძველი სანახი,
როგორც მუსიკა სვეკოსმიური.

იქ ჩვეულ ნათელს ეალერსება
შენი ჩუქურთმა ძველი, ეული.
როგორც ვენახი აყრილლერწება –
ეს ჩემი სული შენგან ძლეული.

## ლიკას

წვიმს. ვერ ვჩერდები მე უკვე გარეთ,
ჯიბეში მიდევს ძველშავი კვარტით.
თქვენ გამახსენდით და გამახარეთ,
ქალიშვილებო, ვისაც გიყვარდით.

შენ კი, ვით კვიცი ტირიფის წკეპლით,
ყაყაჩოებით ხარ განალახი.
აგვკროდა ნამი ბალახის სველის
და მირონივით გეცხო ტალახი.

როგორ გვიყვარდა, გახსოვს, წვიმები,
მაგრამ წარსული შენ არ გეხება.
ვინც მზად არ არი, როს ილიმები,
შენს უფსკრულებში გადიჩეხება.

* * *

თოვს. უფრო ეკვრის აგური
აგურს
და სულსაც უჭირს შენზე ოცნება.
რამდენი რამე დავიწყნია გულს –
შენი სხეული და მოოხება.

ახლა წამებად იქცა ვედრება
ნელი ალერსი შენი ყოველი...
რა შეგედრება, ვინ შეგედრება,
ვერ შეგელევი წუთისოფელში.

* * *

გული გერლევვა უეფემერო
თუ უვარსკვლავო გაგაქვს დღეები,
კედელს ვაზივით შემოეხვევა
ჯერაც უცნობი სამოთხეები.

მე რა ვქნა, ვისაც არ გაუხუნდა
არც ქალზე ფიქრი და ძაგს წვალება.
ისევ და ისევ გულსაც ხომ უნდა
ქალი ნაცნობი, ღვინისთვალება.

ისევ იქ, სადაც წრფელი გულია
და საოცარი მოგდევს თქმულება.
ის გაფიცული და შეთქმულია,
არა, არ ძალგიძს შენ ერთგულება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ზაურ კოდუა

## მედალიონი

სადაცაა მიილევა თბილისური იანვრის არცთუ ისე სუსხიანი ღამე. დილის ბინდში შინიდან გამოსული ერემო მკერდქვეშ მჩხვლეტავი ტკივილისგან ძალდაუტანებლად, მოგუდულად ახველებს. ზამთრის სიცივემ სადღაც ფილტვებთანაც გაუმძაფრა და გაუხშირა ტკივილის შეგრძნებები. ჯანგაუტეხელ, ჯერ შუახნობამდე მიუღწეველ კაცს, ვისაც ცხოვრებაში წამალი და ექიმი არ დასჭირვებია, ჰგონია, რომ უკურნებელი რამ სენი შეეყარა და, ამ აზრს შეგუებულს, სიცოცხლის აღსასრული აღარც კი აშფოთებს, ამქვეყნიურ ამაოებაზე გული არ სწყდება. ახლა მისთვის უმთავრესი ცოლ-შვილის დაპურება, სხვა ყველანაირი მიზანი ნაადრევად განელებია და გაჰქრობია. პური არსობისას მოპოვებას ამჯობინებს საკუთარ ჯანმრთელობას და, სულაც, პირად ღირსებასაც. მხოლოდ დედა, მეუღლის მორიდებული თხოვნისგან განსხვავებით, ხან დაყვავებით, ხანაც ბუზღუნით უჩიჩინებდა თავისერთას:
- მთლად საქმეს ნუ გადაჰყვები, ჯანს ნუ შეალევ, თავის გადადება არ ეგების, არავის გვარგებსო. - მაგრამ დღეს, როდესაც ცხოვრება ისე გაჭირდა, რომ შინ მისულს კართან გამოგებებული პატარა შვილიშვილისთვის მუდარით დაბარებული სალეჭი რეზინიც კი ვერ მიუტანია, თავის დაზოგვაზე ფიქრიც აღარ უნდა - სხვას ვერ მიაჩერდება, გულზე ხელს ვერ დაიკრეფს, მით უფრო, ლოგინში ვერ ჩაწვება. წუწუნი არ ჩვევია, არადა, ვაჟიშვილებს რომ უყურებს, გული ეწურება, - ოცდაორი წლის, ნაადრევად დაოჯახებული ფილოლოგისდიპლომიანი უფროსი ვაჟიშვილი და მასზე ორი წლით უმცროსი დიდგულა ძამიკო, - იგივე სპეციალობის ფაკულტეტის დაუწსრებელი სწავლების სტუდენტი (სამუშაოზე მოწყობის მიზნით დასწრებული სწავლება რომ მიატოვა), ისეთ საქმესაც ვერაფრით მიუდგნენ, ყოველდღიური სახარჯო მაინც ჰქონდეთ და, თავმოყვარეობაშელახულნი, მთლად მამის კმაყოფაზე არ იყვნენ. ეთაყვანება და სულშიც იძვრენს ყველასგან ნაფერებ-განებივრებულ შვილიშვილს, პატარა ბებულის (სახელი დიდმა ბებომ დაანათლა); შვილთაშვილის გაჩენამ ღრმად მოხუც დედას, ძალა და სიხალისე შემატა; ერთთავად პაწიას უტრიალებდა, თავს ევლებოდა, ჭიპით ხელისგულზე დაიწვენდა და ისე აბანავებდა, მოვლასა და ალერსში რძლებსაც (ბალღის დედასა და ბებიას) ეცილებოდა; ის იყო მისი საზრუნავიც, გასართობიცა და სალოცავი ხატიც; იმ ქვეყნად მიმავალიც იმასღა წუწუნებდა - საფლავში ის შემაწუხებს, რომ ბებული პატარაა და, რომ გაიზრდება, ვერ გამიხსენებსო.

სიცოცხლის დასასრულის მოახლოებაზე აკვიატებული აზრი ერემოს დედისა და სიდედრის მოულოდნელმა სიკვდილმაც განუმტკიცა. შვილიშვილის სიყვარულით დატკბობაც არ დასცალდათ, თითქოს გამიზნულად, შეთქმულებივით, ერთიმეორის მიყოლებით მიიცვალნენ ჯერ კიდევ ჯანგაუტეხავი ქალები. ორივემ, ბედის უკუღმართობით სიყრმიდანვე დაქვრივებულებმა, ცალუღელშებმულად ზიდეს ცხოვრების მძიმე ჭაპანი და ტვირთი მოვალეობისა ერემოს ღირსეულადაც გადააბარეს. ამიტომაც, მათი ამაგის დამფასებელი, სიკვდილის წინ, თავგადაკლულ ჭირისუფლადაც ეიმედებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიდედრმა, სამოცდახუთი წლის ჯანმრთელმა და საღ-სალამათმა ქალმა, ბოლო სტუმრობისას, ისე, თითქოს სასხვათაშორისოდ, უცნაური თხოვნით მიმართა, - იცოდე, შვილო, სოფელში ნათელქალად (ნათელა ერქვა) მიცნობენ და მაფასებენ; იმდენ მონაგარს კი ვტოვებ, შესაფერად დამიტირო. ერთს გთხოვ - ხალხი არ შემიწუხო - არც ფულითა და არც შრომით. ქელეხზე გულუხვად მოიქეცი, პურ-ღვინო ბლომად იყოს, შენი სახელიც იქნებაო. - და ამგვარი თხოვნის მოულოდნელობით დაბნეული სიძისგან ნუგეშმიუღებლად, სულ რაღაც ერთ თვეში, თავის ბაღში მუშაობით გართულმა, ზეზეურად განუტევა სული, ალბათ, მაინც იმაში დაჯერებულმა რომ იმ ქვეყნად წაუღებელი საგზალი უშურველად გაიცემოდა.

დედის სიკვდილს კი დღემდე ვერ შეგუებია. სევდა-კაეშნიანი იყო დედის პირადი ცხოვრება. მამა მეორე მსოფლიო ომიდან აღარ დაბრუნებულა, მეუღლის ამაო მოლოდინში მარტოხელა დედას ჩვილ ბავშვთან ერთად მრავალი კოშმარული ღამე თეთრად უთენებია. მერეც, ეკალი ბევრჯერ უკრეფია, მაგრამ ერთადერთი პირმშოსა და მისი ნამრავლის - შვილიშვილ-შვილთაშვილის სიყვარულით, მათი კეთილდღეობისთვის ჯაფაში შვიდ ათეულსაც გადააცილა, მაგრამ ჯერ კიდევ შეურყეველი ჯანმრთელობა და ცხოვრებისადმი ჩაუმქრალი ინტერესი დაუჯერებელს ხდიდა მის ასე უეცარ გარდაცვალებას. ერემომ არანაკლები სულიერი ტრამვა მიიღო მაშინაც, როდესაც დედის ხელით ნაწერი ანდერძი აღმოაჩინა (რასაც არანაირად არ ელოდა). თურმე ნუ იტყვით, მისი ღვთისნიერი, მზრუნველი დედაც სიკვდილისათვის ემზადებოდა და შვილს უბარებდა: - როცა სამუდამოდ დაგშორდებით, ვინძლო, მუხის კუბოში ჩამასვენო, რომ მაგარი ჯიშის ხის ფიცრებმა დრო-ჟამს გაუძლოს და ასი წლის შემდეგაც, სადაც უნდა ვიყო, შენს გვერდით გადამასვენონო.

დედა მუხის ძვირადღირებულ სასახლეს ითხოვდა, რათა უსახსრო ჭირისუფლისთვის ქალაქის (ახლო მდებარე) სასაფლაოზე ადგილის გამოყოფის ხლაფორთი აეცილებინა. როგორც ანდერძიდან ჩანდა, ასეთი ფუფუნება შესაძლებლად მას მომავალში ესახებოდა.

ნუთუ დედისა და სიდედრის ასე მოულოდნელად წასვლა ერემოს ავისმაუწყებელმა მომავალმა განაპირობა; აქაოდა, ამ ახალგაზრდა კაცს ავადმყოფობამ ბოლო არ მოუღოს და უპატრონოდ, დაუმარხავნი არ დავრჩეთო. ისე, რომ გზა უტიეს და, აწი, შეეძლო უკან გაჰყოლოდა...

ეს აზრი აწუხებს, მაგრამ არ აშინებს; თავსაც შეძლებისდაგვარად გაუფრთხილდება და არ დაძაბუნდება, მაგრამ ისეთი დროა, შენი სპეციალობა აღარავის აინტერესებს - საწარმოები გაჩერებულია და გამოცდილი ინჟინერი კაცი იძულებულია, ყოველდღიური ლუკმა-პურისთვის ყველაფერს მოეძლოს, მძიმე ფიზიკურ სამუშაოსაც არ ერიდება.

ამ დილით ერემო სიონის ტაძარში წირვას დაესწრება, დედის ორმოცზე პარაკლისს გადაახდევინებს; ავტომანქანა არ გამოიყვანა, რადგან ეკლესიის დაღმართიანი ქუჩაბანდები მთლად მოლიპულია. მაგრამ, თავს თუ გამოუტყდება (ცოდვა გამხელილი სჯობია), მანქანით წამოუსვლელობა სხვა მიზეზმაც განაპირობა. დიახ, მანქანაში არის ნივთი, რომელიც მას რაღაცას მიანიშნებს, ურჩევს, მადლობასაც სწირავს... და, რა ძნელად დასაჯერებელიც უნდა იყოს, ის, ალბათ, ნივთად არც ითქმის... ქარვის მედალიონში ჩასმული დედის სურათი დიდი ხანია სულიერივით ასდევნებია სალონის სარკის სამაგრს. ორმოცის თავზე არ უნდოდა მედალიონს ეკარნახა ის, რასაც აუცილებლად თვითონ გააკეთებდა, - დედის ცხონებული სულის მოხსენიებას საპატრიარქო ტაძარში, რომლის ამბიონთან ღვთისმოსავ დედას სანთლები დაუნთია და ომში წასული მეუღლის მშვიდობით დაბრუნებაზე ღლენიადაგ მუხლმოყრით ულოცნია; და სადაც დღემდე მისი სულიერი მოძღვარი წირავდა.

ქარვის იხელ და ფართე მედალიონს ერთი მხრიდან დედის კეთილშობილი სახე ამშვენებდა, მეორე მხარეს კი ბოლნურ-ქართული ჯვარი იყო გამოსახული. ყვითლად შეფერილი ფირფიტის ზედა ოვალური ზედაპირიდან გაბნეული შუქი ჯვარ-დედაკაცს თავზე მუდმივ შარავანდად ადგა.

თავიდანვე, როდესაც ერემო ავტომანქანის სალონში მედალიონს თან მოყოლილი დაწნული ძაფით ჰკიდებდა, დედისსურათიანი მხარე თავისკენ ვერაფრით დააყენა. რამდენჯერაც მოატრიალებდა, მისდა გასაოცრად, იმდენჯერ შებრუნდებოდა და მისკენ ჯვრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანი მხარე ჩერდებოდა. ძაფიც გამოცვალა, დასაკიდი ადგილიც – ისე, რომ ნივთის ასიმეტრიულობის მომენტი მთლიანად გამორიცხა, მაგრამ ერთი წუთითაც კი ვერ შესძლო მედალიონისთვის სასურველი მიმართულება მიეცა. დედის სურათი ჯიუტად, პირშექცევით მანქანის საქარე მინისკენ იყურებოდა.

და, აი, როგორღაც, ჯვარ-სურათოვანმა ფირფიტამ სხვადასხვა დროს ბარე სამჯერ შეიცვალა ამოჩემებული მდებარეობა და დედის სურათი ერემოსკენ შემობრუნდა.

პირველად მედალიონის ესოდენ სასურველი მოძრაობა შემთხვევითობას მიაწერა. ეს მოხდა დედის დაკრძალვიდან მეათე, ქრისტეშობის დღეს, როდესაც თავისი ხუთი წლის შვილიშვილთან ერთად დედის გამორჩეულად საყვარელი ჩაის ვარდებითურთ ავტომანქანით პანთეონისკენ მიეშურებოდა. ერემომ შეუძლებელი შეძლო, დედა მუხის სასახლეშიც ჩაასვენა და ქალაქის სასაფლაოზეც გამოუნახა ადგილი.

მეორედ დედის სურათი წინ იმ დროს დაუდგა, როცა კელაპტრის მოსატანად ეკლესიისკენ დაძრა ავტომანქანა. მიცვალებულის სულის საოხი შაბათი დღე იწურებოდა და დედის საწოლთან მიდგმულ ტუმბაზე სანთელი არ დაენთოთ, იგი, უბრალოდ, სახლში არ აღმოაჩნდათ, ამ შემთხვევამ კი მედალიონის მოქმედების გარეგნული მხარე, ასე თუ ისე, გასაგები გახადა – ის დედის სულიერ განწყობას უკავშირდებოდა. მაგრამ რა ძალები იწვევდნენ ამას?.. ამ დილემის წინაშე მდგარი ერემო ერთხელ, შეღამებულზე ომითა და მიუხედაობით ანგრეულ-ჩაბნელებული ქუჩებიდან ავტომანქანით მტკვრის სანაპიროზე გამოვიდა. გზის ამ მონაკვეთზე ქვეყნის პრეზიდენტი კრწანისის აპარტამენტიდან რეზიდენციამდე ყოველდღიურად მგზავრობდა და გზატკეცილიც სწორზედაპირიანი და ლამპიონებით გაჩახჩახებული იყო. მანქანაც უხმაუროდ, სწრაფად მისრიალებდა. ტროტუარზე ჩამწკრივებული გადაუბელავი, ტოტებგაფარჩხული ჭადრების ლამაზი, აჭრელებულ კადრებად სალონში ადვილად შემოღწეული შუქ-ჩრდილები იქიდან ასევე დაუბრკოლებლად გარბოდნენ უკან. და, ამ დროს, ასე წუთიერად შექმნილ იდილიაში აშკარად შეამჩნია, როგორ ამოძრავდა მედალიონი. როცა ერემომ შიშნაკრავი თვალები მიაპყრო, მედალიონიც უსულო საგნისთვის შეუფერებელი, არათანაბარი, წყვეტილი მოძრაობით, ჯვრის გამოსახულებით პირიქით შეტრიალდა... გამოკრთა დედის სახეც მისკენ მზირალი სევდიანად მოღიმარი თვალებით... და ამ ღიმილიანმა შემოხედვამ ერემოზე შემზარავად იმოქმედა, – თვალები უმალ ფეთიანივით მოარიდა, ავტომანქანა მოწყვეტით გააჩერა და თვითონაც ბაგეებზე შეყინული სიმწრის ღიმილით სიგარეტს წაეტანა...

ერემო ძველ უბანში – ელიაზე ცხოვრობს. დილაუთენია სახლიდან ქუჩაში გამოსულს მელანქოლია ეძალება – თავისი მუხლმოუღლელი, ჭაღარა დედის სახება წარმოუდგება სწორედ ამ გზაზე, ქარსა და ავდარში, ათასგვარი საზრუნავით დამძიმებულ-დაფიქრებულად სამსახურში აჩქარებით მიმავალი. სურვილი ეუფლება ეს გარემო ისე იგრძნოს და განიცადოს, როგორც ამას დედამისი აღიქვამდა. დედის თვალებით შეხედოს თუნდაც იმ აწოწილ, განმარტოებით, ქუშად მდგარ ორსართულიან სახლს, რომლის უდარაბო სარკმლიდან გამოსული კაშკაშა შუქი მის წუთიერ ყურადღებას მიიპყრობდა. ქუჩის კუთხეში საშიშრად გადახრილი ხის გამოფიტული ელექტრობოძიც გამოიწვევდა დედის უსიამოვნო რეაქციას, ისიც, – მეეზოვე ქურთის ქალები გრძელტარება ცოცხის მოურიდებელი მოსმით აქაურობას რომ ამტვერებდნენ და ნაადრევად გამოსულ გამვლელთ მტვერში ხვევდნენ.

ერემო მესხიშვილის ქუჩით სომხურ ეკლესიამდე ჩამოდის, ქეთევან წამებულის მოედანს გადაჭრის და ქვაფენილიან ღვინის აღმართის ქუჩას დაადგება. ნელა მიაბიჯებს, ბინდბუნდში მოყინულზე ფეხის დაცურებას უფრთხის. წმინდა მისიის გამო გულს ბაგაბუგი გაუდის და საგულეს აღარ უჩერდება, პანაშვიდზე მარტო იქნება და დედასთან განმარტოვდება; ორმოცდახუთს მიტანებული კაცი დედის დაკარგვის შემდეგ თავს ობლად პირველად გრძნობს და მისი მოფერება ენატრება.

როდესაც დარეჯანის სასახლეს გაუსწორდა, კიდევაც ირიჟრაჟა, მისგან პირდაპირ, ხელის გაწვდენაზე, მთელმარე ბებერი მეტეხი და ნარიყალა მთქნარებით იღვიძებდნენ. მათ ფერხთით ზანტად მოძრავი მტკვრის განიერი ტანიდან აღმავალ ოხშივარს მთელი ხეობა რძისფრად მოეფინა და სითბოთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



აევსო. ხოლო ციხის ქონგურებთან ნიავქარის მუდმივ სამფლობელომდე ამოღწეული ორთქლით გაჯერებული ნისლის ქულები დილის სიოსგან ფთილებად იშლებოდა, იწელებოდა და ცაში სწრაფად იკარგებოდა, მერე ისევ ჩნდებოდა ახალ-ახალი, დაჭეჭყილ-დაგრძელებული ფთილა-რგოლები...

ბავშვობის შორეულ წლებში, როცა ერემო დედასთან ხელგადახვეული საღამოს წრეიდან ამ აღმართით შინ ბრუნდებოდა, ელექტროშუქით გაჩირაღდნებული ღამის თბილისის ცქერაში წუთიერი შესვენებისას, მისგან ასეთი სიტყვები მოუსმენია: - ერემო, შვილო! ის ნათქვამი, რომ „ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეაო“, სავსებით ესადაგება ძველი თბილისის შემოგარენს. შეხე, ეს ამაყი, საუკუნოვანი ციხის ზღუდეები თავისი ორბუნებოვნებით როგორ ატყვევებს მნახველებს - არაჩვეულებრივი სილამაზისა და სიმტკიცისანი, სამალავის ფუნქციის უარმყოფნი, დამზაფრავად ზემოქმედებენ და შიგ შეხიზნული საყდრებით მოყვასთათვის საიმედო თავშესაფარ-სალოცავადაც იგულვიან. - სკოლაშიც, სადაც მასწავლებლობდა, მოწაფეებს საინტერესოდ უამბობდა ხოლმე, რომ ადრინდელი (ბეტონის არტახებისგან თავისუფალი), აშვებული და ღონიერი მტკვარი, ციცაბო ნაპირებზე ნაშენი ციხეებით მცირერიცხოვან ქართველთა საბრძოლო სტრატეგიაში მომგებიან, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდა; რომ ასე ყოფილა შორეულ თუ ახლო წარსულში მეფე-სარდალთა-ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, ერეკლე მეორისა და სხვა სამხედრო ხელოვანთა მიერ გამართულ ომებში; რომ ჩვენი დედაქალაქი და სრულიად საქართველოც მისი მიწა-წყლის თავისებურებასაც ხშირად უხსნია და ეს შემთხვევით არ ყოფილა - წმინდა ღვთისმშობელმა ხომ თავისი წილხვედრი ქვეყანა არგუნა ყოველთა ქართველთაო!

ყველაფერს დასასრული აქვს და, ჯერ საპანაშვიდე მზადებით, შემდეგ ლოცვებში დედის მიუსაფარი სულის მრავალგზის მოხმობითა და უფლისთვის შევედრებით განცდილი ვნებათაღელვა და ნეტარება მინელდა.

სულიერად ამაღლებული ერემო (ეს სახელიც ნათლობის - წმინდანი იერემიას სახელიდან ჰქონდა შერჩენილი) ექიმებთან მიდის, რენტგენმა ფილტვების ჯირკვლების გადიდება აჩვენა, კონსილიუმზე ჩათვალეს, რომ დაავადება საკვების სიმწირით და, აქედან გამომდინარე, ვიტამინების ნაკლებობით შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული; გაიჭირვა და ექიმის რჩევას მისდია, - რახან უმადობას არ უჩიოდა, საკვებისთვის ფული გაიმეტა და ჭამასაც უმატა. მოკლე ხანში ფერ-ხორცითაც შეივსო, მაგრამ ტკივილები არ დაამებია, პირიქით კი მოხდა - სუნთქვა გაუძნელდა და ხველებაც გაუძლიერდა. ახლა, სხვაგან და სხვა ვითარებაში (არც კი უნდა ონკოლოგიური კლინიკის ხსენება), ექიმებმა მკაცრად გააფრთხილეს, რომ დაავადებული ორგანო სხივურ და ქიმიოთერაპიას საჭიროებდა და, ისიც ითქვა, რომ ონკოლოგიური ავადმყოფები მკურნალობის შეღავათიანი ფასებით სარგებლობდნენ... კეთილი მოხუცების, დედისა და სიდედრის ავბედითი წინათგრძნობა თუ ვარაუდი მართლდებოდა...

ერემოს რატომღაც ჰგონია, რომ მის ცხოვრებაში იდუმალად (და არა მისივე სურვილით, როგორც ეს სინამდვილეში იყო) შემოიჭრა ეს მედალიონი, რომლის ამოუცნობი ბუნებაც მისი მუდმივი ფიქრის საგანი გამხდარიყო. მედალიონის შეძენა აზრად სიონის ტაძარში დედის დაკრძალვიდან მესამე დღეს სანთლის ასანთებად შესულს მოუვიდა. მესანთლის მაგიდაზე ხატ-ჯვრები და სხვა რელიგიური ნივთებიც ეწყო. მისი ყურადღება ქარვის მედალიონში შესრულებულმა ღვთისმშობლის გამოსახულებამ მიიპყრო, ხატი აიღო, ემთხვია და ხელში მოწონებით შეატრიალა - მეორე მხარეს ჯვარი გამოესახათ. გულში ჩაიდო, - რადაც უნდა დაჯდომოდა, დედის სახსოვრად დედისსურათიანი ასეთივე მედალიონი უნდა შეეკვეთა. მესანთლისგან შეიტყო იმ უცნობი, ოქროსხელება, მისტიკისკენ მიდრეკილი (როგორც ეს შემდეგ გაირკვა) ხატმწერის ადგილსამყოფელი და იქით გაეშურა. მედალიონის შესამკობად ოსტატს დედის პორტრეტთან ერთად მისივე ნაქონი გულსაბნევიდან ამოღებული საფირონის გუმბათისებრი ფორმის თვლები გადასცა. ნიშნობის დროიდან ტარებისგან ცვეთაშეპარული ოქროს საფირონისთვლიანი გულსაბნევი დედას ჩუმად მაშინ გაეყიდა, როცა ახალგაზრდა რძალი დამშრალი ძუძუთი ბებულის ვეღარ აკმაყოფილებდა და მეძუძურისთვის საკვების შეძენა აუცილებელი გამხდარიყო. ოქროს უბირ შემსყიდველთ, რომლებიც იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა



დროს ხალხის გასაფცქვნელად ქალაქის უბნებს ლეგალურად მოდებულიყვნენ, ბრო-შის ოქროს სხმული აელოთ, იაგუნდის ძვირ-ფასი თვლები კი უკან დაებრუნებინათ, – მარტო ოქროს ვიბარებთო. – და, იღბალზე, დაწუნებული ქვებიც მათთან შებერებულ დედას სიცოცხლის ბოლომდე შერჩენოდა.

ოსტატის მაგიურ ხელებს იაგუნდი ყვით-ელფერა ქარვის ფირფიტაზე უცვლელად გა-დაეტანა და სურათით შეუვსები ოთხივე კუთხეც თვლებით შეემკო. ჯვრის ალმატებუ-ლად მკაცრი ფერწერული ტონალობა ლურჯ-ყვითელ ფერთა ნათების ფონზე დედ-ის პორტრეტს სიწმინდით მოსავდა; ოსტატმა მედალიონის გადაცემისას ერემოს მისი ერთი უცნაურობაც გაანდო: – როგორც კი ჩარჩოს დამოქლონებას მოვრჩი, იქიდან ერთბაშად გადმოსულმა სითბომ ხელები ისე გამიხურა და ამითრთოლა, რომ მედალიონი ველარ დავიმორჩილე. ვფიქრობ, შენი და მიცვალე-ბულის ენერგეტიკული ძალები ერთმანეთზე გადაჯაჭვულა და ის სითბოც ამის შედეგიაო. მართალია, ხილვები სპონტანურად კი მეწვ-ევა, მაგრამ – უტყუარადო. – ერემომ გაკვირ-ვებით ჰკითხა, – ნათქვამი რას მოასწავებსო? – პასუხი დამაფიქრებელი ჩანდა, – ბოლომდე ვერ ამიხსნია, მაგრამ დედის მხრიდან კი იმართებაო!

მედალიონი შედარებით დიდი ზომითაც გამოირჩეოდა, ვინაიდან დედის პორტრეტის შეკვეცა-შემცირება ერემომ არაფრით ინდო-მა, გულსაკიდად, ცოტა არ იყოს, მოუხერხე-ბელი აღმოჩნდა; შინ, ოთახებში მიცვალებუ-ლის სურათები ისედაც თვალსაჩინო ადგილ-ებზე იყო გამოტანილი და ამიტომ არჩია, მედალიონი მანქანაში ჰქონოდა.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო ბოჭავს ერემოს ავადმყოფობა. ვერც საკუთარ თავს შველის და ვეღარც ჯალაბს. სასოწარ-კვეთილმა აღარ იცის, რა იღონოს და თავის-თავს ხმამაღლა ეკითხება, რა ისაშველოს, ვის მიმართოს სამკურნალოდ. ასეთ დროს ვის რა უნდა ერჩია? და, ერემოს ჯავრიან, უიმედო ამოძახილზე – რა გზას ვეწიოო! – მედალიონიც მდუმარედ ამეტყველდა, – როგ-ორც ადრე, ახლაც, ძაფი დაიჭიმა, დაიძაბა და ხისტად დაკიდული მოოჭვილი ფირფიტა შეურხევლად და ძალისმიერად დატრიალდა; უხილავმა ძალამ დედისსურათიანი მხარე მისკენ შემოაბრუნა და გააჩერა; მერე ისევ დატრიალდა და წინ ახლა ჯვარი დაუდგა; და სრულიად უძრავ ავტომანქანაში დედისა და ჯვრის გამოსახულება ასე მონაცვლეობით კარგა ხანს ჩერდებოდა. გაოგნებულ ერემოს უცებ გონება გაუნათდება და მიხვდება, რომ დედა ჯვრის ჩვენებით (რაც სხვა დროს არ ხდებოდა) ეკლესიაზე მიანიშნებს... სწორედ იქ ლოცვა-კურთხევითა და შენდობის მიღე-ბით განიწმინდება და გადარჩება.

მერე ერთი ნათელმხილველის რჩევაც წამოუტივტივდება გონებაში – თუ მღვდლები შენთვის იმ საყდრებში ილოცებენ, რომელ-თაც შუა გამდინარე წყალი ჩაუდით და ლოცვებსაც რამდენჯერმე აღავლენინებ, უეჭველად განიკურნებიო.

ბოლო დროს მედალიონის მოქმედება უფრო გამოიკვეთა და მიზანმიმართული გახდა. ასე, მაგალითად, – სასაფლაოსკენ წასვლისას დედის სურათი წინ დაუდგებოდა, იქიდან წამოსვლისას კი ნელა, თითქმის შეუმჩნევლად მიბრუნდებოდა. ახლაც, რად-გან ოჯახის წევრები საფლავზე კვირაში ორ-სამჯერ მაინც გადიოდნენ, ამ დროს, სურათიც, ეშხში შესულივით, მათკენ მობრ-უნდებოდა და მიბრუნდებოდა, გაუღიმებდა და იმედით ტოვებდა.

ერემო რომ მეტეხის ეკლესიას მიადგა, იგრძნო, დედის სურათი ისევ მოტრიალდა... პირჯვარი გადაიწერა... ამ ტაძარში სნეულ-ებს, უპირატესად, ლახვრის ლოცვით კურნავ-დნენ. ჭარმაგი ახოვანი მღვდელი ანაფორის განიერი სახელოდან გამოშვერილი წვეტი-ანი მახვილით მკერდზე მსუბუქად ჩხვლეტდა და თან ღვთისმშობელს მხურვალედ ევედრე-ბოდა: – „...მისაცა უძლურებასა მოხედენ და შეიწყალე სული მისი, სახიერო, ხოლო ხორც-ით განკურნე მადლითა შენითა, ყოვლად წმიდაო!“ – მახვილის ყოველ შეხებაზე ერე-მოს ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს მკერდქვეშ დაბერილი ჯირკვლები იჩუტებო-და, პატარავდებოდა და პირვანდელ ფორმას იბრუნებდა...

* * *

პარაკლისს ქაშუეთის წინამძღვარი, არ-ქიმანდრიტი იხდიდა. თავზე ხელს მძიმედ დაადებდა და ლოცვებს ბუტბუტით, გაურჩევ-ლად წარმოთქვამდა. მეუფის ავადმყოფური, დაღლილი გამოხედვა უდიდეს სათნოებას იტევდა. ლოცვებმა და ქადაგებებმა ერემოს ღვთის სიყვარული განუმტკიცა, პირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა



მისცა აღსარება და ეზიარა კიდეც. მისი გული სასოებამ მოიცვა, სულიერად და ფიზიკურად გაწონასწორდა და ღვთისგანვე ბოძებული შინაგანი ძალებით შეძლო საბოლოოდ დაეთრგუნა გარდაუვალი სიკვდილის შიშიც და თვით დაავადებაც. ღვთის ნებით მოხდა ყოველი, ღვთის მონაში ღვთის წყალობა გარდმოვიდა და მისი ბედისწერაც, ალბათ ეს იყო.

იმ შეუცნობ შიშსა და არასასიამოვნო განცდებს, რაც ერემოს პირველ ხანებში ეუფლებოდა, მედალიონისადმი გაუცხოება არ გამოუწვევია. მოხდა კი პირიქით, - მისმა იდუმალებამ მისცა ნუგეშიცა და შემდეგში ქვეცნობიერი, ენით გამოუთქმელი ისეთი სიყვარულიც, როგორიც, გარდა ძე-ხორციელისა, არც ერთ უსულო საგანს მისდღემში არ ღირსებია.

ბოლოს და ბოლოს, მედალიონს მშვიდი, უმოქმედო პერიოდიც დაუდგა. ერემოს საქმეები შედარებით კარგად მიდიოდა. ბიჭებიც დღიური, მათხოვრული სამუშაოდან ხელფასიან სამსახურში გადავიდნენ. მატერიალური სიდუხჭირე ასე თუ ისე დაძლიეს.

თბილისში გაზაფხულმა შემოაბიჯა. ავდრიან მარტის თვეს აპრილის თბილი, სადაგი დღეებიც შემოჰყვა, რასაც დიდი ბებოს შვილიშვილები მოუთმენლად ელოდებოდნენ. უამინდობაში საფლავის ქვის გაკეთება არ ხერხდებოდა, არადა, გამზრდელი ბებიის უნიშნოდ დიდი ხნით დატოვებაც ეთაკილებოდათ. მარმარილოს ფილა ალალად ნაშრომი ფულით გამოაჭრევინეს და, მსგავსად მედალიონისა, ბებიის სურათი ნატიფად თლილი ტოლმხრებიანი ჯვრით დაამშვენეს. უმცროსმა უამინდობით გამოწვეული გულისწუხილი ლექსითაც კი გამოთქვა (ნიჭმა და ჰუმანიტარულმა განათლებამ თავისი ჰქნა). სხვათა შორის, ბებულიმ ეს ლექსი ზეპირად ისწავლა და, თუ ვინმე წაკითხვას სთხოვდა, ხალისით ატიკტიკდებოდა ხოლმე.

ერთ მზიან დღეს გადაწყდა, რომ ლამაზად მოპრიალებული, წარწერებიანი დაფა სახელოსნოდან საფლავზე გადაეტანათ და დაეცემენტებინათ. ოჯახის ყველა მამაკაცი, ბებულის ჩათვლით, მანქანაში მოთავსდა. სიმშვიდე სუფევდა. ეტყობა, შექმნილი სიტუაციის გავლენით, ისე, რომ არავისაც არ უთხოვია, ბებულიმ ენამოჩლექით, მაგრამ გამომსახველი პათეტიკურობით ლექსი წამოიწყო და, როცა ბოლო ორი სტრიქონიც

...ბებოს საფლავზე ეული ვარდიც

ფეხზე დამდგარა მყარად! შეუცდომლად ჩაბაბულბულა, მედალიონი ნელა შეინძრა, რაც მანქანის „ტორპედოზე" მისი გრძლად გაწოლილი ჩრდილის ხშირმა ცვალებადობამ უფრო საჩინო გახადა. ის ახლა ჩვეულებისამებრ, წრიულად კი არ ტრიალებდა, არამედ, - მაქოსებურად - ქვევიდან ზევით და, პირიქით, ხტუნვითა და ვარდნით გადაადგილდებოდა. ძაფი ჯერ ჩამოწყდომამდე იჭიმებოდა და შემდეგ ისევ იშვებდა. მედალიონი შეჩერებას აღარ აპირებდა... მანქანაში მყოფნი ერთმანეთს უსიტყვოდ მისჩერებოდნენ. უფროსების შეშფოთება გაუცნობიერებლად ბავშვსაც გადასდებოდა. გაურკვევლობის მოლოდინში გაუსაძლისი მდუმარება ჩამოწოლილიყო. ისევ ერემო მოეგო გონს, - მგონი, ეხვდები რაღაცასო, - წაიჩურჩულა და მედალიონი ხელში ფრთხილად მოიმწყვდია...

* * *

ბოლოთქმა:

მეცნიერებს ვერა და ვერ აუხსნიათ მედალიონის ფენომენი; რომ არა ეკლესიის წიაღში ჩასახული და განვითარებული მოვლენა, შესაძლოა, ეს უცნაურობა მისტიკაში გადავარდნილი კაცის ნაოცნებარ ხილვებადაც ჩაგვეთვალა; ამ თავსატეხის ამომხსნელი ჭეშმარიტი მისტიკოსები კი, როგორც ეტყობა, მიღმური სამყაროდან ამ საუკუნეში ჯერაც არ გამოჩენილან; ისღა დაგვრჩენია, რომ მომხდარი ღვთის ნების გამოვლინებად ვაღიაროთ და არა ბუნების კანონზომიერების დარღვევად.

ახლა, ერემო მის უჩვეულო, დიდ მედალიონს გულზე მიხუტებულს ატარებს და დარწმუნებულია, რომ ასეთი იყო დედის სურვილი, მედალიონი აღარ წუხს და, გარეშე თვალთათვის უჩინარი, პატრონს სალბუნადაც ედება. მხოლოდ ერთხელ, მაშინ შეტოკდა და სითბოც ჩაუღვარა, როდესაც აქ აღწერილი ამბავი ვაჟიშვილებს ქაღალდზე გადაატანინა...

ჰოდა, ეს ნოველაც, საფუძვლად ნამდვილი ამბავი რომ დაედო, დედის, ბებიისა და დიდიბებოს ხსოვნას მიეძღვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაგა დვალიშვილი



## უცნაური ამბავი

მამა გოსიმე ტახტზე იჯდა და ჩაფიქრებული ეწეოდა ყალიონს. ტახტი ღია აივანზე იდგა და მინდვრიდან წამოსული ქარი სასიამოვნოდ აგრილებდა მის სიბერისაგან გამშრალ, ოდნავ ჩაყვითლებულ სახის კანს. ახალგაზრდები, ვაჟი და ძმისწული, მოაჯირს ჩამოყრდნობილნი, ყურადღებით უსმენდნენ მოხუც ღვთისმსახურს.

– ახლა, შვილებო, ყველაფერი სხვანაირად არის. სხვა ადათ-წესები და ჩვევები წამოვიდა. ეს ყოველივე ჩემთვის, მოხუცი კაცისთვის, იმდენად უჩვეულოა, რომ ხშირად გაკვირვებული მიმოვიხედავ ირგვლივ, მეჩვენება, თითქოს სხვა ქვეყანაში მოვხედი.

– რა, ბიძია, ადრე უკეთესი იყო? – ჰკითხა ძმისწულმა, რომელიც ასაკით უმცროსი იყო და ამიტომაც უფრო სიტყვასწრაფი.

– ეხ, მოხუცებს საერთოდ სჩვევიათ წარსულის ქება და აწმყოს ძაგება. ეს ჩვენი საერთო სენია, თუმცა გასაგებიც არის, რატომ ხდება ასე. კაცს თავისი ყმაწვილკაცობის წლები ყოველთვის უკეთეს ფერებში ეხატება, – მამა გოსიმე კვლავ ჩაფიქრდა და ყალიონი ღრმად მოქაჩა. – არა, მე ვერ ვიტყვი, რომ ადრე ყველაფერი კარგად იყო, ხოლო დღეს ყველაფერი ცუდია. ასეც რომ მეჩვენებოდეს, ტყუილი იქნებოდა, ალბათ, ეს, მაგრამ ადრე სხვა იყო.

– რა იყო სხვა?

– ყველაფერი: კაცობა, ქალობა, ცხოვრების წესი; აბა, რა ვიცი, კიდევ რა.

აივანზე ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. საიდანღაც ბუზი შემოფრინდა, ბზუილით შემოუარა მაგიდას და თეფშზე გაწყობილ ხილს დააჯდა. სადღაც შორიდან ცხვრების ბღავილი და ძაღლების ყეფა მოისმა. ეს, მწყემსები ერეკებოდნენ საძოვრებიდან ფარას. უკვე საღამო ჟამი ახლოვდებოდა და მთისწვერზე დაკიდული მზე ჩამავალ სხივებს აფენდა ირგვლივ.

– მამა, მოგვიყევი რაიმე საინტერესო ამბავი ძველი ცხოვრებიდან.

– მართალია, რომ ადრე სიმართლის გასარკვევად დანაშაულში ეჭვმიტანილს მდუღარე წყლით ცდიდნენ?

მამა გოსიმემ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია:

– იყო ასეთი შემთხვევები.

– ეს როგორ?

– სასამართლოს ეზოში ჩაფრები კოცონს გააჩაღებდნენ, ზედ წყლით სავსე ქვაბს დადგამდნენ და, როდესაც წყალი ადუღდებოდა, ხოლო ცეცხლისაგან გავარვარებულ ქვაბს წითელი ფერი დაედებოდა, ეჭვმიტანილს მიიყვანდნენ, მდუღარე წყალში ხელს ჩააყოფინებდნენ იდაყვამდის და ერთხანს ასე აჩერებდნენ. თუ ხელისკანი დაითუთქებოდა, დამნაშავე იყო ეს კაცი; მაგრამ თუ ხელი მდუღარე წყალში უვნებელი დარჩებოდა, ასეთ ეჭვმიტანილს მაშინვე ათავისუფლებდნენ, რადგან მხოლოდ საკუთარ სიმართლეში ღრმად დარწმუნებულ კაცს შეეძლო, მდუღარე წყლიდან ხელის უვნებლად ამოღება. რწმენა დიდი რამ არის, მთებს გადააბრუნებს.

დღეს, რა თქმა უნდა, ეს ჩვევა აღარ ივარგებს, ხალხი წამოვიდა სხვანაირი.

– თქვენ თავად, ბიძია, თუ გიხილავთ ბრალდებულის ამგვარი ხერხით გამოცდა?

– იყო რამდენიმე ასეთი შემთხვევა და, სხვათა შორის, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, სიმართლის გარკვევის ეს საშუალება ყოველთვის უტყუარი გამოდგა, თუმცა... – ბოლო სიტყვაზე მოხუცი ღვთისმსახური ჩაფიქრდა და ყალიონს გამეტებით დაეწაფა. ასეთი ჩვევა მამა გოსიმეს მაშინ სჭირდა, როდესაც წინ მოულოდნელ დაბრკოლებას გადააწყდებოდა.

– რა თუმცა, ბიძია?

– არაფერი ისეთი, ერთი ძველისძველი ამბავი გამახსენდა.

ახალგაზრდებმა იგრძნეს, რომ საინტერესო ამბის მოსმენა მოელოდათ და მოხუცს ჩააჯინდნენ.

– კარგი, კარგი ყველაფერს გულახდილად გიამბობთ, თუმცა, როგორც ეთქვი, ერთობ უცნაური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამბავია და მისი ასავალ-დასავალი ვერც მაშინ, ვერც შემდგომ ვერ გავარკვიე.

– შენ, მოგვიყევი მამა, განსჯა ჩვენზე იყოს.

კარგი. ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა, მაშინ მე თქვენზე ოდნავ უფროსი თუ ვიქნებოდი. მეფემ ქსნის საერისთავოში სამების მონასტერი ააშენა და იმ მონასტრის წინამძღვრად მე გამგზავნეს, ეხ, რა დრო იყო. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ჯან-ღონით სავსე და, მიუხედავად იმისა, რომ ღვთის მსახურის სამოსი მეცვა, დღედაღამ მთებში სანადიროდ დავდიოდი. მერედა, რა სანადირო ადგილებია ქსნის საერისთავოში, ტყეები ნადირით იყო სავსე. ხოდა, რას ვყვებოდი: სამი თვეც არ იყო გასული ჩემი ახალ ადგილზე დანიშვნიდან, როდესაც ეს უცნაური ამბავი მოხდა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ზოგი რამ ეგებ ზუსტად ვერც გავიხსენო, მაინც ყოველივეს ისე მოგითხრობთ, როგორც გონებაში ჩამრჩა. იმ დილით საკვირაო წირვას მოვრჩი. ეკლესიაში თავმოყრილი მრევლი, ის-ის იყო, დაიშალა, როდესაც ჩემს ოთახში დიაკონი შემოვიდა და ნახევრად დაწეული ხმით მომახსენა, რომ ჩემთან შეხვედრა სურს თავადის ქალს მირანდას, რომელიც საგალობელ დარბაზში მელის. სასწრაფოდ გადავიცვი ანაფორა და ეკლესიაში შევბრუნდი.

თავადის ქალი ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაჩოქილიყო, ჩემს დანახვაზე ფეხზე წამოდგა და ნელი ნაბიჯით გამოემართა. სახე ერთიანად ალეწილი ჰქონდა, ხოლო თვალის ქუთუთოები ოდნავ შეშუპებული. მიუხედავად ამისა, იგი ახლაც, როგორც ყოველთვის, თავის ასაკთან შედარებით უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ჩემთან მიახლოებისას გაღიმება სცადა, მაგრამ, როგორც ჩანს, თავს ვერ მოერია, მოულოდნელად ნიკაპი აუცახცახდა და სახეშეშლილს ხმამაღალი ქვითინი აუტყდა.

– მამაო, ეს რა ჩავიდინე, რა მომივიდა, თავი დავიღუპე, სული წავიწყმიდე.

ასეთი მოულოდნელი დასაწყისისაგან ოდნავ დაბნეულმა თავადის ქალს მორიდებით ხელი გამოვდე და რამდენიმე სანუგეშო სიტყვა ვუთხარი. ჩანდა, რომ რაღაც უბედურება სჭირდა, თუმცა კი მისი არეული ლაპარაკიდან რაიმეს გარკვევა ძნელი იყო. მცირე ხნის შემდეგ თავს მოერია, ცრემლები ამოიშრო და უფრო დამშვიდებით ალაპარაკდა.

– მე აღსარების სათქმელად მოვედი. ყველაფერი ჩემი ბრალია და არც ვაპირებ საკუთარი დანაშაულის დაფარვას. ერთადერთი, რამაც შეიძლება ღვთის წინაშე გამამართლოს, ის არის, რომ ქმარი მოვკალი, რათა სიკვდილისაგან მეხსნა შვილი. თუმცა ყველაფერს თავიდან მოგყვები: ჩემი მეუღლე, თავადი ელიზბარი, მოგეხსენებათ, საგვარეულოს უმცროსი წარმომადგენელი იყო და ხეობაში მემკვიდრეობით ნაბოძებ თორმეტ სოფელს ფლობდა. საგვარეულო კარ-მიდამო უფროს ძმას დარჩა და ახალი ციხე მან თავად ააგო, მდინარე ქსნის პირას. გულახდილად რომ ვთქვა, რთული ხასიათის კაცი იყო ცხონებული, თუმცა კი გული კეთილი ჰქონდა. ჩემი ყმაწვილქალობის წლებმა მის ხელში მშვიდად ჩაიარა. ქორწილიდან ორი წლისთავზე ვაჟიშვილიც შეგვეძინა. ეს ბავშვი იყო ჩვენი სიცოცხლე და იმედი. სხვა შვილი უფალმა არ გვიბოძა და ცოლქმარს მზე და მთვარე მასზე ამოგვდიოდა. მე ჩემს ბიჭს პატარაობიდანვე თავს ვევლებოდი, ვანებივრებდი. იმედი მქონდა, რომ წამოიზრდებოდა და დავაჟკაცდებოდა, სიბერეში მშობლებს ნუგეშად მოგვევლინებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, უფალმა რაღაც ცოდვებისათვის ინება ჩვენი დასჯა. ვაჟიშვილი, რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო თავკერძა და გულცივი ხდებოდა. მის გულში არ იყო სიყვარული უფლის, მშობლების. არავინ უყვარდა, გარდა საკუთარი თავისა. ალბათ, უცნაური მოსასმენია ეს; დედა რომ საკუთარ შვილზე ავს ამბობს, ის ხომ ჩემი გაზრდილია და, ის ნაკლი, რომელიც მის ხასიათს გამოჰყვა, უპირველეს ყოვლისა, ჩემს ნაკლად, ჩემს ავად მიმაჩნია. თუმცა მე ახლა თხრობის მთავარ საგანს გადავუხვიე, მაგრამ ამის მოყოლა აუცილებელი იყო, რათა გასაგები გახდეს, თუ როგორ მოხდა, რომ შვილმა საკუთარ მამაზე ხელი აღმართა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ თორნიკემ მამის ვერაგულად მოკვლა გადაწყვიტა, რათა მის მემკვიდრეობას და ქონებას დაპატრონებოდა. ამ საქმისათვის ფულიც არ დაიშურა და მკვლელი საგანგებოდ დაიქირავა, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაცაში ვერ შეთანხმდნენ. იმ დაქირავებულმა მკვლელმა ყველაფერი ჩემს მეუღლეს აცნობა და თან მის მოსაკლავად მისივე ვაჟიშვილისაგან აღებული ფული გადასცა. განრისხებული თავადის ბრძანებით, თორნიკე იმ დღესვე შეიპყრეს და ციხის მიწისქვეშა, ბნელ სარდაფში ჩაკეტეს. ჩემი მეუღლის ხასიათი ხომ კარგად ვუწყოდი: თავად ელიზბარს, მართალია, უყვარდა ვაჟიშვილი, მაგრამ სამართლიანობა მისთვის უმთავრესი იყო და შვილს, რომელმაც საკუთარ მამაზე ხელი აღმართა, ხეირს არ დააყრიდა. დარწმუნებული ვიყავი, თუ რამეს არ ვიღონებდი, საქმე სასამართლომდე მივიდოდა, მეფის კანონები კი, ჩემზე უკეთ იცით, მკაცრი და ურყევია. შეიძლება ჩემი ვაჟისათვის სიკვდილის განაჩენიც კი გამოეტანათ. აი, რა უბედურება დამატყდა თავს. ერთი მხრივ, მეუღლე, მეორე მხრივ, ერთადერთი შვილი. დიდხანს ვწვალობდი, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ორივენი ხომ ჩემთვის ახლობელი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ბოლოს ჩემში დედამ გაიმარჯვა. როგორღაც ქმრის უჩუმრად მოვახერხე გუშაგის მოსყიდვა და ჩემს ვაჟიშვილთან საკანში შევაღწიე. რომ გენახათ, სად იყო ჩემი შვილი ჩამწყვდეული: ბნელი, მიწისქვეშა ჯურღმული, ცივი იატაკი, სველი, ნესტიანი კედლები. ყველაფრით

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯანმრთელი ვაჟკაციც კი აქ ერთ თვეში სამუდამოდ დაავადმყოფდებოდა. ჩემმა ბიჭმა როგორც კი დამინახა, თვალებზე ცრემლმორეული ფეხებში ჩამივარდა, - დედა, დედა, მე უბრალო ვარ, ვიღაცამ ცილი დამწამა. უთხარი მამას, რომ მის წინააღმდეგ არაფერი განმიზრახავს. დედა, დამიხსენი.

კაბის სახელურიდან პატარა ხანჯალი გამოვაძრე და თორნიკეს გავუწოდე, - ერთი საათის შემდეგ საკანში მედილეგე შემოვა და ვახშამს შემოგიტანს. მისი წასვლის შემდეგ დილამდე არავინ შეგაწუხებს. ამ ხანჯალს ვიწრო წვერი აქვს და მისი წყალობით კარზე საკეტის გახსნა არ გაგიჭირდება. ამაღამვე აქედან უნდა გაიპარო. გზაში ქვეითად მოგიწევს სიარული, მაგრამ მთელი ღამე თუ შეუსვენებლად ივლი, გამთენიისას გორში ჩახვალ. იქ ჩემი ნათესავები შეგიფარებენ. დანარჩენი რა იქნება და როგორ, დრო გვიჩვენებს. მდევრების ნუ შეგეშინდება. გათენებამდე შენს გაქცევას ვერავინ გაიგებს. იცოდე, შენს განკარგულებაში მხოლოდ ეს ღამეა. ხვალ დილით ელიზბარი თავად ჩამოვა საკანში და მაშინ ვერაფერი გიხსნის.

თორნიკე ერთხანს დაბნეული მიყურებდა, შემდეგ ხანჯალი სწრაფად გამომართვა, სამოსში დამალა და რაღაცაზე ჩაფიქრდა.

- დედა, შენ თქვი, რომ მამა ხვალ დილით ჩემთან მოვა? ამ სიტყვებზე იგი რაღაც უცნაური მოლოდინით მომაცქერდა.

ჰო, ეს ჩემი ყურით მოვისმინე.

- შესაძლოა უიარაღოდაც მოვიდეს. მე კი ხანჯალი მაქვს და მან ეს არ იცის. ამიტომ ჩემგან თავდასხმას არ მოელის. დედა, გესმის, მე არსად გაქცევა აღარ მჭირდება. ის ხომ თავად მოვა აქ.

ამ სიტყვებზე თავზარი დამეცა, აღარ ვიცოდი, რა მეღონა. ხელების მტვრევით ვემუდარებოდი შვილს, რომ თავიდან ამოეგდო ეს საშინელი განაზრახი, მაგრამ თორნიკე მზერას მარიდებდა და ბოროტად იღიმოდა.

- დედა, შენ მხოლოდ ეცადე, რომ საკანში მარტო შემოვიდეს, დანარჩენი მე ვიცი.

- შვილო, ის ხომ შენი მამაა. ერთი წუთის წინ თავად არ მეფიცებოდი, მის წინააღმდეგ არავითარი ავი ზრახვა არ მქონიაო.

- და შენ დაიჯერე, რასაც ვამბობდი? - თორნიკეს ხმაში დამცინავი კილო აჟღერდა.

- მაშ, მომისმინე, თუ შენს არაადამიანურ ზრახვას თავიდან არ ამოიგდებ, მე ახლავე ავალ ელიზბართან და ყველაფერს შევატყობინებ, იმიტომ, რომ ასეთი შვილი მართლაც სიკვდილს იმსახურებს.

დამცინავი ღიმილი ერთბაშად გაქრა ჩემი ვაჟიშვილის სახიდან. ერთხანს დაბნეული მიყურებდა, შემდეგ კი ფრთხილად მომიახლოვდა და ხელზე მემთხვია.

- შენ ჩემი დედა ხარ. შენ არ შეგიძლია, მე მიღალატო. ეს შენც იცი და მეც. შენ არაფერს არ ეტყვი მამას.

ჩემი შვილი მართალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ღამე უძილოდ გავატარე, სიტყვაც არ დამცდენია. გამთენიისას ჩემი მეუღლე საკუთარ თავში დარწმუნებული კაცის დინჯი ნაბიჯებით ჩაუყვა სარდაფის კიბეს. მსახურები ეზოში დავტოვე და თავად უჩუმრად ავედევნე. საკნის კარამდე რამდენიმე ნაბიჯი მქონდა დარჩენილი, როდესაც ქვევიდან იარაღის ჟღარუნი და ცივი შეყვირება მომესმა. მივხვდი, ჩემმა შვილმა თავისი განაზრახი აღასრულა და მის სანახავად საკანში ჩასულ მამას მოსაკლავად თავს დაესხა. უმალ დამავიწყდა სიფრთხილე, უმალ საკანთან გავჩნდი, კარი გამოვაღე და...

სისხლში მოსვრილი თორნიკე იატაკზე განრთხმული იკლაკნებოდა, ხოლო ჩემი აწ განსვენებული მეუღლე მკერდზე მუხლებით შედგომოდა და, როგორც მომეჩვენა, დახრჩობას უპირებდა. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. თორნიკეს ლაპარაკი არ შეეძლო, პირიდან უკვე ქაფი გადმოდიოდა, მაგრამ თვალები, მისი თვალები მუდარით მთხოვდნენ შველას. განა რომელ დედას შეუძლია, მშვიდად უცქიროს, როგორ ახრჩობენ მის ნაშიერს. რაღაც ბედად, სწორედ მაშინ მოვკარი თვალი ჩემს დატოვებულ ხანჯალს. იგი ერთმანეთთან სამკვდროსასიცოცხლოდ ჩახვეული მამა-შვილისაგან ორიოდე ნაბიჯზე იატაკზე ეგდო. ერთ წამში ხანჯალი ჩემს ხელში აღმოჩნდა. იმავ წამს ჩემი მზერა კვლავ შეხვდა თორნიკეს თვალებს. ახლა თავადაც არ მესმის, თუ როგორ მოხდა ეს, ერთბაშად ჩემი ქმრის ზურგს უკან გავჩნდი და ხანჯალი მკერდში ვაძგერე...

ამის შემდეგ მხოლოდ ის მახსოვს, რომ ჩემი მეუღლის სხეული ერთბაშად მოეშვა, მოიმჩვარა და გვერდზე გადაქანდა. კიბეზე აჩქარებული ნაბიჯების ხმა მოისმა, საკნის კარი გაიღო და ოთახში ხალხი შემოცვივდა: მედილეგე და მსახურები...

* * *

მამა ზოსიმემ თხრობა დაამთავრა და აივანზე ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ეს სიჩუმე ისევ ძმისწულმა დაარღვია.

- ვერაფერი გავიგე, მაინც რა არის ამ ამბავში უცნაური. მკვლელობები ყოველთვის ხდებოდა, ხდება და მოხდება ოჯახის შიგნით თუ გარეთ.

მამა ზოსიმემ პირჯვარი გადაიწერა და თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

- თავიდან მეც ასე მეგონა. რა შემეძლო უბედური ქალისათვის მეთქვა. ცოდვები, რა თქმა უნდა, შევუნდე, რამდენიმე თბილი სიტყვაც ვუთხარი. აღსარების საიდუმლოდ შენახვა ჩვენი წმინდა მოვალეობაა, ამიტომ ამ შემთხვევაზე მაშინ სიტყვა არავისთან დამიძრავს. ელიზბარი ჩვენს საერისთავოში საჩინო პიროვნება იყო, და ეს ამბავიც ერთობ გახმაურდა. რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც ამ მკვლელობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



სასამართლომ ბატონიშვილ თორნიკეს დადო ბრალი. ხმები დადიოდა, რომ არსებობდა მისი დანაშაულის აშკარა სამხილები. მე ორ ცეცხლშუა აღმოვჩნდი: ვალდებული ვიყავი ალსარების საიდუმლოება შემენახა, ხოლო როგორც ადამიანს, სიმართლის დამალვის უფლება არ მქონდა. ასეთ ყოყმანში ვიყავი, როდესაც ბოლოს და ბოლოს საკუთარი სულის წაწყმედა ვარჩიე მოყვასის გაწირვას. მოსამართლესთან მივედი და ყველაფერი ვუამბე. მოსამართლე ვამეყი ჩემსავით ნადირობის დიდი მოყვარული იყო. ალბათ, ამიტომ ჩვენს შორის თავიდანვე თბილი, მეგობრული ურთიერთობები დამყარდა და იმხანობას, როგორც ძველი ნაცნობები, ისე ვხვდებოდით ერთმანეთს. მან ყურადღებით მომისმინა და, როდესაც მოყოლა დავასრულე, რამდენიმე კითხვა დამისვა. როგორც შევატყვე, ჩემს მონაყოლში რაღაც წინააღმდეგობებს ეძებდა, შემდეგ მძიმედ ამოიოხრა და თავი გადაიქნია.

– არ ვიცი, არ ვიცი, შენ რა, გინდა თქვა, რომ მე უდანაშაულო ადამიანს დასაღუპავად ვწირავდი? ყოველ შემთხვევისათვის, როგორც შენი მონაყოლიდან ჩანს, მკვლელობა მისი ხელით არ არის ჩადენილი და, სამწუხაროდ, სასამართლოსათვის ეს ყველაზე მთავარია, – ვამეყის ხმაში აშკარად იგრძნობოდა უკმაყოფილება. მაშინაც და მოგვიანებითაც ხშირად შემიმჩნევია, რომ სამართლის მსახურთ ძალიან არ უყვართ, როდესაც ვინმე შეცდომას დაუმტკიცებს, თუნდაც ამ შეცდომის აღმოჩენა სიმართლის გარკვევას ემსახურებოდეს. ამაში ისინი ყველანი ერთმანეთს გვანან.

– ახლა როგორ მოვიქცე, – ვიკითხე დაბნეული ხმით და მოლოდინით მივაჩერდი მოსამართლეს.

ვამეყი წინ გადაიხარა, მაგიდიდან დახვეული გრაგნილი აიღო და გამომიწოდა, – წაიკითხე, ეს ბატონიშვილ თორნიკეს ჩვენებაა. ყოველივე ეს მან თავად აღიარა, აღიარა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე და, როდესაც იგი მოგვითხრობდა, თუ როგორ მოკლა საკუთარი მამა, მე ეჭვიც არ შემპარვია მის გულწრფელობაში, არადა, 12 წელია, რაც მოსამართლედ ვმსახურობ და აქამდე საკუთარ ალღოს და გუმანს ჩემთვის არ უღალატნია.

მოსამართლეს გრაგნილი გამოვართვი და უნებლიე ცნობისმოყვარეობით ატანილმა კითხვა დავიწყე:

„მამას ბავშვობიდანვე არ ვუყვარდი, თუმცა ეს ძნელი დასაჯერებელი კია – როგორ შეიძლება მშობელს საკუთარი შვილი არ უყვარდეს, მაგრამ ეს სწორედ ასე იყო. თუმცა, ჩემი თქმა რად გინდათ, მამაჩემის უკარება და მძიმე ხასიათი ხომ მთელ ზემო ქართლშია ცნობილი. არ იყო ირგვლივ მეზობელი, რომელთანაც მას შუღლი არ მოსვლოდა; სულ იმას ჩიოდა, რომ მემკვიდრეობის გაყოფის დროს წაგებული აღმოჩნდა და საკუთარ ძმასაც კი არ ენდობოდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ჩვენს ციხეში სტუმარი იშვიათად თუ ჩამოხტებოდა. ნაცნობიც კი ჩვენს კარ-მიდამოს შორიდან უვლიდა. ახლა ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს, თუ როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება ასეთი კაცის ხელში. დედაჩემის ყმაწვილქალობის წლები ჯოჯოხეთს უფრო გავდა, ვიდრე ადამიანურ ყოფას. მაინც ყველაფერს მორჩილად ვითმენდით, როგორც ეს ერთგულ მეუღლეს და შვილს შეეფერება და მაინც, ის, რაც მოხდა, სულაც არ იყო მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ ჩემი მშობლების ურთიერთობას. ის, რაც მოხდა, ჩვენს სახლში გროვდებოდა მრავალი თვისა და წლის მანძილზე.

ყველაფერი დაიწყო იმ საბედისწერო დღეს, როდესაც მამას ვითომდა ჩემგან დაქირავებული მკვლელი გამოეცხადა და მის წინააღმდეგ მიმართული ჩემი „საზარელი ზრახვანი“ შეატყობინა. ცხონებული ჩემი მშობელი არასოდეს გამოირჩეოდა სიდინჯით და სიბრძნით. იგი სხვა ადამიანში ყოველთვის უფრო ცუდს და საძრახისს ეძებდა და, თუ ამის დამამტკიცებელ პატარა საბუთს მაინც ნახავდა, ყოველთვის უყოყმანოდ იჯერებდა. ახლაც ასე მოხდა, თავში აზრადაც არ მოსვლია, იმ კაცის ნათქვამი შეემოწმებინა. უცხო ადამიანის სიტყვები მისთვის უფრო სარწმუნო აღმოჩნდა, ვიდრე ღვიძლი შვილის ფიცი და მუდარა. რისხვისგან დაბრმავებულმა იმ დღესვე დილეგში ჩამაგდო და მთელი გამოძიებაც ამით დასრულდა.

მე თავადაც არ ვიცოდი, რამდენ ხანს ვიმყოფებოდი ნესტიან სარდაფში, როდესაც საკნის კარი გაიღო და შესასვლელში დედა გამოჩნდა. ხელში სანთელი ეჭირა და მკრთალი შუქი ოდნავ ანათებდა მის ფერმკრთალ სახეს. იმედმოცემული ფეხქვეშ ჩავუვარდი მშობელს, მაგრამ დედამ ყველა ჩემს თხოვნაზე ცივად მომიჭრა: შენ ჩემზე არანაკლებ იცნობ ჩვენს ბატონს. თუ მან გადაწყვიტა შენი დაღუპვა, არავითარი თხოვნა და მუდარა არ გასჭრის.

– მაშ, როგორ მოვიქცე, დედა, რა ვქნა?

– ამაღამ არაფერი, მხოლოდ დამშვიდდი და ძალ-ღონე მოიკრიბე, ხოლო ხვალ დილით, როდესაც ჩვენი მტარვალი ამ საკანში ჩამოვა, აი... – ამ სიტყვაზე მან კაბის სახელურიდან პატარა, ბასრი ხანჯალი გამოიღო, – თუ გინდა, იხსნა საკუთარი სიცოცხლე, ეს ჯალათი უნდა მოკლა. სხვაზე ნუ იდარდებ. მე ვიზრუნებ, რომ იგი საკანში მარტო, მსახურების გარეშე შემოვიდეს.

– რას ამბობ, დედა. როგორ მირჩევ, რომ მშობელი მამა მოვკლა. ღმერთი არასოდეს მაპატიებს ასეთ ცოდვას.

– მე მეგონა, რომ ვაჟკაცს ვზრდიდი. თურმე გულსუსტი ქალწული გამიზრდია. შვილო, როგორ არ გესმის, შენ თუ დაინდობ, ის არ დაგინდობს.

– დედა, ხომ შეიძლება იმ ცილისმწამებლის ხელახლა მონახვა. თუ დაწვრილებით ჩავეკითხებით და პასუხს მოვთხოვთ, უეჭველად გავიგებთ, ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩაგვავდო ასეთ დღეში. მამამ ცხელ გულზე დამაპატიმრა. იქნებ დაცხრეს, რისხვამ გაუაროს და თავადვე მოისურვოს ჭეშმარიტების დადგენა.

– ის კაცი ცილისმწამებელი არ იყო, შვილო. იგი მართლაც შენი სახელით დაიქირავეს და მამაშენის მოკვლა დაავალეს.

– როგორ თუ ჩემი სახელით! ვინ, რატომ?

– მე დავავალე. ყოველივე ამას შენთვის ვაკეთებდი, შენთვის ვზრუნავდი, შვილო. ოღონდ მწარედ შევცდი. როდესაც ასეთ ვიწრო, ოჯახურ საკითხს წყვეტ, უცხო ადამიანი არ უნდა ჩარიო შიგ, ყველაფერი თავად უნდა გააკეთო.

– დედა, დედა, ეს რა ჩაიდინე, რატომ დამღუპე.

– რას ამბობ, თორნიკე, მე სწორედ შენი ხსნა მინდა და არა დაღუპვა. იყავი ვაჟკაცი და გახსოვდეს, ხვალინდელი დღე უკანასკნელი იქნება ან შენთვის, ან იმ მტარვალისათვის.

დილით, როდესაც კარი გაიღო და საკანში მამა შემოვიდა, მე უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი მქონდა. წინ გამოვედი და მამას დედის დატოვებული ხანჯალი გავუწოდე.

– აი, მამა, იარაღი, რომლითაც შემეძლო მომეკალი, მაგრამ უმალ საკუთარ სიცოცხლეს მოვისწრაფავ, ვიდრე მშობელ მამაზე ხელს აღვმართავ.

მამა იმ დილით ნასვამი იყო და, როგორც ჩანდა, გონება დანისლული ჰქონდა. ამიტომ ერთბაშად ვერც აღიქვა ჩემი სიტყვები. მისი არეული მზერა ჩემს გაწვდილ ხელში მოქცეულ ხანჯალზე დაეცა.

– გველის წიწილო, აქაც მოსაკლავად ჩამისაფრდი? – ამ სიტყვებზე მან ქარქაშიდან ნახევარმთვარესავით მორკალული ხმალი იშიშვლა და მხარში დამცხო. ჭრილობიდან სისხლმა შადრევანივით იფეთქა.

– მამა, რას მერჩი! – სიმწრისაგან მხოლოდ ამის დაყვირება მოვასწარი, მაგრამ უკვე აღარაფერი ესმოდა. ღვინისა და სისხლისაგან მთვრალი, ხმალგაშიშვლებული ნელი ნაბიჯით მიახლოვდებოდა. ეჭვიც აღარ მეპარებოდა, რომ სასიკვდილოდ განწირული ვყავდი. საკუთარი უსუსურობისაგან სასოწარკვეთილი სიმწრით ვეძებდი ხსნის გზას და სწორედ ამ დროს გამახსენდა, რომ ხელში ისევ ხანჯალი მეჭირა. სასოწარკვეთამ და რისხვამ ძალა შემმატა, სატევრის ტარი მძლავრად ჩავბღუჯე და არაადამიანური ღრიალით გავექანე მამისაკენ. იმავ წამს ჩემი ხანჯლის წვერი მის მკერდს ფლეთდა. სწორედ ამ დროს საკანში დედა შემოვარდა, შემდეგ მედილეგე, მსახურები, მოურავი...“

გრაფინიის კითხვა ჩავათავე, დავკეცე და მაგიდაზე დავდე. ერთხანს ორივენი ჩუმად ვუცქეროდით ერთმანეთს.

– მაინც ვინ არის ბოლოს და ბოლოს ნამდვილი მკვლელი? – ვიკითხე დაბნეულმა.

– ეს მე არ ვიცი, – თითქოს ამ კითხვას ელოდაო, მაშინვე მომიგო მოსამართლემ.

– აი, თავადი ელიზბარისაგან სიკვდილის წინ რომ მოხერხებულიყო ჩვენების აღება, მისი მონაათხრობი ბევრ რამეს მოფენდა ნათელს.

– მე მალე მექნება თავადი ელიზბარის ჩვენება.

– როგორ, რანაირად, – განცვიფრებული უნდოდ მივაჩერდი მოსამართლეს.

– საქმე იმაშია, რომ ელიზბარი ჭრილობისაგან არ მომკვდარა. თუმცა მისი სიცოცხლე ერთხანს საფრთხეში იყო და ორი კვირა უგონოდ იწვა ლოგინში. გარკვეულ დრომდე ვმალავდი ამას. საქმისათვის ასე იყო საჭირო.

– მერე რას ამბობს თავადი, ვინ არის ნამდვილი მკვლელი... უფრო სწორად... მე მინდოდა მეთქვა, ვის უნდოდა მისი მოკვლა.

ვამეყი ფეხზე წამოდგა და ახალუხზე ოდნავ მორღვეული ქამარი შეისწორა.

– არ ვიცი, სწორედ ახლა ვაპირებდი თავადის ნახვას; თუ არ დაიზარებ, ერთად წავიდეთ.

თავადი, გამხდარი, მიწისფერსახიანი შუახნის მამაკაცი, ჩვენს დანახვაზე ოდნავ წამოიწია საწოლიდან და მოლოდინით მოგვაჩერდა.

– თავს როგორ გრძნობთ, თავადო ელიზბარ? – იკითხა ვამეყმა და მის სახეზე გამამხნევებელი ღიმილი გაკრთა.

– უკეთ, შედარებით უკეთ. თავის ტკივილმაც გამიარა. მხოლოდ ჭრილობა მაწუხებს ოდნავ.

ავადმყოფმა სათითაოდ შეგვათვალიერა, თუმცა მის მზერაში კვალიც არ ჩანდა ინტერესის ან ცნობისმოყვარეობისა. ეს იყო დაღლილი, განურჩეველი მზერა კაცისა, რომლისთვისაც უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო.

– ექიმმა მითხრა, რომ ჩემი ნახვა გინდოდათ, რათა ჩემგან მოგესმინათ, თუ როგორ მოხდა ყველაფერი.

– თუ რა თქმა უნდა, ეს თქვენს ჯანმრთელობას ზიანს არ მიაყენებს.

თავადმა პასუხის მაგივრად მხოლოდ ხელი ჩაიქნია, საწოლზე უფრო მოხერხებულად წამოჯდა და თხრობა დაიწყო:

– იმ დილით განგებ ჩავედი სარდაფში მარტოდმარტო. მსახურებს ვუბრძანე, რომ ზევით დარჩენილიყვნენ. საუბარი რომ მძიმე მოგველოდა, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. მიუხედავად აშკარად დამამტკიცებელი საბუთებისა, რომელიც ხელთ მქონდა, ჩემი გული, ჩემი ბუნება, ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ ჩემმა ვაჟიშვილმა საკუთარი მამა სასიკვდილოდ გასწირა. ო, როგორ მინდოდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო ან ჩემს შვილს შეძლებოდა ბრალდების უარყოფა. წყალწაღებული კაცი რომ ხავსს ეჭიდება, აი, ასე იყო ჩემი საქმე. ამიტომაც მარტო ჩავედი საკანში. ახლა ვიცი, რომ მაშინ მზად ვიყავი, ყოველგვარი ტყუილი დამეჯერებინა, ოღონდ კი არ აღმოვჩენილიყავი იმ საშინელი არჩევანის წინაშე, თუ როგორ მოვქცეოდი საკუთარ შვილს, რომელმაც სასიკვდილოდ გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



წირა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ყურადღება არ მივაქციე იმ სიხარულის ნაპერწკლებს, რომელიც ჩემი მეუღლის თვალებში გაკრთა, როდესაც დილ-ევის კარი შევაღე და მიწისქვეშა ჩასასვლელ კიბეს მარტო, მცველების გარეშე ჩავუყევი. საკანში შეს-ვლისას კარი ნახევრად ღია დავტოვე და შვილს მოლოდინით მივაჩერდი. ჩემს დანახვაზე თორნიკე მუხლებზე დაეცა და მისი თვალებიდან ცრემლებმა იფეთქა, – „მამა, მე არ მინდოდა შენი სიკვდილი. ეს სულ დედა, დედა... მან მაიძულა. აქაც, საკანში, ხანჯალი შემომიგზავნა, რომ უჩუმრად მომეკალი, მაგრამ მე არ მინდა, არ შემიძლია...“

მე თავზარდაცემული ვიდექი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. მტერს არ ვუსურვებ ასეთ დღეში ყოფნას. სწორედ ამ დროს ზურგიდან ქალის ცივი ხმა მომესმა.

– სანამ გონს მოსულა, ჩაეც სატევარი მკერდში! – მოვიხედე და შესასვლელში მირანდას მოვკარი თვალი. ცოლი სიძულვილით სავსე მზერას არ მაცილებდა. ოხ, მარტო მზერით რომ შეიძლებოდეს ადამიანის მოკვლა, ახლა ათასგზის მკვდარი ვიქნე-ბოდი. სწორედ ამ წამს საბოლოოდ ამეხილა თვალი. ჩემი ცოლი და ჩემი შვილი ჩემს მოსაკლავად ერთ-მანეთში შეითქვნენ. მირანდაც ახლა საგანგებოდ ჩამოვიდა სარდაფში, რათა საკუთარი თვალით ეხილა, როგორ გამომჭრიდა ყელს მისი სასიქა-დულო ვაჟკაცი. ალბათ, ასეც მოხდებოდა, ჩემი ძე რომ ჩემს დანახვაზე არ დამფრთხალიყო. ყველანი ჩემს წინააღმდეგ იყვნენ შეკრულნი. ყველამ გამწ-ირა. ჯავრისა და სიბრაზისაგან გონება დამიბნელდა. ხმალი სიბრტყით დავარტყი ჩემს ძეს ხელზე, ხან-ჯალი გავაგდებინე და წიხლის კვრით იატაკზე დავაგდე. ახლა შემეძლო ორივეს გავსწორებოდი და ორივეზე მეძია შური, მაგრამ მოულოდნელად ყველაფრისადმი ინტერესი დავკარგე. ჩემს წინ მოღალატე ცოლი და შვილი იდგნენ, ერთმანეთს მიკრულნი შიშითა და სიძულვილით მიცქეროდნენ. ძალიან კარგი, გავუსწორდები მათ, მაგრამ შემდ-გომ რა? ყველასაგან მოტყუებულს და გაყიდულს რითი უნდა მესუნთქა, რისთვის უნდა მეცხოვრა. თავში უნებურად აზრი გამიკრთა, – თუ ყველას ასე ვძულვარ, თუ ყველას ასე ვუშლი ხელს, იქნებ უმჯობესია, ნებით წავიდე ამ ქვეყნიდან, ვიდრე ცოლის და ვაჟიშვილის სისხლში გავისვრიდე ხელს. განა ღირს კი ამგვარი სიცოცხლე რამედ? – მე უბედური ძირს დავიხარე, იატაკზე დავარდნილი ხანჯალი ავიღე და მკერდში დავიკარი. თვალებზე ერთბაშად წითელი ფარდა გადამეფარა, საკანი დატრიალდა და გონება დავკარგე.

როგორც ჩანს, დარტყმა კარგად ვერ მოვზომე, რახან ექიმებმა ჩემი სიცოცხლისაკენ მობრუნება მოახერხეს. ახლა არც კი ვიცი, მათი მადლობელი უნდა ვიყო თუ პირიქით, რადგან იმ დღის შემდეგ ჩემი სიცოცხლე განა სიცოცხლეა?

* * *

ბიჭები მოხუცს მოლოდინით მისჩერებოდნენ. ეზოში უკვე ბნელოდა და მსახურებმა სანთლები დაანთეს. მამა ზოსიმემ ყალიონი მაგიდაზე დადო და ახალგაზრდებს მდუმარედ შეაცქერდა.

– მაგრამ, ბიძია, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა იმ საკანში სინამდვილეში?

– შვილებო, ეს კითხვა მეც არ მაძლევდა მაშინ მოსვენებას. მოსამართლემაც ერისთავს საგა-ნგებოდ მოახსენა ამ საქმის შესახებ. ერისთავი ერთობ დაინტერესდა ამ უცნაური ამბით და ბრძანა, რომ სამივენი მდუღარე წყლით გამოეცადათ სიმა-რთლის გასარკვევად. დათქმულ დროს ყველაფერი მოამზადეს. თავადი, მისი მეუღლე და ვაჟიშვილი ცეცხლზე შედგმულ ქვაბთან მიიყვანეს და მდუ-დარეში ხელჩაყოფილნი სიმართლეზე დააფიცეს.

– მერე?

მამა ზოსიმე ერთხანს ჩუმად იჯდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო.

– თქვი, ბიძია, რომელი მათგანი აღმოჩნდა მა-რთალი? ვისი მონაყოლი იყო სიმართლე?

– საქმეც იმაშია, რომ გამოცდას სამივემ გაუძ-ლო. არც ერთ მათგანს მდუღარე წყალში ხელი არ დაეწვა.

– მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ სამივე ერთ-დროულად მართალი იყოს?

მოხუცი ღვთისმსახური ერთხანს მდუმარედ იჯდა. შემდეგ თითქოს გამოერკვაო, წელში გასწო-რდა და ჭაღარა, გრძელკულულებიანი თავი ჯიუ-ტად გააქნია.

– რატომაც არა? სიმართლე, სრული სიმართლე ხშირად ისეთი რთული რამ არის, რომ მისი აღქმა ერთი ადამიანის გადმოსახედიდან შეუძლებელია. თქვენ ამბობთ, რომ სიმართლე ერთია, გეთან-ხმებით, მაგრამ კერძოდ ამ ამბავში მართლაც ის ხომ არ არის მთავარი, ვინ ჩაარტყა ხანჯალი თავადს იმ საკანში? მთავარი ის არის, რომ სამივე მათგანს, გამომდინარე მათი ბუნებიდან და მათ შორის დამყარებული ურთიერთობებიდან, შეეძლო ამის ჩადენა. ალბათ, მხოლოდ უბრალო შემთხვევ-თობის გამო აღმოჩნდა ერთ-ერთი მათგანი დამნ-აშავე. მე მგონი თითოეული ამ ამბავთაგანი, ცალკე აღებული, ნაწილია სიმართლის, ხოლო ნამდვილი, სრული სიმართლე მხოლოდ ამ ამბავთა ჯამისაგან შედგება, რამდენადაც უნდა გამორიცხავდნენ ისინი ერთმანეთს. ადამიანი ბევრად უფრო რთული არსებაა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ყველა-ფერია ადამიანში: შავიც და თეთრიც, და ეს ყველა-ფერი მის ბუნებაში მკვეთრად კი არ არის გამიჯ-ნული, არამედ ერთმანეთშია არეული. ამის გამო ნამდვილ მიზეზებს ადამიანის მოქმედებისა ხშირად ბოლომდე ვერ ჩაწვდები და ახსნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ვალერიან გუნია

# „პიკის ქალი“: გერმანი – ბანქოს თამაშის „იაკობინელი“

ალექსანდრ სერგის ძე პუშკინი თავისი დღიურის 1834 წლის 7 აპრილის ჩანაწერში აღნიშნავს: „ჩემი „პიკის ქალი“ დიდ მოდაშია, – მოთამაშეები პონტირებენ სამიანზე, შვიდიანსა და კიკოზე. მეფის კარზე ამჩნევენ მსგავსებას ბებერ გრაფინიასა და თავადის ქალ ნატალია პეტრეს ასულ გოლიცინას შორის და, მგონი, არ ბრაზობენ“ (1, 11, 129). ამ ჩანაწერში პუშკინი მაღალი წრის მახვილსიტყვიერების მცოდნედ გვევლინება. მისი bon mot იმაშია, რომ პუშკინმა თითქოსდა მიაღწია მიზანს – მოთამაშეები, გერმანის მსგავსად, სამიანზე, შვიდიანსა და კიკოზე პონტირებენ, – თუმცა „პიკის ქალის“ შინაარსი და პათოსი, რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება. ამასთან, პუშკინს ასიამოვნებს, რომ მეფის კარზე ამსგავსებენ ბებერ გრაფინიას მისი ნაწარმოებიდან თავადის ქალს ნატალია პეტრეს ასულ გოლიცინას, და რომ ამაზე „არ ბრაზდებიან“. პუშკინი თავისი ნაწარმოების მიხზნად ვითომ მაღალ საზოგადოებას ირჩევს, მას უძღვნის თავის მოთხრობას. საერთოდ, თანამედროვეთა მოწმობით, პუშკინს „სურდა მაღალ საზოგადოებას, არისტოკრატიის წრეს მიკუთვნებული ადამიანი ყოფილიყო“ (ქსენოფონტ პოლევოი, 1, I, 250) და შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, როცა „საზოგადოებაში მას არა როგორც არისტოკრატს, არამედ როგორც მწერალს ხვდებოდნენ“ (ქსენოფონტ პოლევოი, 1, I, 216). პუშკინის მაღალი წრისაკენ მისწრაფებას აღნიშნავდა გრაფი ვ. ა. სოლოგუბიც, რომელიც წერდა, რომ პუშკინი გულგრილი არ იყო „მაღალი წრის ხმების, მისი თავისებურებების, ჭორებსა თუ პირობების მიმართ“ (ვ. ა. სოლოგუბი, 1, II, 182). პუშკინის დაღუპვის მიზეზს სოლოგუბი პოეტის მაღალი წრისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესით ხსნის და აღნიშნავს, რომ პუშკინი ნატალია ნიკოლოზის ასულ გონჩაროვაზე ეჭვიანობდა არა იმიტომ, რომ ქალი ამის საბაბს აძლევდა, არამედ ყველაზე მეტად ქვეყნის ხმებისა ეშინოდა და შიშობდა, მაღალი წრის თვალში უფრო სასაცილო არ გამხდარიყო. ეს შიში შეიქნა მისი სიკვდილის მიზეზი (1, II, 129). მნიშვნელოვანია ისიც, რომ პუშკინი თავად უსვამდა ხაზს მაღალი საზოგადოებისადმი თავის მიკუთვნებას. ასე, 1833 წლის 30 ოქტომბერს ნატალია ნიკოლაევნასადმი ბოლდინოდან გაგზავნილ წერილში იგი წერს: „...გეცოდინება, რამდენად ვერ ვიტან ყველაფერს იმას, რასაც მოსკოველი ქალიშვილის ელფერი გააჩნია, ყველაფერს, რაც comme il faut არ არის, რაც vulgar... თუ დაბრუნებისას შევიტყობ, რომ შენი სასიამოვნო, უბრალო, არისტოკრატიული ტონი შეიცვალა, გაგეყრები, ქრისტე მოწმეა, და თავად კი სალდათობას მივცემ თავს“ (1., II, 204).

„პიკის ქალის“ მოქმედება იწყება ზამთრის ღამეს, მაღალი წრის ახალგაზრდების საუბრებსა და შამპანურით უხვი ნადიმის გარემოში, ბანქოს თამაშის აღწერით, ე. ი., ჩვეულებრივი თამაშით, რომელსაც ხშირად თვით პუშკინიც ეწეოდა. თანამედროვეთა მოგონებებით, პუშკინს ბანქო ძალზე იტაცებდა. პუშკინი ვულფს გამოუტყდებოდა, რომ „ბანქოთი გატაცება ყველაზე ძლიერი გატაცებაა“ (1, I, 226). ქსენოფონტ პოლევოის მოწმობით, „პუშკინი საკმაოდ ძლიერად თამაშობდა და ძალზე ხშირად გაცამტვერებით აგებდა“ (1, I, 250). როგორც ა. პ. კერნი იხსენებდა, „პუშკინს ძალიან უყვარდა ბანქო და თავად აღიარებდა, რომ ეს მისი ერთადერთი სიყვარულია“ (1, I, 264). ცნობილია ნ.პ. კიჩეევის მიერ ჩაწერილი ა. მ. ზაგრიაჟსკის ნაამბობი იმის შესახებ, რომ ერთხელ პუშკინმა წააგო მთელი თავისი ნაღდი ფული და ფსონის სახით „ევგენი ონეგინის“ იმ დროისთვის ახლად დამთავრებული მეხუთე თავი შესთავაზა და ისიც წააგო. შემდეგ ფსონზე დააყენა მისი კუთვნილი ორი პისტოლეტი და საბოლოოდ დაიბრუნა პისტოლეტებიც, „ევგენი ონეგინის“ მეხუთე თავის ხელნაწერიც და, ამის გარდა, კიდევაც ერთი ნახევარი ათასი მანეთი მოიგო (1, I, 226). და მაინც პუშკინისთვის, როგორც არისტოკრატისთვის, თანამედროვეთა მტკიცებით, ბანქოს თამაში იყო მხოლოდ გატაცება, რომლის წყალობით იგი ძლიერ გრძნობებს განიცდიდა (1, II, 42). ამიტომაც „პიკის ქალის“ პირველ თავში აღწერილი ბანქოს თამაში ასე გვაგონებს იმ მაღალი წრისათვის ჩვეულ თამაშს, რომელშიც ხშირად თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თონ პოეტს მიუღია მონაწილეობა. ასე, მაგალითად, ცნობილია 1833 წლის ზაფხულის ბანქოს თამაშის ეპიზოდი, როდესაც ჩორნაია რეჩკაზე მდებარე ერთ-ერთ აგარაკზე დიდი საზოგადოება შეიკრიბა, რასაც პუშკინიც ესწრებოდა. მწვანე მაგიდის ირგვლივ შეკრებილ ხალხს შეუმჩნევლად შეუერთდა ახალგაზრდა, ლაბადისა და ქუდის გაუხდელად სტაცა კარტს ხელი და გაიძახა: „ვა-ბანკი!“ ეს პუშკინის მეგობარი თავადი ს. გ. გოლიცინი აღმოჩნდა (1, II, 42).

„პიკის ქალის“ პირველივე თავში პუშკინი მოქმედ პირებს ასე განსაზღვრავს: ერთის მხრივ, მაღალი საზოგადოების ახალგაზრდები, რომლებიც ბანქოს თამაშს შამპანურს ანაცვლებენ, მეორეს მხრივ კი - გერმანი - „გარუსებული გერმანელი, რომელიც დილის ხუთ საათამდე ახალგაზრდების თამაშს თვალს ადევნებდა, თავად კი ცხოვრებაში არასდროს კარტს ხელს არ კიდებდა, რადგანაც თვლიდა, რომ მას არ გააჩნია შესაძლებლობა „ზედმეტის შეძენის იმედს აუცილებელი შესწიროს“ (2, IV, 215). „პიკის ქალის“ პირველ თავში მოქმედი პირების ამგვარი სოციალური განსაზღვრის თეორიულ საფუძველს, შესაძლოა, ჰოფმანის მოთხრობის „მოთამაშის ბედილბალის“ საწყისი სტრიქონები წარმოადგენდა: „ადამიანები, რომლებსაც თავის სიცოცხლეში კარტი ხელში არ აუღიათ, თავგამოდებული მოთამაშეები ხდებიან. რაც კი შეეხება მაღალ საზოგადოებას, თვით ბონ ტონიც კი ყოველ საღამოს ბანქოს მაგიდასთან გამოცხადებას გარკვეული თანხის წაგებას ითხოვს“ (3,701). ცნობილია, რომ „პიკის ქალის“ შექმნის პერიოდში ჰოფმანის გავლენა აქვთ ისეთ რუს მწერლებს, როგორიც არის თავადი ვ. ფ. ოდოევსკი, რომლის შემოქმედება იდეურად „პიკის ქალის“ ჩანაფიქრს წააგავს.

პუშკინი თავისი გმირების პირით ორმაგ ხაზს უსვამს გერმანისა და ნაპოლეონის მსგავსებას, რაც მკითხველს გერმანის ხასიათის გარკვევაში ეხმარება. ტომსკი პირველად მეჯლისზე ლიზავეტა ივანოვნასთან საუბრისას მიაპყრობს მის ყურადღებას გერმანისა და ნაპოლეონის პროფილის მსგავსებაზე, შემდეგ კი თავად ლიზავეტა ივანოვნაა გაოცებული ამ მსგავსებით.

რა დამოკიდებულება ჰქონდა პუშკინს ნაპოლეონისადმი? ჯერ კიდევ 1815 წელს თავის ლექსში „ნაპოლეონი ელბაზე“ ახალგაზრდა პუშკინი ნაპოლეონს იხსენებს, როგორც დამღუპველს, რომელიც ევროპას ახალ ჯაჭვს უმზადებს და ოცნებობს იმ დროზე, როცა „ყველაფერი მტვრად იქცევა, ყველაფერი გაქრება“, და მაშინ „ყოვლისმომცველ ნგრევისას“ იგი შესძლებს „კუბოებზე მეფედ დაიმკვიდროს თავი“, - ნადირად, რომელიც თრთის საკუთარი დაღუპვის მოლოდინში (2, II, 181). მოგვიანებით, 1821 წელს, ლექსში, „ნაპოლეონი“ პუშკინი ნაპოლეონს ახასიათებს, როგორც ტირანს, რომელმაც კაცობრიობა უარყო, ვისაც „უტიფარი სულით“ სწამდა თავისი „დამღუპველი ბედისა“, ვისაც თვითმმართველობის „გულგატეხილი სილამაზე“ ხიბლავდა. და, რომელიც მაინც „ხალხის ნემეზიდის მარჯვენამ“ დასაჯა და მას, ტირანს, ყველა წყენის სამაგიერო გადაუხადა;

აღნიშნავს რა გერმანისა და ნაპოლეონის გარეგნულ მსგავსებას, პუშკინი თავის გმირს იმპერატორს წმინდა ადამიანური თვისებებითაც უახლოებს. ცნობილია, რომ ნაპოლეონი „სიამოვნებით“ თამაშობდა ბანქოს - „ოცდაერთს“ და „როცა ახერხებდა, ეშმაკობდა კიდევაც“ (4.527). ბანქოს თამაშის ამგვარი მანერის შესახებ ვკითხულობთ მარკ ალდანოვის რომანში „წმინდა ელენე. პატარა კუნძული“: ნაპოლეონმა დაიწყო პატარა გოგონასთან ბანქოს თამაში, მაგრამ პირველივე სვლიდან ბეთსიმ აღშფოთებით შეამჩნია, რომ იმპერატორი თამაშში თაღლითობს“ (5, 45). ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღრმა მკვლევარი ა. ზ. მანფრედი ნაპოლეონს - დამპყრობელს ბანქოს მოთამაშეს ადარებს: „ნაპოლეონი ფსიქოლოგიურად იმყოფებოდა მოთამაშის მდგომარეობაში, რომელსაც „ბანკი“ - მსხვილი მოგება ხვდა წილად, და რომელმაც დააპირა თამაშის შეწყვეტა, რათა ბედის რისხვა თავიდან აიცილოს. მაგრამ მაინც სცადა დაბალი კარტის დადება, ისე, უბრალოდ, ხელის სავარჯიშოდ, და მოულოდნელად - დიდი მოგება. იგი ისევ დებს დაბალ კარტს და ისევ... მოგება. და ასე, თანდათან, არწმუნებს რა ყველას, რომ დიდი ხანია უარი თქვა ყველა აზარტულ თამაშზე, იგი თითქოს შეუმჩნევლად - ერთი დაბალი კარტი, შემდეგ მეორე, მესამე, და ყველას მსხვილი მოგება მოაქვს! - კვლავ თავდავიწყებით თამაშის აზარტის წრეში იქცევა“ (4, V, 27). საერთოდ, ნაპოლეონის შედარება მოთამაშესთან მუდმივ ხასიათს ატარებს. ლევ ტოლსტოი რომანში „ომი და მშვიდობა“ (რაზედაც აგრეთვე მიუთითებს მანფრედი) ნაპოლეონის შესახებ წერდა: „ნაპოლეონი განიცდიდა გრძნობას, რომლის მსგავსი ეუფლება იღბლიან მოთამაშეს, რომელიც უაზროდ ფლანგავდა ფულს, ყოველთვის იგებდა, და სწორედ მაშინ, როცა მას გათვლილი აქვს თამაშის ყოველი მოულოდნელობა, იგი უცებ გრძნობს, რომ, რაც უფრო გათვლილია სვლა, მით უფრო წამგებიანია მისი შედეგი“ (4, 616).

„რუსულ ღამეებში“ვლადიმერ თედორის ძე ოდოევსკიმ სულიერად დაავადებულის გენიალური ფორმულა გამოიყვანა. ეს ფორმულა იმდენად უნივერსალურია, რომ სავსებით მიესადაგება „პიკის ქალის“ გმირს: „მართლაც, - წერს ოდოევსკი, - რას ვამჩნევთ ჩვენ შეშლილებში? მათ ყველაფერი სრულად გააჩნიათ, ყველა გრძნობა ერთ ფოკუსში იკრიბება, მათთვის ხშირად ერთი რომელიმე აზრის ძალა სამყაროს ყველა მონათესავე აზრს მიიპყრობს, გამოჰყოფს მჭიდროდ დაკავშირებული საგნების ნაწილებს“ (6, 24-25). გერმანის სიგიჟე იმ მომენტიდან იწყება, როდესაც მან სამი კარტის შესახებ ტომსკის ანეკდოტი მოისმინა. გერმანი იწყებს გეგმების შერჩევას, თუ როგორ შეიძლება ბებერი გრაფინიასგან სამი კარტის საიდუმლოს გაგება, და ამისთვის ყველაფერზე თანახმაა - მის „ნდობაში შეღწევაზე“, ოთხმოცდაათი წლის ქალის საყვარლობაზეც კი. თავიდან მას ჯერ კიდევ ანგარება აჩერებს, - იგი ბოლომდე არ არის დარწმუნებული ანეკდოტის სიზუსტეში. მაგრამ როდესაც თითქოს შემთხვევით გრაფინიას სახლთან ახლოს აღმოჩნდება, ცრურწმენის გავლენის ქვეშ მოქცეული გერმანი კვლავ გრაფინიას „სასწაულ“ ნიჭზე ფიქრს უბრუნდება. იმ ღამეს იგი სიზმრად ხედავს კარტს, მწვანე მაგიდას, ასიგნაციებს; ესიზმრება, რომ „უწყვეტლივ“ იგებს, აგროვებს ოქროს და ჯიბეში ინახავს. ამ სიზმრის შემდეგ გერმანი ქალაქში სეირნობს და ისევ, ვითომ შემთხვევით, გრაფინიას სახლს მიუახლოვდება. სახლის ფანჯარაში გერმანმა დალანდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიზავეტა ივანოვნას „ნორჩი სახე“ და აქედან იწყებს მოქმედებას. გერმანმა ლიზავეტა ივანოვნას სიყვარულის ბარათები დააყარა, თანაც პირველი წერილი „სიტყვა-სიტყვით გერმანული რომანიდან იყო გადმოწერილი“, ხოლო შემდეგი ბარათები „მისი ვნებისა და სურვილების სიმტკიცეს და აულაგმავ წარმოსახვას“ გამოხატავდა (2, IV, 224, 226). მაგრამ ყველა ეს წერილი თუ ლიზავეტა ივანოვნას „თავხედური და ჯიუტი დევნა“ გამოწვეული იყო არა სიყვარულით, არამედ: „ფული - აი რას ითხოვდა მისი სული“ (2,IV, 232).

გადასახლებაში მყოფი ნაპოლეონი ცინიკურად აღიარებდა, რომ „სიყვარული - ეს ის სისულელეა, რომელსაც ორნი ეწევიან“ და როს სიყვარულში ერთადერთი გამარჯვებაა „გაქცევა“ (5, 58). ცნობილია ნაპოლეონის ურთიერთობა ქალებთან. ახალგაზრდა ნაპოლეონი დეზირე კლარისთან - თავისი პირველი ძლიერი გატაცების საგანთან - მიმოწერის დროს თავის ბარათებს აწერდა ხელს: „შენი უკუნისამდე“, არწმუნებდა მას, რომ მისმა „ეშხმა და ხასიათმა თანდათან შეყვარებულის გული შეიპყრო“. მაგრამ ყველაფერ ამას ხელი არ შეუშლია ნაპოლეონისთვის, როცა ამას გარემოება მოითხოვდა, მიეწერა კლარისთვის ცივი, უგულო წერილი (5, 79). ასევე ცივად და ჩქარა გამოემშვიდობა ნაპოლეონი მარია ველევსკის და თავი იმით გაიმართლა, რომ გადაუდებელი საქმეები პარიზში მის დაბრუნებას ითხოვს (4, 575). მარკ ალდანოვის რომანში ნათქვამია, რომ ნაპოლეონს არასდროს არავინ არ ყვარებია; მას ვითომდა უყვარდა ჟოზეფინა, მაგრამ „ისიც ვერა“ (5, 58). უბრალოდ, ბონაპარტი თვლიდა, რომ ჟოზეფინა მისთვის ბედნიერების მომტანი იყო (4, 199). ნაპოლეონის მისწრაფებამ, დამოყვრებოდა ერთ-ერთ მეფის სახლს და სიამაყემ, რომ მან, უბრალო ოფიცერმა, მიაღწია იმას, რომ მარია-ტერეზას შვილიშვილზე ექორწინა, - ყველაფერმა ამან უფლება მისცა სტენდალს დაასკვნას, რომ ნაპოლეონმა „სიგიჟის იმ ზღვარს მიაღწია, რომ დაივიწყა თავისი პირველყოფილი წოდება - იყოს რევოლუციის შვილი“ (7, II, 119). როგორც ცნობილია, ნაპოლეონს თავიდან ალექსანდრე I დის შერთვა სურდა, ხოლო უარის მიღების შემდეგ ავსტრიის იმპერატორის ფრანც II ქალიშვილის მარია-ლუიზას შერთვა დააპირა. მოგვიანებით კ. მარქსი გამოეხმიანა სტენდალის აზრს და ნაპოლეონის „დინასტიური უგუნურება“ ფართო მსჯელობის საგნად აქცია (4, 519). საინტერესოა, რომ სტენდალი თავის გამოკვლევაში „ნაპოლეონის ცხოვრება“ კიდევ ერთხელ ნაპოლეონს „გიჟს“ უწოდებს, სწორედ მაშინ, როცა ბონაპარტი უარს ამბობს ასიათასკაციან იტალიურ ჯარზე, რომელსაც მას დე ტომპერის შუამავლობით პრინცი ევგენი სთავაზობდა (7,XI,147).

გერმანი მოტყუებით შეაღწევს გრაფინიას სახლში, სთხოვს მას, გაუმხილოს სამი კარტის საიდუმლო, ხოლო, მიხვდება რა, რომ გრაფინია არ გამოუტყდება, პისტოლეტით ემუქრება. შიში, თავზარი, როგორც ცნობილია, გრაფინიას სიკვდილის მიზეზი გახდა. და გერმანისა და გრაფინიას „დუელის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: გრაფინია, როგორც მაღალი წრის წარმომადგენელი და სიტყვის ადამიანი, მხოლოდ ერთხელ ეუბნება გერმანს სიმართლეს: სამი კარტის საიდუმლო - მხოლოდ „ხუმრობაა“. გერმანის უნდობლობა შეურაცხმყოფელია მისთვის და იგი დუმილს ირჩევს. ლიზავეტა ივანოვნას ბრალდებაზე, რომ გერმანი „მხეცია“, იგი იმით იმართლებს თავს, რომ მას სულაც არ სურდა გრაფინიას სიკვდილი, თურმე პისტოლეტიც გატენილი არ იყო. ეს სასაცილო თავის მართლებაა: თითქოს საკმარისი არ არის ისე შეაშინო მოხუცი ქალი, რომ იგი სიცოცხლეს გამოასალმო.

უდანაშაულო ენგიენის ჰერცოგის დახვრეტამ იმდროინდელი სამყარო შესძრა. სტენდალი „ნაპოლეონის ცხოვრებაში“ წერდა, რომ ახალგაზრდა ენგიენის ჰერცოგი თავისი მონანიების წერილში სთხოვდა მისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას, ერთგულების ფიცის დადებას ჰპირდებოდა, აღნიშნავდა, რომ საფრანგეთი მისთვის სამშობლოა, იგი მისი პატრიოტი, საფრანგეთის მოქალაქეა. რომ იგი მზად არის, ერთგული ჯარისკაცი გახდეს და ხელისუფლების ყველა ბრძანებას დაემორჩილოს. ცნობილია, რომ ენგიენის ჰერცოგს ბრალად ედებოდა, რომ ის, სტრასბურგში ჩასული, ვითომდა შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას. სინამდვილეში კი ჰერცოგი ბაზელში რომანტიკულ სიყვარულს ჩაჰყავდა და მანდილოსნის კომპრომენტაცია რომ არ მოეხდინა, მისი სახლის სარდაფში ჩერდებოდა ხოლმე. მაგრამ, როცა ნაპოლეონს ენგიენის ჰერცოგის ნაჩქარევად სიკვდილის დასჯაში დადეს ბრალი, ბონაპარტი ამტკიცებდა, რომ ჰერცოგის დაპატიმრების შემდეგ მისგან არანაირი წერილი თუ მიმართვა არ მიუღია. (7, XI, 56-57). უნდა ვივარაუდოთ, რომ „კაციჭამიას“ და „კორსიკელი მხეცის“ სახელი ნაპოლეონმა სწორედ ენგიენის ჰერცოგის მკვლელობის შემდეგ დაიმსახურა.

გერმანმა გადაწყვიტა, მისულიყო მონასტერში, სადაც ბებერ გრაფინიას პარაკლისს უხდიდნენ, იმიტომ კი არა, რომ მას, როგორც თვლის პუშკინი, მონანიების გრძნობა დაეუფლა, არამედ იმიტომ, რომ ცრუმორწმუნე იყო, მას „ჭეშმარიტი მრწამსი“ ნაკლებად გააჩნდა, სამაგიეროდ კი ცრურწმენა უხვად ჰქონდა: იგი შიშობდა, რომ მკვდარი გრაფინია „ცუდ გავლენას მოახდენდა მის ცხოვრებაზე“ (2, IV, 234). როგორც ცნობილია, ნაპოლეონს - ცრუმორწმუნე კორსიკელს - მრავალი ასეთი რწმენა გააჩნდა (4, 579). ნაპოლეონის დამოკიდებულება ღვთის მიმართ კარგად არის გამოხატული მარკ ალდანოვის რომანში. ნაპოლეონი ცინიკურად აღიარებდა, რომ მას ღმერთი რომ სწამდეს, ვერასდროს ვერ შესძლებდა იმის გაკეთებას, რასაც მიაღწია, ე. ი., ნახევარი მსოფლიოს დაპყრობას. ამბობდა, რომ ვერ ხვდება, როგორ თუ ამჟამადაც არსებობენ მორწმუნე განათლებული ქრისტიანები: თვლიდა, რომ ევანგელიეს ქრისტე არასოდეს რეალობაში არ არსებულა, იყო მხოლოდ ვიღაც ებრაელი ფანატიკოსი, რომელმაც თვითონ იწამა, რომ იგი მესიაა. ნაპოლეონი გულახდილად აღიარებდა, რომ ამგვარ ფანატიკოსებს იგი არაერთგზის თავად ხვრეტდა (5, 62).

გერმანში ვლინდება ნაპოლეონთან არა მარტო პორტრეტული მსგავსება და ფსიქოლოგიური თვისებანი, არამედ, რაც ყველაზე საინტერესოა, ფიზიოლოგიური თავისებურებანიც კი. კატაფალკის საფეხურზე ასულ გერმანს ეჩვენება, რომ მკვდარმა გრაფინიამ „დაცინვით შეხედა მას მოთვალთვალე თვალით“ და იგი უგონოდ ვარდება (2, IV, 234). ცნობილია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაპოლეონი ფიზიკური სისუსტით გამოირჩეოდა და არაერთხელ გულიც წასვლია. ცნობილია, აგრეთვე, ერთ-ერთი მომენტი, როდესაც ფერმკრთალმა ბონაპარტმა ჯარისკაცების თანხლებით ძლივს მიაღწია თავის კაბინეტამდე, ღიღხანს აზრზე ვერ მოდიოდა, იმეორებდა ერთი და იმავე სიტყვებს, მძიმედ სუნთქავდა (4, 253). ძალზე საინტერესოა, რომ გული ხშირად მისდიოდა ალექსანდრე I-საც (რომელიც, როგორც ცნობილია, პუშკინს არ უყვარდა) მარკ ალდანოვის რომანში აღწერილია ალექსანდრე I რეაქცია მამის სიკვდილზე, თუმცა მისთვის მკვლელობის მზადების შესახებ წინასწარ იყო ცნობილი. და მაინც, პავლე I სიკვდილის ამბის გაგებისას, მან „გადადგა ერთი ნაბიჯი, დააღო პირი, ხელები გაიქნია და უცებ იატაკზე უგრძნობლად დაეცა“ (7, 21). მიაწერს რა გერმანს ამგვარ ფიზიკურ ნაკლს და იცის რა, რომ იგივე ნაკლით გამოირჩეოდნენ ნაპოლეონი და ალექსანდრე I-ც, პუშკინი შორს გამიზნულად მოქმედებს: აერთიანებს და ერთმანეთს უახლოებს ყველა პოტენციურ მკვლელს.

„პიკის ქალის“ მეხუთე თავში გერმანის სიგიჟე ახალ ფორმას იღებს: ღამე გრაფინია „ეცხადება“ და სამ კარტს უსახელებს - სამიანი, შვიდიანი, კიკო, - რის წყალობითაც მას მოგება უნდა ხვდეს წილად. მაგრამ გრაფინია მას ერთ პირობას უსვამს: უფლება აქვს დღე-ღამეში გაათამაშოს მხოლოდ ერთი კარტი, ხოლო შემდგომში ბანქოს თამაშზე საერთოდ უარი უნდა თქვას. გრაფინია აპატიებს გერმანს თავის სიკვდილს იმ პირობით, თუ იგი ცოლად შეირთავს ლიზავეტა ივანოვნას. პუშკინი სწორად განმარტავს ამ ჰალუცინაციის კლინიკურ სურათს: პირველი ის არის, რომ გერმანს იმ დღეს ბევრი დაულევია, რამაც გაახურა მისი ისედაც მხურვალე ფანტაზია; მეორე - ეს აჩრდილი გამოჩნდა ღამის სამ საათზე, - ექიმების მტკიცებით, ჰალუცინაციები სწორედ ამ დროს ვლინდება (8, 135). ამ ეპიზოდში მკვლევარები, როგორც წესი, „პიკის ქალის“ ფანტასტიკურ ელემენტს ხედავენ. ამის საფუძველს იძლევა, როგორც ჩანს, სვედენბორგთან დაკავშირებული მეხუთე თავის ეპიგრაფი. მაგრამ არანაირ ფანტასტიკას აქ ადგილი არ აქვს. ცნობილია, რომ პირველი ჰალუცინაციები სვედენბორგს საყვარელ გოგონასთან ჩაშლილი ქორწინების შედეგად გაუჩნდა (8, 135). 1744 წელს ღამით სვედენბორგი „ზეციური ზმანების“ მხილველი ხდება, რამაც იგი მის „რჩეულობასა და ღვთის საწადელობაში“ დაარწმუნა. ცნობილია ისიც, რომ მოგვიანებით სვედენბორგი „ახალი ზმანების“ მოწმე გახდა და საბოლოოდ „სულთა სამყაროს შესწავლისა და მათთან კავშირის დამყარებაზე“ გადავიდა (9,72).

„პიკის ქალის“ ბოლო თავის დასაწყისში პუშკინი უკვე სატირულ ფერებში აღწერს გერმანის სიგიჟეს, რაც მის მაგალითზე კიდევ ერთხელ ადასტურებს ვლადიმერ ოდოევსკის აზრს სულიერად დაავადებულის ფენომენის შესახებ. გერმანის მდგომარეობის პუშკინისეული თეორიული დასაბუთება - „ორი უძრავი იდეა ვერ იარსებებს ზნეობრივ სამყაროში ისევე, როგორც ფიზიკურ სამყაროში ორი სხეული ერთსა და იმავე ადგილს ვერ დაიკავებს“ (2, IV, 236), - ეხმიანება ოდოევსკის აზრს იმის შესახებ, რომ „ერთი რომელიმე აზრის ძალა სამყაროს ყველა მონათესავე აზრს მიიპყრობს“ (6, 24-25). სამმა კარტმა - სამიანმა, შვიდიანმა, კიკომ - „დაჩრდილეს“ მკვდარი გრაფინიას სახე, სრულად დაეუფლნენ გერმანს და უკვე მის ტუჩებზე „ცოცხლდებოდნენ“ კიდევაც. და შემდგომ პუშკინი უკვე სატირულ ხერხს იყენებს: ასე, ახალგაზრდა ქალიშვილს გერმანი გულის სამიანს ადარებს, საათის შეკითხვაზე იგი პასუხობს „შვიდიანს ხუთი წუთი აკლია“, ღიპიანი კაცი მას კიკოს აგონებს. სამიანი, შვიდიანი და კიკო სიზმრებშიც მისდევს გერმანს და უჩვეულო ფორმას ღებულობს: სამიანი გრანდიფლორივით ყვავის, შვიდიანი მის თვალთ გოტიკური კარის სახით ევლინება, კიკო კი უზარმაზარ ობობად. „მისი ყველა ფიქრი ერთში გადაიზარდა - ასე ძვირადღირებული საიდუმლო თავისთვის გამოიყენოს“ (2, IV, 236).

გერმანის მაღალ საზოგადოებასთან ბოლო შეტაკება, პირველის მსგავსად, კონტრასტებზეა აწყობილი. ერთის მხრივ, მდიდარ მოთამაშეთა წრე, რომელსაც მეთაურობს „დაღერითი“ ჩეკალინსკი, „პატივსაცემი გარეგნობის“, „მუდმივი ღიმილით“ აციმციმებული თვალებით. პუშკინი დაწვრილებით ჩერდება ჩეკალინსკის ქცევაზე თამაშის დროს. მისმა გამოცდილებამ ამხანაგების ნდობა, ხოლო მხიარულმა, გულღია ხასიათმა და ოჯახის სტუმარ-მასპინძლობამ ხალხის პატივისცემა დაიმსახურა. იგი მოთმინებით ელოდება მოთამაშეთა სვლებს, აძლევს მათ გააზრების დროს, იწერს ყოველის წაგებას, თავაზიანად უსმენს მოთამაშეთა მოთხოვნებს. ხოლო გერმანი, რომელსაც ჩეკალინსკი მეგობრულად ხვდება, პირველივე თამაშიდან უხეშად არღვევს ამ სტუმართმოყვარე სახლის ტრადიციებს, იმ მშვიდ გარემოს, რომელსაც ოსტატურად უძღვება მასპინძელი. გერმანი თავიდანვე იწყებს ძლიერ თამაშს - აყენებს ორმოცდაშვიდ ათასს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მას ჩეკალინსკი უხსნის, მის სახლში ორასსამოცდაათი აიასზე „სემპლით“ მეტს არასოდეს არ აყენებენ. მაგრამ გერმანი მეტიჩრულად იქცევა, რასაც ხაზს უსვამს ამ თავის ეპიგრაფში მოყვანილი ანეკდოტი გრაფ გუდოვიჩზე, რომლის შესახებ თავად პ. ა. ვიაზემსკის „ძველი უბის წიგნაკში“ მოთხრობილია: იმის შემდეგ, რაც გრაფმა გუდოვიჩმა პოლკოვნიკის წოდება მიიღო, მან შეწყვიტა თავის თანამშრომლებთან ბანქოს თამაში, რადგანაც თვლიდა, რომ „უფროსს არ შეჰფერის რომელიმე დოყლაპია პრაპორშიკისაგან მოისმინოს მისი მომთხოვნე შეძახილი „ატანდე!“ (10, XVII), ძალზე საინტერესოა, რომ ეს ეპიგრაფი, რომელსაც პუშკინი, უეჭველად, გერმანის, როგორც მეტიჩარას ქცევას უმიზნებდა, თეორიულ დასაბუთებას ისევ და ისევ ვლადიმერ ოდოევსკის „რუსულ ღამეებში“ პოულობს: „...ბანქოში ყველა თანაბარია: უფროსი და ქვეითი, ლამაზიც და მახინჯიც, გენიალურიც და ნულიც, ჭკვიანიც და სულელიც; არ არის არავითარი განსხვავება: უკანასკნელ სულელს შეუძლია მსოფლიოში პირველ ფილოსოფოსს წააგებინოს და დაბალ ჩინოსანს კი დიდ თავადს. წარმოიდგინეთ ვინმე ნულის სიხარული, როცი იგი ნიუტონს მოუგებს ან საშუალება მიეცემა, უთხრას ლაიბნიცს: „თქვენ, ბატონო, თამაში არ გცოდნიათ, თქვენ, ლაიბნიცო, კარტი ხელში არ გჭერიათ“. ეს უკვე იაკობინიზმია თავისი სრული გამოხატულებით“ (6. 77). მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიც ბანქოს თამაშის „იაკობინელია“.

რა დამოკიდებულება ჰქონდა პუშკინს იაკობიზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიმართ? 1825 წელს ლექსში „ანდრე შენიე“ პუშკინი ფრანგი პოეტის პირით გამოთქვამს თავის მიმართებას იაკობინელთა შესახებ. თავის უკანასკნელ, სიკვდილისწინა სიმღერაში ანდრე შენიე თავის უიღბლობას დარდობს. „სიყვარულისა და მშვიდობიან ცდუნებათათვის“ დაბადებულმა, მეგობრებთან ერთად გატარებული დღეები, როდესაც იგი „ოჯახის კერპების მიერ დაცულ ცხოვრებას“ უგალობდა, გასცვალა „მხეცური ვნებებითა და უხეში, სიძულვილითა და სიანგარით გამსჭვალულ ველურ ხალხთან“ ცხოვრებაზე. პოეტი, სიყვარულისა და მშვიდობის ერთგული, „მტრული გენიის“ მსხვერპლი გახდა და „დამცირებულ მებრძოლთა“ ასპარეზზე დაეშვა. იაკობინელთა მიერ სიკვდილმისჯილი ანდრე შენიე ამაყობს იმით, რომ მისი ლექსი „თვითმპყრობელ ჯალათებს“ სჯიდა, რომ იგი თავის ამაყ თავს უშიშრად უთმობს „საზარელ მხეცს“. პოეტს „უბადრუკი პიგმეის“ განკითხვის ქამისა სჯერა (2, I, 435-436). 1826 წელს წერილში „ხალხური აჯანყების შესახებ“ პუშკინი გამოვიდა რადიკალური იდეების წინააღმდეგ. იღებდა რა მხედველობაში დეკაბრისტების აჯანყებას, იგი აღნიშნავდა, რომ „განათლების ნაკლოვანებამ მრავალი ახალგაზრდა კანონსაწინააღმდეგო შეცდომამდე მიიყვანა“ (2, V, 423). პუშკინი წინააღმდეგია პოლიტიკური საუბრებით აღსავსე ლიბერალური იდეებისა, იმ ლიტერატურისა, რომელსაც „მთავრობაზე პასკვილის“ სახე აქვს, რაც საბოლოო ჯამში საიდუმლო საზოგადოებების, შეთქმულებებისა და „მეტ-ნაკლებად სისხლიანი და უგუნური“ აზრებისკენ მოუწოდებს (2, 423). პუშკინი წინააღმდეგია იმისა, რომ საზოგადოებაში შესასვლელად მომზადებული „აღზრდილები“ რესპუბლიკურ იდეებს გაეცნონ. იგი თვლის, რომ რუსეთის ისტორია უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ ნიკოლოზ მიხეილის ძე კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ მიხედვით, რომელიც, პუშკინის აზრით, არის არა მარტო დიდი მწერლის მხატვრული ქმნილება, არამედ „პატიოსანი ადამიანის გმირობა“ (2, V, 427). აღსანიშნავია, რომ კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთისთვის მონარქია მართვის საუკეთესო ფორმაა. 1834 წლის 22 დეკემბერს პუშკინს დღიურში შეაქვს დიდ მთავართან თავისი საუბრის ჩანაწერი. როცა საუბარი აზნაურობას შეეხო, პუშკინმა აღნიშნა, რომ აზნაურობა უნდა იყოს შეზღუდული და მიუწვდომელი „მეფის საკუთარი ნების გარეშე“ (2, V, 566). დიდ მთავართან თავისუფალ საუბარში პუშკინი, როგორც ძველი აზნაურთა გვარის წარმომადგენელი, უსაყვედურებს წარჩინებულ პირს, რომ „ყველა რომანოვები რევოლუციონერები და გამათანაბრებლები არიან“. დიდმა მთავარმა, როგორც მაღალი წრის განაწყენებულ ადამიანს შეჰფერის, პუშკინს უპასუხა: „გმადლობთ: ესე იგი, შენ მე იაკობინელობას მიბოძებ! აი რეპუტაცია, რომელიც მართლაც რომ მაკლდა“ (2, V, 566-567).

ნაპოლეონი, ვალანსის იაკობინელთა კლუბის წევრი, 1793 წლის 20 ივნისის იმ დემონსტრაციის შემდეგ, რომელმაც იაკობინელთა და ჟირონდისტთა შორის დიდი სხვაობა გამოავლინა, წერდა თავის ძმას ჟოზეფს, რომ „იაკობინელები უგუნურნი არიან და საერთო ამოცანები არ ესმით“ (4, 66). მიუხედავად ამისა, ნაპოლეონი პარლამენტში იქცა პიტის სამხილებელი სიტყვის მსხვერპლად, რომელიც მას ფეხმოკიდებულ იაკობინელობაში სდებდა ბრალს: „რობესპიერის, ბარასის, ტრიუმვირატის ექვსი დირექტორის იაკობინელობამ სრულად თავისი გამოხატვა ჰპოვა ადამიანში, რომელიც იაკობინელობის წიაღშია დაბადებული და აღზრდილი, ვინც ერთსა და იმავე დროს ყოველი სისასტიკის შვილი და დამცველიც არის“ (4, 290).

ნაპოლეონის დაცემის მიზეზს სტენდალი მის ხასიათში მომხდარი ცვლილებებით ხსნის: ნიჭი სიჯიუტით შეცვალა, ნებისყოფა არ ეყო, ფართო ჩანაფიქრებზე დროულად უარი ეთქვა. მას „მაკიაველიზმს“ აბრალებდნენ, მაგრამ იგი მაინც ორჯერ გახდა თავისი „გულწრფელობის“ მსხვერპლი - ჯერ ალექსანდრე I დაუჯერა, შემდეგ კი ავსტრიის იმპერატორის კარს. ამასთან დაკავშირებით სტენდალი დასძენს, რომ ნაპოლეონმა ყველა მეტიჩარისთვის ჩვეული შეცდომა გაიმეორა: „ნამეტანად მაღლა აყენებდა იმ წოდებრივ საზოგადოებას, რომელშიც შეაღწია“ (7, XI, 141).

მსგავსი პატარა, ყველასთვის უცნობი ნაპოლეონები მრავლად გამოჩნდნენ იმ ეპოქაში. ფრანგმა მწერალმა სტენდალმა თავის რომანში „წითელი და შავი“ ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღწერა მსოფლიოს ამგვარი გმირი. ცნობილია, რომ პუშკინს წაკითხული ჰქონდა სტენდალის რომანი, ცნობილია, აგრეთვე, მისი აზრი ამ რომანის შესახებ. ე. მ. ხიტროვოსთან თავის 18-25 მაისის წერილში პუშკინი „უმორჩილესად“ თხოვდა, მისთვის გამოეგზავნათ „წითელი და შავის“ მეორე ტომი, რომელიც მან „აღფრთოვანებით წაიკითხა“ (11, 10, 29). 1831 წლის 9 ივნისის ხიტროვოსადმი მიწერილ მეორე წერილში პუშკინი რომანის სრული წაკითხვის შემდეგ წერს: „„წითელი და შავი“ - კარგი რომანია, ზოგიერთ ადგილას ცრუ რიტორიკისა და ცუდი გემოვნების გამო რამდენიმე შენიშვნის მიუხედავად“ (11, 10, 33). ლიტერატურისმცოდნეობაში ცნობილია დიდი მწერლების ორი გმირის -ჟულიენ სორელისა და გერმანის - ურთიერთდაახლოების ცდები, თუმცა ზოგჯერ ეს ხელოვნურ ხასიათს ატარებს. ასე, გ. პ. მაკოგონენკო წერდა, რომ „პუშკინმა უფრო ღრმად და ზუსტად, ვიდრე სტენდალმა, გამოავლინა ნაპოლეონის პროფილის მქონე ადამიანების ცნობიერების ტიპი“ (12, 244). საეჭვოა, რომ „წითელი და შავის“ წაკითხვით აღფრთოვანებული პუშკინი კმაყოფილი იქნებოდა ამნაირი ქებით. გვეჩვენება, რომ უფრო მნიშვნელოვანია ამ გმირების ტიპოლოგიური სიახლოვე. ის, რისი გაკეთებაც სტენდალმა ფრანგულ ნიადაგზე მოახერხა, პუშკინმა რუსულ ნიადაგზე შესძლო და გამოავლინა ის ტიპი, რომელიც „ნაპოლეონობაზე ოცნებობს“. სწორედ ამით აიხსნება ჟულიენ სორელისა და გერმანის მრავალი შეხების წერტილი.

თუმცა სტენდალს თავის რომანში არსად არ აქვს ნახსენები მისი გმირისა და ნაპოლეონის გარეგნული მსგავსება, იგი მრავალჯერ ხაზს უსვამს, რომ ჟულიენ სორელი ოცნებობდა საკუთარი ცხოვრებითაც თავისი კუმირის მიბაძვას. ამიტომაც ჟულიენ სორელს ბატონ რენალის სახლში ლეიბის ქვეშ პატარა კოლოფში შენახული აქვს ნაპოლეონის პორტრეტი. სორელი სამხედრო დიდებაზე ოცნებობს. დიდი სარდლებისა და, უწინარეს ყოვლისა, ნაპოლეონის მსგავსად, იგი ოცნებობდა, ოცდაათი წლის ასაკში პოლკის მეთაური

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამხდარიყო, თითქმის ყოველ წუთს ბაძავდა იმ კაცის მაგალითს, რომელმაც მარტო თავისი ხმლის წყალობით გაიარა გზა უცნობი პორუჩიკიდან ნახევარი მსოფლიოს მფლობელამდე. ჟულიენი ნაპოლეონს წვრილმანებშიც კი ბაძავს. მიხვდა რა, რომ ქალბატონმა რენალმა შეიყვარა, სორელი თვლის, რომ, ნაპოლეონის მსგავსად, მან გაიმარჯვა და ბატონ რენალის - „ამპარტავანი“ აზნაურის ბოლომდე დამცირებას აპირებს - თვით ნაპოლეონიც ხომ სწორედ ასე მოქმედებდა (13, I, 36). ქალბატონ რენალზე თავდასხმის შემდეგ ციხეში მყოფი ჟულიენი ჯერ თვითმკვლელობას აპირებს, მაგრამ აქ ახსენდება, რომ ნაპოლეონი მარცხის შემდეგაც აგრძელებდა ცხოვრებას, ამიტომ თვითონაც უნდა იცოცხლოს! (13, 2, 106). აგრძელებს რა ჟულიენ სორელის და გერმანის დაპირისპირებას, მაკოგონენკო წერს: „პიკის ქალის“ სიყვარულის ეპიზოდი პოლემიკურად „წითელი და შავში“ სიყვარულის გამოხატულებას ეხმიანება“ (12, 244), იმ დროს, როდესაც სწორედ ქალებთან სასიყვარულო ურთიერთობებში ყველაზე მეტად ვლინდება ჟულიენ სორელისა და გერმანის შეხების წერტილები. ასე, მატილდა დე ლა მოლთან პირველი შეხვედრის წინ ჟულიენი მსჯელობს თავის ბედზე, რომელმაც მას უბოძა ბედნიერი შემთხვევა, „დაწინაურდეს, საფრანგეთის ერთ-ერთი სახელოვანი გვარის წარმომადგენლის მეთოკე გახდეს“ (13, I, 389). ჟულიენს გადაწყვეტილი აქვს, ხელიდან არ გაუშვას ეს შანსი, მით უმეტეს, რომ მატილდა დე ლა მოლ, როგორც იგი ამბობს, „ძალიან ლამაზია“. გავიხსენოთ, რომ გერმანის მოქმედების გადამწყვეტი ბიძგი გრაფინიას სახლის ფანჯარაში დანახული ლიზავეტა ივანოვნას „ნორჩი სახე“ გახდა. ამ თავის ეპიგრაფში პუშკინმა, როგორც ცნობილია, გამოიყენა დენის დავიდოვის პასუხი მ. ა. ნარიშკინასადმი: „კამერისტკების, რომლებიც უფრო ნორჩნი არიან“ შესახებ. დავიდოვი დიდად გაახარა „პიკის ქალის“ ეპიგრაფად თავისი სიტყვების გამოტანამ: „წარმოიდგინე ჩემი გაკვირვება და კიდევ უფრო სიხარული, - წერს დენის დავიდოვი პუშკინს 1834 წლის 4 აპრილს, - რომ მე შენს ხსოვნაში ვცოცხლობ, პუშკინის, ჩემი ოდესღაც მოსიყვარულე მეგობრისა და ყოველთვის ერთადერთი სულიერად მონათესავე პოეტის ხსოვნაში! გეფიცები, მსგავსად საყვარელი ქალის წერილი თუ გამახარებდა“ (14, 2, 469). მაგრამ გერმანის ფსიქოლოგიაში გარკვევისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ლიზავეტა ივანოვნას „ნორჩი სახისადმი“ მიმართების ჟულიენ სორელის „ლამაზ“ მატილდა დე ლა მოლთან დამოკიდებულებასთან შედარებას, ვიდრე დენის დავიდოვის აზრს „კამერისტკების“ შესახებ. როცა თავნება მატილდა ტოვებს ჟულიენს, მას რუსი თავადი ყორაზოვი მხარში ამოუდგება და რჩევას მისცემს, თუ როგორ მოიპოვოს ქალებში აღიარება. როცა ჟულიენი გამოუტყდება, რომ ორი სიტყვის დაწერაც კი უჭირს, თავადი ყორაზოვი მას ქალის სხვადასხვა ტიპის გათვალისწინებით სიყვარულის წერილების ექვს ტომს სთავაზობს (13, 2, 40), რომელიც თავადს ყოველთვის თან ჰქონდა. სორელი „თავისი“ ბარათების საგნად ირჩევს ქალბატონ ფერვაკს. თავად ყორაზოვის გაკვეთილი სასარგებლო აღმოჩნდა - მატილდა ჟულიენს დაუბრუნდა. აქვე გავიხსენოთ, როგორ დააყარა სიყვარულის წერილები გერმანმა ლიზავეტა ივანოვნას, თანაც პირველი მათგანი „სიტყვასიტყვით იყო გადმოწერილი გერმანული რომანიდან“.

ორივე გმირი - ჟულიენ სორელი და გერმანი ერთნაირ ცხოვრებისეულ სიტუაციებში მოხვედრისას საოცარ ფსიქოლოგიურ მსგავსებას იჩენენ. მიიღებს რა მატილდა დე ლა მოლისგან სიყვარულის წერილს, ჟულიენი თვლის, რომ მან გაიმარჯვა, მაგრამ, თავის დაზღვევის მიზნით, „ბრძოლის“ გაგრძელებისთვის წერილს საიმედო ადგილას გადაგზავნის. დიდი ბრძოლისთვის (სიყვარულშიც კი) მზადება მის მზერას „საშინელს“ მის სახეს კი „საზიზღარს“, „აშკარა დანაშაულის გამომხატველს“ ხდის (13, 2, 40). ტომსკი გერმანის გარეგნობის ზუსტი დახასიათებისას მის სინდისზე არსებულ „სამ ავაზაკობას“ აღნიშნავს. დიდ საზოგადოებასთან მატილდა დე ლა მოლისათვის ბრძოლაში, სტენდალის აზრით, ჟულიენი „საწყალს, მთელ სამყაროსთან დაპირისპირებულს“ უფრო ჰგავდა (13,1, 379). გავიხსენოთ, რომ გერმანის ბოლო თამაში „ერთაბრძოლას“ უფრო წააგავდა. ქალბატონ რენალზე თავდასხმის შემდეგ ჟულიენს ციხეში მისი ერთგული მოყვარე კიურე შელანი ნახულობს. აპირებს რა, ჩვეულებისამებრ, მას ალერსიანად „შვილოთი“ მიმართოს, იგი იხსენებს, რა აქვს ჟულიენს ჩადენილი და ხვდება, რომ მას „მხეცოთი“ მიმართვა შეეფერებოდა. ლიზავეტა ივანოვნაც გრაფინიას სიკვდილის მიზეზის გაგებისას გერმანს „მხეცს“ უწოდებს. ჟულიენ სორელსა და გერმანს მაღალ საზოგადოებაში უცხო პირის მდგომარეობა და ამ ნიადაგზე განვითარებული იაკობინელის კომპლექსიც აერთიანებს. როცა ქალბატონი დერვილი - ქალბატონ რენალის მეგობარი - ცდილობს მასთან უხეში მიმართვებით შეურაცხყოფილი ჟულიენის დამშვიდებას, იგი მის მზერაში ვერ შეამჩნევს მთავარს: სწორედ ასეთი წუთები, სტენდალის აზრით, ქმნიან რობესპიერებს. ჟულიენის სიტყვები იმის შესახებ, რომ მისნაირმა, დიდი ფულის არმქონე ადამიანებმა, იმედი უნდა დაამყარონ მხოლოდ ნაპოლეონზე, რომელმაც ყველაფერს თავისით მიაღწია, ქალბატონ რენალს აკვირვებს. იგი უცებ იხსენებს მისი წრის ადამიანების გაფრთხილებას სორელის - „დაბალი ფენის ნამეტანად განათლებული ახალგაზრდების გარემოში“ ახალი რობესპიერების გაჩენის საფრთხის შესახებ (13, 1, 125). ალტამირის - სიკვდილმისჯილი უიღბლო შეთქმულების მონაწილის ბედზე საუბრისას სტენდალი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის მაღალი საზოგადოებისთვის შეთქმულება იაკობინელობის ელფერის მქონე ცუდი გემოვნების სრულყოფაა. ხოლო მაღალი ფენის ადამიანების თვალსაზრისით, უიღბლო იაკობინელზე „საძაგელი“ არაფერია (13, 1, 337-338). მაგრამ ალტამირა, ჟულიენ სორელისგან განსხვავებით, გავლენიანი ნათესავების წყალობით სიკვდილს გადაურჩა.

ზემოთ უკვე აღინიშნა, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა პუშკინს იაკობინიზმისა და იაკობინელების მიმართ. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ პუშკინი იაკობინელებს რაღაც მხეცურ, ნადირულ, ან, კონკრეტულად, ვეფხვურ საწყისებს უკავშირებდა. წერილში „ალექსანდრ რადიშჩევი“ პუშკინი მიუთითებს იმაზე, რომ რადიშჩევი რობესპიერის - „ამ სენტიმენტალური ვეფხვის“ თაყვანისმცემელთა რიცხვს არ განეკუთვნოდა (5, 2, 377). მხატვრულ შემოქმედებაში პუშკინი იაკობინურ გმირებს ვეფხვს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადარებს. სილვიომ გრაფთან დუელის დროს, მისი შეშინების იმედით, თავისი სამაგიერო გასროლის უფლება დაიტოვა. გაიგო რა გრაფის მოსალოდნელი ქორწინების შესახებ, მან ჩათვალა, რომ ეს მომენტი დადგა. გაბედნიერებულ გრაფთან თავისი შეხვედრის მოლოდინში სილვიო ძალიან ნერვიულობდა - „დააგდო იატაკზე ქუდი და დაიწყო ოთახში აქეთ-იქით სიარული ისე, როგორც ვეფხვმა გალიაში“ (2, 4, 63). და ბოლოს, გერმანი, იმ, ლიზავეტა ივანოვნასთან დათქმული საათის მოლოდინში, როცა იგი შესძლებდა გრაფინიას სახლში შეღწევას „ვეფხვივით თრთოდა.“ აღსანიშნავია ისიც, რომ სტენდალიც თავის გმირში ამ ნადირულ საწყისს უსვამს ხაზს. ჟულიენ სორელმა მატილდა დე ლა მოლის დაუფლება დააპირა და ეს მისი ერთადერთი ფიქრი გახდა. „კი, იგი ლამაზია, - ფიქრობდა იგი, მისი თვალები ვეფხვურად ბრწყინავდა, - მოვიტყუებ მას და მერე კი დავტოვებ“ (12,1, 359). და კიდევ ერთხელ სტენდალი ყურადღებას აჩერებს იმაზე, თუ როგორ აღევნებდა სორელი თვალს ქორის გაფრენას. მას მისი მშვიდი, მძლავრი ფრენისა, მისი ძალისა და მარტოობისა შურდა და ეჩვენებოდა, რომ ასეთივე მძლავრი და ძალით სავსე - უნდა ყოფილიყო ნაპოლეონის ბედიც და მისი ბედის გამეორებაზე ოცნებობდა (12, 1, 359). საინტერესოა ისიც, რომ სტენდალი გმირის ბუნებაში ხაზს უსვამს მაკიაველიზმს, რომელიც ჟულიენის კერპს - ნაპოლეონსაც ახასიათებდა. მატილდა დე ლა მოლს აოცებს სორელის მაკიაველიზმი, რაც მის ტყუილში, აზრების დამახინჯებაში გამოიხატებოდა (13, 2, 59). თავის „მოგონებებში ნაპოლეონზე“ სტენდალი წერს, რომ ნაპოლეონი სულიერად მაკიაველის გმირს კატრუჩო კასტრაკანის აგონებდა. პუშკინი პირდაპირ არ წერს თავისი გმირის მაკიაველიზმის თაობაზე. მაგრამ გერმანის თუნდაც სიცრუისა და მკვლელობის ფასად მიზნის მიღწევისაკენ მისწრაფება მას ჟულიენ სორელსა და ნაპოლეონთან აერთიანებს და პოტენციურ მაკიაველისტად ხდის.

ჟულიენ სორელსა და გერმანს ძალზე აახლოებს მეფისტოფელის საწყისიც. ტომსკი გერმანს ამსგავსებს არა მარტო ნაპოლეონს - პროფილით, არამედ მეფისტოფელს - სულით. სტენდალი თავის რომანში არა ერთხელ ხაზს უსვამს თავისი გმირისა და მეფისტოფელის მსგავსებას: ჟულიენ სორელი ხან, მატილდა დე ლა მოლის სიყვარულის წერილის მიღებისას, „მეფისტოფელის ღიმილით“ დასძენს, რომ იგი, უბრალო ხურო, მაღალი წრის ადამიანებზე ჭკვიანი აღმოჩნდა და გამარჯვებულად გრძნობს თავს, ხან მასში „მეფისტოფელის ხმა“ აჟღერდება და მას ჯალათის - მოხერხებული, გულგრილი ადამიანის ნიჭზე უქადაგებს (13, 2, 139), ხოლო სიკვდილის წინ „მეფისტოფელივით ხარხარებს“ და თვლის, რომ სიკვდილის, სიცოცხლისა და მარადისობის დიად საკითხებზე ფიქრი სიგიჟეა (13, 2, 154).

ცნობილია, რომ ჰოიტეს მეფისტოფელი მარგარიტას არ მოსწონდა და იგი ფაუსტს გამოუტყდება, რომ მისი დასწრებით „მის პირს ლოცვა არ ახარებს“ (15, 2, 134), მისთვის უსიამოვნოა მისი ვერაგული, დამცინავი, მწარე მზერა. მარგარიტას აზრით, მეფისტოფელი ადამიანებს არაფრად აგდებს, სიყვარულიც არასდროს განუცდია. მარგარიტასაგან ეშმაკის ამგვარ მიუღებლობას თავისი საფუძველი გააჩნია. ადარებს რა თანამედროვე ცხოვრებას ღია ზღვას, სადაც „დუმს კანონი და მეფობს მიტაცება“, მეფისტოფელი სისასტიკითა და მკვლელობებით სავსე კაპიტალის პირველადი დაგროვების ხანის წარმომადგენლის პოზიციას გამოხატავს:

То китобойщик, то пират
Захватываешь ты фрегат.
Напав на два, ты жизнь отдашь,
Чтоб третий взять на абордаж.
Затем берешь четыре, пять,
И уж не можешь перестать.
Флот этот твой! Таков устав:
В ком больше силы - тот и прав.
Никто не спросит: "Чье богатство?
Где взято и какой ценой?"
Война, торговля и пиратство -
Три вида сущности одной (15, 2, 409-410).

სტენდალისა და პუშკინის გმირებიც - ჟულიენ სორელი და გერმანი კაპიტალის პირველადი დაგროვების პროცესის წარმომადგენლები არიან. „პიკის ქალის“ პირველ თავში გერმანი არ მონაწილეობს ბანქოს თამაშში, რადგანაც ამ დროს მისი დევიზია გათვლა, ზომიერება და შრომისმოყვარეობა. ეს მას უფლებას არ აძლევს, „ზედმეტის შეძენის იმედს აუცილებელი შესწიროს“, იგი მხოლოდ და მხოლოდ ჯამაგირით ცხოვრობს, მერე კი ბანქოს მეშვეობით ცდილობს თავისი კაპიტალის გაზრდას. ჟულიენ სორელსაც ახასიათებს „ქონების“ შექმნისკენ მისწრაფება, თუმცა მას წინ უსწრებდა პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება. თავისი მეგობრის, ფუკეს თხოვნაზე, მონაწილეობა მიეღო ნარდის ჩაბარების ვაჭრობაში, მან უარი თქვა და ეს თავისი მოწოდებით (ეკლესიისადმი წმინდა მსახურება) ახსნა, მაგრამ როცა ჟულიენმა აგდის ეპისკოპოსი გაიცნო, მას ყველაზე მეტად ამ ახალგაზრდა ეპისკოპოსის ჯამაგირი აინტერესებდა - „ალბათ, ორასი, სამასი ათასი ფრანკი“ (13, 1, 139) და მას უკვე არ ახსოვდა არც ნაპოლეონი, არც სამხედრო დიდება.

გერმანის თამაში ძალზე დაძაბულ ატმოსფეროს ქმნის. მსგავსი თამაში პუშკინს უფრო „ერთაბრძოლას“ აგონებს. პირველი ფსონის დროს ყველას თვალები გერმანისთვის „მიეპყრო“, გერმანის მოგების მეორე დღეს ყველამ პირი დააღო“, მესამე დღეს კი გენერლები, საიდუმლო მრჩევლები, ახალგაზრდა ოფიცრები ელოდნენ, „რითი დამთავრდება“ ეს ყველაფერი. პუშკინი დაწვრილებით აღწერს ჩეკალინსკის მოქმედებას ყოველი წაგების შემდეგ. თავიდან ჩეკალინსკი „მოიღუშა“, მაგრამ მალე მის სახეზე ისევ გამოჩნდა „ღიმილი“, ხოლო მერე „აშკარად შეცბა“. ბოლო თამაშის დროს ჩეკალინსკის ხელები „უკანკალებდა“. ნაწარმოებში „ზღაპარი მეთევზესა და თევზზე“ პუშკინი მიუთითებს, თუ როგორ იცვლებოდა ზღვა ხარბი ბებერქალის ყოველი ახალი თხოვნის შემდეგ. ზღვა ჯერ „ოდნავ აღელდა“, შემდეგ „გაბუნდოვნდა“, მერე „მშფოთვარე“ გახდა, „გაშავდა“, ხოლო ბოლოს ზღვაზე „შავი ქარიშხალი“ ატყდა. ზღვის ბუნებისთვის ბებერი ქალის სიხარბე მიუღებელია ისევე, როგორც ნორმალური, ამ შემთხვევაში მაღალი საზოგადოება ვერ ეგუება გერმანის თამაშს.

გერმანმა გაცამტვერებით წააგო, მაგრამ არა იმიტომ, რომ გრაფინიას პირობა დაარღვია - იგი ხომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კეთილსინდისიერად სამი საღამოს განმავლობაში თითო-თითო კარტს დებდა - ჯერ სამიანი, შემდეგ შვიდიანი, ხოლო ბოლოს კი კიკო. გერმანმა იმიტომ წააგო, რომ „გლაპარს“ - ტომსკის მონაყოლ სამი კარტის ამბავს დაუჯერა, დაუჯერა „ხუმრობას“ - ასე დაარქვა ამ ამბავს გრაფინიამ. ცრუმორწმუნე გერმანმა კარტის „კაბალისტიკას“ დაუჯერა, - მისი ინტელექტი აღმოჩნდა „მკითხაობის უახლესი წიგნის“ დონეზე, რომელიც სინამდვილეში, ვიქტორ შკლოვსკის მტკიცებით, სხვა არაფერია, თუ არა მეშჩანური მკითხაობის წიგნი. გერმანის მიერ ამოღებული პიკის ქალი მკითხველს მოთხრობის ეპიგრაფს ახსენებს: „პიკის ქალი აღნიშნავს ფარულ ბოროტმზრახველობას“. ორჯერ შემთხვევით მოგებული გერმანი უკვე ველარ ჩერდება და აგებს. თავშეკავების უუნარობა - ნაპოლეონ-მეფისტოფელის ტიპის გმირების ძირითადი თვისებაა. ამ თვისებამ მსგავსი გმირების კერპიც იმსხვერპლა. ცნობილია, 1807 წლის ივლისის კამპანიის შემდეგ ნაპოლეონი შეჰპირდა თავის ჯარებს, რომ ეს ბოლო ომი იქნებოდა, რომ რუსეთთან ომი „სიგიჟეა“, ის საფრანგეთისთვის შეუძლებელია და არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს. მაგრამ იმპერატორი პირობას არღვევს: სულ მალე იგი ემზადება პორტუგალიაში შეღწევისათვის. ნაპოლეონის გარშემო მყოფნი რუსეთთან ომის წინააღმდეგნი იყვნენ. ფუშე იმპერატორს აფრთხილებდა, რომ რუსეთის დაპყრობის გზით მსოფლიო მონარქიის შექმნა - ეს „ბრწყინვალე ქიმერაა“: „მეფევ, - ეუბნებოდა ფუშე ნაპოლეონს, - გემუდარებით, თქვენი დიდებისა და ჩვენი უსაფრთხოებისთვის, ნუ ამოიღებთ ხმალს, გაიხსენეთ კარლ XII ბედი“ (4, 600). მაგრამ ნაპოლეონი თავს ველარ იკავებდა. ჟულიენ სორელსაც არ ძალუძს, შეჩერდეს: თავისი გეგმებისა და ინტერესების გულისთვის იგი ღუპავს ქალბატონ რენალს, შეაცდენს ახალგაზრდა მატილდა დე ლა მოლს, ხოლო ბოლოს კი თვითონაც წაგებული რჩება. ამიტომაც რომანის სათაური „წითელი და შავი“ რულეტის მაგი-დის ფერებთან ასოციაციას იწვევს, როგორც „პიკის ქალი“ - ბანქოს ერთ-ერთი კარტისას.

ჩვეულებისამებრ, პუშკინამდე საერო მოთხრობის გმირები ჭორებისა და ინტრიგების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ასე, ნ. მ. კარამზინის მოთხრობაში „იულია“ კეთილი და მორცხვი ახალგაზრდა არის, ვისაც საზოგადოება ვერ აფასებს, რადგან იქ „ჯილჯიხა ოქრო ნაღდს ურჩევნიათ“, უპირისპირდება თავად ნ-ს, რომლის თავხედობამაც საზოგადოებაში „გვირგვინი და ტაში“ დაიმსახურა (16, 111). იულია თავიდან უარყოფს არისს, ხოლო შემდეგ მაღალი წრის ვერაგობით გულგატეხილი, მისი ცოლი ხდება. „ვერაგი“ საზოგადოება კი იმდენად იზიდავს მას, რომ კვლავ ქალაქში ბრუნდება და მერე, საბოლოოდ იმედგაცრუებული, არისთან ერთად სოფლის უშფოთველ ცხოვრებაში პოვებს თავის ბედნიერებას. ა. ა. ბესტუჟევ-მარლინსკის მოთხრობაში „გამოცდა“ ოლგა სტრელინსკაია საზოგადოებაში გამომწვევად იქცევა, არ ეშინია „თავგადასავალთა მაძებარის“ სახელისა, თავისი წრის ადათის მიუხედავად ყოფილი მეგობრების - გრემინსა და სტრელინსკის შორის დუელს აჩერებს. გრემინი მაინც უფრთხილდება ოლგას, თვლის, რომ საზოგადოება მას ამ შერიგებას არ აპატიებს და მისი მგზავრობა „ტყუილის ხმებს ვერ გადაურჩება“ (16,111). თვით სტრელინსკისთვის კი ოჯახური ბედნიერება მხოლოდ საზოგადოების გარეშეა შესაძლებელი. ვ. ფ. ოდოევსკის მოთხრობის „თავადის ქალი მიმის“ გმირი, რომელსაც არც ქალური და არც ადამიანური ღირსებები არ გააჩნია, საზოგადოებაში მხოლოდ ვერაგობით იხვეჭს სახელს და „უსახელო საზოგადოების“ „სამართლითა“ თესავს ბოროტებას, ღუპავს და ანადგურებს ადამიანების ბედს: თავისი ძმის ნამუსის დასაცავად გამართულ დუელზე ბარონი დაუერტალი გრანიცკის კლავს, თავად კი გადასახლებაში მიდის, ბარონესა ელიზა დაუერტალი თავისი ღირსების შელახვას ვერ აიტანს და იღუპება, ხოლო ყველა ამ უბედურების მიზეზი - თავადის ქალი მიმი - ბანქოს მაგიდასთან მშვიდად მჯდომი, ბარონესას სიკვდილს „უკანონო ვნებებით“ ხსნის (16, 111).

პუშკინი „პიკის ქალში“, გარეგნულად ინარჩუნებს რა მაღალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოთხრობების ფორმას, მათთვის დამახასიათებელი ყოველი თავის ეპიგრაფებით, კარდინალურად ცვლის ამგვარი მოთხრობების ძირითად კონფლიქტს: მიჯრის მაღალი საზოგადოების რიგებს მეტიჩრის, ბანქოს თამაშის იაკობინელის თავდასხმის წინააღმდეგ. პუშკინი დადებითად ახასიათებს მაღალი ფენის წარმომადგენლებს. ტომსკი და ნარუმოვი ჭკვიანები არიან, ჩეკალინსკი კარგი, თბილი, მხიარული და კეთილი კაცია. თვით ბებერ გრაფინიასაც კი, რომელიც ჩანაფიქრში მაღალი საზოგადოების ბოროტმზრახველ ქალებს უნდა დამსგავსებოდა, პუშკინი იბრალებს. ხატავს რა მას, როგორც ეგოისტურ, ძუნწ ქალს, პუშკინი იქვე მოკლე პაუზის შემდეგ დასძენს, რომ გრაფინია „რა თქმა უნდა, არ იყო ბოროტი გულის პატრონი“. ძალზე საინტერესოა, რომ „პიკის ქალში“ პუშკინი არღვევს მოთხრობის დაწერის დროისთვის საზოგადოებაში არსებულ მდიდარი აღმზრდელისა და ღარიბი აღსაზრდელის ურთიერთობის სტერეოტიპებს. ასე, პუშკინის „რომანის წერილებში“ პერსონაჟი ლიზა ავდოტია ანდრეევნას სახლში თავისი აღსაზრდელის მდგომარეობას და მასთან დაკავშირებულ მრავალ „მცირე უბედურებებს“ აღწერს. ლიზა საკუთარ თავს „უბედურზე უბედურ ქმნილებად“ მიიჩნევს, რადგან მას უხდება ბევრი რამეს ატანა, დათმობა (16, 111). ასევე უბედურ არსებად არის გამოყვანილი კატია ვ. ფ. ოდოევსკის რომანის ნაწყვეტებში „კატია, ანუ აღსაზრდელის ამბავი“. მას ყოველდღიურად ევალებოდა „თავისი ეგრეთწოდებული მწყალობლის“ ცუდი განწყობის მოთმენა, თავისი დუმილის, დაცინვის, საწყენი შენიშვნების ატანა (18, 126). ლიზავეტა ივანოვნა, აგრეთვე, იყო „უბედური არსება“: ილებდა შენიშვნებს შაქრის ზედმეტი ხარჯვისთვის, რომანების წაკითხვისას ავტორების ყველა შეცდომაზე, სეირნობის დროს კი ამინდზე აგებდა პასუხს. მეჯლისზე ცეკვავდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წყვილი დააკლდებოდათ (2, 220-221). და მაინც ლიზავეტა ივანოვნა გულწრფელად განიცდის თავისი არა „ეგრეთ წოდებულის“, არამედ ჭეშმარიტი მწყალობლის სიკვდილს.

„პიკის ქალის“ დაბოლოება სენტიმენტალური

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოთხრობის იმ ეპილოგს უფრო წააგავს, სადაც ბოროტება ისჯება და სიკეთე ზეიმობს: გაგიჟებულ მეტიჩარას, ბანქოს თამაშის იაკობინელ გერმანს ობუხოვის საავადმყოფოში ათავსებენ, მაღალი წრის ადამიანს, ჭკვიან და გამჭრიახ ტომსკის სამსახურებრივი დაწინაურება ელის, იგი ხდება როტმისტრი და საყვარელ ქალს - თავადის ქალ პოლინას ირთავს ცოლად. ყოფილი ღარიბი აღსაზრდელი ლიზავეტა ივანოვნა თავისი აღმზრდელის ცხოვრების გზას იმეორებს, „საამო" კაცის - გრაფინიას მოურავის შვილის ცოლი ხდება, თავადაც ღარიბ ნათესავს ზრდის.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Вересаев В. Пушкин в жизни, в 2-Х т., 3-е изд., М.-Л., 1932.

2. Пушкин А. С. Полн. собр. соч. в.6-и т., М., 1949-1950.

3. Гофман Э.Т., Счастье игрока. В. кн.: Эрнст,Теодор Амадей Гофман. Повести и рассказы. М., 1967.

4. Манфред А. З. Наполеон Бонапарт. 5-е изд., М., 1989.

5. Алданов М. Святая Елена, маленький остров. М., 1991;

6. Одоевский В. Ф. Русские ночи. (Литературные памятники). Л., 1975.

7. Стендаль. Жизнь Наполеона. В. кн.: Стендаль. Собр. соч. в 15-ти т., т. 11. М., 1959.

8.Гиляровский В. А. Учение о галюцинациях. М., 1949.

9. Мысливченко А. Г. Философская мысль в Швеции. М., 1972.

10. Лернер Н. О. "Пиковая дама" Пушкина В кн.: А. С. Пушкин. Пиковая дама. спб., 1911.

11. Пушкин А.С. Письма в кн.: А.С. Пушкин. собр. соч. в10-ти., т. 10. М., 1974.

12. макогоненко. Г. П. Творчество А.С. Пукшкина в 1830-е годы (1833-1836). Л., 1982.

13. Стендаль. Красное и черное. в. кн.: стендаль. собр. Соч.в 12-ти т., тт. 1,2. М., 1978.

14. Переписка А.С. Пушкина в 2-х т., т,2. М., 1982.

15. Гете. Фауст. в кн.: Гете Собр. соч. в 10-ти т., т. 2. М., 1976.

16. Карамзин. Н. М.Юлия В кн.: Н. М. Карамзин. Записки старого московского жителя. М., 1986.

17. Русская светская повесть первой половины XIX века. М., 1990.

18. Одоевский, В.Ф. Катя, или История воспитанницы. Отрывок из романа. В кн.: В.Ф. одоевский. Повести и рассказы. М., 1959.





ეროვნული ბიბლიოთეკა



# გური ოტობაია

## ქართული მასმედიის მზებუდობა

*(არსებითი ტენდენციები და მიმართულებანი. 1998 წელი)*

### 1. უვერტიურა

მზებუდობა ორია წელიწადში, ზაფხულისა და ზამთრის, ან – პირიქით, გააჩნია საიდან მოვეხეტებით, რომელი მხრიდან – ყიამეთი ყინულეთიდან თუ ლაჟვარდოვანი სამნათობოდან. ქართული მასმედია კი ერთია, ლეგალურ ოთხერგასეულ პერიოდიკას რომ მოითვლის საკრებულოში და აბათ, ამდენივეს – ქვეყნის ხევ-ხუვ-ორღობეში, ჯიშტის თოვლივით რუსთაველამდე ვეღარაფრით მოღწეულს. მოკლედ, სამხედრო ტერმინოლოგიას თუ დავესესხებით, ქართული ჟურნალ-გაზეთების ოლიგარქიას თამამად შეიძლება ვუწოდოთ მართალმოსიტყვეობის ბატალიონი უმეტესადრე, მაგრამ ქარავანი მაინც მიდის და მიდის.

ზაფხულის მზებუდობა 21-22 ივნისს ემთხვევა, როცა დღის ხანგრძლივობა ცის წვერო-კორკონტიას ებჯინება – გაზენიტებულია, ხავერდოვანი ამინდები მიჯირითობენ მინდორ და მინდორ, ფუტკარს გაქანებული ღალიანობის პერიოდი დასდგომია, ხოლო ციდამტკაველა ღამე ყვავის ბახალას ფრთაზე უმოკლესია აისსა და დაისს შუა. ზამთრის მზებუდობას საპირისპირო ხასიათი გამოარჩევს – 21-22 დეკემბერს ხეში შემძვრალი კვირტის მსგავსად ბუხარში შეკვეხებული ნაცარქექიას საცხოვრისს ბაყბაყდევივით გადაემხობა ღამე მოსაშთობად, ხოლო რაც შეეხება კოკროჭინა დღეს, კალმახივით ისე გაგისხლტება ხელიდან, თვალის დაფახულებასაც ვერ მოასწრებ. ქართული მასმედია ამ უკანასკნელის წიაღიდანაა წამოსული, ფრიად დამაშვრალი მგზავრი თემშარაზე ტანტალით, პირში ქვაჩაჩრილი უთვალავჯერ თვალში ნაცარშეყრილი ნიადაგ, პერესტროიკა-გლასნოსტის მოჩვენებითი აზატობით გაბრუებული გვარიან ხანს.

ოფიციოზები მთავრობის დადგენილებათა მეწრების ფინანსური უკუგების იმედით გაიფონებდნენ ხოლმე, მაგრამ შემოდგომით წიწილებს ვეღარაფრით ითვლიდნენ მოქოთქოთე კრუხის ფრთებქვეშ და, როცა პატროფილური ქრონიკული ანიებით გათანგული პუბლიკაცია შემოეხეტებოდა კონსერვატორიული ხავსით დაყურსულ მათ სამფლობელოში, უმალ ბოლოქანქარას, იგივე მაბზაკუნას, დაამსგავსებდნენ ჩეხოვისებურად, გნებავთ, ფარშავანგი წვეოდათ. ჯერაც ძალაში რჩებოდა მათი მისამართით ოდინდელი პროკრუსტეს სარეცლის იგავი, იმ განსხვავებით, რომ აქ დასაჭიმი არაფერი იყო, არც კიდურები და არც თავი, ვინაიდან ლანცეტის, დანის და მაკრატლის ურღვევ კავშირს წესი აეგო მათთვის ერთხელ და სამუდამოდ. მაგრამ, აგერ, შესაშური სითამამის მეოხებით დიდზე დიდი ღამის მოჯადოებული წრე გამოგვირღვევია, დიახაც და თავაღერილი მივემართებით ცრუ მზებუდობიდან ნამდვილი მზებუდობისკენ, სუსხიანი მზებუდობიდან ბარჩხალა მზებუდობისკენ, უმეცრების მზებუდობიდან ბრძნთაბრძნული მზებუდობისკენ. ამიტომაც ბუნებრივია, მიუკერძოებელი მკითხველის სიმპათია ოთხერგასეული პერიოდიკის ოკეანედან ათიოდეთი ძლივს შემოიფარგლებოდეს, სწორედ იმ ფლაგმანებით, რომლებზეც გვექნება სადაგი საუბარი გზადაგზა.

მეექვსე ოკეანე შემთხვევით არ უწოდებიათ მასმედიისთვის. მისკენ მოსრიალილი, პეპელასავით ერთდღიანი სიცოცხლის ინფორმაცია სამუდამოდ ინთქმება საზოგადოების უკიდეგანო ცნობიერებაში, როგორც ფლატედან გამეხებულ ტალღებში გატყორცნილი კენჭი და მაინც პერიოდიკათა ერთობლივი ძალისხმევით ჯერჯერობით აურაცხელი მატერიალური თუ სულიერ ფასეულობის დანაკარგის ფონზე, ოთხადოთხი მონაპოვრით ვუახლოვდებით ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭეს: ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის აღკვეთაა ეს, დამანგრეველი კატაკლიზმების შემდეგ წვეთწვეთობით მოხვეჭილი სტაბილიზაცია, სიტყვის, პრესის რეალური თავისუფლება თუ საქართველოს ევროსაბჭოში მიღება და, რადგანაც აკვნიდანვე პირშიწყალდაგუბებულებს აზრის შეუფერხებელი გამოთქმის შესაძლებლობა მოგვეცა, ავიბასრეთ და ავიფხიანეთ ენა დიდ-პატარამ, მტყუან-მართალმა, სალოს-გონიერმა და აქედან მოყოლებული ვქაქანებთ და ვქოთქოთებთ, ვლაყბობთ და ვტლიკინებთ, ვყბედობთ და ვიჭაჭებით, ქარავანი კი მიდის და მიდის, თან არც ქვები ღაღადებენ ძველებური სიდარბაისლით

ეროვნული ბიბლიოთეკა





დემოგრაფიული ხვანჯებით შემუმლიანებული კუთხეებიდან, ლელთ ღუნიას ხომ აღარაფერი რჩება თავის დასაყუდნებელი საჯალათო კუნძის მეტი - უზენაესი კანონით სხვისდება წესით მისი უკვდავების გარანტი მშობლიური მიწა-წყალი მამა-პაპათა საძვალეებითურთ; ეროვნების რეკვიზიტი ისედაც გამქრალა პირადობის დამადასტურებელი ფარატინა საბუთიდან, პასპორტსაც რომ ვუხმობთ გალების ენით.

აღიარებული რეალობაა: ჭუჭრუტანიდან დანახული ტრივიალური სცენა გაცილებით მიმზიდველია, ვინემ ხელისგულზე მოტაფული ტრაგედია. აკრძალული ხილის მაცდუნებელი ძალის შესახებაც გვსმენია, ასე რომ, უკვე ზღვარდებული მსჯელობა ანგრევს წინააღმდეგობათა გალავნებს და მაინც ქართული მასმედიის ბატალიონმა ცხოვრების ყოველი კუთხე-კუნჭულისკენ მიმართა თურმე აქამდე ფარული კოლოსალური შესაძლებლობანი.

მეტროპოლიტენის სადგურებში, მგზავრებით გადაჭედილ ვაგონებში ათი-თორმეტი წლის გოგო-ბიჭები გაბზარული ხმით დააფრიალებენ უჭირისუფლო გაზეთებს: „საკაიფო კროსვორდები“ ოც თეთრად“, - შემოგაფრინდებიან სახეში, „25 საათი“, „თბილისის სიახლენი“, ოც თეთრად“ -მოგაჩერდებიან მაყვლისფერი თვალებით. აქ, ამ შუაგულ მიწისქვეშეთში, უფრო გასავლიანი სუროგატი პრესაა. „მასხარა“, „ხუმარა“, „შერეკილები“, „ჭიჭიკია და ბიჭიკია“, „სისხლიანი სიყვარული“, „ილიკო და ილარიონი“, „Чукча“, „მასკარადი“, „ჩვენებური იუმორი“, „გენიოსები და იუმორი“, „ვახახა“. მართლაც საცინლად გვაქვს საქმე. ათი თეთრიც ადვილი გასამეტებელია წუთიერი განტვირთვისთვის, მით უფრო, როცა დოლარისა და ლარის თანაფარდობა უკვეე ერთი ორზეა.

არანაკლებ სარფიანია ალვირახსნილი პორნოგრაფიული ბაკქანალია. მისი გვერდებიდან ჯერაც გაუბედავი, სიმაღლიდან მხტომელის იერსახით წარმოჩინდებიან სექსბომბა მაწაკები ბოქვენს ქვემორე ვარდისფერი ჭრილობებით, რომელთა მიმართულებით დასაშტვინებლადაა წაწვდილი ორი თითი წვერიანი ანეკდოტის კვალობაზე.

თავისუფალი პრესის ამქარში მკვიდრად დაფუძნებულა კოშმარების კვარტეტები და ტრიონი, სადაც ცოფიანი ძაღლების თვალებითა და გასისხლული ეშვებით აღტკინებულან კაცობრიობის მოურჩენელი წყევლის ბადალი ვამპირები. ძალადობა, მკვლელობა, გაუპატიურებანი, შავი მაგია გადაწნულია ერთმანეთს რვაფეხას ხორკლიანი საცეცებით, ასე რომ, ამ თანამედროვე გორდიას ნასკვის არათუ გახსნა, თვით გაკვეთაც ამიერიდან მაკედონელის ორლესულსაც გაუძნელდება.

გოეთესეულ „მეტ სინათლეს“ ელტვიან კოსმოსური სიჩქარით ქართველი ეზოტერიკები სასძლო ჯორჯაძეთა მხარდამხარ, რომლებიც მხოლოდშობილი ქრისტეს ზედმიწევნით გამეორებად გვევლინებიან ჯვარცმულ დედამიწაზე. არ კმარობენ ისინი საბრძანისად ჩვენს გარშემო შემოშენებულ სამყაროს - დროის, სივრცის და მატერიის ერთობლიობას, „ოთხყაროდ“ ნათლავენ მის უღიდებულესობას, თითქოს „სამყარო“ „სამი ყაროს“ სემანტიკისაა და არა „მყარ“ ფუძიდან გამომდინარე. ამ „გამოცხადებათა“ კასკადს ზურგს უმაგრებს თვალსა და ხელს შუა აღზევებული ასტროლოგების, ქირომანტების, ნათელმხილველების ანგარიშგასაწევი კასტა, რომელიც, როგორც წესი, გამორიცხავს მეორის პრიმატს და კიდევ - უფრორე აღმატებული ფანტასმაგორია უფოლოგიისა, შეზავებული იელოვას მოწამეთა 144 ათასეულის მარადიულ სიცოცხლესთან.

ტელესერიალების ვარსკვლავთცვენაა: გავისტუმრეთ „კასანდრა“, „სიყვარულის ამბავი“, „კობრა“, „დინასტია“ და აჰა, „დალასს“ მივეჯაჭვეთ შეწკვარამებიდან. ეკრანიდან გაზეთების ფურცლებზე გადმოდიან დაუნდობელ-გაუტანელი სექსოპათები - ბლეიქები და ქოლბები, დავიდები და ელექსისები, როსაურები, ფელონები, იგნასიოები, ახლა ჯერი იუნგებსა და ბარქსებზეა.

ჩამომწკრივებულია დახლებზე დილიდან საღამომდე, ბაზრობებსა თუ ტროტუარებზე, წვიმასა თუ ხვატში პოლიეთილენით საიმედოდ დაცული ჟურნალ-გაზეთების დასტები უფრო შავ-თეთრი და აქა-იქ ნაირკოლორში გადაწყვეტილი სათაურებით გამვლელ გამომვლელთა თვალების მისატაცებლად. ათწლიანი ჯოჯოხეთური ცხოვრების ბატალიებით უკიდურესობამდე პოლიტიზირებული მოქალაქენი დიდხანს ბუდრაობენ შიგ, ბლიც-გადათვალიერებას ჯერდებიან, სასურველ პერიოდიკასთან რამდენადმე ყოვნდებიან, ასჯერ ზომავენ, ასჯერ წონიან და ერთხელ ველარაფრით ჭრიან ფარღალალა ჯიბეების გამოისობით, ასე, დახლსამკითხველოებთან ზეზეურ განათლებას კმარობენ და უტევენ გზას ყოველდღიური საჭიროებისკენ. მომნუსხველი სიჭრელე დღითიდღე ძვალ-რბილში ატანს ქართულ პერიოდიკას. წითელს ყვითელი უწყვილდება, მწვანეს - ლურჯი, ხასხასებენ, ბრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლებენ კაბადონები, ლამის ამოხტნენ გვერდებიდან ილუსტრაციები, განურჩევლად ცაციობისა, ცენტრისტობისა თუ მემარჯვენეობისა. ვისწავლეთ პირველი გვერდის მაქსიმალური დატვირთვა გონების დამაინტრიგებელი ანშლაგებით. კომპიუტერმა სასწაულებრივად გარდაქმნა ლინოტიპით გაუხეშებული ჩვენი „გაზეთჩიკური“ გემოვნება. სახაზავები და მაკეტები ჩაილურის წყალს გავაყოლეთ. მოგჭამა ჭირი სტრიქონების მეტ-ნაკლებობის პროფესიულმა შიშმა. უკვე ყველაფერი კლავიშის მაგიურ ძალზეა დამოკიდებული. დააჭერ ღილაკს თითს და სარდაფის სამყოფი მასალა სვეტშიც ჩინებულად თავსდება. ოფთალმოლოგებსა და ოპტიკურ მაღაზიებს კი კლიენტები უმრავლდებათ ნორჩი ასაკიდან მოყოლებული შუალას ჩათვლით.

მერამდენე საუკუნეა ამოისუნთქეს შინაურმა ბატებმა. მას აქეთ, რაც ყველა გზის შემკონავი ანტიკური ქალაქი სრულ ღანაცრვას გადაარჩინეს თავგანწირულის ყიპყიპით, მათ პერსონას დიდი პატივი მიაგო მელნის ხალხმა, მაგრამ ტექნიკური პროგრესი შვებად მოევლინა სივრცესდანატრებულ მათ ფრთებს, თუმცა აგერ, ახალი ეპოქის სუნთქვამ განსხვავებული ტექნიკური საშუალებები მოუმრავლა საგამომცემლო საქმეს და შევაკლა კალმისმიერ ბებერათა გორაკები შუათითის მიდამოებთან. ამჯერად დატვირთვამ ცერზე გადაინაცვლა. რომლის ძირითადი ფუნქცია ჩამწერ ღილაკზე ღონიერი დაწოლით შემოიფარგლება. ასე რომ, რესპონდენტის ჩიქორთული მეტყველების ანაბარა დაშთენილა სამამულო ჟურნალისტიკის ყოველდღიურობა. ჩასაფრებულ საზოგადოებას სულის ქავილამდე ახითხითებს უტიფარ კითხვებზე წამოგებული, ბრინჯივით დაბნეული პასუხები. რეპორტიორები ამ გზაზე ხელაღებით უგულებელყოფენ ეთიკურ ნორმებს და ბარიერებს, არაფრად დაგიდევენ ჩინოვნიკის ბაგე თუ სიბრძნის კბილის მილიონების საკვნეტი ვარგისიანობის დაზუსტებას, თამამად მიძვრებიან წინდების სპეციფიკური სურნელისაკენ, არ თაკილობენ სალოკი თითის, საჩვენებელსაც რომ ვეძახით თეთრი დათვების ორსაუკუნოვანი ბურტყუნის ზეგავლენით, ცხვირის ნესტოში ხეტიალის კვალდაკვალ ელდორადოს ოქროს საბადოების მონიშვნას. მოკლედ, პრობლემათა გაშუქების სული და გული - სტატია, ნარკვევი, კორესპონდენცია, რეპორტაჟი გადახვეწილია ჟურნალ-გაზეთების უსიერიდან, ჰოდა, აქედან გამომდინარე, გაიოლებული მორღოდის შემწეობით, ერის ცნობიერების ბეღელში ფრიად ფშუტე მოსავალი დაგვიბინავებია და გასაკვირიც არაფერია, უჭუჭრუტანოდ რომ დაიარებიან „უივერიაო“ შუბლები. არ კიანთებს ჰორიზონტზე „საქართველოს მოამბეს“ გენეტიკური მემკვიდრე. ცალმხრივობა მუსრავს ერთობის საშვილიშვილო ძალ-ღონეს ყველგან და ყველაფერში. მასშტაბური აზროვნება, როგორც ჩანს, აწინდელი, ნამდვილი, ზაფხულის მზებუდობის სანატრელი დრო-ჟამისაა. ნაწვიმარ ტყეში ამოყრილი სოკოებივით მრავლობენ კვაჭანტირაძისეული ნუცათა უნივერსიტეტების ქურახანიდან ახალგამოცხობილი ჟურნალისტები.

„ახალგამოცხობილი“ ვახსენეთ და ბარემ აქვე ძირისძირამდე განვმარტავთ მის მეტამორფოზამუტაციებს. სიტყვა „ახალი“ განსაკუთრებული მოტორული სიმძლავრისაა გაზეთის სათაურის მიმართებაში. ძველს, ჩიხში ნაყურყუტებს ლოკომოტივივით წაბმია მისი ფენიქსური ბუნება და, თუმცა კვლავაც ოდინდელი ყბადაღებულობით გრძელდება პრობლემათა ჩხირკედელაობა, დაახლოებით იმგვარად, როგორც ეს გუდიაშვილის მძინარე მზეთუნახავის მშვენიერების სკალპელით მჩხრეკელი ვირების ტილოზეა აღბეჭდილი, მესვეურთა ქარავანი მიდის და მიდის, ხალხის ცხოვრება კი უშენაკადო წყალსატევივით ქვანთალებს აქოთებული.

მწარე პურს მაინც ჭამს ქართული მასმედია, რომლის ზამთრის მზებუდობა გამოვლილია და ჯერი ზაფხულის მზებუდობისაა. თითო-ოროლათა გამოკლებით ნემსის ყუნწში ძვრება უმეტესი პერიოდიკა კვირიდან კვირამდე, წელებზე ფეხს იდგამს, ჰონორარის მომჭირნეობით, საგადასახადო ავტოშელავათით, ინფორმაციული დოპინგებით რამდენადმე იხანგრძლივებს სიცოცხლეს.

ოდესღაც სოლიდურ გამოცემათა გამობრძმედილი რედაქტორები ხელსაყრელ დროს უცდიან, სათანადო ჰუმუსისა და სითამამის მომტანს.

ქართული მასმედიის ცაზე მეტეორივით გამოკრთა ზოგი პერიოდიკა, გაცრიატდა ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა, „ოდოიასავით“ და სამუდამო მთვლემარებას მიეცა. აქა-იქ გაიციცინათელებს „აისბერგი“. ჩანამქრებულა „ლიტერატურა და სხვა“, „ქართული კულტურა“, „ნათლისსვეტი“. საბრძოლო ენერგია და არსენალი შემოფლანგვია კავკასიის ვეფხვს - „იბერია-სპექტრს“. „საქართველოს სამრეკლოს“ ისევ „მეპატრონე“ თავისიანებმა დაუდუმეს ზარი. ბევრს ძარღვიანი სიტყვა ამოწურვია გულისგულში, ზოგი ეკლიან თუ მოლიპულ გზაზე დაცემულა, მრავლისთვის ფინანსურ სიდუხჭირეს წაუჭერია ყელში, მავანს გული აცრუებია კედელზე ცერცვის შეყრის უნაყოფობით და, რომ მიმოიხედავ ბელეტრისტიკის საომარ ლელოზე, ისევ და ისევ ის პერიოდიკები აილანდება თვალსაწიერზე, რომლებმაც ოქროს კვეთის პოზიცია ამოირჩიეს, ცალმხრივობით არ მოსპეს უკანდასახევი ხიდები - „საქართველოს რესპუბლიკა“, „ალია“, „ასავალ დასავალი“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ახალი საქართველო“, „კვირის პალიტრა“, „დილა“, „ცისკარი“, „სარკე“, „მეოცე საუკუნე“, „აფრა“, „ლიტერატურული საქართველო“... ჰო, მართლაც ერთხანობას დაცხრა ზოილური ვნებათაღელვა ბატონებს - თამაზ წივწივაძეს, თეიმურაზ დოიაშვილსა და ლევან ბრეგაძეს შორის, მაგრამ განხეთქილების ვაშლი კვლავ გამოგორდა, ისევ ამოიდგა ენა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვეზუვმა და ამჯერად პირწავარდნილი ვატერლოოა გაჩაღებული იგივე თამაზ წივწივაძესა და გელაშვილ-ჩიჩუებს – შინა. მოკლედ, არსებულ ვითარებას გულისყურით თუ ჩავუღრმავდებით, ქართული პერიოდიკის ესოდენი სიჭრელისა და სიმრავალრიცხოვნის მიღმა დავინახავთ ყოვლისმომცველი, გაწონასწორებული, სკის ბაჯაღლო ფილოსოფიით კურთხეული გამოცემის ვაკუუმს, რომელიც უთუოდ გამოჩნდება ხვალ-ზეგ, ჭეშმარიტი მზებუდობის ფაზაში, ზაფხულის მზებუდობის შუბისტარზე. ახლა კი საკამათო არაფერია: ნიშას და ნიკორას, ჩელას და ბუსკას ცალ-ცალკე მიაქვთ თითობორბლიანი, შუაზეგახერხილი ურმები ჩვენი უხანო ყოფიერებისა, საცოდავ დაკენტებულ ვალალში გზადაგზა ეფანტებათ სამამულო ჭირნახული შემოდგომისა და სადღაც შუაზე გაფხრეწილი „ოროველას“ ხრიალია და კიდევ იქით, სიგრძივ გადაბასრული ტილოა – რეპინის ივანე მრისხანე, ურჩი ძმისმკვლელი მამის სულშეძრწუნება, ახლახან კვერთხისმბლუჯავი თითებიდან შვილის ტვინათქვეფილი სისხლის ჭიაყელებით, და კიდევ შორსგაღმა შუაზე გახლეჩილი აზროვნების შიზოიდური გარინდულობაა, რომელიც კიზის ინდიელის გულწყვილობით მოელის ცდომილი მზებუდობის სახადის შემდეგ ზაფხულის ნამდვილი მზებუდობის დავანებას და, რადგანაც დიდაქტიკის მოუხეშავ მარაზმთან არაფერი ანათესავებს ჩვენი მდუღარების მაჯისცემას და, რადგანაც ჩვენი სულის პატრუქის დარჩენილი ნათება მოზარდი თაობის უკუნეთიდან ტოროლას წკრიალზე მოახლოებული ალიონის საუფლოში გაყვანის საწინდარია, საუბარს დავიწყებთ საყმაწვილო პერიოდიკის მიმოხილვით, დავიწყებთ „დილით“, რომელიც, ჩრდილოური ანდაზის თანახმად, ბინდისპირულზე ათასგზის ბრძენია.

## 2. **Tabula rasa** - სუფთა დაფა,

*ანუ მისასვლელი ჟურნალ „დილის“ (რედაქტორი - დოდო წივწივაძე) გამთენიამდე*

ბავშვებს უკეთ ესმით ქრისტეს მოძღვრებისა, ვინემ ფარისევლებს და მწიგნობართ. სამოთხეში ყრმათა შეუფერხებელი შესვლის იგავიც ცაბაოთისაგან მოდის. ცხოვრებისეული დაკვირვებანი თუ სულაც მკლავებდაკარწახებული პედიატრია ერთ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებას ამტკიცებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად: ჩვილზე ცხოველმყოფელი არსების წარმოსახვაც კი შეუძლებელია მთელ სამყაროში. გავიხსენოთ მიწისძვრებით დანგრეული ქალაქები, რომლის ჯურღმულებიდან მკვდარი დედების მკერდსჩაფრენილი მოზარდები ამოუყვანიათ უბედურების კვირისთავზე, მეათე დღეს. მოსეც ხომ ჩელტის კალათით გააყოლეს ნილოსს, რათა დიდებულ ეგვიპტელ მანდილოსანს აღმოეჩინა იგი და კვლავ დედისთვის გადაეცა აღსაზრდელად, რომ მერმე უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალით აღთქმული ქვეყნისკენ გაეყვანა ებრაელი ერი?! მაგრამ საუბრის მამოძრავებელი ძარღვი ხელიდან რომ არ გაგვისხლტეს, შევთანხმდეთ: ახალშობილი განსაკუთრებული მდგომარეობით გამოირჩევა გარემომცველი სამყაროსგან მის საზიანოდ გამოტყორცნილი უამრავი ინფექციის თუ საფრთხის მიმართ და პატარა უფლისწული მუჰამედის სწავლების კვალობაზე სამ წელიწადს მაინც თუ დასწაფებია დედის ძუძუს, სამშობლოს მხარდამხარ სხვაზედ რომ არ გაიცვლების ერისთავისებურად, ასეთი ინდივიდუუმის სიჭაბუკის, ჭარმაგობისა და მოხუცობის ასაკი უფლისეული მადლითაა კურთხეული და, როცა ზედ ნიჭიერების შხეფებიც წაეპკურება მსოფლიო ცოდნის სახით, გვერწმუნეთ – ერს უკუნეთიდან გამოსაღწევი ლამპარი ანთებია, თუმცა მოვუბრუნდეთ ისევ ონავრების გუნება-ხასიათს.

აღიარებული რეალობაა, რომ ცხოველებს და ბავშვებს აერთებთ ჰედონიზმი, I სასიგნალო სისტემა. ამისი ნათელი დასტურია მოზარდების ნებითი მიდრეკილება, ჰარმონია ფაუნის ეგზემპლარებთან. აურაცხელი შემთხვევაა აღნუსხული ნადირის მიერ ჩვილის შევრდომება-პატრონობისა, მისი გამოკვებისა საკუთარი რძით და თავის ჯიშზე მოქცევისა. მგლის ბუნაგში გაზრდილი პატარა, მართალია, ვერასდროს ისწავლის ადამიანურ ლაპარაკს მაუგლისაგან განსხვავებით, მაგრამ ხომ ვერ წავართმევთ კიპლინგს ფანტაზიის უნარს და მალხაზებს – უსაზღვრო ბედნიერების წუთებს? II სასიგნალო სისტემა – მეტყველება – მოგვიანებით ჩაერთვება პირმშოს მეობაში და აქედან მოყოლებული თანდათან უსუსტდება დიადი სამყაროსგან ნაბოძები ღვთაებრივი ნიჭი თავის გადარჩენისა არსებობის გზაზე. ცხოველებში სუსტია ინფორმაციის შენახვისა და აღდგენის უნარი, ადამიანში კი II სასიგნალო სისტემის წყალობით ფორმა-შინაარსი ენიჭება საგნებს და მოვლენებს, უკუდგება, უკუეფინება I სასიგნალო სისტემის როლი, ქვეცნობიერ ფენომენში ნივთიერდება. ამის თაობაზე წერდნენ საუკუნის გარიჟრაჟიდან ფროიდები, შტაინერები, უზნაძეები; მომავალშიც უამრავი რამ შეითხზვება, ალბათ, პიროვნების განმსაზღვრელ სიდიდეებზე, ჩვენ კი ამთავითვე შეგვიძლია განვაცხადოთ: მოზარდებთან ურთიერთობის დიდაქტიკური ტრადიცია, ჩვენეული თვალსაზრისით, იგივეა, რაც დოლიდან წამოთქარუნებული ცხენებისთვის ჩინური კედლის აღმართვა გადასალახავ ბარიერად, და თუ გამუქებულად მოგვეჩვენება სპარტანული აღზრდის ჯალათური პრინციპების – გაწკეპლვის, გაჯორვის, ფეხშიშველა რბენინების გურამიშვილურ-საბასებური მეთოდის არსი, იგივე ჩინურ ენაზე მოყოლილ მშვენიერ ზღაპრად მაინც ჩაგვითვლია, რისთვისაც ქართველი ყმაწვილის ყურნი ამაოდ დამშვრალა ძალადგამახვილებული სმენით, ისე რომ, ნატამალიც არ ასახულა მის ცნობიერებაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვინაიდან II სასიგნალო სისტემა ჯერაც უმწიფარია, ჯერაც I სასიგნალო სისტემის ზეგავლენებშია; ამიტომაც, ბუნებრივია, ჩვენი დიდაქტიკური მეცადინეობანი (ცხადია, კეთილშობილური, უმეტესწილად, მაგრნამ უშედეგო მეთოდოლოგიური თვალსაზრისით), უდაბნოში მღაღადებლის ხმაა, გვიან, ძალიან გვიან რომ მოსდევს ქრისტეს მოვლინება. რისთვის აღიქვამს ბავშვი განსაკუთირებული სიიოლით ცხოველთა სამყაროსთან ზიარებულ ხატებას? ხომ არ მიუთითებს ეს ყოველივე მათ პირველყოფილ ნათესაობაზე? თანამედროვე ელექტრომიკროსკოპული დაკვირვებანი ემბრიონის განვითარებაზეც იმისი ნათელი დადასტურებაა, რომ ჩვილი ჩანასახოვან ფორმაში იმეორებს სიცოცხლის სამყაროისეულ სტადიებს, ფაზებს, თავკომბალიანობიდან დაწყებული, თევზისებურ-ლაყუჩიანს, მაგრამ, თეოლოგიას არსობის პური რომ არ გამოვაცალოთ ხელიდან, თავს შევიკავებთ ჰომო საპიენსის წარმოშობის კატეგორიული სურათის დახატვისგან და შედარებით უწყინარი საკითხებით შემოვიფარგლებით, თუნდაც იმით, რომ საშვილოსნოში შეტანილ აბორტმახერის მაკრატელს ნამდვილი სასოწარკვეთილებით გაურბის ახლახან სულშთაბერილი ნაყოფი.

ამაზე დიდი საცოდაობა არც მინახავს. ამერიკულ დოკუმენტურ ფილმს ვგულისხმობ, რომელიც ხელისგულზე გვიცოცხლებს თითქოსდა უჩინარი ძეხორციელის ორიგიებს დედის წიაღში, მის აღურიცხველ სიხარულებს და მოწყენებს, მის რეაქციებს მშობლების ხმაზე თუ სმოგიანი ატმოსფეროს შეყნოსვისას. გვგონია, აჭყავლდება ჩვილი და მოგვევლინება სრულიად დაუწერელი დაფა - Tabula rasa, როგორც ეს წერილის დასაწყისში ვიუწყეთ ირონიით, სინამდვილეში კი ჩვენს ლაბაბიან პროფესორებზე ნაკლები განათლებით როდი გამომხტარა იგი დამბადებლის საშოდან, თითქოსდა სრულიად უმწეო, უმეცარ ბურიდანის შეხედულებებით ინფორმაციისაგან აბსოლუტურად სტერილური, სინამდვილეში კი გვარიანზე მეტად განსწავლული, საარაკოდ ელასტიკური და ათასი უხილავი ანტენით თუ სხვა რამ, ჯერაც უსახელო აპარატურით, გარესამყაროს ნაირფეროვნებისა და ნაირხმოვანების ზესიმძლავრით მიმტაცებელი. მულტიპლიკაციური ენით გაცოცხლებულ-ამეტყველებულ სინამდვილეს წინ არაფერი ელობება მოზარდების დაუოკებელი ცნობისწადილის აღსავსებად. ამისი ნათელი დასტური ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაა: ერთი ტელევიზორი, სამი შვილი, ინფორმაციული პროგრამისა და „ბასტი ბუბუს“ სინქრონულობა საერთო დროში. შეხედეთ, ევროპელები გავხდით; პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, პასპორტში, ეროვნების რეკვიზიტი ჭონიასავით შეჭმულა; თავის გადამბალთველი აფხაზი სეპარატისტების მარათონული დიალოგომანიაა შერატონ პალასში; კიდევ რამდენი სავიშვიშო და სადავიდარაბო, ჰოდა, მხოლოდ წამის ნაათასალით სცადე, აბა, პროგრამის შეცვლა! კედელ-იატაკ-ჭერი თავზე თუ არ დაგემხო, მადლობა შესწირე ნაზარეველს. რა ხდება? განა ისეთ რა სასუსნავს არიგებენ „ბასტიში“, ამდენი საცნობისმოყვარეო ამბავი გადაწონოს? მაგრამ, რადგანაც „ბასტის“ ფორმა-შინაარსი ბავშვურია, ანუ სიმბოლურ-ხატოვანი, შენს პოლიტიკურ ჭინთვებს, დიდაქტიკურ სერიოზულობებს და ოფლისმომდენ მორალით გალახული ძაღლის იღბალი რგებია წილად ბედნიერი ბავშვებისგან. აქ ნებისმიერი აღმზრდელობითი მეთოდი, თვით ყოვლისშემძლე ამონაშვილის ყურში ჩურჩულების და კანფეტების წუწვნის ჩათვლით, ერთობ უძლურია და, თუ მაინცდამაინც ათასუცნობიან განტოლებებს ვაზეპირებინებთ ყრმას, მხოლოდ მოგვიანებით, ლამის 10-15 წლის შემდეგ საცნაურდება მისთვის, იშვიათ შემთხვევაში თავში ძალად ჩატენილი სტროფები, ფრაზები, სენტენციები. მხოლოდ გარკვეული პერიოდის მერე აეხდება ფარდა ჭალადიდელის სიტყვების მენტორულ მნიშვნელობას: „მერწმუნე, შვილო, გამოცდილია, თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“. დიახ, მოგვიანებით საჩინოვდება, ვინაიდან ბარიერი - ასაკი, მიწოდებული ინფორმაციის სირთულე კი არა, თავად მიტანის ფორმაა, ანუ არ ვიცით მუნჯი შვილების ენა დედ-მამამ, ჩვენ ალთას ვართ და ისინი ბალთას, თორემ სინამდვილეში არ არსებობს მცნება, კატეგორია, რომლის დაყვანა მოზარდის დონემდე გაძნელდეს; მეტიც, ნებისმიერი სიდიდე, ნებისმიერი ფასეულობა გაიხსნებოდა მცირეწლოვანის ფსიქიკაში, თუკი ჩვენ მოვუძებნიდით მასალას გასაღებს, თუკი მათ ვთარგმნიდით ბავშვების ენაზე. ეს ენა კი მარტივია - სადა, ზედმიწევნით გასაგები და ხატოვანი ამოძრავებული ფორმა.

გამოდის, რომ 10-15 წელი ზედმეტი, სრულიად უსაგნური და უმაქნისი ინფორმაციით დაგვიტვირთავს მოზარდის გონება, პურის ნაცვლად ხორბალი მიგვიწოდებია მისი უდაბნოსავით დამშეული სულისთვის, რომელიც თანდათან იფქვება, იზილება, ცხვება და ბოლოს გარდაიქმნება პურად, როცა შეგვეძლო ეს პური ამდენი ხეტიალის, უკეთ - ბოდიალის გამორიცხვით თანადროულად მიგვეშველებინა და ჩვენს თანამოაზრედ გაგვეხადა - აქ კი, როგორც აღვნიშნე, გზა, მეთოდი ცალსახაა, გენიალური უბრალოება - ცხოველთა ურთიერთობაში არეკლილი რეალობა, ანუ კატეგორიების მაგივრად სახეებით აზროვნება; მცნებებით მსჯელობა ადამიანის გვიანდელი სტადიისთვისაა ხელმისაწვდომ-ნიშანდობლივი; ცეროდენა მოცარტი ვირტუოზია, ვიოლინოს ჯადოქარი, მაგრამ საგნის ფორმას ვერ ასხვავებს შინაარსისაგან. აქედან გამომდინარე ერთ სინამდვილესაც უნდა გავუსწოროთ მზერა: - აღნიშნული თვალსაწიერით ჩვენი ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოენული საგანმანათლებლო სისტემა აბსოლუტურად თუ არა უმეტესწილად მაინც საჭიროებს ქრისტეს მცნებაზე სიარულს - ახალ ღვინოებს ახალ თხიერში ასხამენ. ისიც კარგად გავაანალიზოთ თუ რამდენად განსხვავდება ინფორმაციის ორი ნაკადი - ხატობრივი და ცნებითი.

„ამბები შეიძლება საცნაური თამაშებითაც წარმოვაჩინოთ და თხრობითაც გადმოვცეთ, - გვასწავლის ჰორაციუსი, - მაგრამ ყურით გაგონილი სულსა და გულს ისე ვერ იპყრობს, ვით საიმედოდ თვალით ნახული და მნახველის ხსოვნაში აღბეჭდილი“. შესიმძლავრის კომპიუტერული მეხსიერების ვინჩესტერს, რომელსაც ასობით რომანის ჩაყლაპვა შეუძლია, ანუ ათეულ ათასობით ნაბეჭდი თაბახის დატევება ძალუძს თავის მინიატურულ სივრცეში, სავალალოდ, ფიროსმანის ნახატების რეპროდუქციების სრულყოფილი ჩატვირთვა გაუჭირდება. და თუ პარალელის გავლება შეიძლება საერთოდ კომპიუტერულ ხსომიერებას, ბავშვის ცნობიერებასა და მოვლენა-საგნებს შორის, დიახაც, მოზარდის გონება სახეობრივი ინფორმაციის მოპოვებითაა დაკავებული არსებითად, რომელიც შემცირების უკიდურეს ზღვრამდე აღიბეჭდება ცნობიერების ფირფიტაზე, რათა უკიდურესობის ჟამს, თავგანწირულობების შემთხვევაში, აღდგეს პიროვნების მაშველ ძალად. ამის ნათელ ნიმუშად გამოგვადგება ათიოდე წლის წინათ ამონაშვილ-წივწივაძის გახმაურებული პოლემიკა. ბატონი შალვა პედაგოგის პოზიციიდან გრძნობს, რომ ვერ არის საქმე სათანადოდ, რაღაცა ყარს დანიაში; რომ არსებული მეთოდით შეუძლებელია მოზარდი თაობა მორგის ამაზრზენობას ჩამოვაშოროთ. ამიტომაც იგი ნოვატორის მანტიას მოისხამს სრულიად გამიზნულად, ახდენს პერსონიფიკაციას, თავს იმკვდარუნებს მელასავით, ენას იბლეჯს, „რაჲ“-ს ადგილას „ლას“-ებს მოიშველიებს, რათა მოიპოვოს მრევლის ნდობის ფაქტორი, ბუნებრივად შეაღწიოს მათ სამყაროში, თუმცა ყოველი ცდა ამაოა ან დროებით შედეგიანი, ცირკის არენის ტოლფარდი, შაქარყინულით გაწვრთნილი ცხოველების სამაგალითო. ლევანიკო რამდენჯერაც უნდა შეახტეს მუხლებზე მხცოვან მოძღვარს ან ამ უკანასკნელმა რამდენჯერაც უწუწნოს გვარიანად პირში ნავაგლახები მომპასი, დროებითია მათი ჰარმონიულობა. კი, მიღწეულია თითქოს არცთუ ისე ხელწამოსაკრავი ურთიერთპატივისცემა შეგირდსა და ოსტატს შორის, მაგრამ არ არსებობს ენა, ფაქტურა, მასალა, რომლითაც ისინი შეუფერხებლად ისაუბრებდნენ, უკეთ, არ ხელეწიფების ბატონ შალვა ამონაშვილს ყრმად გადაქცევა, მით უფრო მულტიპლიკაციური სამყაროს მკვიდრად გარდასახვა, ამიტომაც სრულიად სამართლიანად მეჩვენება ბატონ თამაზ წივწივაძის თუნდაც ილენცური დამოკიდებულება ქართული დიდაქტიკური სკოლის ჩიხშიშესული, დრომოჭმული მეთოდებისადმი, რასაც ქვემოთ და ქვემოთ, გპირდებით, მეტი სიცხადით დაგისაბუთებთ.

მსოფლიოსგან ჯერაც აუღიარებელი მწერლის ბელეტრისტულმა დაკვირვებებმა, გამორიცხული არ არის, ზოგ გაშულქებულ პედოფობს, ამ სიტყვის აფთიაქარის სასწორის სიზუსტით, თავისი მექას შერუჯული კედლებისთვის მორიგი ხანძარი შემოაგზნებინოს „უმართებულო“ განქიქების წილ, მაგრამ, ვინაიდან ერთხელ დამწვარს ხელმეორედ ვერ წაუკიდებ, ვამჯობინებ, კვლავაც სულმნათი წინამორბედის, კვინტუს ჰორაციუსის მოზრდილი ტირადა შემოვიშველიო დამცავ ფარ-ჯავშნად:

„ახლა მისმინე რა მსურს მე და რა სურს ჩემთან ერთად ხალხს: მაყურებლები რომ ბოლომდე შეგრჩეს და ადგილზე მანამდე ისხდნენ, სანამ კანტორი იტყოდეს, „დასცხეთ ტაში“, გმართებს, ყოველი ასაკი თავისი ზნე-ჩვეულებით გამოხატო, განსხვავებულ ხასიათებსა და ხანიერებას შესაბამისი მიუსადაგო:

აი, ბიჭუნა, რომელიც უკვე ტიტინებს და მიწაზეც ფეხს მტკიცედ ადგამს, ტოლებთან თამაშობს იგი, და უმიზეზოდ ანჩხლობს კიდევაც; მერმე კვლავ მშვიდდება და, საერთოდ, მალ-მალე იცვლის ზნეს და ხასიათს.

პირტიტველ ჭაბუკს, რომელმაც ზედამხედველს სულ ახლახან დააღწია თავი, სიხარულის ფრთებს ასხამენ ჯიშიანი ცხენები, ძაღლები და მზით გაბრწყინებული მწვანე მინდორი*. სანთელივით ადვილად იღრიკება იგი მანკიერების წინაშე, ჭკუისდამრიგებელთ უხეშად ექცევა, გვიან-გვიან წვდება სიკეთის არსს, ფულს უაზროდ ფლანგავს, მეტისმეტად პატივმოყვარეა და საყვარელი არსებაც შეუძლია მსწრაფლ მიატოვოს.

მოწიფული ვაჟკაცი, ვისაც ასაკმა მისწრაფებანი შეუცვალა, ბეჯითად ეძებს სიმდიდრესა და მეგობრებს, პატივ-დიდებას ელაციცება და ფრთხილობს, არ ჩაიდინოს ისეთი რამ, რის გამოსწორებაც შემდეგ გაუჭირდება.

სიბერეში შესულ კაცს ბევრი საზრუნავი აწვება ტვირთად; ან იმიტომ, რომ ქონების ძიებითაა გართული და რომ მოიპოვებს, შიშობს საბრალო, საგულდაგულოდ გადანახული არ შემოეხარჯოს; ანდა იმიტომ, რომ ყოველ საქმეს კრძალვით და ცივად ეკიდება იმედის ეჭვით შემყურე და მყოფადის წინაშე დაშინებული, ანჩხლი და ჭირვეულია იგი; ქება-დიდებით იხსენებს გარდასულ დროს, თავისი ჭაბუკობის ჟამს და მკაცრი მსაჯულის თვალით კიცხავს და აძაგებს იმას, რაც ახალმა დრომ მოიტანა.

მომავალ წლებს მრავალი სიკეთე მოაქვთ თან და წარმავალთ ასევე მრავალი მიაქვთ დაუბრუნებლად. გახსოვდეს: ახალგაზრდას არ დაეკისროს, ხანდაზმულს რაც ევალება და ვაჟკაცის სამოქმედო საქმე არ დაევალოს ყრმას. ვითარებათა და დროის შესაბამის ჩარჩოში უნდა ვტრიალებდეთ მუდამ!“

თარგმანი აკაკი ურუშაძისა „პოეტური ხელოვ-

---

*წერილის ბოლოს იხილეთ სქემა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნებისთვის“, უსათუოდ შენიშნავდით დიდი რომაელის ეჭვმიუტანელ დაკვირვებებს ადამიანის ცხოვრების ოთხ მონაკვეთად დაყოფის თაობაზე, სადაც ბავშვობაში „უმიზეზოდ ანჩხლი“ პიროვნება მხცოვნობის ჟამს შეგნებულად „ანჩხლი და ჭირვეულია“.

აქ შემოთავაზებული სქემა ი. როგინსკისა და მ. ლევინის „ანთროპოლიგიდანაა“, რომლის მიზანია, კანონზომიერება დაუძებნოს სხეულის პროპორციებს ასაკობრივი ცვალებადობისდა მიხედვით. ადამიანის სხეულის რვა ნაწლად დაყოფა ბერძენი სკულპტორის, პოლიკლეტის, კანონიდან მომდინარეობს, რომელსაც ესაფუძვლება ძველეგვიპტელი ოსტატების თეორიები. ამოსავალ წერტილად მიიჩნეოდა მარცხენა ხელის შუათითი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შეფარდებას სხეულთან 1/9-ით. მაგრამ ამ სიდიდის მიღმა იდუმალებს უმთავრესი, კონკრეტულად კი თავად მოზარდის სხეულის გრადაცია და თვისებრივი გადაადგილება ასაკობრივი ცვალებადობის ფონზე: ბავშვი ზრდასრულისგან გამოირჩევა შედარებით მოკლე ფეხებით, გრძელი ტანით და დიდი თავით. თუკი სკულპტურის კანონიკით იდეალური პროპორცია 1/8, ბავშვის მიხედვით ეს თანაფარდობა 2/6 ანუ 1/3-ით გამოიხატება; დიახაც თავს, ინფორმაციის დამჭერ აპარატს უკავია ცენტრალური ადგილი მის აღნაგობაში და ამ ინფორმაციის ზედმიწევნით ათვისების კვალდაკვალ პატარავდება იგი. დაპროგრამების შემდგომ თავის ქალის ძალოვანი სისტემა იწყებს გადანაწილებას მთელ სხეულზე. ადამიანის ინფანტილური ფაზა გამოკვეთილია კბილების მკაცრად განსაზღვრული ოდენობით, რომელიც პოეტესა მერი ინაშვილს ოდნავ მაინც რომ ცოდნოდა, არაფრისდიდებით დაწერდა ამისთანა საანეგდოტე სტრიქონებს: „მაინც მიკვირს პატარებო! უცნაური მომენტის - გული ერთი რატომ გვაქვს და კბილი - 32“. ჩვენი უბედურებაც ეს გახლავთ - არარსებულ თორმეტ კბილს ვტენით პირში პატარას. ზედმეტი თორმეტი კიჭის წლობით შენახვა ენის მოჭარბებული დაუდგრომლობის პერიოდში, დამეთანხმებით, არც ისე იოლი საქმეა. ანთროპოლოგიურად კი პატარებს, როგორც წესი, ოცი კბილი გააჩნიათ, რომელთაგან უმეტესი გადაიყრება წრუწუნათათვის ასაკობრივ ცვალებადობასთან ერთად და მხოლოდ 20-25 წლის ასაკში, ზოგჯერ მოგვიანებითაც, აღიჭურვება ბოლო ოცდამეთორმეტე სიბრძნის კბილით. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ და თქენი ცნობისწადილიც არ შევაწუხოთ ანთროპოლოგიაში ზედმეტი განსწავლულობით კვლავაც არჩეული თემით შემოვიფარგლოთ - ჟურნალ „დილის“ საშვილიშვილო როლით მოზარდი თაობის მართებული ფორმირების საქმეში და, ვინაიდან ამ საკითხის მოწყვეტა შეუძლებელია ეროვნული განათლების სისტემის კონსერვატორული ართახებისაგან, ბარემ ერთი ლირიკული განშტოებაც მოგვიტევეთ და მერმე, გპირდებით, აღარსაითკენ გაგვექცევა მზერა, სიტყვა.

ალბათ, გულუბრყვილოა, ჩვენი მოზარდი ახალგაზრდობის განსწავლულობის კონცეფცია ავაგოთ ისტორიზმის მეთოდზე, ანუ ტრადიციულად შევთავაზოთ ლიტერატურული ნიმუშები უძველესი ძეგლებიდან მოყოლებული დღევანდლამდე, ქრონოლოგიურობის დაცვით. ყრმას, რომელსაც ეს-ეს არის უყალიბდება ცნობიერება, დიახაც, უპრიანია ყველაზე უმთავრესით დავუწყოთ წვრთნა, უმთავრესით და უმნიშვნელოვანესით. ამიტომაც მიმაჩნია, რომ შეგირდი პირველი კლასიდანვე უნდა შეებას „ვეფხისტყაოსანს“ და ისე ჩაამთავროს უსაშველოდ გაწელილი ათწლედია ეს თუ თერთმეტწლეული, წამითაც არ მოშორდეს ქართული სულიერების შეუცვლელ ბიბლიას, რომლის კეთილისმყოფელი შუქისა და სითბოს არილში ნელინელ გამოიძერწება კიდეც მოზარდის ლიტერატურული პესტიციდებით ესოდენ დაკნინებული სულიერება. დიახ, „ვეფხისტყაოსნის“ მაგიური ძალით უნდა საზრდოობდეს მისი ცხოველმყოფელობა ანიდან ჰოემდე, ოღონდ პერიოდების შესაფერისად მიეწოდებოდეს, იმ ულუფითა და დოზით, რამდენსაც შეგირდის ასაკი იტვირთავს. არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენს იწილობიწილო საგანმანათლებლო საქმიანობაში, ვინემ ამ პრინციპის დამკვიდრებაა. არადა, მაუწყეთ, ღვთის მადლმა, რისი მომცემია პირველკლასელი ბავშვისთვის ინფორმაცია ესე? შოთა რუსთველი (იქნებ რუსთაველი, გ. ო.) არის დიდი (აქ მაინც რატომ გვეცოტავება ეპითეტი? ხელმოცარულებს გენიოსებად ვნათლავთ და ნუთუ გენიასთვის ვერ გაგვიმეტებია თავისი ნამდვილი სახელი! გ. ო.) ქართველი პოეტი. მან დაწერა პოემა „ვეფხისტყაოსანი“. მორჩა! ამ ინფორმაციით ჩაამთავრებს პირველკლასელი მოზარდი „დედაენის“ სახელმძღვანელოს მიხედვით კალენდარულ სასწავლო წელს. ცოტა დანაკარგია? არადა, ჩვენ მისი ცნობიერების გამპოხიერებელი უამრავი მასალის მოხმობა შეგვეძლო სამაგიდო პოემის უსიერიდან. ყველაფერი ჩვენი მარაზმული შიშისგან მოდის: ვაითუ გადავქანცოდ მოზარდის გონება! არიქა, ზედმეტი კითხვისაგან არ წავახდინოთ ბავშვის ფსიქიკაო. გეკადრებათ, ბატონებო? მიაწოდეთ მას მისთვის, მისი ასაკის შესაფერისად შედგენილი ნებისმიერი სირთულის ტექსტი და, ჩემი კისერი, თქვენი დანა, სადმე იოტისოდენად წაბორძიკდეს. პირიქით, ინფორმაციის დანთქმისთვისაა მოწადინებული მოზარდი მთელი არსებით, მაგრამ ავტორიტეტების ტაბუირებული დოქტრინები გადასინჯვას არ ექვემდებარება. მე კი მიმაჩნია, ცხოვრება გამუდმებული განვითარებაა. გუშინ, გუშინწინ სასარგებლო, შესაძლოა დღეს, ხვალზეგ საზიანოდ გვექცეს. ამიტომ პედაგოგიკაც, როგორც ნებისმიერი დისციპლინა, უნდა განიცდიდეს თანადროულ მუტაციებს, ხანდახან რადიკალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცვლილებებსაც, განსაკუთრებით ფასეულობათა თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში აქილევსის სისწრაფით მარბენალ დროს ჩამოვრჩებით კუს ნაბიჯებით მოხოხიალენი და მიუკერძოებელი ისტორია თუ ცხოვრების დიალექტიკა ადრე თუ გვიან სანაგვე ყუთში მოგვისვრის ჩვენი ყბადაღებული სახელმძღვანელოებიანად.

ამოსავალი წერტილი ერთია: ქართველი მოზარდი გეორგიანული ქვეყნის ისტორიული პირმშოა, მიწის, ზღვისა და ჰაერის მომაჯადოებელ-მომნუსხველი წიაღიდან ამოტყორცნილი ამავდროულად ურბანისტულ სულისკვეთებასაც ნაზიარები, ტელევიზორს მიჭყლეტილი მულტიკების გამოცისკროვნებისას, კომპიუტერებს მიჩოჩებული და ამისთანა შეგირდს, მზის სისტემის პარამეტრებს ზიარებულს, აკვნიდანვე თხა და გიგოს ენით ესაუბრო, უბრალოდ, წმინდა წყლის ბარბაროსობაა სქელშუბლა უგვანობასთან ერთად.

ყრმა თითებს ჩვილობის პერიოდიდან შენიშნავს ხოლმე. ჯერ კიდევ ენის ადგმამდე თვალწინ იტრიალებს პირველ საოცრებას, რომელიც მისი სხეულიდან მომჩქეფარებს და ჰერაკლეს გმირობებზე ნაკლები როდია ქმედება ესე ანგელოზის პოზიციიდან, მაგრამ, თუკი „აი იას“ ჯადოსნობით ჩაგვიყრია საძირკველი ქართველი მოზარდის ცნობიერებისათვის, მიკვირს, რატომ იგივე მეთოდით არ გრძელდება მისი გამობრძმედა შემდგომ და შემდგომ? განა უფრო რეალური არ არის, აქცენტი ხმოვნებისკენ გადმოიწიოს, მეტყველებაში ხშირად მახასიათებელ ასო-ბგერებზე? გოგებაშვილის რევიზია იოლი საქმე არ არის, მაგრამ პირველადმომჩენთან არ მთავრდება საგნის შესწავლა, არ სრულდება ცხოვრების გზა და ნუ ავიკვიატებთ „სათითეებს“, თანაც ანგარიში გავუწიოთ მეოცე საუკუნის ტენდენციებს სახელების არჩევითობის თვალსაზრისით, ვინაიდან შიო, ძიძია, კესო, სიკო, კაკო, მაიკო, ჩალხია ლამის მივიწყებული ფენომენია. სანაცვლოდ ამოტივტივებულან გიორგები, ლევანები, ცოტნეები, ნინოები, მარიამები, ანუ ჩვენი სულმნათი წინაპრების კვალობაზე მოქცეულა ნორჩი საზოგადოება. მაგრამ ესეც მოსათმენია უფრო სავალალოსთან შედარებით, ანუ იმ ფრაზეოლოგიის კვალდაკვალ, რაც პირველკლასელისთვის შეთავაზებულ ტექსტს ახასიათებს „დედაენაში“ კონკრეტულად – კი ფრაგმენტულობა, ქაოსური ალბათობა ერთიმბითობის სანაცვლოდ ან მასალის მიზეზ-შედეგობრივ, ლოგიკურ ჭრილში მიწოდებისა, სადაც პირველიდან გამომდინარეობს მეორე, მეორედან – მესამე და ა. შ. ასეთი მიდგომები მომავლის საქმეა და ადრე თუ გვიან, დარწმუნებული ვარ, დროის მოთხოვნების შესაბამისად ახალი გოგებაშვილები ღირსეულად გაართმევენ თავს ამ საშვილიშვილო მისიასაც. არადა, როგორი ანაქრონიზმებია: ამჟამად „თეოს უთო მძიმე“ სულაც არ არის, ტექნიკურმა პროგრესმა ზედმეტი თუჯი გამოაძევა მისი სანაკვერცხლე მოუხეშავი აღნაგობიდან და ბუმბულივით აამჩატა, მაგრამ, ვინაიდან ტრადიციის დარღვევა არ ეგების არსსახსენებელ არს, ტაბუირებულია, ვაშინერს უნდა გვემძიმოს. „ეს ხაშია“, გვანათლებს „დედაენა“ და, მამა თუ ლოთი არ ჰყავს, ძნელია მოზარდმა გააცნობიეროს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ფრიად სპეციფიკური კერძია ქართულ კულინარიაში. ყალბია „ოფოფი დაგოგავს“, ვინაიდან გოგმანი ტრადიციულად მწყრის მახასიათებელია. ცხადია, „მამალი გარბის“, როგორც უმეტესი ფრინველი და ცხოველი, მაგრამ მისთვის უმთავრესი ატრიბუტი ყივილია, ამით ასოცირდება ბავშვის გონებაში. „ქან“-თან, ჟირაფთან „ჩიჩორი გოჩასია“, „გარაჟი ჩალხიასია“, ხოლო „წარ“-თან, წეროსთან „ქუქუნა ყურძენს კრეფს“. ხომ არ აჯობებდა მსგავსი აკუსტიკის სახელი სათანადო ბუდეში მოგვექცია და, საერთოდ, როდესაც ამა თუ იმ ასო-ბგერის დახსომება განგვიზრახავს, უმჯობესია ის სიტყვები დავაწინაუროთ, სადაც ეს ასოები ხაზგასმულია ალიტერაციის მეოხებით თუ მახვილის დასმით. „წეროსთან“ მისაღებია წიწილა, მაწონი, არაფერს წავაგებდით, მოგვეშველიებინა წუნაც, მაგრამ როგორ გადაარწმუნებ ბავშვს იმ რეალობას, რომელიც ეკრანიდან სამუდამოდ ჩაბეჭდვია გონებაში: წრუწუნა კაკლის ასოციაციას იწვევს მასში და პირიქით, ამიტომაც სრულიად გაუმართლებლად გვეჩვენება ფრაზა „წრუწუნას წაბლი უყვარს“. ნებისმიერ სიტყვას გვერჩივნა, იქ კაკალი ჩაგვეწერა ან სულაც, ჰესაფერისი ინტონაციით დაგვეტვირთა, თუნდაც ასეთით: „წრუწუნას წამალი უყვარს“. ამით ჩვენ ორ კურდღელს დავიჭერდით: არ გავაორებდით მოზარდის ჩამოყალიბებულ მცნებას: წრუწუნა-კაკალი – განუყოფლობის თვალსაზრისით და დიდაქტიკურ როლსაც გავითამაშებდით წამალმოძულე ბავშვების მოსალმობიერებლად. სოციალიზმი რის ვაი-ვაგლახით გადავაშენეთ, „დედაენა“ კი ძველებურად ქადაგებს: სოფოს ძმა შრომის გმირია“. დღეს ბევრი აწვალებს კალამს ყმაწვილთა დასაჩლუნგებლად, ქართული ეკლესია თავის დროზე იბრძოდა ენის სიწმინდისათვის, ევროპამ რენესანსამდე გააკეთილშობილა თავისი მეტყველება თუნდაც ინკვიზიციური მეთოდებით, გაანთავისუფლა ძნელად წარმოსათქმელი თანხმოვნებისაგან, აქედან გამომდინარე, ხავერდოვნება, მაჟორულობა შეემატა მათ ენას, ჩვენი პოეტესები კი „ტოროლა და ოლოლებს“ გვთავაზობენ, სადაც ნაჯახით გამოჩორკნილი რითმათა წყვილეულებია. იგივე სიგონჯისაა ნ. შამანაძის „ვევსტუმრე“, „ახალი თბილისი“, ი. გრიშაშვილის „გაზაფხული“, გ. ჯაბუშანურის „თინიკო და მზე“. მოკლედ, ისე გავიდა პირველი წელი, ბევრი ვერაფერიშვილი შევძინეთ მოზარდის გაფაციცებულ გონებას, ვინაიდან მან გაცილებით მეტი იცის ცხოვრებაზე, ვინემ „დედაენის“ მიერ შეთავაზებული სინამდვილეა, მაგრამ მეხუთე კლასის

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახელმძღვანელოს გადათვალიერებამ გულს იმედი ჩამისახა: ქართული პედაგოგიკა, სავარაუდებელია, რომ ადრე თუ გვიან გავა ტაძრისკენ მიმავალ გზაზე. ენობრივი პოზიცია უდიდესი მნიშვნელობისაა მოზარდი თაობის სწავლების პროცესში. მართლაც, გენიოსი უნდა იყო, თანაბრად მისაღები ნაწარმოები შექმნა, როგორც პატარებისათვის ისე დიდებისათვის. ამას ახერხებდნენ თითო ოროლანი, გენიალური უბრალოების - და არა პრიმიტიულობის - წყალობით. მეოთხე კლასის სახელმძღვანელოს „ქართული ენა“?! სამი ავტორი ჰყავს: ვ. რამიშვილი, შ. თაბუკაშვილი, თ. ჩერქეზიშვილი (აჯობებდა, აქ დაგვეცვა ალფაბეტური წყობა გვარებისა), V კლასისა - ექვსი: ვახტანგ როდონაია (ჯგუფის ხელმძღვანელი), ლალი ვაშაკიძე, ლია თვაური, დალი ლორია, ლეილა მანჯგალაძე, ნინო მუშკუდიანი (აქაც არ გათვალისწინებულა ანბანური პრინციპი, თითქოს ჯგუფის ხელმძღვანელის როლი რამეთი დაკნინდება მესვეურეული პოზიციის მაგივრად სიის ბოლოში მოქცევით. ასეთი მიდგომები ხომ პროკომუნისტურია, როდესაც „შინ“ გვარზე გაფორმებულ პიროვნებას სამძიმრის თავში მოაქცევენ, „ან“-ებსა და „ქან“-ების წინ?) მაგრამ აქ არსებითი სხვა რამ გახლავთ: მეოთხეკლასელები თუ ავტორებად აცხადებენ თავს და წიგნის ჩრდილოეთ სივრცეში დაფუძნებულან, იქაური მზის ამობრდღვიალების მოიმედენი, მეხუთეკლასისანი შემდგენლებად წარმოჩინდებიან და იქაც უცილობლად ინტელექტის წყალობითაა ყველაფერი გადაწყვეტილი. ალბათ, ესეც ასხვავებს მასალათა დალაგების, მოწოდების პრინციპს, წიგნის პოლიგრაფიულ დონეს, ილუსტრაციის უბადრუკობებს ერთგან და სასიხარულო სიმკვეთრეს მეორეგან. დიახ, ყელაფერი ინტელექტიდან მოდის. რუსთველი თავს ისაწყლებს მამალმერთის წინაშე, წარმავლად, ლამის არარაობად მიუჩნევია თავი მამფალს, გენიოსს, და ათასი შარახვეტია კალამგირი ჰომეროსად დაგვისკუპდება წინ, თანაც საცრისხელად გახელილი თვალებით, რომელთა მოციგლიგე არეში ნიჭიერების ნასახი არ კიანთებს წყალწალებულისთვის ხელჩასაჭიდებელ ხავსად, მაგრამ ვინ არის განმკითხავი?! ბრძენი ილია ნათელშია, წივწივაძეებს ტერორისტებად აცხადებენ ხელმოცარულთა ლეგიონები, ხოლო ნოდარ გრიგალაშვილისა და როსტომ ჩხეიძის შესაშური გემოვნების თუ პატროფილური პათოსის მიუხედავად, კვლავაც ფრიად არს სამკალი. მიხარია, ჩემეულ კონცეფციას დამოუკიდებლად რომ თანხვდება მეხუთე კლასის სახელმძღვანელოს „მშობლიური ლიტერატურა“ არსი - გამჭვირვალობა, პატროფილურობა, მაღალი ზნეობის ჰეროიკა, მაგრამ, რა არის იგი ნათელი, რასაცა ახლავს ბნელია და, ამ კარგსაც მოეძევება აქა-იქ აქილევსის ქუსლი, ამ შემთხვევაში ლოგიკის უქონლობა მასალის მოწოდების თვალსაზრისით, ანუ დალაგებულია ქაოსური, შემთხვევითობის პრინციპით და არა აუცილებლობით, ანუ მარტივიდან რთულისაკენ, კონკრეტულიდან ზოგადისკენ. ამისთანა წავარნა სულმნათმა ილიამ დაგვიტოვა ფორმულასავით: „ენა, მამული, სარწმუნოება“, და, ალბათ, ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომელი თემა რომელს უსწრებდეს, რომელი გავაუპირატესოთ და რომელი შემოვიტოვოთ აუდიტორიამდე ცნებათა უკეთ მიტანის მიზნით.

აქ აუცილებლად უპრიანია პროფესორ ჯემალ პაჭკორიას კონცეფციის მოშველიება მოზარდი თაობის შემჭიდროებულ დროში განსწავლის თაობაზე, რადგანაც მისი შეხედულებით, დღევანდელი ახალგაზრდა გაცილებით ადრე მწიფდება ცხოვრებისთვის ბიოლოგიურად და ჩვენი ვალია, მისი სოციალური და ფიზიკური ფაქტურა დავამთხვიოთ დროში ერთმანეთს. უკეთ, არ მოხდეს პიროვნების გახლეჩა თუ გაორება, ამიტომაც, მეცნიერის მრწამსით, საჭიროა არსებული პროგრამების რადიკალური გადახალისება, მეტი ადგილის დათმობა საბუნებისმეტყველო დისციპლინათათვის, ურომლისოდაც ნებისმიერი ინდივიდუუმი ორიენტაციადაკარგულია ცხოვრების უკიდეგანო ოკეანეში. აქვე. ბატონ ჯემალის თვალთახედვით, აუცილებელია მოზარდების გამოკვლევა არაქირურგიული გზით - რა მიდრეკილებისაა, ჰუმანიტარული დარგებისა თუ საბუნებისმეტყველოსი, ვინაიდან, როგორც ირკვევა, თავის ნახევარსფეროები განსაზღვრავენ ამ თავისებურებებს და, რადგანაც 9-10 წლის ბავშვს უმეტესწილად მოსინჯული აქვს შესაძლებლობანი, მიდრეკილებანი, თანადროულად მიგვაჩნია დაწინაურდეს დიფერენციული სწავლის მეთოდი ადრეული პერიოდიდანვე, რამეთუ ეს გზა კარგადაა აპრობირებული იაპონიაში, სადაც სხვადასხვა ტემპერამენტის აღსაზრდელებს მსგავსი ნიშნის მიხედვით აჯგუფებენ: სანგვინიკებს და ქოლერიკებს გვერდიგვერდ მიუჩენენ ადგილს, ხოლო მელანქოლიკებსა და ფლეგმატიკებს - ცალკე და, საერთოდ, ყოველნაირ პირობას უქმნიან, რათა ონავარმა ბოლომდე გახარჯოს ორგანიზმის მიერ კოლოსალური ოდენობით გამოყოფილი ჰორმონები და შეძლებისდაგვარად ავიცდინოთ გადახრები. ჰოდა, აქედან გამომდინარე, ამომავალი მზის ქვეყნის პატარები ბაგა-ბაღში ერთის მხრივ ამტვრევენ ყოველგვარ სათამაშოს, ფხრეწენ, ამსხვრევენ, აქუცმაცებენ, ამით განიტვირთებიან უარყოფითი ემოციისგან, ხოლო მეორენი აკოწიწებენ, ამრთელებენ აღადგენენ დაწიოკებულ და გაპარტახებულ ნივთებს. ეს მიდგომები თურმე ცხოვრების ლოგიკის კარნახითაა მათთან, ადამიანის ორბუნებოვანი სურათის შესატყვისად, „ჰოსა“ და „არას“ შორის დაუსაბამო მიმოდენის წყალობით, მაგრამ, რადგანაც საგრძნობლად გაგვიტაცა მედიტაციამ, მიწაზე დაშვება ვამჯობინოთ და აწგაცხადებული კონცეფციის ჭრილში, ვფიქრობთ, გაგვიიოლდება დიდი მამული-

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეილური მისიის მებალავრე ჟურნალის ექვსივე, შესაშური პოლიგრაფიული დონის ნომრის გაანალიზება სათაურთან მიმართებაში.

### 3. ჟურნალ „დილის“ ინტერიერი, *ანუ დიზაინის ზეიმი.*

პოლიგრაფია ვახსენეთ და საუკუნის მიწურულმა საქართველოსაც გადმოასხა კომპიუტერული მადლი. სახელმძღვანელოებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გადაათვალიერეთ ამ იშვიათი გემოვნებით გაფორმებული ჟურნალის ნომრები და თქვენით დარწმუნდებით, ფერების როგორი გასაოცარი მდინარებაა. ის კი არა, ხშირად ჭარბი ენერგიის დაუოკებლობის ნიშნებიც კიანთებს აქა-იქ, განსაკუთრებით, როცა საკითხი ეხება ტექსტისა და ფონის ურთიერთშეთანაწყობას. ჩვენთვის მისაღები პოზიცია, როდესაც ნებისმიერი ატრიბუტი ეხმარება აზრის სწრაფად და ნათლად აღქმის საქმეს. ამ მიმართულებით, ალბათ, გადასასინჯია ჟურნალისადმი ტექრედაქტორული მიდგომა, ვინაიდან ზოგჯერ ხდება ისე, რომ ფრიად საინტერესო მასალა გაბუნდოვანებულია, გადაფარულია დიახაც, გამომსახველობითი ეფექტით. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ მოზარდის თვალისჩინის მოფრთხილებისთვის, აქედან გამომდინარე, ყრმას არ უნდა უჭირდეს შრიფტის გამოცალკევება ფონიდან, რადგანაც ამ ჭირთათმენის პროცესში დამატებითი ბარიერი ექმნება მის ისედაც გაუწაფავ გონებას. მაგრამ, ვფიქრობთ, თვალში ბეწვის პოვნა ამერიკის აღმოჩენად არ ჩაგვეთვლება, მით უფრო, როცა ბოლოს და ბოლოს დაძლეულია ათწლეულობით გაბატონებული დოქტრინა: ქართველმა ბავშვმა მაინცდამაინც ვაშლის მაგივრად პომიდორი უნდა აღიქვას ნახატიდან ან ლიმონის ნაცვლად ატამი. არაფერს ვამბობთ ფაუნისა და ფლორის ეგზემპლარების ნიუანსობრივ მხარეებზე, რომელიც, უწინარესად, დიდ ოსტატობას და ნიჭიერებას მოითხოვს მეფუნჯეთაგან. ამ თვალსაზრისით მხატვართა მთელი კოჰორტაა ჟურნალში წარმოდგენილი, შესაძლოა ფართო საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი პიროვნებანი, მაგრამ ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის მათდამი და ჩამოთვლის ტრადიციულ სტერეოტიპს თუ დავესესხები წერილში, მკითხველს ვეაჯები, ამ ერთხელ მაინც მომიტევოს ყაზარმული საქციელის გამო:

სამუდამოდ გამახსოვრდება თამაზ ხუციშვილის წყაროსთან გაბუსხული ბელურა და უშველებელ „დედაენას“ დაწაფებული მალხაზი ეკლესიის ფონზე; იისფერი თოვლის კოლორი მისძალებია ლაშა სულაკაურის ფერდობ-ფერდობ ამოზიდულ მონასტრებს ალვის ხეთა მეჩხერ მწკრივებში; გიპყრობს ვაჟა ქურხულის რეალიზმი მინიატურული შტრიხებით: ედუარდ ამბოკაძე, ნანა სანაია მოზარდისთვის მახლობელ გარემოს ქმნიან მერცხლების ჰაერში ნავარდითა და ყაჩაღანასაგან დაშინებული ბელის ძუნძულით; სულში ჩამწვდომია თამარ ქალდანის თათქარიძისეული „მუხუდელა“ რასაც ვერ ვიტყვით „გასაყიდი ქუდების“ გაფორმებაზე, ვინაიდან ირკვევა, რომ მხატვარს ტექსტში არც ჩაუჭვრეტია, თორემ მის ვაჭარს არაფრით ეხურებოდა წითელი ქუდი. აი, საბუთიც: „მისი საკუთარი ქუდი კი შავი იყო“. გულუბრყვილობის ილუზიას ქმნის ანა მგალობლიშვილის პატარა ქირურგი, ეს ის მარი ინაშვილის „ქირურგი“ გახლავთ, ოცდათორმეტი კბილით რომ აღჭურვა ჰიპოკრატეს ფიცისათვის გამწესებული გოგონა; დღევანდელი ონავრისგან ვერაფრით განასხვავებთ დარეჯან ჭილაშვილის თუშურქუდიან პატარა კახს, რომელსაც ჯაჭვის პერანგი აცვია, გაჰკრავს ხელს და გახევს; გია ლაფაური, გიორგი ჩაჩანიძე გაურბიან სტანდარტებს და ქმნიან უშუალობის, ინტიმის ატმოსფეროს. იგივე გვარებია ნომერ და ნომერ, წითელქულაჯიანი კურდღელი ცაში ასვეტილი კოშკის სიახლოვეს. ალმაცერად მომზირალი ყვითელი, ქოჩრიანი კატა, გაპუტული მამლები, შესხეპილი მუხა, გამოიელვებს აქა-იქ 13 წლის სანდრო კაციტაძეს ფანტასმაგორია – კოშკი ან არწივის დაკლანჭული მართვეებისკენ წარტყვევნილი წითური მელა, იქვეა ლაშა სულაკაურის სამეფო პატიმრები; დედაენის კითხვაში ჩაზიარებული, კვერცხების ჩეკვამიტოვებული ყვანჩალა; მერი ბოლქვაძის ციყვი ციკო, თაგუნა წრუპი და ბელურა ნათი; თეა მიქაიას ანანო, საფერხულთან გალურსული ფისუნიათი; ზაურ დეისაძის სახასიათო დეტალები, დურგალი მამა ბერიკაშვილისეული ულვაშით; ეკა გეგიას ბარტყების საწუხარი; გიორგი ჩაჩანიძის ოქროსფერი სინიბები, ალისფერი არშიები და ყალყზე შემდგარი თეთრონი. მოაბიჯებს თამამად 7 წლის კესანე გვეტაძე გოგენის ტაიტელი ქალებისმაგვარი პორტრეტებით. ხოლო ანგია ფარშავანგი, კუდისმაგვარად მარაოგამობმული პუტკუნა ანგელოზი მოძრაობაში, გიორგი მაღლაკელიძისა, ღიმილისათვის განგაწყობს. ანა მგალობლიშვილთან იგრძნობა პიკასოს კეთილი გავლენის ჭავლები; იქით პირწავარდნილი სურამისციხელი ზურაბია, წინაპრების აჩრდილებიდან გამოღწეული მუზარადიან-ორლესულიანი, ჯარისკაცურ ჩექმებში ჩამძვრალი შავთვალა ანცი ჩვენი საონავროდან; ყოფითი გარემოს ირონიული ნაკადით გამოირჩევა რიჟამაძის თმის პრობლემა ქაჩალ პაპასთან და ხუჭუჭა ლუკასთან; ისევ ზურაბ დეისაძის ელენიკოს პაპისა და ბებიის რეალისტური პორტრეტები; მიმზიდველია ნანა სანაიას ბატი თეთრი „სმოკინგით“, ჯოხითა და ცილინდრით. ოსტატურად გამოიძერწება რკოს კაცუნა, იგივე პინოქიოს ორეული პატარა ვირუკელათი, რომელსაც საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ჩოჩორს ეძახიან ნახატებისა და ტექსტის ავტორის, ქალბატონ ნელი ოქროპირიძის გამოკლებით. მიმზიდველია თამაზ ხუციშვილის ბელურები

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაღალი ბალახისა და შორეთში აწვართული ციხეკოშკოვანი მთის ფონზე; ფანტაზია შერწყმულია რეალობასთან ვაჟა ქურხულის კოლიბრთან; განსაკუთრებით ნიშანდობლივია ჩვენთვის წიკო-მიკოს ნანა სანაიასეული გაფორმება – მხრებაჩეჩილი, ინგლისის დროშისმაგვარი წინსაფრიანი გოგონა. ნატურალისტური ისერსახე გამოარჩევს გიორგი ჩაჩანიძის ვეფხვს, სპილოს და მარტორქას; ოსტატობა და ცირკის არენის კანონების ზედმიწევნით ცოდნა მჟღავნდება თეა მიქაიას ეკვილიბრისტიკაში, რომელიც უნებლიეთ გახსენებს პიკასოს ნახატს „გოგონა ბურთზე"; ისევ ნანა სანაიას ცამეტი გოჭის პურმარილობა სამი ფინჯანი რძით; მიგრუხუნებენ მანანა მორჩილაძის მზესუმზირისფერი პერსონაჟები ატრაქციონის მანქანით; გამახსოვრდება კობა აბულაძის ფეხბურთელები და მამლაყინწისგან ბატიბუტაცლილი დოღრიალა ბეკო. და მაინც მიმაჩნია, ოთხმოცდათვრამეტის „დილის" გვირგვინი ორი რამ არის დიზაინის თვალსაზრისით: პირველი და უმთავრესი – ჯადოსნური სათვალე, რომელიც იამამი ცდაა საყმაწვილო ჟურნალში მულტიპლიკაციური ტრადიციების დამკვიდრებისა. აქ ორი ფერისა და მოძრაობის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ნაცარქექია-ბაყბაყდევს შორის ყველაზე გახმაურებულ სცენათა მოხელთება, რომელიც გასაოცარი ეფექტურობით აირეკლება მოზარდებში. საკუთარი ბავშვების მაგალითზე გამოვცადე. ვერაფრით წავგლიჯე მათ ეს ნომერი ხელიდან, ხან ერთი იზომებდა სათვალეს და ხანაც მეორე და მესამე, ოღონდ რამენაირად ამოეკითხათ მხატვარ გია ლაფაურის მიზანსწრაფულობა. იღრინებოდნენ, ჩხაოდნენ, სტაცებდნენ ხელიდან სათითაოდ ზოგჯერ ჟურნალს, ზოგჯერ სათვალეს და მაშინ ერთხელაც დავასკვენი: ფორმა, თანადროული და თანაზომიერი ფორმა, ატყვევებს მალხაზების ანკარა სულებს. აქ ყოველგვარი სხვა არგუმენტი წყალწყალაა. დიახ, წინ აღარაფერი უდგას მოზარდის ცნობიერებისთვის დამაინტრიგებელს.

ჩემთვის გასაგებია, რომ ჟურნალ „დილის" მაღალესთეტიკური დონე ძნელად განხორციელდებოდა ეროვნულ პოლიგრაფიულ ბაზაზე, რომ არა ბულგარული სარეკლამო გამომცემლობა „ლაზიერის" გამოცდილების შემოშველიება. ოთხჯერ მიუმართავს თურმე „დილის" რედაქციას მათთვის. ერთგზის იგივე ბულგარელებს დაყრდნობიან კვლავაც, გამომცემლობა „შერის", და მხოლოდ ერთადერთხელ, ისიც წლის მიწურულს მოხერხებულა, ვიტყოდი, ლამის ნაცარქექია-ბაყბაყდევური ნომრის ბადალი დონით ფირმა „რეესტრის" მიერ აქვე, თბილისშივე მისი დასტამბვა და ეს გრადაცია მიმანიშნებელია ფრიად სასიხარულო ფაქტისა, რომ ამიერიდან საქართველოშივე შევძლებთ ფერთა ზედმიწევნით დაშლა-შეხამებას, ლურჯისგან მწვანის გამოყოფას და წითელთან ყვითლის შეკავშირებას; რომ აწი მაინც არ დაემსგავსება ჩვენ მხატვრების ფაქიზად შესრულებული ატმები ლიმონებს და თურაშაულები – პამიდვრებს და რადგანაც ეს ბარიერი გადალახულია, ახალ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ მსგავსი პოლიგრაფიული სიმძლავრეების აღორძინება ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოში, ახალ ეტაპად და პერსპექტივად, რომლის მეშვეობით მომავალ თაობას განსაკუთრებით გაუმახვილდება თვალი, გაუფაქიზდება გემოვნება, კოლორის შეგრძნება და, იმედია, მეტადრე ვისწავლით ფერების შეხამებას თავად ტექსტების უკეთ აღქმის თვალსაზრისითაც.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვნად მეჩვენება ჟურნალის პირველი გვერდის დასურათებანი: თამაზ ხუციშვილის დათოვლილი სოფლის იდილია მოთხილამურე ბიჭის ფონზე, რომელიც ცხადია, მზად არის გორაკიდან გადასაშვებად მანდილიანი გულისსწორის წინაშე თავმოსაწონებლად; არანაკლებ ეფექტურია განათლების მთავარი სამმართველოს სამხატვრო სკოლის მერვე კლასის მოსწავლის გურამ ელიდაშვილის ნამუშევრები, „ვეფხვების მეგობარი კიკინებიანი კუდრაჭა"; მიმიხვდებით, დასათაურება ჩემეულია, შესაძლოა ავტორთა ჩანაფიქრისაგან თუ სახელდებისაგან რამდენადმე დაშორებული, მაგრამ ინტერპრეტაციის უფლებამოსილებით წარმსდგარი თქვენს წინაშე და, ამდენად, საფუძვლიანიც; კვლავ იგივე სამხატვრო სკოლის, იგივე კლასის მოსწავლე ნინო პანკელაშვილი გვეტიტინება ფერადი ბუშტებით მინდორველად გაჭრილი ახტაჯანათი, სადაც გვირილების და სამასკარადო აღნაგობის კვალობაზე ინაკვთება ჩვენი სამშობლოს უმთავრესი დღესასწაული – საქართველოს თავისუფლების დე-იურე – დე ფაქტო 26 მაისი; რეალისტურია ედუარდ ამბოკაძის „მკათათვე", ყვითლის სიმრავლით, ძნებით, ცელით და საგზალით. გვიპყრობს ზაურ დეისაძის „ზარმაცელა", რომლისთვის ლურჯთვალება პუდელს ჩანთა მიუცუნცულებია სასექტემბრო ზარის ძახილზე; დაბოლოს, ფოთოლცვენის ქარავანს აღევნებული გია ლაფაურის „ნებიერი" ბაყაყი – ჟურნალ „დილის" ჩემოდნით მომავალი წლის ხელმომწერებისთვის თავგამოდებული „მფრინავი ვასაკა"; ამას ზედ ერთვის დიდი გემოვნებითა და პოლიგრაფიული ეფექტით მოწოდებული საგანგებო რუბრიკა „რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს". ამ სერიალიდან განსაკუთრებულად მეჩვენება ივლის-აგვისტოს მე-4 ნომერი, სადაც გათამაშებულია იალქნიანი გემით ჯადოსნურ სამყაროში გამგზავრების სპექტაკლი. ასეთი მიმართება კომპოზიციურად უფრო შეკრულია, მიზანსწრაფულიც.

„დილის" შემეცნებით სივრცეში ნემსსაც ვერ შეიტანთ თვითნებურად მასალათა გეგმაზომიერი განთავსება-სიმჭიდროვის გამო. ბროწეულია ამ ჟურნალის ვერბალური პორტრეტი – გარეთ ატლასი, შიგნით – ათასი. ერთი შეხედვით, უწყინარ ნუმერაციასაც კი თავისი დატვირთვა გააჩნია. ზოგან

ეროვნული ბიბლიოთეკა



გულყვითელა ჩიორას წაუნისკარტებია გვერდის შესატყვისი ციფრი, სხვაგან ქამა სოკოა ნორჩი მკითხველის მეგზური და იქით – მეწამულქულაჯიანი ყურცქვიტა, ეტრატიანი დათუნია-დრუნჩა თუ ამანათიანი ღათუჩელა, მაგრამ, ვგონებ, ჩანაფიქრის აღლუმი „ზარმაცელას" თავსასთუმალთან კბილებით სასკოლო ჩანთის მიმთრევი ცისფერთვალება პუდელია მეხუთე ნომრის გარეკანიდან. აქვე გული მწყდება მეექვსე ნომრის პერსონაჟის, ღაბუა ვასაკას უგუნქციოდ დარჩენის გამო მსგავსი სამსახურის გზაზე.

ჟურნალის სტუმარი პატარები ნამდვილად არ მოიწყენენ თავსატეხებით, სალომე ომიაძის „სახალისო გრამატიკით", რომელიც გასაოცრად ახამებს კლასიკურ თემას ჭირვეულ მორფოლოგიასთან; ეს ჩანაკინძები განსხვავებული ფორმატისაა და სასურველია მომავალში მრავლად წარმოჩინდეს მულტიპლიკაციური „ჯადოსნური სათვალის" მხარდამხარ. გამოცანებით, რებუსებით და ნახატ-იუმორით თუ გასაფერადებლებით ჩვენს ნორჩებს საონავრო დრო ანგარიშგასაწევად ექვეცებათ. „მხიარულ რკინიგზას" დიდი ცნობისწადილით გაედევნებიან ანცები მატარებლის იისფერ ფუტებაში – წამლის, მოლბერტის, ანკესის, თოფის, საფქვავის, ბურთის თუ წერილის აბსტრაქტული ტვირთით, მაგრამ წინ მაინც უმთავრესი გამოცდაა – ჩვენი მოზარდების, ცნობიერების, მეობის უმეტოქო ბალავერი – სიტყვა, რომელიც თვით უფალ ღმერთთანაა გაიგივებული მარადკურთხეული ბიბლიით.

## 4. ჟურნალ „დილის" შინა არსი ილიასეხური გაგებით,

### *ანუ მეტი პროფესიონალი არენაზე!*

არსენას საზომივით გაწელილ ამ სათაურს აქვს ერთგვარი გამართლება. ჯერ ერთი, შინაარსი მაინცდამაინც ამბავს როდი შეესატყვისება, არამედ უმთავრეს, უძირითადეს შტრიხს ამა თუ იმ ნაწარმოებისას, ხოლო რაც შეეხება სარბიელზე კალმის მეტი დიდოსტატის გამოსვლის საჭიროებას, აქ ცოტაოდენი განმარტება არ გვაწყენდა; ყველაფერს აჯობებდა იმთავითვე ერთი სიტყვაც მივუმატებინა ისედაც გამრავალარშინებული სათაურისათვის – „მთარგმნელი". დიახ, მეტი პროფესიონალი მთარგმნელი სჭირდება დღეს საყმაწვილო ლიტერატურას, ოღონდ არა პირდაპირი გაგებით, როგორც ეს საერთოდ მიღებულია ან თავად „დილის" ფურცლებზეა დაფიქსირებული: „გასაყიდი ქუდები"... ტექსტი და ბოლოში „ინგლისურიდან თარგმნა პირველი საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ ანი მოსულიშვილმა"; ან „სამეფო პატიმრები"... იტალიურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ", ან კიდევ „მუხუდელა"... სპარსული ზღაპარი... „სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ"... ჩვენ ამჯერად სიტყვა „თარგმანი" დაახლოებით იმგვარად გვესმის, როგორც ეს მარიამ წიკლაურ-ძიძიგურს გაეგება – „გადმოაქართულა", უფრო მეტსაც ვიტყვით, საბავშვო მწერალს თვალწინ უნდა ჰქონდეს ჩამოკიდებული მოქმედების ერთსიტყვიანი პროგრამა „გადმოაბავშვა", დიახ, გადმოაბავშვა ყოველივე, რაც მის გარშემო ტრიალებს, ტრაგიკულია ეს ამბავი, ამაღლებული, მშვენიერი თუ კომიკური. წიკო-მიკოს რეცეპტები არავის გვაწყენდა. აქ სანდოდ, საშვილიშვილოდაა მოხელთებული ონავრების ბუნებისთვის ნიშანდობლივი ქცევის ალოგიკურობა, იგივე ხბოს კუნტრუში, დედის წინ კვიცის მარბენალობა: და ჩინებულად ვისწავლით, მოხრილი გოგრა როგორ გავჭრათ ორად, ფრთხილად წებოწასმული, წიწაკასა და ერბოში ამოვლებული რანაირად დავიდოთ თავზე გლანდებისაგან განსაკურნად; ან, ხურვების შემთხვევაში, როგორ ავავსოთ აბაზანა „ბორშჩით" და რანაირად გავიზომოთ სიცხე სახაზავით იმ თერმომეტრის სანაცვლოდ, რომელიც 42-ს იქით არ გამოგვადგება; ან, რაქამს თვალები გველულება, როგორ მოვახარშოთ ტახტას მუთაქა (და არა ტახტის, ეგ უკანასკნელი სამეფო რეგალიების რეკვიზიტთაგანია). ამბების მაგივრად კი რანაირი სიხარბით ვყლაპოთ ლექსები, ზღაპრები, მოთხრობები და ანდაზები... უფრორე შორს წავალთ თუ წიკო-მიკოს საუბარში ავყვებით და მის ხმიანობაზე: „აჩი-პიპი-ფიფო-უგი, მამა-ტატუ-თათა ნუკი, ატა-პიტა-პატა-უქი", ამნაირად შევეპასუხებით: „არი-მარი, ჭრი-ჭრი-კა-თქო, შარი-ფარი-წუ, ჯაჯი-ბაჯი, ჯიჯი-ქა-თქო, კიკი-მიკი-უ". დიახ, უნდა ვთარგმნოთ ჩვენ ნანა ჩარკვიანისეული, პატარებისთვის ერთობ საჭირო, ბიბლიური სიუჟეტებიდან მოყოლებული, ლუარა გორდეზიანის ნარკვევები ცხენებზე, არწივებზე, ვეფხვებზე თუ პატარა კახზე. სერიოზულად, გულდინჯად მოსათხრობი ამბის, დიდებისათვის ნიშანდობლივი მენტორული ტონის გადმობავშვების, გადმოონავრების, გადმოანცებისა და გადმოახტაჯანების ეს პრინციპი არც ორიგინალურ შემოქმედებას აწყენდა მაინცდამაინც, ვთქვათ, როგორიცაა: ლადო ასლამაზიშვილის „ოდოში", მიხო მოსულიშვილის „უცლის სახედარი", ავთანდილ ადეიშვილის „ანათებს", დოდო ხიმშიაშვილ-ვადაჭკორიას „ტყუპები", „მამის მოგონება", მანანა გელაშვილის „ანანო და ყლუპყლუპა", შოთა ასანიშვილის „კოლიბრი"... ამ თხზულებებში ყველაფერი თავის ადგილზეა – გამართული ენა, სტილისტიკა, დიდაქტიკური პოზიცია ნორჩების განსანათლებლად, სხვა რამ უამრავი ღირსებასამკაულიც, მაგრამ მათ აკლია მთავარი: წიკომიკოსთვის დამახასიათებელი აღქმა საგნებისა, ყირამალა შეტრიალებული სინამდვილე, ყოველდღიურის მაგივრად ვითარებათა უჩვეულო აშენება და, რაც მთავარია, ვაჟა-ფშაველასნაირი გარდასახვა, განსულიერება, პერსონიფიცირება, რადგანაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორც მაღლა განგვიცხადებია, მოზარდს ჯერაც არ ჩამოყალიბებია რიგიანად მეორე სასიგნალო სისტემა. იგი ბუნებრივის ანაბარადაა ჩვენამდე მოღწეული და, ვიდრე არ ჩამოვმაღლდებით მის მსოფლგანცდამდე, ყოველთვის დაგვჭირდება თარჯიმანი.

თარგმანები კი მართლაც ჩინებულია „დილაში“: „გასაყიდი ქუდებიდან“ დაწყებული „მუხუდელა“, ნათელა გუჯაბიძის ინგლისურიდან გადმოღებული ზღაპარი კრილოვის „მელია და ყვავის“, ნაირსახეობა „მამალი და მელა“ თუ იტალიურიდან ნათარგმანები „სამეფო პატიმრები“ ბაჩანა ბრეგვაძისა. ორიგინალურია შინაარსიც, ფაბულაც: მამის სიკვდილის შემდეგ გამეფებული უფლისწული თავისი სამფლობელოს დათვალიერებას მოიწადინებს. ბოლოს და ბოლოს საპყრობილეშიც შეიხედავს, სადაც პატიმრები სიკვდილის პირას არიან შიმშილ-წყურვილისაგან. ყველა თავს იმართლებს ახალგაზრდა მეფის შეკითხვაზე, მხოლოდ ერთი მოხერხებული იმარჯვებს და, როცა ჩაეძიება დაპატიმრების მიზეზს, ზღვის ქვიშაზე მეტს დაუსახელებს: „ქურდობას, ძარცვა-გლეჯას, მკვლელობას და, ბუნებრივია, აღშფოთებული ახალგაზრდა მეფეც კინწისკვრით ისვრის გარეთ, რადგანაც „უდანაშაულო“, „ბუნჩულა“ სამეფო პატიმრები ენანება ხელიდან გავარდნილი გარეწრის გასახრწნელად. ასეთი კულმინაცია, მოქმედების უჩვეულო დასრულება არასდროს ამოეშლება ყრმას გონებიდან. იგივე ითქმის „გასაყიდ ქუდებზე“. ერთხელ, ხის ძირას (და არა ხის ქვეშ, რუსიციზმია, გ. ო.), ჩეროში მითვლემილ ვაჭრუკანას მაიმუნები მოპარავენ ნაირფეროვან თავსაბურავებს. რას არ ეცდება საწყალი ჩარჩი, ეხვეწება, ემუდარება მანჭიებს, მაგრამ ვინ არის გამგონე. ბოლოს მოთმინების ფიალაავსებული მოიშვლეპს თავიდან შავ ქუდს და ბრაზისაგან ანთებული მიწაზე დაანარცხებს. ეს წუთია და ოთხხელიანი მაიმუნებიც მყისვე ჩამოაპანტაპუნტებენ ფერად-ფერად ქუდებს. არასტანდარტულობა, ყოველდღიურობისგან განსხვავებული, მოულოდნელი პასაჟები ნუსხავს პატარათა სულებს (ცხადია, მათ ერთად დიდებსაც) და ამ მიმართებითაც ძალისხმევის წისქვილის ღარში მიშვება რედაქციის შემდგომ მუშაობაში საშვილიშვილო საქმედ დაგვისახავს. ის, რაც აკადემიკოს პედაგოგს, შალვა ამონაშვილს, ნაგრძნობი ჰქონდა ბავშვადქცევის თვალსაზრისით და ხან ყურში უჩურჩულებდა მოწაფეს, ხანაც კოწახურს უწუწნიდა ნდობის მოსახვეჭად, ამ ყველაფრისაგან მწერალი თუ პოეტი თავისუფალია, საბედნიეროდ. მას ხომ ფიზიკურად არ უწევს მსგავს სიტუაციებში ჩავარდნა, მოიაზრებს, ბატონო, წარმოსახვაში მოიმოქმედებს ცულლუტურს, ცეტურს და მორჩა, სამუდამოდ მონადირებს მილიონების გულებს ანდერსენებისა თუ სულაკაურებსავით, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული საყმაწვილო მწერლობა მარაზმით, ხენეში დიდაქტიკითაა დასნებოვნებული.

სულ სხვა სიტუაციაა მაყვალა მრეველიშვილთან, როცა ნაცარა ჩიტს ებაასება მალხაზი და ყველაფერი მისთვისაა დატრიალებული ჯადოსნური კარუსელით; გალობა, ცხრათვალა მზის ბრდღვიალი, კვირტების გადმოშლილი ფთილები... აქ ძირითადი ძრავა ენის მოჩლექვისა და სიანკარის წყალობაა. რითმის სიზუსტე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საყმაწვილო პოეზიაში. „გამოცანას მოგახსენებთ, შენ ხარ ჩემი ბატონი და... მთელი ჯარი გამოვიდა ჩვენი ინკუბატორიდან:“ ამისთანა სტრიქონების ერთხელ წაკითხვის შემდეგ ველარაფრით ამოშლი მოზარდების ცნობიერებიდან, ვინაიდან რითმათა წყვილეულებს მოსდგამთ უნიკალური თვისება ქვეცნობიერში სამუდამოდ დალექვისა. ვის არ შეხვედრია ცხოვრებაში – მსგავს სიტყვას მსგავსი ამოუტივტივებია ხოლმე. ლექსისმთხზველობის საიდუმლოს ერთი ძარღვიც აქ იმალება უცილობლად. ამ თვალთახედვით ფრიად სამახსოვროა ოთარ შალამბერიძის მაჯამები: „დამძიმებული ტოტები ქარმა იმდენი არხია, სულ იქ ჩაყარა ნაყოფი, სადაც სარწყავი არხია“; ეს სურათი ჩასტუშკას, ტანკას თუ რობაიას ფორმით აწ და მარადის დამკვიდრებულა ჩვენს ხსომიერებაში; „ნამდვილ ვაჟკაცს შინ თუ გარეთ, ის აფიქრებს, ის ახელებს, ჩქარა დადგეს წამი, როცა თავს გმირობით ისახელებს“. აფხაზეთ-სამაჩაბლო წართმეულ მოზარდისთვის ამისთანა პლაკატურ სტროფსაც ეძებნება გამართლება; სასარგებლოა და ჭკუისდამრიგებლური – „მიადგება მკვახე ნაყოფს და ხეს ლამის კვირტებს აცლის; იმნაირი სულსწრაფია, დამწიფებას არც კი აცლის“. აქ უმწიფარის მოყვარული პატარებია გაქილიკებულ-გაბიაბრუებული, მაგრამ ნამდვილი მარგალიტისმაგვარიც გამოერევა ზოგჯერ: „დილით ადრე ტყეს აღვიძებს კასკასი თუ კუსკუსი, მისალმება უხარია კაცს – კაცის და კუს – კუსი“.

აზრის გამჭვირვალების და გაბავშვების ნიმუშად გამოდგება ტარიელ ჭანტურიას „სახუმარო ლექსი“: – „თავზე თავი მივადოთ, შენი ჭირიმე: ჩემი ტილი – შენ, შენი ტილი – მე! დივლი-დივლი-დალალე, დილილ-დილილ-მე! ჩემი ტილი – შენ, შენი ტილი – მე! ხმა რატომ მაქვს, თუ იცი, ჩაკმენდილი მე? – არ მაძინებს, ძამიკო, შენი ტილი მე! მაინც მაგ ნაწნავის და ქოჩრის ჭირიმე; – ჩემი ტილი – თქვენ, თქვენი ტილი – მე!“ აქ პოეტი ამონაშვილზე შორს მიდის, ვინაიდან აწ ჩურჩულების და კოწახურწუწნიაობის მაგივრად ტილებსაც კი უზიარებს ცუგრუმელებს, მაგრამ გაბავშვებულთ ყველაფერი გვეპატიება. აკი, იტყვიან ხოლმე, ბაბუას და შვილიშვილს ერთნაირი ჭკუა აქვთო. ეს ფრაზა პირდაპირი გაგებით არ უნდა აღვიქვათ, ვინაიდან პაპა ბრძენკაცია, იცის ცხოვრების ფასი და შვილიშვილის თამაშის წესს აღიარებს, თავს იკატუნებს, მის დაკრულზე ცეკვავს. ტარიელ ჭანტურიას ემარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა



იშვიათი გარდასახვა. ახლაც მახსენდება რითმათა კომპლექსი „ის კიბე და ისკუპე". განმანათლებლურია – „შენი მიწა, შენი ცა, შენი მხარე შეიცან! ეს ლამაზი ქვეყანა, ჩემიცა და შენიცა, შეისწავლე, შეიტკბე, შეიყვარე, შეიცან! თმაში ფერად-ფერადი ყვავილები შეიწან და ყვავილის მშობელი – მიწა შენი შეიცან! სამშობლოზე უკეთესს ვერაფერს ვერ შეიძენ! (აქ უსათუოდ, გვმართებს წამიერი შეყოვნება, რადგანაც ორმაგი უარყოფა ქართული მწერლობის საყმაწვილო სენია. მე ვერ ვნახე მწერალი თუ პოეტი, რომელიც ამ სენს გაქცეოდეს, დიდია თუ მცირე, საქვეყნოდ აღიარებული თუ მეორლობე-მეყველპურე, თანაბრად ბორძიკობს ჩრდილოეთის მანკიერ ტრადიციაზე. სინამდვილეში კი ხელის აუკანკალებლად ამოსაგდებია ზედმეტი „არ" და სტრიქონიც ბუნებრივი ქართულით გაიმართება: „სამშობლოზე უკეთესს ვეღარაფერს შეიძენ") ეს სიმდიდრე გიყვარდეს, ეს საუნჯე შეიცან! საქართველო შეიცან! თავი შენი შეიცან!" ამ ზოგადფრაზეოლოგიას, ცხადია, ახლავს შემოქმედების გარკვეული ხარისხი, მაგრამ არავინ გამკილავდა თუ წინდებულს საპროგრამო ლექსს ვამჯობინებდი მისი შემოქმედებიდან: „...აჯერა ცოტნეც მოვარდა ჩორთით, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!"

აღმზრდელობითი მეთოდი, მენტორული ტონი, ჩიჩინი უფროსის პოზიციიდან, თავსმოხვეული შენი განსწავლულობა ნაკლებეფექტურია შეგირდის გაწრთვნისას, უმჯობესია ვიმოქმედოთ ირიბად, ასხლეტვით, რიკოშეტის ენით, ქარაგმულად, ჭკუა დავარიგოთ არა უშუალოდ აღსაზრდელს, არამედ მის გარემომცველ-თანამზრახველ ბაჭიებს და ბელებს, კოზაკებს და ჩოჩორთ, ბოკვრებს და ბახალებს, მხოლოდ ამგვარად მივაღწევდით მიზანს. ზემოთ შემთხვევით არ შემოგვითავაზებია დიაგრამა, რომლის მიხედვით არაფერია ბავშვში უფრო ზორბა, ვინემ თავი და არაფერია ზრდასრულში უფრო კნინი, ვიდრე სხეულის დასახელებული ნაწილი. ჭკუა გონება კი უკუპროპორციულია მათი სამყოფლისა: დიდ თავში მისხალია და მომცროში მთა ერთი ლექსის კვალობაზე: ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არკმარიყო". – აი, ალოგიკურობის სრული ფორმულა, რომელ ენაზე საუბარსაც მოითხოვს სპაიკ მალიგინის წიკომიკო.

ბაკ მალიგანი მახსენდება რატომღაც ზემორეული გვარის ხსენებაზე ჯოისის „ულისედან". საუკუნე მიიწურება ორ ათეულ წელიწადში ეპოქალური რომანის შექმნიდან და ცივილიზებულმა მსოფლიომ ნაკლებად უწყის მის საგანგებოდ შენიღბულ სიღრმისეულ შრეებზე. „ცნობიერების ნაკადის" ლიტერატურა ჯერ კიდევ მიუწვდომელი ნუგბარეულია თითო-ოროლა ესთეტის – პაუნდების, ელიოტთა და ყიასაშვილების გამოკლებით. „რთულია, გაუგებარია", – ვიტყვით და განზე გადავდებლით ჩვენი გონებახშულობის გასანეიტრალებლად. იმ ყმაწვილების მდგომარეობაში ჩავვარდნილვართ, ჩვენი დიდაქტიკური მეთოდით რომ ჩამოგვშორებიან მანჯგალაძის პერსონაჟის ამფსონი ონავრებივით კინოფილმიდან „ნატვრის ხე". პატარა უმწეოა თავის სიტუაციაში, ვინაიდან ბუნების ნაბოძებ მზითევს იქით მას არაფერი მოეპოვება. ზედნაშენი, შენაძენი ცოდნა, ხელს რომ წააშველებდა ამ ლაბირინთიდან გაღწევაში, მოგვიანებით სტუმრობს და, ბუნებრივია, გამართლებანი ვერ დაგვიძებნია მისი ჭიჭყინ-დაუდგრომლობისათვის. მოწიფულებს, ჭარმაგებს კი გვარიანად დაღეჭილ ლუკმას თუ არ მიუტან პირთან, თავსაც არ შეიწუხებენ ყბის გაქნევით. ეს ორი უნდომლობა, ეს ორი განდგომა მწერლისგან ძნელადაღსაქმელი მასალის გამო, კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველს საკუთარი უმწეობა, ჩინურად მოთხრობილი ამბის ვერაღქმა გვაკარგვინებს, მეორეს კი თანამშრომლობის უნდობლობა, თითის გაუტოკებლად მოხვეჭა მოსახვეჭელისა, რასაც ვეღარაფრით დავწამებთ მოზარდს. იგივე „ულისე", „ოდისეა", „ილიადა" თუ „ფაუსტი" პატარების ენაზე რომ მოგვერჯულებინა, მოგვეთარგმნა, მოგვებავშვებინა, ამ წიგნებს ხელიდან ვერ გააგდებინებდით მცონარა უფროსებისაგან განსხვავებით. შრომისმოყვარეობა მოზარდის სტიქიაა, ოღონდ კუნტრუშ-კუნტრუშით. მსოფლიოს ჩემპიონებმა მხარი ვერ აუბეს ყაჩაღანათა მოძრაობებს ექსპერიმენტისას, ანცების გიჟობების მიბაძვამ ერთიანად მიასავათა თითქოსდა მრავალნაწრთობი მძლეოსნები. გადაუხურდავეთ ბავშვებს მათებურად ნებისმიერი „სირთულის" თხზულება თუ დისციპლინა და ნახავთ, როგორი მეგასიჩქარით გაიჭრება სივრცეში მათი პიროვნების ჩამოყალიბების მარაზმული კონსერვატორობით გაჭიანურებული ფაზა, პერიოდი, როდესაც „ილიადა" გაუგებარი გახდა ელინისთვის ენობრივად, ძველბერძნულიდან ახალბერძნულზე ითარგმნა, ჩვენ კი ეგოისტურად უგულებელვყოფთ მოზარდი თაობის ათორმეტწლიან, ლამის გადაულახავ ბარიერს – უფროსების უგვანო ნატურალიზმით თუ ქედმაღლური დიდაქტიკით დასახიჩრებულს.

საყმაწვილო მწერლობის პირველ ეტაპზე საუბარს ვასრულებთ რეზო ჭეიშვილის ჩინებული ნოველით „მამალი". აქ მთავარი სიუჟეტური მახასიათებელი იგნორირებულია. ძირითადი ძარღვი ღონიერი თხრობაა, მწერლისათვის ჩვეული რაფინირებული ფრაზა და მოულოდნელი აფექტები, რაც მიზანია უფრო დიდი ცხოვრებისეული გაკვეთილის დემონსტრირებისა – გადაგვარებული ადამიანის გაშოლტვა მართალი სიტყვით, მისი მხილება, სამარცხვინო ბოძზე გაყვანა უცოდველი შეგირდის თვალწინ, რომლისთვისაც სავსებით უცხოა საკუთარი მერმისი ათწლეულების მერმე, ვიდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაორების ავადსახსენებელ წუმპეში ამოილუფხებოდეს. ამ ნოველაზეა ზედგამოჭრილი ანდაზა: კოკას ეუბნებოდნენ და, ლიტრავ, შენ გესმოდესო, ანუ პატარებისთვის ნათქვამი ჩინებულად იპყრობს უფროსების ყურთასმენას:

მთხრობელის ოჯახში კრუხმა დაჩეკა ყელშიშველა ქათმები, „კიტაიასაც“ რომ ეძახიან, ყვინჩილები. აქედან ორმა იმძლავრა დანარჩენებზე. განსაკუთრებით კიტაია პირველმა, რომელსაც ალტერნატივაც მოეძებნებოდა ეზოში, – კიტაია მეორე. ერთხელ კიტაია პირველი საჯიშედ წაიყვანეს სხვაგან და უმისობისას კიტაია მეორემ იგდო მეფობა ხელთ. მაგრამ აი, ერთ მშვენიერ საღამოს მოაბრუნეს მგზავრობით, დედლებით გადაქანცული კიტაია პირველი და, სამეტოქედ რომ წარუყენა ბიჭუნამ კიტაია მეორეს, დაიფრინეს საწყალი, დაჯაბნეს. მომდევნო დღესაც იგივე განმეორდა. ვერ უშველა კიტაია პირველს ქომაგი მალხაზის წიხლმა თუ შეგულიანებამ. ამ მეტად ნიშანდობლივი, ყველა მოზარდის თვალწინმდებარე სურათის ფინალს დიდი ცხოვრებისეული სიბრძნით აგვირგვინებს მწერალი:

„ჯიხვების ჭიდილი ხომ გინახავთ ტელეეკრანებზე: ერთი დგას, ელის. მეორე თავს ესხმის. გამოქანდება და უფსკრულის პირას მდგარ მეტოქეს რქას რქაზე მიალეწავს. რქათა ჯახანი ხევიდან ხევზე გადაიგრიალებს ხოლმე. თავდამცველი თუ გვერდზე გადგა, თავდამსხმელს თუ რქები არ შეაგება, მეტოქე ხევში გადაიჩეხება... ჯიხვი ამას არ ჩაიდენს, წესს და ადათს არ უღალატებს. იმიტომ კი არა, რომ განდაგანა არ იცის, იცის და არ აკეთებს. ბუნებამ ღალატი არ ასწავლა.

შურისძიება, სამაგიეროს გადახდა, ჩასაფრება, ზურგში დანის ჩაცემა, თანამზრახველების შეკრება, შეთქმულება, სხვა და სხვა, ადამიანთა რიგი და წესია. დამარცხდება და, გადადგება ცხოველი. ადამიანი, აგიხსენით, სხვანაირად იქცევა“.

დიახ, ბუნებამ ღალატი არ ასწავლა ცხოველს და მასთან ერთად ბავშვსაც, ვინაიდან გადიდკაცებამდე მოზარდი დედა-ბუნების ღვიძლი შვილია, უსიერის ენით მოქლურტულე, მინდორ-ველის ყვავილებით სულმოწნული, სამყაროს იშვიათი სუნთქვის, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის შორეული დვრინის ყურისმგდებელი. ბავშვებს შუამავალი, თარჯიმანი არ სჭირდებათ, ერთი შეხედვით თითქოსდა პირუტყვ, ენაბრგვილ ცხოველებთან, ენაგაკრეფილი უფროსებისა კი, – პარადოქსულია, მაგრამ რეალობა, – არაფერი ან ძალიან ცოტა გაეგებათ.

არ მიწყენს დიდი მწერალი, თუ თვალში ბეწვის შემჩნევას შევკადრებ თავად მხედველობაში დირევგადებული: ჩინებულ ნოველაში აჯობებდა სალექსიკონო სიტყვებისაგან თავი მოგვეზღუდა ან ვინიცობაა, თუ შესატყვისებს ვერ დავძებნიდით, განმარტებანი მაინც დაგვერთო სქოლიოში: „ქრუნი“ – მონაცრისფრო, ჭრელი; „მოცორომი“ – საადრეო, პატარა ტანისა, დალეული; „შემოქმედი“ – აქ ღმერთის გაგებით; „ვატიკანი“– კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი, წარმოადგენს ცალკე სახელმწიფოს ქ. რომის ცენტრში; „იერარქია“ – თანამდებობათა, წოდებულებათა თანამიმდევრობა უმდაბლესიდან უმაღლესისკენ; „ჰარამხანა“ – მდიდარი მუსულმანის სახლში მისი ცოლებისთვის გამოყოფილი ბინა (მაგრამ მრავალცოლიანობა კვლავ ახალ განმარტებას მოითხოვდა მონოგამიით გაჯერებული მალხაზის ცნობიერებისათვის); „უზურპატორი“ – პირი, რომელიც უკანონოდ ჩაიგდებს ხელში ძალაუფლებას ან მიითვისებს სხვათა უფლებებს რამეზე. მხოლოდ ამისთანა ჩარევების შემდეგ გაცნობიერდებოდა, ალბათ, ნოველა სრულყოფილად მოზარდის გონებაში.

## 5. მინიშეჯამებასავით,

### *ანუ პირველი წერილის რეზიუმე*

როგორც დავინახეთ, ქართული საყმაწვილო პერიოდიკის თუნდაც ზერელე ანალიზისას უამრავმა მანკიერებამ ამოჰყო თავი დამღოვრებული ეროვნული ზოგადსაგანმანათლებლო წყალსატევიდან. მეტსაც ვიტყვით, ამ ავგიას ათასთვლიან თავლას 19-თანამშრომლიანი „დილა“ კი არა 19 ჰერაკლე ეცოტავება დაგროვილი საუკუნოვანი ბალასტის გასახინწად.

აპერიოდული ზურგისქარებით „დილის“ მხოლოდ ექვსი ნომრის გამოცემაღა მოხერხებულა გასულ წელს. განათლების სამინისტრომ საორლობე უნივერსიტეტების თავგადაკლულ აღმოცენებაში ველარაფრით მოიცალა ჩინებული საყმაწვილო გამოცემის პრობლემებისთვის და არაფერია გასაკვირი, რომ ორიათასსკოლიან საქართველოში მისი ეგიდით ორი ეგზემპლარიც არ გადამცდარა დაწყებითი კლასების დივიზიონის ზღურბლს. ახლა ვითარება უკიდურესად შეცვლილია: ეროვნებაწართმეულისათვის ულვაში ქართველობის დამადასტურებელი ერთადერთი რეკვიზიტი თუა, გვეიმედება, რომ ამიერიდან მაინც „დილის“ იმდენ ცალეულს შემოინაკადებს განათლების სისტემა, რამდენი ღერიც ბიბინებს მისი მესვეურის ზედა ტუჩზე სინდისნამუსის მონუმენტად. მანამდე კი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავაბნელოთ კრილოვის იგავარაკის – „გედის, ქარიყლაპიასა და კიბორჩხალას“ დამქსაქსავი სულისკვეთების მზე. განათლების სისტემამ, როგორც არასდროს, აწი მაინც უნდა შეაკავშიროს სამამულო პედიატრიის გამომცემლობების – „განათლება“-„ნაკადულის“ თუ პერიოდიკათა: „დილის“ „ნაკადულის“, „ციცინათელას“, „მართვეს“, „ცისკრის“ გამოცდილებანი თავის მეთოდოლოგიასთან. დროა, სასკოლო პროგრამა და კლასგარეშე ლიტერატურა სრულ შესაბამის-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ობაში მოვიყვანოთ მესამე ათასწლეულის მოზარდი თაობის ფსიქო-ფიზიოლოგიურ პარამეტრებთან. თითო-ოროლა მერცხალი გაზაფხულს რომ ვერ მოიყვანს, მოგვიწურთნია აკვნიდანვე. ექვსი ნომერი „დილა“ ხუთი ეგზემპლარი „ნაკადული“, თორმეტი ცალი „ცისკარი“ თუ სხვა ეფემერული გამოცემანი, სრულფასოვნად ვერ წარუძღვება გამოსაძერწ სულთა ათასეულებს. მეტი ტარიელ ჭანტურია და რეზო ჭეიშვილი, მეტი „წიკო-მიკო“ და „სამეფო პატიმრები“, მეტი ვახტანგ როდონაია და ჯემალ პაჭკორია, მეტი დოდო წივწივაძე და ზაურ კალანდია, მეტი ლუკა ხუნდაძე და ბესიკ ხარანაული – აი, ქართველი ბურლაკების არასრული სია, რომლებიც საერთო ძალისხმევით როგორღაც გაათრევენ წყალმარჩხი მდინარიდან ბობოქარი ზღვისკენ მოზარდი თაობის უზურგისქარო, აფრებდაფხრეწილ და საჭედამსხვრეულ ოჩხომელს. მეგრული ანდაზის შესატყვისად, ის კი არ არის გიჟი, ვინაც სხვენზე ყანა დაიდო, არამედ – ვინც ამ „საშვილიშვილო“ საქმეში ხელების ფშვნეტით შეამხანაგებია. დაახლოებით ასეთ მიწათმოქმედებს ჰგვანან ჩვენი ტრადიციული პედაგოგიკის მიმდევრები, გულმოდგინებით რომ თესავენ ხორბალს სხვენზე, ნაწრთობი შეგირდების ამოჯეჯილების იმედით – პატარებს ასწავლიან პრიმიტიულ ჭეშმარიტებებს სრულიად გაუგებარი ენით, როდესაც მოზარდებს ზედმიწევნით ძალუძთ ურთულესის ათვისებაც კი, ოღონდ – სიცხადის პოზიციიდან. ეს მოჯადოებული წრე თავის დროზე სანაქებოდ გაარღვია გოგებაშვილის „დედაენამ“; ამჟამად იგივეს მოიმოქმედებს ჟურნალ „დილის“ ექვსნომრეული თუ ვახტანგ როდონაიას რაზმეულის მეხუთე კლასის სახელმძღვანელო – „მშობლიური ლიტერატურა“ (და არა „ქართული ენა“, როგორც ამას გვთავაზობს რამიშვილის გუნდი – შუა უზის დიდი ზღვარი).

მოკლედ, ყოველივეს გათვალისწინებით, იქნებ დადგა დრო, განათლების სამინისტრომ იტვირთოს ბოლოს და ბოლოს მაკოორდინებლის შესაშური მისია სასიხარულო ტენდენციათა შეკონვის, ჩამოქანდაკებისა თუ სულაც განზოგადების გზაზე.

ვამთავრებ გახანგრძლივებულ საუბარს და ერთხელაც გამოვკვეთავ საკვლევი საკითხისადმი ჩემეულ მიმართებას: თხრილისპირას ძაღლის ლეში თუ აგდია, მხრებაწურული როდი ჩავუვლი, არამედ გულისყურით მივაჩერდები მის დაკრეჭილ კბილებს და ფეხასწრაფებულთა გასაგონად ვიტყვი: შეხედეთ, რა კარგი კბილები ჰქონია-მეთქი. დანარჩენზე კრინტსაც არ დავძრავ, ვინაიდან მძორი ჩაუწიხვლელადაც ამხელს ამაზრზენობას. თუმცა, როდესაც საუბარი ჩამოვარდება ჯანსაღ სხეულში მობინადრე ჯანსაღ სულზე და ამ კარგსაც ოდეს ფრჩხილები მიწით ამოგლესვია მინდვრის სამუშაოების მერმე, თან საფიხვნოსკენაც გამოტეულა სასჯაბაასოდ, თავაწეული კვლავაც სიყვარულით მივაჩერდები მის აღმატებულებას და აქვე მოჩქაფუნე წყაროსკენ მივუთითებ უხმოდ. აი, ამგვარი დამოკიდებულებით შევთამამებივარ ქართული სულიერების მხცოვან ცარგვალზე ალიონის მზესავით უშურველად ამომავალ პერიოდიკას „დილა“, რომელიც ამართლებს ესთეტიკურ მოთხოვნებს ფორმა-შინაარსის ერთიანობის თაობაზე და ახალი სივრცეებისთვის, ცრუ მზებუდობიდან ნამდვილი მზებუდობისთვის ისწორებს ფრთებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# წუთისოფელი ასეა...



## გულთმისანი ეროვნული სულისა

შოთა ნიშნიანიძე!.. ბატონი შოთა!.. სიტყვა ვერ მოგვიბრუნებია, რადგან ჯერ კიდევ ვერ გაგვნელებია ტკივილი და სინანული, ჯრაც ვერ შევგუებივართ მის არყოფნას. ჩვენს თვალწინ პოეტი კვლავაც აგერ, რუსთაველზე მოაბიჯებს; ვაჟკაცური, წარმოსადეგი გარეგნობისაა; თუ შეგვამჩნია, ღმობიერ ღიმილს გვჩუქნის, არადა თავის ფიქრებს ჩაღრმავებია, სევდიანი და მარტოსული, რაკი ჭეშმარიტი პოეტი მუდამ მარტოსულია, მის ლექსებს მკითხველი უმრავლდება, მას კი მოშურნე...

მისი შემოქმედება მუდამ წარმატებული იყო; იგი ყოველთვის რჩეულებში იდგა და ხშირად რჩეულებშიც პირველობდა. ცხოვრებაში უფრო უთქმელი და წყნარი, პოეზიაში იგი გულთმისანია ეროვნული სულისა. მის ლექსებს ფესვები მუდამ ეროვნულ ცნობიერებაში აქვს, მათში გაჟღერდება ყოველთა კუთხეთა ქართველთა სულისთქმა.

შოთა ნიშნიანიძის ერთ-ერთ შემაჯამებელ წიგნს „წუთისოფელი ასეა" მეთაურ ლექსად წამძღვარებული აქვს შესანიშნავი „ქართული ზღაპარი". აქ ლირიკული გმირი ბეწვის ხიდზე გადის, ჯადოსნურ ლერწამს თლის, აქ გლეხის ქალი ღვთისმშობელია, გუთნისდედა – ქრისტე-ღმერთი, მორიდებული მოჭიდავე ბიჭი ამირანია, ირმის ჯოგს დალი წველის, ძიძა კოლხი ქალია, დედაჩიტი ღმერთს თაფლის სანთლებს უნთებს... გზად შემოყრილი ბერი კი შესძახებს: „წადი, შვილო, და რაც ნახე, ქართული ხმით იგალობე!" ასეთი გმირი თვით ავტორია, ზღაპრეთიდან მოსული...

შოთა ნიშნიანიძის ლექსები სამუდამჟამოდ შერჩება ქართული პოეზიის მაღალ კაბადონს.

## ის კვლავ მარტო დგას...

გარდაიცვალა დიდი პოეტი, –
თითქოს მონელდა ირგვლივ ქარის ხმა;
მარტოდ მდგარ მუხას ჰგავდა ყოველთვის,
მუხას, რომელიც ელის ქარიშხალს...

დაკოჟრილი და ტოტებგაშლილი
სიკვდილ-სიცოცხლის იდგა ნაპირთან;
ის გულუბრყვილოც იყო ბავშვივით
და მოუხმობდა გმირებს ზღაპრიდან...

მორჩა.
        დამთავრდა.
                        ბრძოლა დასრულდა!
ციდან ღრუბლების ეშვება ფარდა,
საიმქვეყნიოდ აბჯარასხმული
ის კვლავ მარტო დგას სამარის კართან...

*ბადრი* *არაბული*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინგა ქარაია

# რეზო იაშვილის „ფერწერული ტილოები“

თანამედროვე ქართულ კერამიკაზე საუბარი წარმოუდგენელია რევაზ იაშვილის სახელის გარეშე. 60-იან წლებში მის მიერ შავი, შებოლილი კერამიკის ტექნოლოგიის აღდგენამ და სხვა ექსპერიმენტებმა ქართული კერამიკის განვითარებაში გადატრიალება მოახდინა და მხატვრულ კერამიკას ეროვნული ხასიათი მიანიჭა. ამიტომაც „რეზო იაშვილის შემოქმედება საეტაპოა და სწორედ აქედან დაიწყო დღევანდელი ქართული კერამიკის აღმავლობა და აღორძინება“ (მერაბ ბერძენიშვილი).

რეზო იაშვილის კერამიკა ცეცხლთან, ცეცხლის სხეულსა და სხეულის ცეცხლთან მუდმივი თამაშის ასოციაციას ბადებს. უფრო სწორად ჭიდილისას, რადგან ფორმათა არქეტიპს არა მხოლოდ აღადგენს, არამედ გადააღნობს კიდეც სულის ცეცხლოვან ლავად და მხატვრულ მშვენიერებად გარდაქმნის, ამ მხრივ მისი კერამიკა თავისუფლად შეიძლება გაიგივდეს „პრომეთესეულ ცეცხლთან“ არა მარტო მიზნისკენ სწრაფვის სიმბოლური მნიშვნელობით, არამედ ეტიმოლოგიური თვალსაზრისითაც. მით უმეტეს, რეზო იაშვილსაც მითოსური გმირის სადაგი უდრეკობა და ძლიერი ნებელობა გააჩნდა - ბოლომდე ებრძოდა ბედისწერას და ემსახურებოდა სანუკვარ მიზანს.

პრომეთესეული ჭიდილი და ბრძოლა თითქოს იმთავითვე დაებედა მხატვარს, იქცა მისი ცხოვრების თანამდევ სტიქიად და არტახებში მოუმწყვდეველი ნების გამოხატულებად. რეზოს მებრძოლმა ბუნებამ ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლების წლებშივე იჩინა თავი (1947-55), როცა მომავალ კერამიკოსს აღარ აკმაყოფილებდა იმ დროისთვის დამკვიდრებული ეკლექტური სტილი და უკვე ცდილობდა სწავლების მეთოდიკის საბჭოურ შაბლონებს გაქცეოდა (საამისო ნიშნები უკვე შეიმჩნეოდა ერთი შეხედვით იმ წლებში გამეფებულ აკადემიურ სტილში გადაწყვეტილ სადიპლომო ნამუშევარშიც - „წყლის კოლონა“, რომლის მაღალმა ოსტატობამ ახალგაზრდა ავტორს წარმატება მოუტანა და დიდი მოწონება დაიმსახურა), რაც გამოიხატა მასალის სტანდარტული გადაწყვეტისგან თავდაღწევის მცდელობაში. მკაცრად ფუნქციონალურ-სამეურნეო დანიშნულების კლიშეებისგან გათავისუფლება მიღწეულ იქნა მასალის მხატვრულ-გამომსახველობითი თვისებების წინწამოწევით. ეს ეხება ფაიფურისა და ფაიანსის მკვეთრად ინდუსტრიულ-საბჭოურ სტილში ცვლილებების შეტანას, დახვეწილ ორნამენტულ მოხატულობას, რომელშიც აშკარად შეიმჩნეოდა სწრაფვა ეროვნული შინაარსობრიობისკენ (სერვიზი „კომბლე“, ნამუშევრების სერია ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მოტივებსა და ხევსურულ თემატიკაზე). ამდენად, უკვე მაშინ იქმნებოდა საფუძველი ახალი ეტაპისთვის, არა მხოლოდ ტექნოლოგიის, ტექნიკური თუ მხატვრული თვალსაზრისით, არამედ მსოფლმხედველობის - ეროვნული არქეტიპებისადმი მიბრუნების პოზიციიდან.

ცხადია, მსოფლმხედველობის ამგვარი ცვლილება ყამირ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. გარკვეულ შინაგან მოთხოვნილებასთან ერთად, გარდაქმნის ქვეცნობიერი სურვილის რეალიზების მნიშვნელოვან იმპულსად იქცა 50-იანი წლების მხატვრულ ცხოვრებასა და აზროვნებაში მომხდარი ძვრები, რამაც რეზო იაშვილი და მისი თაობა (გოგი და ირაკლი ოჩიაურები, მერაბ ბერძენიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, ზურაბ ნიჟარაძე, კოკი მახარაძე და სხვ.) გარკვეულ ნოვაციაისა და მიგნებამდე მიიყვანა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ამ წლებში უკვე მომწიფდა სიტუაცია - ჩამოყალიბებულიყო ახალი მხატვრული აზროვნება, რაც იმავდროულად საკუთარ, ეროვნულ საწყისებთან წილნაყარიც იქნებოდა.

სწორედ ახლის ძიების დააუცხრომელმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წყურვილმა მიიყვანა რეზო იაშვილი მცხეთისა და მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციებში, სადაც მხატვრად მუშაობის წლებში (1955-1957) აღმოჩენილი კერამიკული მასალისა და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურმა მასალამ შთააგონა, გაემძაფრებინა არა მარტო საკუთარ ნამუშევართა შინაარსობრივი ესთეტიკა, არამედ აღედგინა შებოლვის ძველი ტექნოლოგიაც, მიეღწია იმგვარი ფორმათქმნადობისთვის, რაც ორგანულად მიესადაგებოდა ამ არქაულ ტექნიკას.

ბუნებრივია, რეზო იაშვილს მიზნად არ დაუსახავს ახალი ტექნოლოგიის აღმოჩენა; ეს იყო სწრაფვა დაკარგული ტრადიციის აღდგენისკენ, რაც უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა. ვინაიდან, მართალია, მეხსიერებაში კრისტალიზებული ტრადიციის ნაკვალევი არ იშლება, მაგრამ ემპირიული ცოდნის გარეშე - თეორიულად იგი ვერ აღდგება. დღეს, როცა უკვე ცნობილია ამ მივიწყებული ტექნოლოგიის საიდუმლო, იგი სულაც არ გვეჩვენება რთულად, მაგრამ მის აღდგენას თავდაუზოგავი შრომა დასჭირდა.

და რეზოც უდრეკად, მიზანსწრაფულად ახორციელებდა ექსპერიმენტებს მასალაში, უამრავ ცდას ატარებდა, ცდილობდა მიეგნო გამოწვისა და შებოლვის შესაბამისი ტემპერატურისთვის, მიეღწია „ბოლით თამაშის“ განსაკუთრებული ძლერადობისა და პლასტიკური ჰარმონიულობისთვის. და აი, ეს დღეც (1958 წელს) დადგა, როცა მხატვარმა ბრწყინვალე შედეგს მიაღწია - შეიქმნა შავკრიალა კერამიკის უძველეს ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ნიმუშები, რომლებმაც თანამედროვე ქართულ კერამიკას განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობები შეუქმნა.

შავკრიალა კერამიკის ტექნოლოგიის, აღდგენა იქცა ერთგვარ პრეცედენტად, რამაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ეროვნული კერამიკის ახალ იერ-სახეს, რომელიც 60-იან წლებშივე საზღვარგარეთ ქართული კერამიკის სკოლად იქნა სახელდებული.

ცხადია, არაორდინალურ ტექნოლოგიასთან ერთად რეზო იაშვილის შავკრიალა კერამიკის პოპულარობა განსაზღვრა ფორმის ახლებურმა ინტერპრეტაციამ, მისმა ლაკონურობამ და სილუეტის ხატოვანებამ, ფერის თავისებურმა ასკეტიზმმა და თავშეკავებულმა დეკორმა. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრის ზოომორფული კერამიკის თემატიკა ნასაზრდოებია არქაული ხანის მასალებით (ხარის, ჯიხვის, ირმისა და სხვათა ურიცხვი ვარიაციები), ფორმათქმნადობისას აღარაფერი დარჩა ბრინჯაოს ცნობილი ბალთების გამოსახულებისგან - იგი იქცა მხოლოდ ესთეტიკური საწყისის, ხასიათის გამოხატულებად, ხოლო სარიტუალო ნივთებზე გამოსახული ირემი გარდაიქმნა უტილიტარულ და იმავდროულად წმინდა მხატვრული ფუნქციის მატარებელ საგნად.

შავკრიალა კერამიკის ტექნოლოგიის აღდგენამ და რეზო იაშვილის იმ პერიოდის ნამუშევართა სტილისტიკამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული კერამიკის შემდგომ განვითარებაში, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, კერამიკა „ალაპარაკდა“ ახალ, მხატვრულად გამომსახველ და იმავდროულად მშობლიურ ენაზე, ხოლო ექსპერიმენტულმა ძიებებმა საფუძველი ჩაუყარა კერამიკის მარგინალურობაზე შექმნილი აზრის გადაფასებას.

1967 წლის საბედისწერო ღამის ავტოკატასტროფას, რომელმაც მხატვარი სამუდამოდ სავარძელს მიაჯაჭვა, თითქოს ხელი უნდა შეეშალა შემოქმედებითი მოღვაწეობისა და მუდმივი ექსპერიმენტებისთვის, მაგრამ უდრეკი ბუნებისა და სიცოცხლის მოყვარეობის ხარჯზე მხატვარი ახერხებს არა მხოლოდ მწყობრში დაბრუნებას, არამედ გაათკეცებული ენერგიით აგრძელებს როგორც შემოქმედებით, ისე პედაგოგიურ საქმიანობას, სხვებსაც ოპტიმიზმს უნერგავს და საკუთარ სახელოსნოში ქმნის გასაოცარ შემოქმედებით გარემოს, რომლის მოზიარეები მისი მოწაფეები და კოლეგები იყვნენ. როგორც მხატვრის მეგობარი, ცნობილი კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი რეზოსადმი მიძღვნილ გამოსათხოვარ წერილში (1995 წელს) წერდა: „ძნელია თბილისში მოიძებნოს მხატვარი, მუსიკოსი, რეჟისორი, საერთოდ ხელოვანი, ამ სახელოსნოს კარი რომ არ შეეღოს... ხელოვნებაზე საუბარს მოწყურებული ადამიანები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. შენ კი იჯექი კედლის ძირას სავარძელში, მუდმივად აბოლებდი სიგარეტს და მუხლებზე გედო შენი განუყრელი კერამიკული ფილა... ბოლოს და ბოლოს ფიროსმანის ოცნება შენ აასრულე, ჩემო რეზო. შენ ააშენე ის სახლი, ის სახელოსნო, სადაც კარი მუდამ ღიაა, ღუმელზე ჩაიდანი ღუღუნებს და ყველას, ვისაც მოესურვება, შეუძლია აქ მოსვლა და ხელოვნებაზე საუბარი“.

ნოვატორული ბუნების მხატვარს არ შეეძლო ერთ ადგილზე გაჩერებულიყო და მოკლე ხანაში აღარ აკმაყოფილებდა შავკრიალა

ეროვნული ბიბლიოთეკა



კერამიკის ის შესაძლებლობები, რომელმაც არნახული წარმატება მოუტანა და წარმოებაშიც წარმატებით დაინერგა. „სახელოსნოში ველარ შეხვალ, უკვე ყველაფერი გაშავდა", უთქვამს ხშირად და ფორმის, ფერისა და კომპოზიციის ნოვაციურ გადაწყვეტას ეძებდა, ტექნოლოგიის ახალ შესაძლებლობებს იკვლევდა.

70-იან წლებში რეზო იაშვილის შემოქმედებაში იწყება ახალი ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია საექსტერიერო კერამიკასთან და მოიცავს დეკორატიულ-სივრცობრივ პლასტიკას, ექსტერიერისა და ინტერიერისთვის განკუთვნილ დეკორატიულ პანოებს, რომლის სახვითი ამოცანები აბსოლუტურად განსხვავდება შავკრიალა კერამიკაში მის მიერ განხორციელებული ძიებებისაგან. თითოეულ მათგანში (განსხვავებულ მასალასა და ტექნიკაში) რეზო იაშვილი პოულობს ფორმის შესატყვისი ფერის ქღერადობასა და ფაქტურას, ზუსტად აგნებს ფორმის ტრანსფორმაციის ეფექტურ ვარიანტს და არასოდეს კარგავს ფაქტის გრძნობას. 70-იანი წლებიდან ამ პანოებს ჩვენში წარმატებით იყენებენ ინტერიერისა და ფასადების მორთვისათვის, ხოლო შამოტის მასალაში შესრულებული საექსტერიერო დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები (კერძოდ, წყაროები „თებრონე" „ჯიხვი" და სხვ). დეკორატიული ხელოვნების საინტერესო ქანრად იქცა და უტილიტარული ფორმა სახვითობის მკვეთრი ნიშნებით გაამდიდრა.

რეზო იაშვილისთვის კერამიკა ერთიანი ნებელობითი აქტია, რომელიც სტაბილურობის განცდას უკუაგდებს და მუდამ აფორიაქებულია, მიდრეკილია მარადი განახლებისა და ინტერპრეტირებისკენ. ამიტომაც დაუცხრომელი სულის შემოქმედს გაუჩნდა მოთხოვნილება, მაღალტემპერატურიან ცეცხლგამძლე შამოტის მასალაში საექსტერიერო მოხატულობა უკვე იმგვარი თავისუფლებით შეესრულებინა, რომელიც ფერწერის ეფექტს მიუახლოვდებოდა. ცალკეული ექსპერიმენტების შედეგად ჩვეულებრივ ჭიქურს მოჰყვა მქრქალი, არაპრიალა ჭიქური და, ფაქტობრივად, შეიქმნა ერთგვარი ფერწერული პალიტრა, რაც ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა, რადგან არაორგანული კერამიკული საღებავი გამოწვისას ტონალობას იცვლის და გარკვეული დისონანსის მუდმივ საშიშროებას ქმნის. რეზო თავაუღებლად მუშაობდა და, როგორც ადრე, ძიებებს არ წყვეტდა, მაქსიმალურ გამომსახველ საშუალებებს ეძებდა და უკმაყოფილო რჩებოდა, როცა გამოწვისას ფერწერული ნახევარტონი მაჟორულობას იძენდა.



შემდეგში ეს ტექნოლოგიური ამოცანა თანდათან თვითკმარ ღირებულებაში გადაიზარდა და მუშაობის პროცესმა ცხადყო, რომ ამ ტექნიკით შეიძლებოდა დამოუკიდებელი, თვითკმარი, კამერული ხასიათის ნამუშევრებიც შექმნილიყო. უკანასკნელ წლებში რეზო იაშვილი სწორედ ამ ამოცანების გადაჭრაზე მუშაობდა, ასე შეიქმნა წითელი თიხის ფაიანსის დაპრესილ ფილებსა თუ მაღალი ტემპერატურის თიხის პლასტებზე შესრულებული კომპოზიციები, რომლებიც თვისობრივად ახალ ტექნიკურ-მხატვრულ გამომსახველობას დაეფუძნა. მხატვრის მიერ თავისებური მასალისა და ტემპერატურის გამოყენებით მიგნებულმა ტექნოლოგიურმა მეთოდმა შექმნა შესაძლებლობა კერამიკული ნამუშევრის ფერწერულ ფაქტურასთან მიახლოებისთვის, რამაც კომპოზიციებს ტემპერისა თუ ზეთის ტექნიკის თავისუფლება შესძინა და იმავდროულად ქართული კედლის მხატვრობის ტრადიციებსაც დაუახლოვა (დეკორატიული ფილები „ბერიკაობა", „ქალი ბატკნით" „ანგელოზი" და სხვ.) თითოეული მათგანი დამოუკიდებელი „ფერწერული ტილოა", საკუთარი კოლორიტი გააჩნია და ძერწავს უაღრესად ცოცხალ მხატვრულ სახეებს, რომლებშიც შეიძლება აღიბეჭდოს როგორც ლირიკული ინტონაციის ნაკადი („მწყემსი", „პეგასი"), ისე ხალხური ტრადიციიდან მომდინარე იმპულსი, („ბერიკაობა") და გარკვეული ჰეროიკაც. ამ ნაწარმოებთა ფორმათქმნადობას საფუძვლად მუდამ უდევს ფილიგრანული ნახატი, რომლის ბუნება ისევ და ისევ ეროვნულ საწყისს უკავშირდება და ცხადჰყოფს რეზო იაშვილის მსოფლმხედველობის ორგანულ თავისებურებასაც - თანამედროვეობის სული შთაბეროს ტექნიკურად

ეროვნული ბიბლიოთეკა



რთულ და მხატვრულად დახვეწილ კერამიკას (ამ ნამუშევართა ნაწილი მხატვრის სახლის განადგურების შედეგად დაიღუპა).

ცხადია, ამგვარ პროცესს - ტექნოლოგიურ და სახვით ხერხთა ურთიერთჭიდილს დიდი დრო და ენერგია მიჰქონდა. მით უმეტეს, რეზო იაშვილის შემოქმედებითი მუშაობა მუდმივად პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად მიმდინარეობდა და ისევე, როგორც შემოქმედებაში, აქაც ურთიერთს ექსპერიმენტი და ნოვაცია ცვლიდა (და ეს ყოველივე ხდებოდა სახელოსნოდან გაუსვლელად, მის განუყრელ სავარძელში“, რეზო ამ სფეროშიც ისევე შეუპოვარი და ნოვატორი იყო, როგორც შემოქმედებით ცხოვრებაში.

როგორც ცნობილია, იმ წლებში კერამიკის კათედრა ოფიციალურად ორიენტირებული იყო წარმოებისთვის კადრების (მომხატავები, ინჟინერ-მხატვრები, ტექნოლოგები) მომზადებაზე. რეზო იაშვილი კი მიიჩნევდა, რომ დადგა დრო, „მხატვარ-კერამიკოსი უკვე იყოს დამოუკიდებელი მხატვარი და არა კადრი წარმოებისთვის“. ამიტომაც სწავლების მეთოდიკაში შეაქვს არსებითი ცვლილებები, რაც უკავშირდებოდა სტუდენტის, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნე შემოქმედის ფორმირებას. ყოველივე ეს კი სწავლების საკავშირო მეთოდიკის დარღვევად ჩაითვალა და იმრავლა საჩივრებმაც, შეიქმნა კომისიები, აღმოაჩინეს „მიუტევებელი დარღვევები“. ამტყდარ აჟიოტაჟს რეზო გარეგნულად მშვიდად იტანდა და ჩვეულ მოთმინებას არ კარგავდა, მისი ვაჟი გია იგონებს: ერთხელ, მორიგ უძილო ღამეს, როდესაც კიდევ ერთ საპასუხო წერილს წერდა კომისიის დასკვნაზე, მე აღშფოთებას ვერ ვფარავდი. მან ამომხედა, მშვიდად გამიღიმა და მითხრა: არც ისე ცუდია, რომ მებრძვიან. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ავიწყდებათ, სახლიდან გასვლა არ შემიძლიაო“.

1978 წელს რეზო იაშვილი მხატვართა კავშირთან აყალიბებს მხატვარ-კერამიკოსთა დამოუკიდებელ ასოციაციას, რომლის არსებობას ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მეგობარს სწერდა: „ეს ასოციაცია შესაძლებლობას გვაძლევს, დაუყოვნებლივ ჩავაბათ ახალგაზრდა მხატვრები (ლაპარაკია ნიჭიერ ახალგაზრდებზე) შემოქმედებით მუშაობაში, ავუმაღლოთ მათ პროფესიული დონე და წარვმართოთ მათი ინდივიდუალური შემოქმედებითი შესაძლებლობანი პერსპექტიული გზით. ამ ტიპის სახელოსნო ახლა პირველია კავშირში და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იგი იქცევა თანამედროვე ქართული კერამიკის ლაბორატორიად, ვინაიდან დღეს მხოლოდ ახალგაზრდულ აზრს და შემართებას თუ შეუძლია დღევანდელი ქართული კერამიკის ჩიხიდან გამოყვანა“.

სახელოსნოში მომუშავე მხატვართა თვითგამოხატვის ენა კერამიკა უნდა ყოფილიყო და მისთვის დამოუკიდებელი არსებობის რეალიზების უნარიც უნდა მიენიჭებინა. აქაც რეზოს შეუპოვრობამ და ახალგაზრდათა (გ. როიტიხი, ო. ვეფხვაძე, ს. ხურხუმალი, ი ელისტრატოვა, აელქსანდრე კაკაბაძე, ქ. რუხაძე, ნ. ციციშვილი გ. იაშვილი, ქ. ერგემლიძე, გ. უსტიაშვილი, გ. ეკიზაშვილი და სხვ.) მონდომებამ თავისი გაიტანა და რუტინულ აზროვნებაში ახალი ნაკადიც შემოიჭრა. ეს იყო ცოცხალი დინამიკით აღსავსე წლები, რომლებსაც პროფესორისა და სტუდენტების ურთიერთთანამშრომლობის უაღრესად დელიკატური ატმოსფერო ალამაზებდა.

მხატვრის კოლეგებისა და თვით სტუდენტების აზრით, რეზო იაშვილთან სტუდენტები მხოლოდ კერამიკის ხელოვნებას როდი ეუფლებოდნენ, არამედ მისგან იღებდნენ ღირსეულად ცხოვრების მაღალზნეობრივ გაკვეთილებსაც.

მოაზროვნე ტიპის მხატვრისთვის ხელოვნება არასოდეს ქცეულა ინტელექტუალური ვარჯიშების მასტიმულირებლად, არამედ ემოციური ცხოვრების გამოხატულებაა და, ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ მისი ზოომორფული კერამიკა ზეაწეული, შემართული თავებით გაჰყურებს სივრცეს - იგი თითქოს იმ შეუპოვრობას, მებრძოლ ბუნებასა და ბედისადმი დაუმორჩილებლობას გამოხატავს, რაც რეზო იაშვილს ახასიათებდა და ლაიტმოტივად გასდევდა მთელ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ამ დღეებში საქართველოს სახალხო მხატვარს, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ რეზო იაშვილს 70 წელი შეუსრულდებოდა.

ბევრი რამ დარჩა განუხორციელებელი შემოქმედს, რომელმაც რისკიანად გაარღვია მასალის მარგინალურობა და ქართულ კერამიკას თვითმყოფადობა მიანიჭა, სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია მუშაობა და ისევ ახალ ამოცანათა გადაჭრაზე ფიქრობდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ალექსანდრე ჯიბლაძე



# ცეცხლის პერანგი

წუთისოფელი ზოგისთვის თვალის დახამხამებაში, ზოგისთვის სიზიფეს შრომაში გაილევა, ზოგი საკუთარ თავს პატრონობს მხოლოდ, ზოგს კი ქვეყნის სატკივარი აწუხებს და, ცეცხლის პერანგში გახვეული, მარადიულ წამებაში ჰპოვებს ბედნიერებას. პოეტი დავით თედორაძე ტკივილიან ცხოვრებას ირჩევს, მისი ფიქრი და გულის ფეთქვა ერთი წუთითაც არ სცილდება სამშობლოს. მისი პოეტური სამყარო მამულშია დავანებული და ადამის მოდგმის გაჩენიდან დღემდე სიკეთის თესლის გახარებას ემსახურება.

დრო, ყოვლის მომრევი და მარადიული ფენომენი, ჩვენი სურვილით არც ჩქარობს და არც ჩერდება. მთავარია, კუთვნილ დროში რას ემსახურები, როგორ იწვი და სანთლის რომელ სხივს მისდევ, რით აცისკროვნებ თანამედროვეთა ცხოვრებას?

შემოქმედისათვის ორმოცდაათი წელი შუადღეა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მთავარი სათქმელი გამხელილია, პოზიცია გარკვეული და მიზანი გამოკვეთილია. დავით თედორაძის ლირიკული გმირი შინაგანი ბუნებით ქართველი კაცია, მისი ღრმა ფილოსოფიური შინაარსითა და მგრძნობელობით, განცდებითა და მისწრაფებებით. მის სულში ირეკლება ქვეყნის წუხილი, ისტორიის ბედუკუღმართობით გამოწვეული სევდა, წინაპართა გმირული საქმიანობით თავმოწონება და თანამემამულეთა შურით, ცრუ პატრიოტობითა და ეგოიზმით შობილი ტკივილი. პოეტს სურს მტლად დაედოს ქვეყნის სატკივარს. „სული მიმდევარი" ეძებს გზას უკეთესი მერმისისაკენ და ნატრობს ილიას, აკაკის, ვაჟას, სახელოვან წინაპართა მამულიშვილობის ნესტარით გულგასიებულ და ამაღლებულ ადამიანებს.

პოეტის შემოქმედება სულის სარკეა, შინაგანი პორტრეტია, რომელსაც ზრდის და აყალიბებს ის გარემო, რომელშიც უხდება მწერალს ცხოვრება. დავით თედორაძის სულის აკვანი, აჭარისწყლით გაზავებული მდინარე ჭოროხის მარცხენა მხარეს, მთის ფერდობებზე მძივივით შეკრული ისტორიული სოფელი ერგეა, სადაც დიდ დავითს ჩაუვლია და „ჭოროხი რიდით დამშრალა, სხვა წყლებსაც დაუკლიათ, ტყეს მოდებული ხანძარი შებერვით ჩაუქრია". აქ არფაზონის მთიდან ჩამოფრენილი მიმინოს ძებნაში, ჯოჭოს წყალთან ბაასში, ანკესით ხელში, ქვიდან ქვაზე ფეხშიშველა თევზაობაში გაირბინა მისმა ბავშვობამ, მაგრამ მთავარ სულიერ საზრდოს იგი ღებულობდა ოჯახში, ბაბუასთან ალერსში, სულ მუდამ ჩაფიქრებული და ომის ტვირთით დამძიმებული მამის შეგონებებში, დედის ღიმილსა და ძმებთან ურთიერთობაში. მშვენიერების, სილამაზისა და ბუნების ფერთა საიდუმლოებას უმხელდნენ მარადმწვანე ციტრუსის ბაღები, ხოლო ისტორიის განცდას უყალიბებდა იქვე, მთის გულის სიღრმეში ნახული უძველესი ქვევრები, თოფი „მაჭახელას" და ქართული გორდას დასამზადებლად რკინის სადნობი ღუმელები, წინაპრებს დიდი რუდუნებით რომ უკეთებიათ და მტერსა და მოყვარესთან ურთიერთობაში საკუთარი ღირსება დაუცავამთ.

პოეტური სული, რომელიც განსაკუთრებულ განწყობას უქმნიდა ჯერ კიდევ ყმაწვილს, ქართული ლიტერატურით დაინტერესებაში მჟღავნდებოდა. ჩვენი თაობა ყოველდღიურ ურთიერთობაში ცდილობდა მოეძებნა გალაკტიონის, ლადოს, გოგლას, ომში წასული და მარადიულ ჯარისკაცებად დარჩენილი ვაჟკაცების შეწყვეტილი პოეზიის საიდუმლოებანი. პირველი ლექსებიც პოეტმა მათი ზეგავლენით შექმნა, მაგრამ იმთავითვე იგრძნობოდა, რომ დავით თედორაძეს საკუთარი სათქმელი აწვალებდა და მის ლექსებსაც ინდივიდუალური ფორმა, სამოსი და ქართული სიტყვის მადლი გააჩნდა.

დავით თედორაძის პირველი წიგნი „ბეწვის ხიდი" მკითხველმა 1977 წელს მიიღო, მას შემდეგ იგი აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა და არ ყოფილა საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ მას რეაგირება არ მოეხდინოს. თანდათან იკვეთებოდა თვითმყოფადი პოეტის ხმა, რომელიც თამამად ეხმიანებოდა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ წუხილს, ქვეყნის სასიქადულო მგოსანთა სათქმელს და საკუთარ კალაპოტს კვალავდა საქართველოს დედა-პოეზიაში.

1980 წელს საზოგადოებამ მიიღო პოეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლექსების კრებული „ორღანი უკრავს“. დღეისათვის იგი 6 პოეტური კრებულის ავტორია „ცეცხლის პერანგი“ 1983, „მზე ჩუქურთმებში“ - 1986, „გულისთქმა“ - 1989 და „შენი ვარ“ - 1994. პერიოდულად იბეჭდება პრესაში. 1981 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. მიუხედავად პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა, იგი ერთი წუთითაც არ ჩამოსცილებია შემოქმედებით საქმიანობას, წლების განმავლობაში არის ჟურნალ „ჭოროხის“ რედკოლეგიის წევრი, ამჟამად ხელმძღვანელობს ს. ს. „გამომცემლობა აჭარას“.

ისტორიულმა სინამდვილემ - ორად გაყოფილმა სამშობლომ, „გახლეჩილი სულის“ სინდრომი შექმნა, რომელიც ხაზგასმით წარმოაჩენდა ამ კუთხის შვილების დამოკიდებულებას ილიას მიერ მონიშნულ სამ სულიერ ღედაბოძთან: ენასთან, მამულთან და სარწმუნოებასთან. სამხრეთ საქართველოს შემოქმედთა ტკივილნარევი სიტყვაც ერთგულების დადასტურებასავით, ლოცვასავით აღიქმებოდა სამშობლოს ტაძარში. „ შენი შვილი ვარ, შენი პოეტი, მე არ ვიქნები შენი სტუმარი“ - ამბობს ფრიდონ ხალვაში. მწერალთა ამ თაობას თავისი ისტორიული ფუნქცია ჰქონდა შესასრულებელი და მათ ეს პირნათლად აღასრულეს კიდეც.

დავით თედორაძის შემოქმედება ეხმიანება წინა თაობის შემოქმედთა საერთო სატკივარს, მაგრამ იგი კი არ იმეორებს მათ, არამედ ქვეყნის საერთო მდგომარეობის განცდიდან ხედავს მისი კუთხის წუხილისა და სიხარულის მიზეზს. ამასთან, მისი შემოქმედება ზოგად-ქართული ხასიათისაა.

პოეტის ლირიკული გმირი მარტო ერთ დროში არ ცხოვრობს, სამშობლო პოეტისთვის ყველა დროში ერთ ცნებას, „ადგილის დედას“ ასახიერებს. ამდენად, წინაპართა სულის სამეფო, იგივე ძველთშესანახი, დღევანდელი საქართველოა, ამიტომ დროის მარადიულ განფენილობაში მყოფი მამულიშვილების გახსენებით პოეტი მოჩვენებითი ბედნიერების ილუზიას კი არ ქმნის, არამედ ლაპარაკობს სინამდვილეზე, რომელიც ისეთივე ორგანული ნაწილია დღევანდელობისა, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა სვეტიცხოველი, სხალთის ტაძარი, მყინვარწვერი, იალბუზი, შავი ზღვა, თბილისი, მესხეთი, კოლხეთი და, საერთოდ, დავითის საქართველოა. სწორედ ასეთი მხატვრული წარმოსახვა ათქმევინებს პოეტს:

*ჩემი ტაძრის სურათი მტრედმა დაიპატრონა,*
*დალოცვილი, სულმნათი, ღუღუნებს და*
*ღუღუნებს,*
*როცა გვიან არ არის და როცა გულთან მარტო*
*ვარ,*
*წარსულს, აწმყოს, მომავალს*
*და ჩემს საფლავს ვუყურებ*

(„მიწა სასაფლაოსი“)

სამშობლოსთან მიმართებაში პოეტი არ იფარგლება ვიწრო პატრიოტული აღტყინებით, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის. სამშობლო მისთვის სამყაროს, კაცობრიობის შემადგენელი ნაწილია, თუმცა მისი არსებობა კოსმიურ სივრცეში კი არ იკარგება, არამედ კონკრეტული გეოგრაფიული და ისტორიული ცხოვრების მაგალითებით ქართული ხასიათისა და ეროვნული ბუნების სახეს ღებულობს, ამიტომ ამბობს პოეტი:

*„მოისაკლისებს ბევრი ერი მკაცრ ისტორიას,*
*მოითარეშა ჟამმა ულევად ბევრის საზანი,*
*კაცობრიობას უსათუოდ ემახსოვრება*
*უპირველესი დედოფალი -*
*დედა თამარი.*

(„ჩემი თაობის ბედნიერი მემატიანე“)

ქვეყნის სვე-ბედზე ფიქრი მარადიული თემაა შემოქმედისა, რომელიც სათავეს ღებულობს დღევანდელი საქართველოს მდგომარეობის ობიექტური განსჯიდან; სულის ტკივილი მოძმეთა აშლილობას რომ გამოუწვევია, პოეტს წარსულში აბრუნებს, ვაჟას ეხმიანება და ქვეყნად მოსვლის მიზნის გარკვევისაკენ უბიძგებს, რის გამოც სვამს კითხვას:

*შე დალოცვილო, მე რა ვქნა,*
*რას ამოვუდგე გვერდშია,*
*იქნება არ მოვსულიყავ,*
*იქნებ არ მოსვლა მერჩია.*

(„იქნებ არ მოსვლა მერჩია“).

სულიერი ტკივილით შობილ ამ განწყობილებას პოეტი ამხელს არა მარტო საკუთარი ფუნქციის, არამედ სამშობლოს წინაშე თითოეული ჩვენგანის მოვალეობის გარკვევისთვის. პოეტი დარწმუნებულია, რომ ყველა ვერ იქნება ილიას, აკაკის, ვაჟას, მღვდელი თევდორეს და სხვა ღირსეულ წინაპართა ტოლი, მაგრამ მათი ცხოვრების წესის დაფასება და სამშობლოსთან მიმართებაში სულიერების ხატის შენარჩუნებისათვის ღვაწლი ყველას ვალია. ვინც ამ წესს არ არსულებს, სამშობლოს ღალატობს, მოღალატეს კი წყევლა არ ასცდება. შემზარავია პოეტის გოდება, რომელიც ქვეყნის ორგულთა წყევლაში ვლინდება:

*ვინც საქართველოს უორგულებს*
*ცაც გაუშავდეს, წყალიც!..*
*მადლი არ ეღირსოს უმადურმა*
*ყვავი და ყორანი კვებოს,*
*დედა გველს შეაჭამოს,*
*მამის სისხლით*
*თმა-წვერი შეიღებოს!*

(„წყევლა“)

პოეტის სევდა უიმედობით კი არ არის გამოწვეული, არამედ იგი ნაკარნახევია ისტორიის შეუფასებლობითა და გულარხეინობით. მას სჯერა საქართველოს მომავლის და მზიანი დღეებისა. სიცოცხლის მშვენიერებაც იმაში მდგომარეობს, რომ ორგან-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ულად ერწყმოდეს ქვეყნის ბედს და, თუ ბედნიერება მას არ ეღირსა, ქვეყანა მომავალში დატოვებული შვილებით იბედნიერებს.

დავით თედორაძის ცალკეული ლექსების კითხვისას გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ქვეყნისადმი სიყვარული უპირველესად ტკივილნარევი განცდაა. მშვენიერება, რომელიც ქვეყნის ბუნების ხილვით, ისტორიის ცოდნით წარმოიქმნება, მარტო შენ არ გეკუთვნის, ის ყველასია, ვისაც შენამდე უცხოვრია და შენს შემდეგ იცხოვრებს. ამიტომ პიროვნების ვალია, იგი შეინარჩუნოს, არ მოურღვიოს მინანქრის პირი და ისე მიუთვალოს მომავალს, მომდევნო თაობას.

ციხისძირის ნანგრევებთან წინაპრის აჩრდილებს ესაუბრება პოეტი და შთამომავლობას უბარებს:

*აქ იყვნენ მგლები და*
*ზარს სცემდნენ უფლებით,*
*მე რაც მიეითვალე,*
*ვიტოვებ უკლებლივ.*

პოეტი ქვეყნის სიყვარულით ცეცხლის პერანგით არის შემოსილი და შვილებს: თეას, შორენას და ირაკლის გადასცემს ანდერძს, რომ საქართველო ხვალ უფრო გაალამაზონ, მისი ნატვრა შეასრულონ, იგრძნონ მამულის სიყვარული, განახლების გზით იარონ, იცოდნენ ქვეყნისათვის მსხვერპლის გაღება, არ დაივიწყონ ტაო-კლარჯეთი, არტანუჯი, მთლიანობისათვის თავი დასდონ და განიცადონ წინაპართა სისხლით გაჟღენთილი ბევრი ციხეების ლოდების ტკივილი.

პოეტს ქვეყნის შემნახველად, მის ხერხემლად მიწის პატრონი, მუდამ შრომაში მყოფი ქართველი გლეხი მიაჩნია, რომელიც უვლის მთასაც და ბარსაც, ის არის დოვლათის შემქმნელი და ზნეობის მარადიული დარაჯიც. პოეტი მთის სიწმინდეზე საუბრობს და რწმენის ტაძრად ზოგადად მთას წარმოიდგენს, ვინაიდან იცის, ქარ-ბორბალასავით მოულოდნელი მტრის შემოსევებით გაჩანაგებული ერი მთაში აფარებდა თავს, იქ ინახავდა რჯულის სიმტკიცეს და ანთებდა სანთლებს:

*ვაზი სულში გადავმალე,*
*ჯვარი ჩუქურთმებში,*
*ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან*
*სანთლის შუქი მთებში.*

(„სანთლის შუქი“)

სიცოცხლის დანიშნულების გარკვევისათვის პოეტი ყურადღებას ამახვილებს ზნეობრივ-ეთიკურ კატეგორიებზე: სიყვარულზე, მეგობრობაზე, სიკეთესა თუ სინდისზე.

ზნეობრივ ეთიკური ღირებულებების სათავე ადამიანის ყოველდღიური საქმიანობიდან იწყება, პოეტის აზრით, ქვეყნისათვის გარჯა ყველა საქმეში შეიძლება დაინახო, თუკი იგი დიდი სიყვარულითა და პატიოსნებით არის შესრულებული, როცა საქმე თავად ხატავს ადამიანის სულიერ და გარეგან პორტრეტს.

სამაგიეროდ პოეტი იმასაც ხედავს, რომ ცხოვრება პატიოსანი კაცისთვის იოლი და მარტივი არ არის, ამას ისინი უფრო ახერხებენ, ვისაც შეუძლია სხვისი ნიღაბი ჩამოიფაროს და, როგორც თეატრში, ისე იმსახიობოს ცხოვრებაში.

სიცოცხლე სილამაზეა, რომლის ნათელი გამოვლენა სიყვარულია. პოეტი ინტიმისკენ კი არ ისწრაფვის, არამედ სიყვარულის მიერ აღძრული გრძნობების გამოხატვას ისახავს მიზნად, ამიტომ გასაგებია მისი განწყობილება, როცა წვიმის წვეთები ცრემლებს აგონებს, გულის გახსნა კი - ცის გახსნას, ახდენილი სიყვარული კი მზისგან მოპარული სხივის სითბოს გვრის, თუმცა სიყვარულის მარადიულ გრძნობას თან ახლავს ცვალებადობა, ეჭვი, ტკივილი და „ბედნიერი ტანჯვა“. ამიტომ ვერ შეედავები პოეტს, როცა სიყვარულის ნეტარ ტრაგედიას ხატავს: „ქარმა წამიღოს უღიბლოდ, ელვამ დამიწვას თვალები, ჩემს სატირალში მოვიდნენ სულ შენნაირი ქალები“. განზოგადებული სურათი მაინც კონკრეტულ მისამართის ნახულობს და გესმის, რომ პოეტში ასაკის მატებას თან ახლავს სიჭაბუკესთან გამოთხოვების სევდა, თუმცა სიყვარული არ ბერდება და სიცოცხლეს აძლევს იმპულსს, ისწრაფოს სინათლისაკენ, რათა მოისმინოს „მზის საგალობელი“, რომელიც ღამითაც, დარსა თუ ავდარშიც ნათლად ჩანს სატრფოს გამოხედვაში, მის ღიმილში და ფიქრში დაჭერილ მოგონებებში.

დავით თედორაძის პოეზიას საკუთარი ფორმა და სურნელი ახლავს. უკანასკნელი პერიოდის ლექსებში იჟრება ფილოსოფიური მოტივეები, სიტყვას შინაარსობრივი დატვირთვა ეძლევა და ემოცია, გრძნობა სახეებშია უფრო მეტად გამოხატული, ვიდრე ლექსის საერთო ქარგაში, მაგალითისთვის:

*გასწირა ბედმა,*
*არ უნატრია მერე სხვა ბედი,*
*მთელი სიცოცხლე შეალია დაზრდას*
*ქალ-ვაჟის,*
*შემოელია მარილივით საწუთრო ხელში,*
*რა ქნას -*
*მეზობელს დროს ხომ ვეღარ დაესესხება.*

(„ქვრივი“)

დარწმუნებული ვართ, დავით თედორაძისგან მომავალში ახალ შემოქმედებით საჩუქარს მიიღებს მისი თაყვანისმცემელი მკითხველი, სულითა და გულით ვულოცავ მას დაბადების 50 წლისთავს და ვნატრობ მთელი საქართველო გაჰყოლოდეს პოეტის რჩევას: „ანგელოზების პურობაზე გიხმობთ, კაცებო, ანგელოზების სიყვარული ჩვენს სულს შეჰფერის“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ოლეგ გოლიაძე

# სულხან-საბა ორბელიანის სამეტყველო ენის სპეციფიკისათვის

სულხან-საბა ორბელიანი დიდი მეიგავე და ლექსიკოგრაფი არ ყოფილა ოდენ. იგი გახლდათ პოეტი, მწიგნობარ-მქადაგებელი, მთარგმნელი, სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურის ერთი პირველი ფუძემდებელი ქართულ სინამდვილეში, ბიბლიოლოგი...

აღორძინების პერიოდის მწერლობაში იგი უთვალსაჩინოესი ფიგურაა, რომელიც ნიშანდობლივ, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელ კვალს აჩენს ამ დროის ლიტერატურულ გარემოს. მისი შემოქმედების მხატვრული აზროვნების წმინდა შემოქმედებითი, ორიგინალური ხასიათის თხზულებად, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, „სიბრძნე სიცრუისა“ უნდა დავსახოთ. ამ თხზულების სიმბოლურ ალეგორიული შინაარსი სათაურშივეა გაცხადებული, ოღონდ შეფარულად: ნაწარმოებში გვეძლევა სიბრძნე, სათანადო ცოდნა-აზრი, რაიც იხილვება მხატვრული გამონაგონის, „სიცრუის“ კვალობაზე, იგავ-არაკებისა თუ ზღაპრების მეშვეობით. მართებულად და საგულისხმოდ გვიხსნიდა ილია ჭავჭავაძე სულხან-საბას სიცრუის არსს: „საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, იგავია, არაკია. იგავი, არაკი, ზღაპარი ამისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწვრთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად...“

დიდი ქართველი მეიგავის ეს თხზულება მემკვიდრეობითად ეფუძნება ძველ ქართულ მწერლობაში ნაცად, ოღონდ შედარებით იშვიათად გამოყენებულ მეთოდს, იგავური ალეგორიზმის ხერხს, ფორმას, რაც იხილვება „სიბრძნე ბალავარისაში“, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ პასაჟში იგავური ჩანართების სახით, „რუსუდანიანში“ და სხვ. ამ ფორმას იგავური ალეგორიზმის მეოხებით განსახოვნების ერთ, თითქოსდა უცნაურ ხერხს, ერთობ ადრეც მიემთხვეოდნენ (შუამდინარული, ბაბილონური, ეგვიპტური, ანტიკური სახის მეტყველება), მაგრამ უთუოდ ძალუმად შეინიშნება ამ მეთოდ-ხერხის განსაკუთრებული გამოყენება ძველებრაულ და შემდგომ ქრისტიანულ ლიტერატურაში.

„სიბრძნე სიცრუისაში“ და „სწავლანშიც“ საბა ცხოვრებისეული მანკიერების, ზნეობრივ-რელიგიური არასრულყოფილების მხილებას უთმობს დიდ ადგილს, ოღონდ არაერთგვაროვნად: „სიბრძნე სიცრუისაში“ მხილებანი იგავური ხერხით, შენიღბულადაა მოწოდებული, ხოლო „სწავლანში“ კი თვალნათლივ, პირდაპირი, გაშიშვლებული სახით გვეძლევა, შეინიშნება სასულიერო, დოგმატური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მანერა წერისა, ოღონდ საბა აქაც უხვად იყენებს პოეტურ საშუალებებს, თანაც არცთუ მწირად; ამ მხრივ ერთობ საყურადღებოა ივ. გიგინეიშვილის წერილი: „სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის“, რომელშიც სისავსით არის ნაჩვენები საბას ნაწარმოებთა (როგორც საერო, ასევე საეკლესიო) ენის თავისებურებანი. მკვლევარს შენიშნული აქვს, რომ „ავტორი „სიბრძნე სიცრუის წიგნისა“, რომლის ენა არსებითად ახალი ქართულია, თხზულებას „სწავლანი ანუ ქადაგებანი“ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილით წერს. რა თქმა უნდა, სულხან-საბა ორბელიანი ამ შემთხვევაში ვერ ახერხებს ძველი ქართულის ვერც მორფოლოგიური და ვერც სინტაქსური ნორმების დაცვას – ძველი ქართული არ იყო მისთვის ბუნებრივი ლიტერატურული მეტყველება. ძველი ქართული არ იყო მისთვის ბუნებრივი, მას შეთვისებული ჰქონდა ხელოვნურად, ძველი ტექსტების კითხვა-შესწავლის შედეგად, მაგრამ სტილის მხრივ სულხან-საბა აღწევს ძველი ქართული სასულიერო ძეგლების ენასთან საოცარ მსგავსებას“. საზოგადოდ, ეს სამეცნიერო წერილი საბას ენობრივი პოზიციის პრობლემატიკაში უთუოდ საეტაპო და უაღრესად შემეცნებითი ღირებულებისაა. საბა შეგნებულად მიეახლება არქაიზაციას, საერთოქართველურ მეტყველებას და, რაც მთავარია, არა რომელიმე მხარის, კუთხისთვის დამახასიათებელი დიალექტის მიმდევარი, პირიქით, შეიძლება ითქვას, იგი თავისი მწერლური ნიშან-თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სებებით ზედიალექტურია, ესაა ენობრივად ისეთი ოდენობა, რომელიც სანიმუშო და განმსაზღვრელია მწიგნობრული მეტყველებისა. მართალია, დიდი მეიგავე მიმართავს არქაიზაციას, მაგრამ ეს პროცესი „საბას ლიტერატურული ენის, როგორც ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ერთი, გარკვეული საფეხურის ამსახველის ორგანული ნაწილია, შემადგენელი ელემენტია“.

სულხან-საბა ორბელიანის მხატვრულ ნააზრევში არსებითია ის, რომ ავტორი უაღრესად დახვეწილი მწიგნობრული მანერით ახდენს ქართული სალიტერატურო ენის დემოკტარიზაციას, ხალხურ სამეტყველო ენასთან უშუალო და ბუნებრივი კავშირით, ზომიერების მკაცრი დაცვით, სტილის ლაკონურობითა და მოტივირებულად ახერხებს სათანადო, ობიექტური სურათის წარმოდგენას.

„სიბრძნე-სიცრუისას“ ავტორისთვის ნიშანდობლივია და ლიტერატურულ კანონად არის ჩამოყალიბებული იგავ-არაკების მსგავსი, ტრაფარეტული, თავისებურ ეტიკეტად ქცეული დასაწყისები: „იყო ხელმწიფე ერთი“, „იყო მეფე ერთი“, „გლახაკი ვინმე იყო“, „ერთი დიდვაჭარი იყო...“, რომლებშიც, როგორც წესი, დომინირებს სიტყვები: „იყო“, „ერთი“... ასევე შესიტყვების, ერთი ამბიდან მეორეზე გადასვლის მომენტი: „თქვა სედრაქ არაკი“, „თქვა ვაზირმან არაკი“, „თქვა რუქამ არაკი“, „თქვა ლეონ არაკი“... და ა. შ. დიალოგებისთვის სულ რამდენიმე ზმნას წაუმძღვარებს ხოლმე: „მოახსენა“, „უთხრა“, „უბრძანა“, „რქვა“, „ბრძანა“... ასევე შეიმჩნევა ამბის თხრობის დასაწყისში ზოგადი მინიშნებანი არაკისა და იგავის მოსალოდნელი ფინალის თაობაზე: „შირვანის შაჰ იჯდა, ერთი უსამართლო, კაცთა უწყალო და მაოხარი ქვეყანათა“, „მეფე ვინმე იყო და ჰყვა კაცი ერთი ავსიტყვა“, „მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა“, „კლარჯეთის თემსა, სოფელსა ერთსა იყო ერთი გზირი, ანჩხლი და მტერი სოფლისა მის“, „ერთმან კაცმან დიდძალი ოქრო მიწასა დაფლა. დღე ყოველ მივიდის და ადგილი იგი ნახის...“ საბა აქ, ამ არაკში დასაწყისშივე გვითვალისწინებს ძუნწი, ოქროს მიწაში დამფლელისა და მისი ყოველდღე მნახველის ხვედრს... საბასათვის ნიშანდობლივია მკითხველის თავიდანვე დაინტერესება - დაინტრიგება, კვანძის გახსნისას შედეგის ვარაუდი, ადრევე გათვალისწინება... ასევე საგულისხმოა საბასეული მანერა პერსონაჟთა გარეგნული ხატის, პორტრეტის შექმნისას. შენიშნულია, რომ „პერსონაჟთა გარეგნობის აღწერილობა მუდამ დაქვემდებარებულია ნაწარმოების იდეური შინაარსისადმი, მწერლის მიზადნასახულობისადმი. ჯუმბერისა და ლეონის მომხიბლავი გარეგნობის აღწერით სულხან-საბა ორბელიანის მიზანია გაამართლოს თავისი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი - ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ (რ. ბარამიძე).

ცნობილია: „სიბრძნე სიცრუისაში: წინა პლანზეა წარმოდგენილი ორი ზნეობრივი მომენტი: „კაცთმოყვარეობა და კაცთმოძულეობა (ლეონი და რუქა). მართალია, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში იყო ცდა, რუქას „რეაბილიტაციისა“, მაგრამ საბა, ეს პირუთვნელი და არააბეზარი მორალისტი, თვით „მკითხველს ანდობს ზნეობრივი დასკვნა დამოუკიდებლად გამოიტანოს მისი არაკებიდან“ (გ. ქიქოძე). საკუთრივ პერსონაჟთა ქცევაქესტისა, გარეგნულ-შინაგანი ხატისა თუ მათი მსჯელობა-ნაზრევის კვალობაზე. მისთვის მაინც მთავარია ფიზიკური კი არა, ზნეობრივი სრულყოფა. სედრაქი, ლეონი, ჯუმბერი იმ კანონზომიერებით არიან სრულყოფილნი, წმინდა მხედრებად რომ იგულვებოდნენ ძველ ქართულ მწერლობაში; მათი წრთობის პრინციპები საფუძველშივე შუასაუკუნეობრივი აღზრდის სისტემით არის განპირობებული, რაც დიდად ეხმიანება ქრისტიანულ, კანონიზებულ პრინციპებს: ამპარტავნების დათრგუნვა, თავმდაბლობა, ხორციელი ვნებების დამორჩილება სულიერობისა მიმართ, საერთოდ, შინაგანი სულიერების დომინანტად ქცევა, თუმცა, იმავდროულად, ფიზიკური სრულყოფილების პრინციპიც ძალუმად იხილვება, რადგან თხზულების ერთი ღედააზრი ყოველმხრივ სრულყოფილი მეფის, მეფობის რაობაა და საბა კანონიზირებულად გვაწვდის ამის შესახებ უფლისწულის აღმზრდელის, ლეონის შეგონებებს.

როგორც ცნობილია, საბა თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით თითქმის ნიადაგ იყო დაკავშირებული სამეფო კართან, მისთვის ქვეყნის გამგებლობის იდეალური ფორმა იყო სულიერ ღირებულებებზე დაფუძნებული ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომლის მონარქი იქნებოდა სამართლიანი, სვიანი, ღვთიანი, აზნაურისა და უაზნოს სათანადოდ გამკითხავი... საბა შუასაუკუნეების ხელოვნების, ლიტერატურისთვის ჩვეულ საკარო მეხოტბედ კი არ გვევლინება, არამედ პირუთვნელ, ზნემაღალ და ერთობ თამამ, მკაცრი მსჯავრის გამომტან სიტყვიერების ხელოვნად.

სრულყოფილი მაღალზნეობრივი მეფობის რაობაზე საგულისხმო დაკვირვებას გვაწვდის მკვლევარი გ. ალიბეგაშვილი: „საბას კრიტიკა მწვავეა, იგი ხშირად მიმართავს, ასე ვთქვათ „მკვახე შეძახილს“ ან მწარე იუმორს იმისთვის, რათა აჩვენოს ადამიანის ბუნების ავკარგიანობა. ასეთი რამ ზოგჯერ აუცილებელიცაა. სხვაგვარად განა შეიძლება მიახვედრო თავის სიბრიყვეს ისეთი ადამიანი, თანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეფე, რომელიც „ღმრთობას ჩემულობდა“, თუ არა ისე, როგორც ეს ჭკვიანმა ვეზირმა გააკეთა: რაკი შენ ღმერთი ხარ, მე ანგელოზად დამნიშნეო, - სთხოვა და მერე შესთავაზა: მოდი, სასწაული ვქნათო. დაითანხმა უზენაესობას დანატრებული მეფე, დააცლევინა სასახლე და მონებს შუა ზაფხულში სხვადასხვა სიბინძურეებით აავსებინა სრადარბაზები. მეთერთმეტე დღეს მოსულებს იქაურობა აყროლებული დახვდათ. - ეს რაგვარი სასწაულიაო? - იკითხა მეფემ. „ვეზირმან მოახსენა: „შენ რომ ღმერთი ხარ და მე შენი ანგელოზი, ჩვენგან ესეც დიდი სასწაულის ქმნა არისო“ (მღმერთობელი მეფე და მისი ვეზირი“).

მკაცრ ზნეობრივ და ფიზიკურ წესებზე აღზრდილმა ჯუმბერმა იცის, რომ წარმომავლობა თვისი, მეფისშვილობა, ერთი მხრივ, და „სამეფო წესითა და ჭაბუკ ზნეობით“ წვრთნა, მეორე მხრივ, ხანიერი, მუდმივი კატეგორიაა, არაწარმავალი, რომელსაც თან ადამიანური ბუნებაც ერთვის... და კიდევ საბამ მშვენივრად უწყის: მორალის წინაშე პასუხს აგებს ყველა, თვით მეფეც ანდა, უნდა ითქვას - უპირველესად სწორედ მეფე. მეფობა ოდენ ღვთისმიერი წყალობა ან ღირსება კი არ არის, არამედ ვალდებულებაც (გ. ალიბეგაშვილი). სულხან-საბას გარჯა და ძალისხმევაც იქითკენ არის მიმართული, რომ მეფის (საზოგადოდ ადამიანისაც) სულიერი ცხოვრება დაამკვიდროს აღზრდის რეალურ ტენდენციებზე და „ამ ამოცანებისათვის ამზადებს არა იმქვეყნიური, მიღმური ყოფისათვის, არამედ ამქვეყნიური, სახალხო ცხოვრებისათვის... ის, ვინც ამ ცხოვრებას ქმნის, ისწავლოს „ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი“ (გ. თავზიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკა. თსუ საიუბილეო კრებული, თბ. 1959 წ). ეს პრინციპი საბასთვის ცხოვრებისეულ კრედოდ, წესად არის ქცეული. „სიბრძნე სიცრუისაში“ პროგრესული იდეები აღზრდისა მოწოდებულია „Совершенно особым, чрезвычайно своеобразным путем, явившимся результатом глубокого пониманиа автором предшествующей философской мысли. Он старается обучить мудрости не всеведением, а путем раскрытия, неведения или невежества, беря последнее слово, как в моральном, так и умственном отношении " Ш. Нуцубидзе. История грузинской философии, Тб. 1960 г.).“ ამასთან დაკავშირებით, საერთოდ უნდა ითქვას, რომ „სიბრძნე სიცრუისა“, როგორც გარკვეულია, სათანადო ფორმას იცავს, „სულხანი იცნობდა ამ ჟანრის ლიტერატურას: ის გეგმა და ქარგა, რომელზეც გამოყვანილია იგავ-არაკები, მოგვაგონებს „ბალავარიანის“, „ანვარი სოჰაილისა“ და „თიმსარიანის“ გეგმას და ქარგას“. (კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2., თბ. 1981 წ).

კ. კეკელიძეს მოჰყავს საბას კრებულის სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროსთან სიუჟეტურ-ფაბულური თუ შინაარსობრივი მსგავსების არაერთი შემთხვევა და გამოაქვს დასკვნები იმის თაობაზე, რომ მსგავს სოციალურ პირობებს სხვადასხვა ქვეყანაში ძალუძს მსგავსი იდეოლოგიური, ზედნაშენობრივი მოვლენები, თუნდაც სიუჟეტი შექმნას ლიტერატურაში. ისევე, როგორც სხვა ამგვარი თხზულებების მიმართ, აქაც „ფაბულური ქარგა (ჩარჩო) აწესრიგებს იგავ-არაკების ადგილს. ფაბულური ჩარჩოს საშუალებით თხზულების ცალკეული კომპონენტები კომპოზიციურად შეკრულია და ერთიან, მთლიან ნაწარმოებად არის ჩამოყალიბებული“ ალ. ბარამიძე „სიბრძნე სიცრუისა“, საიუბილეო კრებული, საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის გამ-ბა, თბ. 1959 წ.).

მხატვრულ-გამომსახველობითი ელემენტების ნაირგვარი სისტემა ს.-ს. ორბელიანის თხზულებებისა სათანადო წარმოდგენას ქმნის მის ლიტერატურულ ხელოვნებაზე, თუმცა „სწავლანის“, „ლექსიკონის“ დიდი ნაწილი, შესაძლოა, ამგვარი ძიებებისას ზოგ რამეში, ვთქვათ, ენობრივი პოზიციის გარკვევისას განმპირობებელად ვერ გამოდგეს ჟანრობრივი განსხვავებულობისა გამო. „მოგზაურობა ევროპაში“ კიდევ უფრო სხვა კონტექსტშია განსახილველი. საბა თითქოსდა მემატიანის თვალით უმზერს მოვლენებს, ცალკეულ ფაქტებს, ირჩევა, ვითარცა აღმნუსხველი მრავალი პერიპეტიისა. უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ ამგვარ შემთხვევაში მთხრობელი „повествует о событии, отдирая и распределяя отдельные факты, используя элементы описания не только для наглядности и убеждения читателя в достоверности изображаемого, но прежде всего для художественного обоснования авторского отношения к предмету рассказа, обоснования его "концепции действительности (Истоки русской беллетристики, Л. 1970 г.“) და მაინც, აქაც, „მიმოსლვანის“ დარ თხზულებაში არაერთი პასაჟი გვხვდება პოეტური თვალთახედვისა. მაგალითად: „მალთა, დიად თფილი ადგილია. დეკემბერში იასამანი და ყვავილები ჰყვაოდა. ლელვს გასცვივდა ფურცელი, თვარა ვენახს ისევ ესხა. არც თოვლი, არც თრთვილი, არც ყინვა არ იცის იქაურ ზამთარ. რა ჩრდილოს ქარი აქროლდება, ცოტა რამ სიცივე შეიქმნება. ზაფხულ მეტად ცხელს ამბობენ. სულ კლდეა, ვაკე და ყორე... სადაც წალკოტია, ნარინჯ-თურინჯი დგა, თვარა უწალკოტოთ ხე არსად არის, ზამთარი სულ მწვანეა...“

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბას, დამკვირვებელსა და გაკვირვებულს, უცხო მხარეთა მომხილველს, აღმწერელს „წასცდება“ ხოლმე ხელი თუ გონება და შედარებას მიმართავს:

„მოვედით მონაკო ქალაქსა - ზღვაში ერთი კლდე შესულიყო თბილის მეტეხსავითა“.

„რა ალიკორნის საზღვარში შევედით, დავაკება შეიქმნა. ოდიშის მსგავსი ადგილი, ტყიანი, ბრტყელი“.

„სადილაოთ ერთ ლიმენაზედ მივედით. კლდე იყო შეკაფულივით, დიაღ, დიდსა და გრძლად მიგრეხილ-მოგრეხილი. მეთევზენი ნადირობდნენ. ისეთი ღვინო იყო, ატენური ღვინის მსგავსი...“

საბას მწერლური, ზოგადადამიანური პოზიციაა მხილება, გამომზეურება, სააშკარაოზე გამოტანა იმ თვალთახედვით, „რათა არღარა ქმნას“ ვინმემ უკეთური რაიმე; ესაა სპეციფიკური პოზიცია, მისთვის წესად ქცეული, ლიტერატურულ ეტიკეტამდე მიწევნილი...

საბას შემოქმედებაში, სახელდობრ, „სიბრძნე სიცრუისაში“ „მწერლის პოზიცია რამოდენიმე სახით ფორმდება. იგი მრავალგვარ საშუალებას იყენებს, რათა სიცილის ფონზე წარმართოს დასაგმობი. კომიზმის მისაღწევად მწერალი მიმართავს ერთი შეხედვით უხეშ ხერხსაც, მაგრამ ეს უხეშობა მხოლოდ გარეგანი მხარეა იმ გაფაქიზებული შინაარსისა, რომლითაც მისგან გამოწვეული სიცილი ხასიათდება. ეს არაა, ვთქვათ, ფიზიკური ნაკლის შემჩნევის შედეგად წარმოშობილი უხეში სიცილის, უფრო ზუსტად, დაუხვეწავი სიცილის გრძნობა“ (დ. დგებუაძე. სატირული ნაკადის შესახებ ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“, „მაცნე“ (ელს), 1978 წ. №3)

ამ თხზულებაში „იდეურ-თემატური მხარე გაცილებით წინაა წამოწეული, ვიდრე მხატვრული. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ სულხან-საბას არ შეეძლო ტექსტის მხატვრულად სრულყოფა. მის წიგნში კარგად ვლინდება მწერლის მხატვრული შესაძლებლობა, დახვეწილი გემოვნება და გამომსახველობით-აღწერილობითი უნარი“ (ლ. მენაბდე. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართული ლიტერატურა. თბ. 1997 წ.). სხვა ნაწარმოებთან მიმართებაში შეიმჩნევა სტილური ტენდენციების ურთიერთგანსხვავებულობა, ერთობ განირჩევა „სწავლანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „ქილილა და დამანა“... იგავ-არაკული მანერა თხრობისა განსაკუთრებით იერს აძლევს, შემოქმედებით არეალში უხვად შემოდის პირდაპირი, მართალი, მწვავე კრიტიკა საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენლისა - მისი „დამსახურების“ კვალობაზე, თუმცაღა, „საზოგადოდ, იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებთა თვისებას შეადგენს ნართაული თქმების სიჭარბე, ე. ი. იმგვარი თქმები, რომლებიც არაპირდაპირი გზით გვიხსნის, გვიხასიათებს მოვლენისა ან საგნის შინაარსს“ (დ. დგებუაძე).

საბა შეგნებულად არღვევს კლასობრივი შეზღუდულობის საზღვრებს, დროითი და სივრცითი განზომილების ელემენტებს და ამით იმგვარ შემოქმედად ისახება, ნიადაგ რომ თანხმიერია ამა თუ იმ ეპოქისა, „ზოგიერთ არაკში ისეთი ზოგადი ადამიანური ურთიერთობა და ნაკლია ასახული, რომ მისი ანალოგიები ყოველ ეპოქაში იპოვება“ (გ. ქიქოძე).

სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ნააზრევის სპეციფიკური ნიშნები: სალიტერატურო ენის დემოკრატიზაცია, სტილის ლაკონურობა, ზომიერების გრძნობა, მსგავსი ფრაზეოლოგიური გამოთქმა-ფორმულები, იდეურ-თემატური მოტივების მსგავსებანი სხვადასხვა თხზულებებში, მოკლე წინადადებები, მკითხველის თავიდანვე დაინტერესება მომავალი შედეგით და მისი ადრევე გულისხმობა, თვით არაკებში მეტაფორებისა და ეპითეტების მომჭირნეობით გამოყენება იმ დასკვნისთვის განგვაწყობს, რომ ითქვას: სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ისეთი სპეციფიკურობით არის აღბეჭდილი, რაგვარიც, საზოგადოდ, ლიტერატურულ ეტიკეტს ექვემდებარება...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევაზ კვერენჩხილაძე

## დავით კოპალი

1917 წლის ოქტომბერში შექმნილი საქართველოს მწერალთა კავშირის დამფუძნებელ წესდებას, რომელიც ნოტარიუსმა მოგვიანებით 1919 წლის 20 ივნისს გაატარა რეგისტრაციაში, მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან პოეტ კოტე მაყაშვილთან, ამ წესდების შემდგენელ მწერალ შალვა დადიანთან, მწერლებთან - ტიციან ტაბიძესთან, გერონტი ქიქოძესა და ლევან (ლეო) ჯაფარიძესთან ერთად ხელს აწერს დავით კოპალი.

ეს უკანასკნელი შემდგომ ლიტერატურულ ცხოვრებაში მაინცდამაინც არსად გამოჩენილა. თავის დროზე გავიკითხე, მაგრამ ვერავინ ვერაფერი მითხრა მის შესახებ (ესეც არის, მისი თანამედროვენი ძირითადად უკვე აღარ იყვნენ ამქვეყნად).

საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიის წიგნად გამოქვეყნების შემდეგ (1983) რეპრესირებულ მწერალთა ბედი ვიკვლიე. გამოვარკვიე, რომ 1924 წელს მეტეხის ციხეში ჯდომისას დავით კოპალს სტრიქონები უძღვნია ერთი მხრივ ამბროსი კათალიკოსის ამ საპყრობილეში შეყვანისა, მეორე მხრივ კი - ციმბირში საუკეთესო ქართველების გადასახლებისთვის.. ეს ორი მაგალითი უფრო ეპოქის ამსახველ დოკუმენტად მივიჩნიე, რადგანაც დავით კოპალი, როგორც მწერალი, არ ჩანდა, რეპრესირებულ მწერლებში აღარ შევიყვანე და აღარც მიძებნია.

არადა, თურმე მწერალთა კავშირიდან სულ ახლოს, ორიოდე ნაბიჯში ცხოვრობდნენ დავით კოპალის შთამომავლები.

ბოლოს, როდესაც 1992 წელს „ლიტერატურულ საქართველოში", ხოლო 1998 წელს გაზეთ „ახალ თაობაში" რეპრესირებულ მწერლებზე გამოქვეყნებულ საუბრებში დავით კოპალი მოვიხსენიე, მისმა ქალიშვილმა, ქალბატონმა ნელიმ მიპოვნა. ასე გავეცანი დავით კოპალის დრამატიზმით აღსავსე ცხოვრებას და, ოი, საოცრებავ, ას წელს გადაცილებულ მის მეუღლეს, ქალბატონ ნინო მაქსიმეს ასულ ქუთათელაძე-კოპალს:

გავიგე, რომ დავითი უცხოეთში განსწავლული იურისტი ყოფილა.

1890 წლის 3 იანვარს სამტრედიაში, ვაჭრის ოჯახში დაბადებული, ქუთაისის გიმნაზიაში განსწავლული დავით დიანოზის ძე კოპალეიშვილი 1909 წლიდან პარიზში სორბონის უნივერსიტეტის იურიდიულ-ეკონომიკურ ფაკულტეტზეა: სწორედ იქ შეუმოკლეს გვარი - ფრანგებისთვის „კოპალი" უფრო ადვილი სათქმელი იყო, ვიდრე კოპალეიშვილი.

დავითის ეს მოეწონა, ჭკუაში დაუჯდა და შემდგომში ფსევდონიმად იყენებდა.

პარიზშივე დაუმეგობრდა იქ დასაოსტატებლად ჩასულ მხატვრებს - ლადო გუდიაშვილს, ელენე ახვლედიანს, დავით კაკაბაძეს.

პარიზიდან დაბრუნებული დავით კოპალი ერთხანს საქართველოშია, შემდეგ კი, 1916 წლიდან მუშაობას იწყებს ბაქოში, სადაც თავადებთან - ევგენი ივანეს ძე რადომსკისა და ქაიხოსრო იოსების ძე ამირეჯიბთან ერთად აარსებს ნავთობსამრეწველო ამხანაგობას „სავაჭრო სახლი რადომსკი, ამირეჯიბი, კოპალეიშვილი" (ნოტარიუსთან რეგისტრირებულია 1917 წ. 22 ივლისს), რომელიც ეწეოდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ნავთობსადენების, მიწების, ფაბრიკა-ქარხნების ყიდვა-გაყიდვას. მაგრამ 1917 წლის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ იქაც ყველაფერი არია...

იურისტ დავითს ჰქონდა გატაცება - პოეტური მუზის სამსახური. ამიტომ ბუნებრივი ჩანს, რომ მისი მეგობრები იყვნენ მწერლები იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, იოსებ იმედაშვილი, დავით კასრაძე, გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გერონტი ქიქოძე...

სწორედ ამ ორი გარემოების გამო (იურისტობა, პოეტობა) იყო, რომ დავით კოპალი ხელს აწერდა მწერალთა კავშირის დამფუძნებელ წესდებას - ეტყობა, მას, როგორც იურისტს და, ამავე დროს, პოეტს თხოვეს წესდების იურიდიული მხარის შესწავლა, რადგან მისთვისაც ახლობელი იყო მწერალთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა, მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაციის იურიდიულად ყოველმხრივ გამართული წესდების შექმნა.

რაც შეეხება დავით კოპალის პოეტურ მოღვაწეობას, იგი 1914 წლიდან თანამშრომლობდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება" და უმთავრესად სატრფიალო ლექსებს აქვეყნებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





მაგრამ დავითის არანაკლებ აწუხებდა ეროვნული სატკივარიც. ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ლექსში „ქართველი ჯარისკაცის სიმღერა“ გადმოცემულია იმ ვაჟკაცის წუხილი, რომელსაც იმპერიისთვის აბრძოლებენ და ქართველად არც კი მოიხსენიებენ:

*ნეტავ თავსა რისთვის ვიკლავ?*
*თუმც შევლებავ მე ბრძოლის ველს,*
*მახსენებენ როგორც ქართველს?*
*თუმც გავიტან ბრძოლის ლელოს*
*ეშველება საქართველოს?*
*კითხვა კითხვას ემატება,*
*მე სიცოცხლე მემატება*
*და სამშობლო დაბორკილი*
*უბრძოლველად დაპყრობილი*
*მე მეძახის: ჩემთან მოდი*
*ჩემი ხარ და ჩემთვის მოკვდი,*
*ვისთვის კვდები, თავი იცან,*
*დაგცინიან, სირცხვილს იტან?*

როცა მის დაბორკილ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვება ეღირსა, პოეტი დავით კოპალი სიხარულით შეხვდა ამ მოვლენას და 1918 წლის 29 მაისს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა აღტაცების გამომხატველი ლექსი „26 მაისი“

*მაისისფერ თბილ ქალაქში*
*ძველი ახალს ემატება,*
*და ცოცხალი პაპათ ლანდი*
*ქართულ დროშას ეხუტება,*
*სიონშიაც ზარს შემოკრავს,*
*სასახლისკენ მიდის ხალხი,*
*თვის უფლებას ეუფლება*
*და ეხსნება დროშას თალხი.*

სამწუხაროდ, მალე, 1921 წლის თებერვლის მიწურულს, რუსეთის ბოლშევიკურმა იმპერიამ ჩვენებური ბოლშევიკ-გამყიდველების ხელშეწყობით საქართველოს დამოუკიდებლობა წაართვა.

გამოკვეთილ ეროვნულ ნიადაგზე მდგომი დავით კოპალი, ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ, რა თქმა უნდა, ხელისუფლების მოსაწონ ლექსებს არ დაწერდა. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ეპიზოდი: დავითის თავისი ქალიშვილი, ნელი, თბილისში კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილთან მიუყვანია სტუმრად. და აი, დღეს ნელი (დოდო) დავითის ასული კოპალი (საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი) იგონებს: *„მამამ კოტეს უამბო: გალაკტიონი შემხვდა, ცოტა დავლიეთ და ვისაუბრეთ. გალაკტიონმა მკითხა: სადა ხარ, სულ აღარსად ჩანხარ, რატომ არ ბეჭდავო. მამას უთქვამს: „ლომი ბორკილს არ იგუებს, ან მოკვდება, ან იმეფებს, შინაური არ გახდება და ძალლივით არ იყეფებს“. რა გიპასუხა? - ჰკითხა ძია კოტემ - სულ ხელები დაიკვნიტაო.*

*ეს ეპიზოდი* - განაგრძობს ნელი კოპალი - *სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. სტუდენტობის დროს მეგობრებს ვუყვებოდი, ბიჭებმა სიმღერად აქციეს, დღეს მას მღერიან და გული მტკივა, რომ ავტორობას ხან ვის მიაწერდნენ და ხან ვის. იგი კი ნაწყვეტია პოემიდან „ივერნელო“, რომელიც ისე გაქრა, როგორც მამაჩემი. შემომრჩა მხოლოდ ნაწყვეტი, რომელსაც მამას ზეპირად ვუკითხავდი“.*

როგორც მწერალი ნოდარ შამანაძე გადმოგვცემს (პოეტის უცნობი ლექსი, „ლს“ 1997 №6) თურმე მისი პედაგოგი თომა იაშვილი ამბობდა: 1937 წლის რეპრესიებით სულშეძრული და შეწრიალებული პაოლო იაშვილი თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებში ხშირად იმეორებდა პატარა ლექსს“.

ლაპარაკია სწორედ ამ ლექსზე, მაგრამ ნათქვამი არაა - თავის ლექსს იმეორებდაო. შეიძლება სხვის ლექსსაც იმეორებდეს კაცი. პედაგოგის მტკიცებაც მხოლოდ მეხსიერებას ეყრდნობა. ამიტომ ვიდრე უფრო მყარ საბუთს არ ვიპოვით, ხომ არაა საფრთხილო ასეთი დასკვნის გაკეთება! ვფიქრობ, ხსენებული ლექსი მართლაც პაოლოს ეკუთვნისო?

გასაბჭოების შემდეგ უნდობლად უყურებდნენ დავითისნაირ განათლებულ და ეროვნულ ნიადაგზე მყოფ ქართველებს. და აი, 1921 წელს, გიმნაზიადამთავრებულ ნინო ქუთათელაძესთან დაქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, დავითი დაუპატიმრებიათ, როგორც არასაიმედო ელემენტი. 1924 წელსაც, რა თქმა უნდა, არ დაივიწყებდნენ ისეთ გამოჩენილ პიროვნებას, რომლის ეროვნული პოზიცია კარგად იყო ცნობილი: *„1924 წელს (თვე და რიცხვი არ მახსოვს)* - იგონებს დავითის მეუღლე, - *ბათუმიდან სამტრედიაში ჩამოვედით. ამ დროს სადგურთან ახლოს ახალგაზრდობას რაღაც გამოსვლები გაემართა. პოლიციამ ვერ დამალა დემონსტრაცია. პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორმა დავით ღოღობერიძემ დათიკოს თხოვა - დამეხმარე, მიმართე ახალგაზრდებს, იქნებ დაიშალონ, თორემ სისხლისღვრა მოხდებაო.*

*მართლაც, საკმარისი იყო დავითის მოწოდება, რომ დაშლილიყვნენ, დაუჯერეს და წავიდ-წამოვიდნენ. იმ ხანად დათიკო დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქ. სამტრედიაში, იცნობდნენ, როგორც უცხოეთში განსწავლულ კაცს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*დემონსტრაცია კი დაიშალა, მაგრამ დავითთან მოვიდა ერთი კაცი და ჩასჩურჩულა: ჩქარა წადი, თორემ ახლავე დაგაპატიმრებენო. ეს ამბავი ხდებოდა ახლადნელი სასტუროს წინ, სადაც განლაგებული იყო სახელოსნოები. ერთ-ერთ მათგანში კუბოებს აკეთებდნენ. დარაბები ხელოსნებს დახურული ჰქონდათ. უეცრად გაიღო ერთი დარაბა და დავითი ხელის კვრით შეაგდეს შიგ. მეკუბოემ კუბოს თავი ახადა და დავითი შიგ ჩააწვინა. მე ხალხის ტალღამ შორის გამიყვანა. მერე დათიკომ მითხრა: პოლიციელი შემოვარდა სახელოსნოში, მაგრამ ვერ წარმოიდგინა, რომ კუბოში ვიწექი და წავიდა. შუაღამისას გამომაპარეს და აი, ასე გადავრჩი".*

მოგვიანებით, 1924 წელს მაინც ვერ გადაურჩა დაპატიმრებას და მეტეხის ციხეში მოათავსეს. ამის თაობაზე ცნობა ადრე მქონდა ნაპოვნი ემიგრანტულ პრესაში (ელიზბარ მაყაშვილი, მეტეხის ციხეში, ჟურნალი „კავკასიონი", X, პარიზი, 1965). დავითმა ციხეში ლექსი უძღვნა ამბროსი კათალიკოსს:

*მძიმედ გაიღო ციხის კარები*
*ვით ქანდაკება მარმარილოსი,*
*შემოაბრძანეს ციხე მეტეხში*
*ტანჯულ ქართლოსის კათალიკოსი:*

დავითის ქალიშვილმა გაიხსენა იმ დროს მეტეხში მჯდარი პატიმრის, ვინმე ადამიშვილისგან ნათქვამი დავითის ლექსის ფრაგმენტი: *„ციხის უფროსო, შემოჰკარ ზარი და გადასძახე იმ არამზადებს, წმინდა გიორგი სახელს ამზადებს"* და დასძინა, ეს სტრიქონი კათალიკოსისადმი მიძღვნილი ლექსის გაგრძელება უნდა იყოსო.

დავითს აქვე შეუთხზავს ექსპრომტად ლექსი გადასახლებაში გასაგზავნ ქართველებზე:

*ტკბილო სამშობლოვ! ტყვე საქართველოვ!*
*მშვიდობით! წასვლის ჩამოჰკრეს ზარი!*
*შენი მზე აწი ველარ გაგვათბობს, -*
*რუსეთს გვასახლებს გველი საზარი!*

ვფიქრობ, დღეს ამ ლექსებს დოკუმენტის ღირებულება აქვს!

შემდეგი დაპატიმრების შესახებ კვლავ დავითის მეუღლე გვიამბობს:

*„მეტეხის ციხიდან დავითი სამტრედიაში დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ერთხელ მასთან მივიდნენ რკინიგზის მშრომელები და სთხოვეს: სერგო ორჯონიკიძე ჩამოვიდა, დღეს რკინიგზელთა კლუბში შეკრებაა და, ძალიან გთხოვთ, დაესწარითო.*

*არ მინდოდა მისი გაშვება. ვთხოვე ნუ წახვალ, ისევ დაგიჭერენ-მეთქი. მაგრამ არ დამიჯერა. პირობა მომცა ჩემთვის ჩუმად ვიჯდები და მოვუსმენ, რას ეტყვის ხალხს, რას დაპირდებაო.*

*რკინიგზელთა კლუბი, როგორც გადმომცეს, გაჭედილი ყოფილა. დავითისთვის პირველ რიგში დაუთმიათ ადგილი. გამოსულა სერგო ორჯონიკიძე სიტყვით. ხალხი აღელვებული შეხვედრია. ყოფილა შეძახილები, აღშფოთება. სერგოს მიუმართავს ხალხისთვის: რა მოხდა, რა გაწუხებთ, რომელიმე თქვენთაგანი გამოვიდეს და პირობას გაძლევთ, არაფერს ვავნებთ და თქვენს თხოვნას გავითვალისწინებთო. ხალხის თხოვნით დავითი გამოვიდა და მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. ულაპარაკნია ახალგაზრდების დარბევაზე, უდანაშაულო ხალხის დაპატიმრებაზე და სისასტიკეზე, რასაც ბოლშევიკები ჩადიოდნენ იმ პერიოდში. ხალხი მის გამოსვლას მქუხარე ტაშით შეხვედრია.*

*ს. ორჯონიკიძე გაოგნებულა და უკითხავს: ეს კაცი სად იყო, სამტრედიაში რამ ჩამოიყვანა, ამას აქ რა უნდაო. გასცა ბრძანება და იმ დღესვე დააპატიმრეს. სამტრედიის სახლი დაარბიეს, შესანიშნავი ბიბლიოთეკა, მისი ლექსები, პოემები, პიესები - ყველაფერი „დროვზე" დაყარეს და გზას გაუყენეს.*

*დათიკო ისევ თბილისის საგუბერნიო ციხეში მოათავსეს. მე თბილისში ჩამოვედი. კარგად ვიცნობდი ვანო სტურუას, რომელიც სამტრედიელი (კულაშელი) იყო. მივედი მასთან და ვუამბე დავითის დაპატიმრების ამბავი. მითხრა, ამ საღამოს ოპერაში შევხვდები სერგო ორჯონიკიძეს და ვეტყვი - თუ პირობა მისცა, რომ არ დააპატიმრებდა, რატომ არ შეასრულაო. მეორე დღეს დამიბარეს ფილიპე მახარაძესთან, რომელმაც სანქცია გასცა დავითის განთავისუფლების შესახებ".*

დავითი სამტრედიაში ჩადის და იქ მუშაობას იწყებს - კულაშის ტექნიკუმში ფრანგულს ასწავლის, მოსწავლეებს ევროპელი მწერლების შემოქმედებას აცნობს.

განათლების ზოგიერთმა მუშაკმა დავითი კვლავ არასაიმედო პირად ჩათვალა და ისევ დააპატიმრეს.

*„ორი წელი ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა. იმხანად გარდაეცვალა დედა... აქ უნდა აღვნიშნო ერთი ქრისტიანული საქციელი, რაც ქუთაისის ციხის უფროსმა ჩაიდინა, როცა ვთხოვე რამდენიმე დღით გაათავისუფლეთ დავითი, როგორც კი დავასაფლავებთ ჩემს დედამთილს, მეორე დღესვე ჩამოვიყვანთ-მეთქი. ციხის უფროსს ჩაეღიმა: გაგატან, ოღონდ პირობა უნდა შეასრულოო.*

*დასაფლავების შემდეგ მე და დავითი ქუთაისში ჩავედით. ციხის უფროსი გაოგნებული დარჩა - მართლა ჩამოიყვანეთო, მკითხა. სიტყვა მოუცია და აბა როგორ შევარცხვენ ჩემ ცოლსო - ცივად მიუგო დავითმა.*

*მოხდა გაუგონარი რამ, მე, საუბედუროდ ციხის უფროსის გვარი არ მახსოვს, მაგრამ მისი სიკეთე მუდამ მემახსოვრება, გვითხრა: მე უკვე „რაპორტი დავწერე და დავითის განთავისუფლების საბუთი მივიღეო. აღტაცებულნი წამოვედით".*

ამის შემდეგ, 1929 წელს დავითი ბათუმშია „აზნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფტმშენის“ იურისკონსულად ეწყობა.

მაგრამ მალე კვლავ აპატიმრებენ. როგორც დავითის მეუღლე იგონებს, – *„მოტივი – რატომ ცხოვრობ ბათუმში, ალბათ გემით გაპარვა გინდა საზღვარგარეთო. ჩემს ქმარს საქართველოს დატოვება არ უნდოდა, თორემ გაჰყვებოდა მეგობრებს, რომლებიც ეხვეწებოდნენ წამოდი, შენ ამ ბანდიტებთან ვერ გაიხარებო. ჩემმა ქმარმა არც საქართველო და არც მე მიმატოვა, რადგან ჩემს ძმებსა და მშობლებს ჩემი სხვა ქვეყანაში წასვლა არ უნდოდათ“.*

ციხიდან დავითი შვილებს სწერს:

*„შვილო ივერ!.. სულ მზეში ითამაშე, კარგია მზე!.. კარგია თავისუფლება... მე აქ ეშმაკი ბავშვივით ჩაკეტილი ვარ ოთახში, თითქოს რაიმე გამეფუჭებიოს. მაგრამ არაფერია, მალე გამიღებენ მეც კარებს და მაშინ ერთად წავალთ ზღვის პირად... დედამ მითხრა, რომ შენ მეზღვაურთა რაზმში ჩაწერილხარ...“*

ნაწერებიდან რაღაც-რაღაცეები წაიღეს, ნაწილი დახიეს. ოჯახში შემორჩენილია ფოტოსურათების ნახევები, დრამატული პოემის, „ცისანას“ (რომლის ბედით გრიგოლ რობაქიძე ყოფილა დაინტერესებული) ლადო გუდიაშვილის მიერ დასურათებული გარეკანი...

ბევრი ხელნაწერი ერთ-ერთ ნათესავთან გაუხიზნავთ, ამ უკანასკნელს, იმის შიშით, მეზობლებთან ჩხრეკა ჩაუტარებიათო, ყველაფერი დაუწვავს...

ბათუმიდან დავითი თბილისის ციხეში გადაიყვანეს, ნესტიან საკნებში ფეხი დაუავადდა, ოპერაცია გაუკეთეს და ბოლოს დაკოჭლდა. ამის გამო ეტაპით გაგზავნა რამდენჯერმე გადაიდო, ბოლოს კი გადასახლება თავისუფალ გადასახლებად შეუცვალეს. მეუღლე მზად იყო გაჰყოლოდა, მაგრამ 1933 წელს გამოცხადებულმა ამნისტიამ იხსნა.

ახალი წლიდან დავითი სამტრედიის იურისტთა კოლეგიაში ირიცხება, ამავე დროს, სამტრედიის რაიტრანსპორტსპეცვაჭრობის იურისტკონსულად მუშაობს (ეს ნოტარიალურად დაადასტურა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით 1958 წ. 2. 7 სამტრედიის „რაიტრანსტორგში“ საწყობის გამგედ მომუშავე ვასილ გლახუას ძე ჯიქიძემ).

სწორედ აქ დააპატიმრეს 1937 წლის 15 აპრილს, ამჯერად უკვე საბოლოოდ.

ასე გაუმწარეს და ბოლოს კიდეც მოუსპეს სიცოცხლე ამ განათლებულ ქართველს, იურისტსა და პოეტს, საზოგადო მოღვაწეს – სავარაუდოა, რომ ის ქუთაისთან ახლოს საღორიის ტყეში უნდა იყოს დახვრეტილი.

მის მეუღლესაც ჩაუშხამეს ახალგაზრდობა და მთელი სიცოცხლე. ადვილი მისახვედრია, რომ ერთ დროს ეს უმშვენიერესი, ხონის სილამაზის დედოფლად აღიარებული ქალი, არანაკლებ მშვენიერი, წარმოსადეგი და დახვეწილი ქართველი ვაჟკაცის მეუღლე, ბევრჯერ დატანჯულა ციხეების კარებთან ლოდინით. ერთ-ერთ ასეთ ვიზიტზე მიმავალს ყინულზე ფეხი დაუცურდა და ხერხემალი დაუზიანდა. მან მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე ქმრის ერთგულებას შესწირა.

ისე როგორც ათასების შვილებს, დავითის ქალვაჟსაც წაართვეს ბედნიერება. იგონებს დავით კოპალის ქალიშვილი ნელი: *„დედამ ჩემი ატესტატი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შეიტანა, მაგრამ უშედეგოდ, როგორც შემდეგ გავიგეთ, კომისიაში შედიოდა სამტრედიელი პარტორგანიზაციის მდივანი, ვინმე ტყეშელაშვილი, რომელიც სამტრედიის ციხეში პოლიტპატიმრებს მათრახით სცემდა და აწამებდა, შემდეგ ექიმობა მოისურვა და სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა და მუშაობდა. დედაჩემს მეგობარმა პროფესორებმა ჩუმად უთხრეს: რა ვქნათ, ატესტატი კინაღამ თავზე გადაგვახია, მავნებლის შვილიაო, გამოაცხადა“.*

ვაჟი ივერი კი საერთოდ შეიწირეს, როგორც მავნებლის შვილი – 1958 წელს საქმე შეუკოწიწეს და დახვრიტეს.

და მაინც იმრავლა და ივარგა დავით კოპალის შთამომავლობამ: ერთ რამედ ღირდა იმის ნახვა, დავითის მეუღლის დაბადების დღეს ყველანი ერთად რომ შეიკრიბებოდნენ ხოლმე, ხოლო მისი დაბადების 100 წლისთავზე (1998 წლის 23 მაისს) ხომ გულგასახარი იყო ისევ ძველებურად წელგამართული და ლამაზად მოხუცებული, ასი წლისთავის შესაშურად მხნე ნინო კოპალი, გარშემორტყმული მრავალრიცხოვანი შთამომავლობით, უახლოესი ადამიანებით, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს ვლადიმერ შარვაშიძე – საქართველოში პირველი იქთიოლოგ-მეცნიერი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელმაც ღირსეული სიძეობა გაუწია ამ ღირსეულსავე ოჯახს.

განსაკუთრებულ ყურადღებას კი ახოვანი და მხარბეჭგაშლილი, ლამაზი და მიმზიდველი ახალგაზრდა იქცევს, ეს გახლავთ დავით კოპალის შვილიშვილი გიორგი შარვაშიძე. ბაბუამისის ალი და კვალი, საქართველოს განათლების მინისტრის პირველი მოადგილე.

...და ყველანი, ქალიშვილი თუ შვილიშვილები, სხვა ახლობლები თვალისჩინივით უვლიან და უფრთხილდებიან ასმეერთე წელიწადში გადამდგარ დედასა და ბებიას, დავით კოპალის მრავალჭირნახულ მეუღლეს, ნინო კოპალს.

ვუსურვოთ მე-19 საუკუნეში დაბადებულ ამ მშვენიერ ქალბატონს მის გარეგან სილამაზესა და სულიერ სიმშვიდესთან ერთად მისივე ჭირთათმენის მოწმე მე-20 საუკუნე უკან მოიტოვოს და შემდეგ, რიგით მესამე ასწლეულში, ოცდამეერთე საუკუნეშიც დიდხანს გაიხსენოს მისი დიდებული მეუღლე და ახაროს შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ტაბლიაშვილი
მიხეილ მამნიაშვილი

# სულის კრიზისი

## (თვითმკვლელობის სოციოლოგიური ანალიზი)

თვითმკვლელობა (სუიციდი) ერთ-ერთი საშიში სოციალური მოვლენაა. იგი წარმოადგენს პიროვნების თვითდანგრევას, გზას არსაით. ის არ არის რომელიმე ცალკე აღებული ქვეყნის პრობლემა, არამედ გლობალური ხასიათის მწვავე წყლულია, რომლის სოციალური ფესვების აღმოფხვრით მთელი ცივილიზებული სამყაროა დაინტერესებული. თვითმკვლელობა პირველთაგანია ისეთ ქცევათა შორის, რაც იხრება ადამიანური მორალის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებიდან, ეწინააღმდეგება ხალხის სოციოკულტურულ ტრადიციებს. ასეთ ქცევას სპეციალისტები დევიაციას უწოდებენ. იგი მოითხოვს ფსიქიური ენერგიის კონცენტრაციას, ხოლო ზოგჯერ ინდივიდის დროებით თვითიზოლაციას თავისი სოციალური წრისაგან.

საზოგადოებისაგან პიროვნების წასვლას ცნობილი მოაზროვნე ა. ტოინბი განიხილავს, როგორც ერთმნიშვნელოვნად დადებითს - ადამიანი ტოვებს სოციუმს იმისათვის, რომ მობილიზაცია გაუკეთოს თავის შინაგან ენერგეტიკულ პოტენციალს, მოძებნოს მიზნის მიღწევის ყველაზე ოპტიმალური გზა. ნებისმიერ ასეთ წასვლას საზოგადოებიდან აზრი აქვს, თუ ის პიროვნებასთან დაბრუნების პრელუდიაა, მაგრამ უკვე გარდაქმნილ, ენერგეტიკულად უფრო ძლიერ პიროვნებასთან. დაბრუნება ამ შემთხვევაში მთელი მოძრაობის არსია ისევე, როგორც მისი საბოლოო მიზანი.

მაგრამ ყველა ადამიანს როდი შეუძლია თავისი ენერგიის ისე წარმართვა, რომ საზოგადოებას უკან დაუბრუნდეს. ტოინბის აინტერესებს მხოლოდ წასვლა - „აზრის მქონე“ - რომელსაც მოსდევს საზოგადოებაში დაბრუნება ენერგეტიკულად ძლიერი პიროვნებისა, რომელიც მზად არის აღმშენებლობითი მოღვაწეობისათვის.

თვითმკვლელობა ამის საპირისპირო მოქმედებაა. იგი არის წასვლა დაბრუნების გარეშე. ეს არის პიროვნების დაპირისპირება და გაუცხოება სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან ისეთი პირობების შექმნა, როდესაც პიროვნება პროტესტის ნიშნად ერთადერთ გამოსავალს თვითმკვლელობაში ხედავს და ხელყოფს კიდეც თავის სიცოცხლეს.

ჩვენ ამ შემთხვევაში მსჯელობის საგნად ვხდით დევიანტებს, როგორც სიკეთის მქმნელებს, ისე მათ, ვინც ბადებს ბოროტებას და ძალადობს საკუთარი პიროვნების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთა კატეგორიაში გამოიყოფა დესტრუქციული დევიაციის ორი ჯგუფი, რომლებიც ფლობენ უარყოფით (აგრესიულ) ფრუსტრირებულ ენერგიას და რომლებიც თავიანთ აგრესიას წარმართავენ: ა) გარემომყოფ ადამიანთა მიმართ და თავიანთ პრობლემებს წყვეტენ ინდივიდთა ინტერესების შელახვით; და ბ) პირადად საკუთარი თავის წინააღმდეგ. პირველი ჯგუფი მოიცავს ინდივიდებს, რომლებიც ახდენენ კანონის იგნორირებას, არად დაგიდევენ საზოგადოებრივ აზრს და ა. შ. რამდენადაც ისინი განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისთვის, მათი მოქმედება შესწავლილია კარგად (ამას მოითხოვდა მაშინდელი იდეოლოგია), რასაც ვერ ვიტყვით მეორე ჯგუფის შესახებ, რომელსაც მიეკუთვნებიან ნარკომანები, ალკოჰოლიკები, თვითმკვლელები.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ეს ტრაგიკული წასვლა არყოფნაში ხანგრძლივი დროის მანძილზე არ შეისწავლებოდა, მას ტაბუ ჰქონდა დადებული იმ მოსაზრებით, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის პირობებში თვითმკვლელობა ამორალურ, საძრახის ქმედებად მიიჩნეოდა და მხოლოდ სუსტი ნებისყოფისა და სულით ავადმყოფთა ხვედრი იყო. თვითმკვლელობათა ფაქტებს ასაიდუმლოებდნენ, რადგან მმართველ პარტიას არ სურდა, „დღის სინათლეზე“ გამოეტანა თვითმკვლელობათა გამომწვევი მიზეზები, გაეშიშვლებინა მათი სოციალური ფესვები.

სავალალოა, რომ საქართველოში თვითმკვლელობა ნამდვილ სოციალურ პრობლემად იქცა. მათი რაოდენობა წლითიწლობით მატულობს: თუ 1994 წელს თბილისში რეგისტრირებული იყო 50 შემთხვევა (1995 - 68. 1996 წ. - 82), 1997 წელს თითქმის გაორმაგდა და 98-ს მიაღწია. 1998 წლის 15 სექტემბრის მონაცემებით თბილისში რეგისტრირებულია თვითმკვლელობის 85 ფაქტი. ამ მხრივ ნიშანდობლივია ერთი ყურადსაღები და მეტად სავალალო ტენდენცია: თუ გასულ წელს პირველ ოთხ თვეში აღირიცხა 27 თვითმკვლელობა, მომდევნო სამ თვეში რეგისტრირებულია 58, ე. ი. ორჯერ მეტი. ეს მეტად დამაფიქრებელია. ჩადენილი 85 თვითმკვლელობიდან 8 (9, 4%) მცდელობაა, დანარჩენი დამთავრდა სიკვდილით; მამაკაცია 56 (65, 8%), ქალი 29 (34, 2%) ეროვნების მიხედვით: ქართველია - 70 (82, 3%), სომეხი - 8 (9, 4%), რუსი - 5 (5, 8%) ხოლო ორი (2, 3%) ებრაელი.

რა არის ეს - ჯანყი საერთოდ სიცოცხლის წინააღმდეგ, თუ არსებული სოციალური გარემოებისადმი ეს არ არის ტოინბისეული დაბრუნება. ეს ადამიანის არა უბრალო ჯანყია საზოგადოების წინააღმდეგ, არამედ საბოლოო ჯამში პროტესტია საკუთარი პიროვნების, საკუთარი ფიზიკური არსების წინააღმდეგ, ეს არის ურთულესი ფსიქოლოგიური ფენომენი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე არ შეისწავლებოდა, ხოლო მათ შესახებ სტატისტიკა დუმდა გარკვეული იდეოლოგიური მოსაზრებებით. ამ აქტის მიმართ დამოკიდებულება უკავშირდება ფილოსოფიურ, რელიგიურ და მეცნიერულ მოსაზრებებს.

თვითმკვლელობის თანამედროვე გაგება უნდა ითვალისწინებდეს იმ ნაყოფიერ მეცნიერულ აღმოჩენებს, რომლებიც გააკეთეს ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა ჯერ კიდევ XIX - XX საუკუნეების მიჯნაზე. 1920 წ. ზ. ფროიდი აკეთებს ერთობ მნიშვნე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლოვან აღმოჩენას: კმაყოფილების პრინციპის გვერდით, რომელიც ეროსად იწოდება, ყოველ ცოცხალ არსებაში ჩადებულია მეორე პრინციპიც - ყოველ ცოცხალს უნდა სიკვდილი. მასში ცოცხლობს არა მარტო ლტოლვა სიცოცხლისადმი, არამედ ლტოლვა სიკვდილისადმი.

ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის ყალიბდება ორი ურთიერთდაპირისპირებული აზრი თვითმკვლელობის ფენომენის შეფასებაში. ა. შოპენჰაუერი თვლიდა, რომ სიცოცხლე არ დაიძლევა თვითმკვლელობით: თვითმკვლელობა ნების დამტკიცების მძლავრი ფენომენია, რადგან ადამიანი უკუაგდებს არა სიცოცხლის ტანჯვას, არამედ ტკბობისას (ინდუსური ფილოსოფიის გავლენა). მ. ვებერი უკიდურესად ნეგატიურად ხვდებოდა ასეთ განსჯას: „ხსნის არც ერთი რელიგია არ ამართლებს „თვითნებურ სიკვდილს“, რომელსაც ადიდებდნენ მხოლოდ ფილოსოფოსები“. მეცნიერი სოციოლოგიის ამოცანას ხედავდა მსოფლიო მოწყობის სოციალური მიზეზების გააზრებაში, რომელიც ადამიანში ბადებს ცხოვრებიდან წასვლის ნებაყოფლობით სურვილს. ასეთ პოზიციას იზიარებდა ბევრი ფსიქოლოგიც. მაგ. ფ. ვიტელსი, აგრძელებდა რა ბერძნულ ტრადიციას, სიკვდილში ხედავდა „წმინდაწყლის ნეგატივს“ და უარყოფითად ეკიდებოდა თვითმკვლელობებს. ბევრი სულიერად ავადმყოფი, - მიუთითებდა იგი, - ცხოვრობს სიკვდილის გამუდმებული შიშით. ესწრაფვიან რა ამ მუდმივი საშინელებისაგან განრიდებას, ისინი ეძებენ მას. მაშასადამე, შიში ბადებს სიკვდილს.

უფრო ადრე თ. კარლეილი წერდა: ადამიანის პირველი მოვალეობაა „...დათრგუნოს შიშის გრძნობა. ჩვენ თავისუფალი უნდა ვიყოთ მისგან, სხვანაირად... ჩვენი ქცევები - მონათა ქცევებია... თვით ჩვენი აზრები ყალბია: ჩვენ ვაზროვნებთ, როგორც მონები და მშიშრები... რამდენადაც ადამიანი ამარცხებს შიშს, იმდენადაა იგი ადამიანი, მისთვის აუცილებელია, იყოს თავის თავში დარწმუნებული მაინც“.

სოციალური სინამდვილის კვლევისას ე. დიურკჰეიმი იყენებს ფსიქოლოგების აღმოჩენებს. მისი ნაშრომი „თვითმკვლელობა. სოციოლოგიური ეტიუდი“ დღესაც შეუდარებელია ანალიზის სიღრმით, დიდად გვეხმარება, ზუსტად გავიგოთ სოციალური და ფსიქოლოგიური პროცესები, რომლებსაც ადამიანი თვითმკვლელობამდე მიჰყავს.

ვიდრე სოციალური ფაქტორების ანალიზს შევუდგებოდეთ, გავარკვიოთ თვითმკვლელობის ფენომენის რაობა. „საკუთარი თავისადმი სიცოცხლის ნებაყოფლობით წართმევას - წერდა ე. კანტი, - მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს თვითმკვლელობა, როცა შეიძლება დამტკიცდეს, რომ იგი დანაშაულია, შესრულებული სხვა პირთან მიმართებაში. (მაგალითად, როცა თავს იკლავს ფეხმძიმე ქალი).“ მოქცევა, საკუთარი თავისადმი, როგორც საშუალებისადმი ნებისმიერი მიზნისათვის - ნიშნავს, დაამციროს კაცობრიობის ღირსება საკუთარი თავის სახით. ფილოსოფოსი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აფასებს თვითმკვლელობას. იმავდროულად, იგი წამოაყენებს პრინციპულ საკითხებსაც. მაგ. „თვითმკვლელობაა ნაღდ სიკვდილზე წასვლა მამულის გადარჩენის გულისათვის“. ე. დიურკჰეიმი ამ საკითხებზე ამომწურავ პასუხს იძლევა, შეასუსტებს ბრალდებებს პიროვნების წინააღმდეგ, აჩვენებს, რომ სუიციდი არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ სოციალური მოვლენაც არის. „თვითმკვლელობად - მიუთითებს სოციოლოგი, - იწოდება ყოველი სასიკვდილო შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს თვით მსხვერპლის მიერ შესრულებული დადებითი თუ უარყოფითი აქტის უშუალო თუ შუალობით შედეგს“. იგი თვითმკვლელობას განიხილავს, როგორც სუბიექტის გაცნობიერებულ მოქმედებას, რომლის შედეგია საშიშროება მისი სიცოცხლისადმი. „თვითმკვლელობას მიეკუთვნება სიკვდილის ყველა შემთხვევა, რომელიც შედეგია თვით დაზარალებული პირის ქცევისა, რომელიც მოქმედებს ამ შედეგის სრული შეგნებით... რომელიც არ არის შეშლილობის ელემენტი.“ დიურკჰეიმი განასხვავებს ეგოისტურ და ალტრუისტულ თვითმკვლელობებს. ამ უკანასკნელის ერთ-ერთნაირსახეობად თვლის სიკვდილს ვალმოხდის მიზნით. მან განიხილა აგრეთვე ერთობ მრავალფეროვანი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ თვითმკვლელობათა ზრდაზე და დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მათ რიცხობრიობაზე არ მოქმედებს არც კლიმატი და არც რასა. ბუნებრივი ფაქტორებიდან მან მიუთითა მხოლოდ შემდეგზე: წელიწადის დრო - პიკი, ჩვეულებრივ, მოდის იანვარ-ივნისზე; დღე-ღამის დროული მონაკვეთის თაობაზე აღნიშნა, რომ თვითმკვლელობები სრულდება უმთავრესად დღისით. აღსანიშნავია, რომ დიურკჰეიმის ეს დასკვნები დღესაც, მიუხედავად სიცოცხლის ბიორიტმების შეცვლისა, კვლავ ძალაში რჩება. კერძოდ, ზემოთ ნახსენები 85 თვითმკვლელობიდან ზამთარში აღსრულდა 23 (27%), გაზაფხულზე - 44 (51%), ზაფხულში - 12 (14,2%), სექტემბერში - 6 (7%). როგორც ჩანს, სამართალდამცავ და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში მართებთ პროფილაქტიკური ღონისძიებების გააქტიურება. თვითმკვლელობის დროის დღე-ღამური მონაკვეთი შემდეგი ციფრობრივი მონაცემებით გამოიხატება: დილის საათებში თავი მოიკლა ოცდაერთმა (24,5%), შუადღეს 37 (42,2%), ღამის საათებში 27-მა (30,3%).

ე. დიურკჰეიმი თვითმკვლელობათა ძირითად მიზეზებს სოციალურ გარემოში ხედავდა (ეს სრულიად კანონზომიერია მისი ზოგადი კონცეფციის მიხედვით) - სოციალური ცხოვრების დიდი ინტენსივობა სწორედ დღის პერიოდზე მოდის. „თვითმკვლელობები მაქსიმუმს აღწევს იმ დღეებში და საათებში, როცა მაქსიმუმს აღწევს სოციალური აქტივობა“ - აღნიშნავს იგი.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში მომხდარი თვითმკვლელობები სავსებით დამაჯერებლად ადასტურებენ დიდი მეცნიერის იმ დასკვნის სისწორესაც, რომ მიზეზებს შორის პრიორიტეტულია სოციალური მოვლენები... თვითმკვლელობათა მრავალფეროვან მიზეზებს შორის უპირატესია ეკონომიკური გაჭირვება - 39 შემთხვევა (44,7%), შემდეგ მოდის სტრესული მდგომარეობა 13 (15,2%), 22 (25,0%) იყო სულით დაავადებული 14 (14,1%)-მა პირმა თავი მოიკლა მძიმე ავადმყოფობის მოტივით.

დიურკჰეიმის მოძღვრებაში არა მარტო გამიჯნულია „შეშლილობის“, „სიგიჟის“ და „თვითმკვლელობის“ ცნებები, არამედ მოცემულია იდეა, რომ თვითმკვლელობის ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიმბაძველობა; მაგრამ მიმბაძველობა არ თამაშობს სოციალურ ცხოვრებაში იმ მნიშვნელოვან როლს, რაც მას მიეწერება. „ის არ წარმოადგენს პირველად ფაქტორს, მაგრამ აძლიერებს სხვა ფაქტორების გავლენას“. ვრცელი სტატისტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე მეცნიერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ თვითმკვლელობის შემთხვევები გაცილებით იშვიათია სიცოცხლის პირველი 15 წლის მანძილზე, მათი ინტენსივობა მცირდება აგრეთვე ღრმა მოხუცებულობისას. ეს სავსებით ახსნადია: ბავშვობაში ჯერ კიდევ არ არის საჭირო არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღებისთვის ენერგიის ხარჯვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოხუცებულობისას კი არ არის ენერგია ამა თუ იმ დევიაციის გამოვლინებისათვის. შესაბამისად, აღარ არის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური განცდები ინდივიდუალობისა და სოციალური განსვლის გამო. სხვანაირად, ორივე შემთხვევაში არ არის ენერგეტიკული გადაძაბვა.

●

თვითმკვლელობათა რიცხვის ზრდა მოწმობს სოციალური წყობის გაუარესებას – ასეთია ფრანგი სოციოლოგის მეცნიერული ძიების დასკვნითი შედეგი. მისი ინტენსივობის ზრდა „-ის თავისებური სიგნალია, რომელიც დახმარებას მოუხმობს და მიანიშნებს საზოგადოების პათოლოგიურ მდგომარეობაზე. თვითმკვლელობათა საშიშროება აღმოცენდება მაშინ, როცა გადაიკვეთება ინდივიდის აქტივობა სოციალური დეფორმაციებით, მოძველებული სოციალური ნორმებით. დიურკჰეიმი აფუძნებს ძალიან მნიშვნელოვან თეზისს: თვითმკვლელობათა რიცხვი იცვლება რელიგიური, ოჯახური, პოლიტიკური საზოგადოებების ინტეგრაციის ხარისხის უკუპროპორციულად. რაც უფრო სუსტდება შინაგანი კავშირები ჯგუფში, მით უფრო მოსალოდნელია დევიაციური მოვლენები. ადამიანი მიდის უკიდურეს ნაბიჯზე უფრო იმ შემთხვევაში, როცა პირადული და საზოგადო, სოციალური მასში არა მარტო დისპროპორციულად არის მოცემული, არამედ ურთიერთდაპირისპირებულია. ხშირად ამას თან ახლავს ფსიქოლოგიური გადახრები, პიროვნების გაორება, გარემომცველი სინამდვილის ობიექტური შეფასების უუნარობა. ეს მხოლოდ გარეგანი ფაქტორები, გარეგანი სიმპტომებია. საქმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ „მე“ ხდება ეგოცენტრული. „ეგოცენტრიზმი ანგრევს პიროვნებას. ის უმნიშვნელოვანესი დაბრკოლებაა პიროვნების რეალიზაციის გზაზე“ (ბერდიაევი). უკიდურესად ეგოცენტრული ადამიანი ისეთი არსებაა, რომელიც მოკლებულია პიროვნულობას, რეალობის გრძნობას, ცხოვრობს ფანტაზიებით, ილუზიებით, მოჩვენებებით. პიროვნულობა აუცილებლად მოითხოვს რეალობის გრძნობას და მასზე გასვლას – მიუთითებდა ნ. ბერდიაევი.

ამრიგად, უკიდურესი ინდივიდუალიზმი არის პიროვნების უარყოფა. ასეთი ინდივიდუალიზმი ხელს უწყობს არა პიროვნების თვითდამტკიცებას, არამედ მის დანგრევას. ადამიანი ცდილობს, მონახოს თავისი უბედურების მიზეზი არა თავის თავში, არამედ მის გარშემო ადამიანებში, ხდება ობივატელი, ავდება, ხდება პიროვნების მთლიანი „გადაწყობა“. მისი საბოლოო შედეგი კი მისი თავისთავადობის ფიზიკური განადგურებაა. „ასეთი ადამიანი მოკლებულია უნარს, დაიკავოს ღირსეული ადგილი სოციალურ იერარქიაში შემლილობა, სიგიჟე, – ხაზგასმით აღნიშნავდა ბერდიაევი, ყოველთვის არის „მე“-ს შერყევა და რეალობის ფუნქციის დაკარგვა. ასეთი ადამიანები თვლიან, რომ საზოგადოება მათ არაადეკვატურად ავსებს და ესწრაფვიან თვითდამკვიდრებას გარშემო მყოფი ადამიანებისათვის ზიანის მიყენებით, „ასხივებენ“ დესტრუქციულ ენერგიას. მაგრამ ეს ენერგია პირველ რიგში მის წყაროს აზიანებს, მისი „გამომსხივებელი“ ადამიანი „იწვება“, რამდენადაც მისი ენერგეტიკული მარაგი არასაკმარისია მის საგანგებო ამბიციათა რეალიზაციისათვის გადაძაბვის, შურის და ბოღმის გამო პიროვნება ინგრევა. „ბოროტება – წერს ე. ფრომი, – სპეციფიკური ადამიანური ფენომენია. ეს არის ცდა რეგრესირებისა ადამიანამდელი მდგომარეობისაკენ და სპეციფიკურ ადამიანურის განადგურებისა: გონება, სიყვარული, თავისუფლება... ბოროტების ხარისხი შეესაბამება რეგრესიის ხარისხს... ბოროტება ადამიანს ძალას აცლის“.

ადამიანი „წამლავს“ რა გარშემომყოფთა სიცოცხლეს, ანგრევს საკუთარ „მე“-ს; თავის სოციუმზე მაღლა როცა აყენებს, ასეთი ინდივიდი დეგრადირდება და გადაიქცევა არარაობად. პიროვნების გაორება ეგოცენტრიზმის შედეგია. თუ „მე“ არის ყველაფერი და მის გარდა არაფერია, პიროვნების შესახებაც არაფრის თქმა არ შეიძლება, პიროვნების პრობლემაც კი არ დაისმება (ბერდიაევი).

დღეს სოციოლოგები გამოყოფენ თვითმკვლელობის კიდევ ერთ ტიპს – ენერგეტიკულ თვითმკვლელობას და მიუთითებენ მის მკვეთრ განსხვავებას ეგოისტური ტიპისაგან. ეგოიზმი საკუთარი თავის ისეთი სიყვარულია, როდესაც უპირატესობა ეძლევა პირად ინტერესებს საზოგადოებრივ და სხვა ადამიანთა ინტერესებზე. იგი იმპულსს იღებს პიროვნების არაცნობიერი საწყისებიდან მისი თვითცნობიერების მკვეთრი დამახინჯების შედეგად. ამასთანავე, უკიდურესი ინდივიდუალიზმის ყოველგვარი გამოვლინება როდი ჩაითვლება ეგოიზმად. ხშირად ადამიანი მიდის თვითმკვლელობაზე არა თავისი შესაძლებლობების მეტისმეტი შეფასების გამო, არამედ შექმნილი სიტუაციის გაცნობიერებული შეფასებისა და შეხედულების შედეგად, რომელიც ნებას არ აძლევს, მოახდინოს თავისი ძირითადი ენერგეტიკული მოთხოვნილებების რეალიზაცია, როგორც პროტესტისა საზოგადოების მიერ სოციალური მობილობის ძირითადი არხების ბლოკირების წინააღმდეგ, რამაც წაართვა შესაძლებლობა ფსიქიკური ენერგიის სოციალურში გადასასვლელად (სუბლიმაციისთვის). ამიტომ უნდა განვასხვავოთ ეგოცენტრული და ენერგეტიკული თვითმკვლელობები. პირველთან საქმე გვაქვს, როცა ადამიანი თავისი მსოფლგაგების ცენტრში აყენებს თავის ინდივიდუალურ „მე“-ს. მაშინ სახეზეა პიროვნების დეფორმაცია, არაადეკვატური თვითშეფასება, შინაგანი პოტენციალის შეუსაბამობა საზოგადოების მიერ მისი შეფასების მიმართ პრეტენზიებით. ენერგეტიკული ტიპი წარმოადგენს წინააღმდეგობას პიროვნების ენერგეტიკულ პოტენციალსა და მისი თვითრეალიზაციის არსებულ პირობებს შორის, პროტესტს სოციალური მობილობისა და სოციალურ სიკეთეთა განაწილების ჩამოყალიბებული სისტემის წინააღმდეგ.

ორივე ნაირსახეობის საფუძველია მაღალი ინდივიდუალიზაცია, მაგრამ პირველ შემთხვევაში მას აქვს უარყოფითი მიმართულება, მეორეში კი ატარებს დადებით საწყისს და არა მხოლოდ საზოგადოების დამანგრეველ მუხტს. მიდის რა საკუთარ სიცოცხლესთან გამომშვიდობებაზე, ინდივიდი მეორე შემთხვევაში დარტყმას აყენებს საზოგადოების იმუნურ სისტემას, ანგრევს საზოგადოებას მისი სრულყოფს სახელით, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. რა თქმა უნდა, ენერგეტიკული თვითმკვლელობები არ წარმოადგენენ საზოგადოების სოციალური გადაწყობის საუკეთესო ხერხს, წესს. ისინი დამახასიათებელია საზოგადოების დეფორმაციის საწყისი ეტაპისათვის, როცა აღმოცენებული წინააღმდეგობები სოციალურ ნორმებსა და გამწვავებულ მოთხოვნილებებს შორის ჯერ კიდევ არ მისწვდომია საზოგადოების მასობრივ ცნობიერებას, ხოლო ჩამოყალიბებული სოციალური ნორმები მკაცრად არის დაცული. ენერგეტიკული თვითმკვლელობები, საბოლოო ჯამში, ხდება სოციალური სამართლიანობის მიღწევისათვის, რათა თანაბარი პირობები შეექმნათ ადამიანებს თავიანთი ძირითადი ენერგეტიკული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. თუ ალტრუისტული

ეროვნული ბიბლიოთეკა



თვითმკვლელობები უშუალოდ სხვა ადამიანების კეთილდღეობისათვის ხდება და შეესაბამება საზოგადოებაში შექმნილ და ჩამოყალიბებულ ნორმებს, ენერგეტიკული თვითმკვლელობები გავლენას ახდენენ სრულყოფაზე გაშუალებულად და წარმოადგენენ პროტესტს სოციალური მოწყობის, მიღებული სოციალური ნორმების წინააღმდეგ, რომლებიც ადამიანს ხელს უშლიან ენერგეტიკული პოტენციალის რეალიზაციაში.

თავის მხრივ შეიძლება გამოიყოს ენერგეტიკული თვითმკვლელობების ორი ნაირსახეობა: სუიციდები, რომლებიც აღმოცენდება პიროვნების მეტისმეტი გადაძაბვის გამო, როცა ადამიანი მიდის უკიდურეს ნაბიჯზე იმიტომ, რომ ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურა მოითხოვს ენერგეტიკული პოტენციალის მეტისმეტად არარაციონალურ ხარჯვას.

თანამედროვე გამოკვლევები, რომლებიც ფსიქოენერგეტიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩაატარეს კ. გ. იუნგის ინსტიტუტში (ციურიხი), აჩვენებს, რომ სუიციდისკენ ადამიანი თანაბარწილად მიყავს როგორც მისი „სასიცოცხლო ენერგიის“ (იუნგის ტერმინოლოგიით) მეტისმეტ ხარჯვას, ისე მისი გამოყენებისას შეგნებულ მომჭირნეობას. უკანასკნელ შემთხვევაში ადამიანი, თვით ისიც კი, რომელსაც უნარი აქვს ენერგიის კონცენტრაციისა, ვერ უძლებს გადაძაბვას, რომელიც აღმოცენდება თვითრეალიზაციის შესაძლებლობების არარსებობისას ფსიქიკური ენერგიის სოციალურში გარდაქმნის დროს. ინდივიდუალურ გადაძაბვას სოციალური მოწყობის არასრულყოფილების შედეგად შეუძლია გამოიწვიოს სოციალური, რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავება, რაც საშიშია სოციალური კონფლიქტების დიდი ალბათობით. თუ ეგოისტური თვითმკვლელობები აჩვენებენ სოციუმის (ოჯახის და საზოგადოების, მთლიანად აღმზრდელობითი ფუნქციის) უშედეგობას, ენერგეტიკული თვითმკვლელობები წარმოსახავენ სოციოგენეტიკური ფუნქციის არაეფექტურობას. სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს ინდივიდის სწავლება ინდივიდუალური ენერგეტიკული პოტენციალის გონივრული გამოყენების ჩვევებზე, სოციალურ სივრცეში სწრაფი ორიენტაციის უნარის გამომუშავებაზე. *ენერგეტიკული თვითმკვლელობების მკვეთრი ზრდა მოწმობს, რომ სოციალიზაციის დამკვიდრებული სისტემა წინააღმდეგობაში მოვიდა შეცვლილ სიტუაციასთან, და მოითხოვს ადაპტაციის ძირითადი პრინციპებისა და ნორმების გადასინჯვას.*

ეგოისტური თვითმკვლელობები განსაკუთრებით გავრცელებულია ძლიერი ბიუროკრატიული აპარატის ქვეყნებში. ამასთან, ზარალობს ორივე მხარე: ისიც, რომელიც იძულებულია, არამწარმოებლურად ხარჯოს ენერგია და ისიც, რომელიც არამწარმოებლურად იყენებს თავის ენერგეტიკულ პოტენციალს. ცხოვრების ბიუროკრატული ორგანიზაცია ხელოვნურად აჩერებს საზოგადოების განვითარებას, რაც თვით სიცოცხლეს ეწინააღმდეგება. საზოგადოება დგება ალტერნატივის წინაშე – ან სოციალური გარემოს ბიუროკრატიული ორგანიზაცია, ან სიცოცხლე.

ადამიანი უკიდურეს ნაბიჯზე მიდის, როგორც წესი, მაშინ, როცა მისი ცნობიერება უძლურია შესთავაზოს, განწირულის თვალსაზრისით, რაიმე გზა პრობლემის გადასაჭრელად. თვითმკვლელობა – ეს უკანასკნელი ვარიანტია, ენერგიის უკანასკნელი კონცენტრაციაა საკუთარი თავის დასანგრევად. ასეთი ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას აღწერს თ. დოსტოევსკი რომანში „Бесы“. რომანის გმირი კირილოვი თვითმკვლელობაში ხედავს საკუთარი ნების უმაღლეს გამოვლინებას, ღმერთის თავისებურ გამოწვევას, რომ მარტო ღმერთს არა აქვს სიცოცხლის წართმევის უფლება. კირილოვის თვითმკვლელობა ტიპიური ნიმუშია პასუხისა სოციალურ დეფორმაციებზე, არსებული კანონის ფარგლებში საზოგადოების გარდაქმნის ეფექტურ ხერხებში რწმენის დაკარგვაზე, ეს არის ზეცის გამოწვევა დედამიწაზე სიცოცხლის არასრულყოფილების გამო. ადამიანი, შეიგნებს რა, რომ უძლურია ამ პლანეტაზე რაიმე შეცვალოს ვერ ეგუება საკუთარი უძლურების გრძნობას და ცდილობს აჩვენოს თავისი სიდიადე – უფლება ღირსეულ სიცოცხლეზე – და ესწრაფვის იმას, რაც ყოველთვის ითვლებოდა უზენაესის პრივილეგიად – აჩუქოს და წაართვას სიცოცხლე.

ყოველ ადამიანს როდი აქვს ნების კონცენტრაციის უნარი, რასაც მოითხოვს თვითმკვლელობა. ადამიანთა უმრავლესობა, გულგატეხილი სოციალური სინამდვილით, არჩევს თვითმკვლელობის მეორე გზას – ნელი და მტანჯველი თვითმკვლელობის გზას. ხშირად თვითრეალიზაციის შესაძლებლობების არსებობა ან არაადეკვატური თვითშეფასება ბადებს ადამიანში მისწრაფებას – ალკოჰოლისა და ნარკოტიკების დახმარებით მიეცეს თავდავიწყებას. საბოლოო ჯამში ამ გზას არა მარტო ფსიქოლოგიურ, არამედ ფიზიკურ დეგრადაციამდე მიყავს ინდივიდი; ეს არის გზა გაჭიმული, შენელებული თვითმკვლელობისაკენ დეპერსონალიზაცია, დეგრადაცია, გარესამყაროსთან კავშირების გაწყვეტა, ილუზორული ტკბობა – აი ნარკომანიის სოციალური შედეგები. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურის მიერ 1998 წელს გამოვლენილია ნარკომანიის 15 ფაქტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ სპეციალისტთა აზრით ერთ გამოვლენილ ნარკომანზე მოდის, როგორც მინიმუმი, 10 გამოუვლინებული, სურათი გამაოგნებელი გამოვა. როგორც ჩანს, პოლიციის ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ საკმარისი არ არის. ეს საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა დაისვას და გადაწყდეს. მით უფრო იმის გამო, რომ არცთუ იშვიათად პოლიციელები თვით აღმოჩნდებიან ხოლმე ნარკოტიკების რეალიზატორის როლში.

საგანგაშოა ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მე-10, მე-11 კლასებში ნარკომანიის გავრცელების ფაქტები. როგორც ა. გაბიანისა და დ. ღვინეფაძის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებით დასტურდება, 1670 გამოკითხული მოსწავლიდან დიდი ნაწილი მოხვედრილია ნარკომანთა წრეში, ხოლო 19,5%-ს, ანუ თითქმის მეხუთედს პირადადაც გაუსინჯავს იგი.

ასეთი ინდივიდები და, საერთოდ, ეს მოვლენა კომპლექსურ ფსიქოთერაპიულ და მედიკამენტურ მკურნალობას მოითხოვს. ეს მკურნალობაც არ იქნება ეფექტური სოციალური სტრატიფიკაციის სრულყოფის, სოციალური მობილობის არხების მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების გარეშე. გამოსავალი ერთია მხოლოდ – საზოგადოების სწრაფი რეფორმირება, ლეგალური ფართო შესაძლებლობების შექმნა დაგროვილი ფსიქიკური ენერგიის სოციალურში გარდასაქმნელად.

მაშასადამე, ქვეყნის საერთო სოციალური განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის, სამართლებრივი სისტემის სრულყოფა, ადამიანის აღიარება უმაღლეს ღირებულებად და ზრუნვა მასზე, მის სიცოცხლეზე, – ყველა პარამეტრებით სულიერი კრიზისის დაძლევის ყველაზე საჭიროროტო პრობლემაა, რომლის გადაწყვეტასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთელი სისასტიკით გვაიძულებს დღევანდელი საერთო კრიზისული ვითარება. საზოგადოება შეიძლება დაიღუპოს არა მარტო მის აქტიურ წევრთა ენერგეტიკული უკმარისობით, არამედ მათი იმ ენერგიის სიჭარბით, რომელიც ვერ ნახულობს მისი ტრანსფორმაციის ცივილიზებულ გზებს.

ყველა ნეგატიური მოვლენა დადებით როლს თამაშობს იმ აზრით, რომ ის ხდება მიმანიშნებელი ფაქტორი იმისა, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა „ლპება", საჭიროა რადიკალური ცვლილებები.

საქართველო ახლა „მდიდარია" დეკლასირებული ინდივიდებით, რომლებსაც ახასიათებთ სრული „დეზინტეგრაცია" საზოგადოებისაგან. სოციალური აზრით ეს ადამიანები „უცხონი აღმოჩნდნენ საზოგადოებაში, თუმცა მასში იმყოფებიან. ბევრი მათგანი გასულია რეალური სამყაროდან თავის შინაგან ავადმყოფურ სამყაროში. განკიცხულებმა, მოკვეთილებმა, განდევნილებმა, ავარებმა, ქრონიკულმა ალკოჰოლიკებმა, ნარკომანებმა, – როგორც რ. მერტონი იტყვის, – უარი თქვეს მიწერილ მიზეზებზე და მათი ქცევა არ შეესაბამება ინსტიტუციურ ნორმებს. ხშირად ისინი ფსიქოლოგიური სტრესის მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, გაურბიან საზოგადოებას მასთან ღია კონფლიქტში ყოფნის გამო.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ საქართველო დღეს ერთ-ერთი ძლიერი ბიუროკრატიული აპარატის მქონე სახელმწიფოა, სადაც არ არსებობს ამ აპარატის გამაწონასწორებელი ალტერნატიული ძალები და სტრუქტურები, რასაც დასავლეთში „ინტერესთა ჯგუფებს", „ზემოქმედების ჯგუფებს" უწოდებენ და აპარატი მთელი თავგამოდებით იბრძვის იმისათვის, რომ ასეთი სტრუქტურები არც ახლო მომავალში შეიქმნას. ამას ემატება ის უბედურებაც, რომ მაფიოზურ კლანებთან ეს აპარატი ან ხშირად ლობირებს, ანდა უძლურია მათთან ბრძოლაში (ავიღოთ მაგ. ნავთობის და, საერთოდ, ენერგეტიკის საქმეში შექმნილი მდგომარეობა და სხვ.). ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ ფლობს სიტუაციას, ვერ ახორციელებს თავის იურისდიქციას ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში და, ამდენად, იგი არასრულია.

მყარი კონკურენტუნარიანი, სუვერენული საზოგადოების ორი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია – თავისუფლების მაღალი დონე და ხარისხი და შემჭიდროებულობის, შეკავშირების ასეთივე მაჩვენებელი. პირველი აუცილებელია სოციალურ ცვლილებათა პროცესის სტიმულირების; მოღვაწეობის ცვალებადი პირობებისადმი სოციუმის დროული ადაპტაციისათვის, მეორე – მყარი სოციალური განვითარების მიღწევისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული მკვეთრი რყევა სოციოგენეზის (სოციომემკვიდრეობისა და სოციოცვალებადობის) განვითარებაში, თაობათა საუკუნოვანი დაპირისპირების მოვლენები (მეცნიერები აღნიშნავენ პირდაპირ კავშირს ორგანიზმის ფიზიოლოგიურ დაბერებას და კონსერვატიული ქცევის პროცესებს შორის). ამ ორ კრიტერიუმს შორის წინააღმდეგობათა ზრდის შემთხვევაში აღმოცენდება სოციოპათოლოგიური სიტუაცია, რომლის დამახასიათებელი ნიშანია სოციალური კავშირების შესუსტება საზოგადოების წევრთა შორის, გულგრილობა და აპათია ერთმანეთის მიმართ, გაუცხოება.

მე-20-ე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სოციოლოგი პ. სოროკინი წერდა: „რაც უნდა შემემთხვეს მომავალში, დარწმუნებული ვარ, რომ სამი რამ სამუდამოდ დარჩება ჩემი გულისა და გონების რწმენად: სიცოცხლე, რაც გინდ მძიმე იყოს, – ეს ყველაზე მაღალი, ყველაზე მშვენიერი, ყველაზე საოცარი ღირებულებაა ამ ქვეყანაზე. მისი გადაქცევა მოვალეობად – აი კიდევ ერთი სასწაული, რომელსაც უნარი აქვს, სიცოცხლე ბედნიერი გახადოს... სიძულვილს, სიმკაცრეს და უსამართლობას არ შეუძლია და ვერასოდეს შეძლებს, ააშენოს დედამიწაზე ღვთის სასუფეველი. მისკენ მივყავართ მხოლოდ ერთ გზას – გზას თავდადებული შემოქმედებითი სიყვარულისა, რომელიც მდგომარეობს არა მხოლოდ ლოცვაში, არამედ უწინარეს ყოვლისა – მოქმედებაში". ასეთი ვრცელი ციტატა იმიტომ მოვიტანეთ, რომ ძნელია ამაზე უკეთესად რამე თქვა სიცოცხლის, მოვალეობის, სიყვარულისა და აქტიური მოქმედების შესახებ. ამ ღირებულებებს უპირისპირდებიან თვითმკვლელები, ღვთით ბოძებულ სიცოცხლეს რომ ისპობენ.

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში სულ უფრო ვრცელდება ადამიანებს შორის გულგრილი და უსულგულო დამოკიდებულება. უკიდურესად ნიჰილისტური და სასხვათაშორისოა საზოგადოების მიმართება თვითმკვლელობათა ფაქტების მიმართ. ასე, რომ სოროკინისეული ალტრუისტული სიყვარულის ნასახიც არ ჩანს ჩვენთან, სიძულვილს და გულგრილობას, ბოღმას და შურს კი ხშირად შეხვდება კაცი. უფრო მეტიც, ზოგიერთი თითქოს იმიტომ არსებობს, რომ სხვას გაუმწაროს სიცოცხლე. ისინი ადამიანში ეძებენ ნაკლს და იერიში მიაქვთ მისი „ალების" მიზნით. სუსტი ნებისყოფის პიროვნება ადვილად ებმება ცინიკოსისა და მიზანთროპის ხაფანგში. შედეგი შეიძლება საკმაოდ მძიმე გამოდგეს – მსხვერპლის მიერ თავისი სასიცოცხლო ენერგეტიკული რესურსებისადმი რწმენის დაკარგვა, პესიმიზმი, გულჩათხრობილობა, საზოგადოებისაგან განდგომა-განაპირება. აქედან კი ერთი ნაბიჯია საკუთარი სიცოცხლის ხელყოფამდე.

ადამიანები ზოგჯერ (თუ არა ხშირად) მედგრად ხვდებიან თვით დიდ გასაჭირსაც, რუდუნებით იტანენ მძიმე ხვედრს და არ კარგავენ ოპტიმიზმს. სავარაუდო იყო, რომ აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ აქედან იძულებით გამოდევნილი მოსახლეობა სულიერი კრიზისის პირას აღმოჩნდებოდა და შესაბამისად გაძლიერდებოდა მათში პესიმისტური განწყობილებები, შესუსტდებოდა სასიცოცხლო ენერგეტიკული ძალები და ა. შ. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, თვითმკვლელობათა რიცხვი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის სულ ოთხია, რაც ხვალინდელი დღის რწმენის გარანტად შეიძლება მივიჩნიოთ.

ჩვენ აქ თავს ვარიდებთ კონკრეტული რეკომენდაციების ჩამოყალიბებას თვითმკვლელობათა რიცხვის შემცირებისათვის ბრძოლის მიზნით, თუმცა ტექსტში რამდენიმე ასეთმა წინადადებამ გაიჟღერა; ზოგადი დასკვნის სახით კი შეიძლება შემდეგი ითქვას: თვითმკვლელობა მძიმე და რთული სოციალური მოვლენაა, რომლის მიზეზები შეიძლება მრავალსახოვანი იყოს. ამ უბედურებათა მინიმუმამდე დაყვანის უმთავრეს საშუალებად პირველ რიგში გვესახება სოციალურად სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება, რომლის, ხოლო მისი მშენებლობის პროცესში თანდათანობით შეიქმნება გარანტიები ადამიანთა იმ სასიცოცხლო ენერგეტიკული პოტენციალის რეალური გამოვლინებისათვის, რომელიც მათში ულევია და შესაბამის გარემოებებს ელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე მღებრიშვილი

## მაჩაბლიანთ ღირსეული სტუმრები

ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე მიზნად ისახავდა კავკასიის ხალხებს შორის ახლო ურთიერთობის დამყარებას. ოსებთან მის დაახლოებაში გარკვეული როლი შეასრულა მისმა სტუმრობამ თამარაშენში. როგორც ჩვენი ხეობის მკვიდრი ელისო მაჩაბელი იგონებს: „ილია, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა იმდროინდელი ქართული კულტურის მოღვაწეებთან, საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული თეატრის აღდგენისა და განვითარების საქმეში...“

დიდი ოვაციებით შეხვდა თამარაშენის მოსახლეობა დიდი ილიას სტუმრობას. ხალხის გულწრფელი სიხარულითა და ბუნების უბადო სინატიფით მოჯადოებული ილია გადაეხვია ზაალ მაჩაბელს და აღმოხდა: ეს ბუნება უნიჭოს ნიჭს შესძენს და უხმოს აამღერებსო.

ამ მოგზაურობის პერიოდში ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ოსების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. სწორედ ამის დასტურია მის მიერვე გამოქვეყნებული ვრცელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ნარკვევი „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიკური მიზეზები“. სადაც იგი ეძებს მთის ოსი მოსახლეობის დუხჭირი, ჩამორჩენილი მდგომარეობის მიზეზებს.

ოსი მკითხველი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი. ოსი მწერლები თარგმნიდნენ დიდი შემოქმედის ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს. სოსლან გაზაევმა („გლახის ნაამბობი“, მგზავრის წერილები“), მიხ. ნართიკოევმა („აჩრდილი“, ლექსები), გიორგი ბესთაუთიმ („დედა და შვილი“, „განდეგილი“), ნაფი ჯუსოითიმ („კაკო ყაჩაღი“), დიმ. მამიევმა („ნიკოლოზ გოსტასაბიშვილი“), გ. ძუგაევმა („ოთარაანთ ქვრივი“), რ. ფლიევმა, გაფეზმა და სხვებმა კიდევ მრავალი ნაწარმოები გააცნეს ოს ხალხს.

ი. ჭავჭავაძის გენიალურ ქმნილებათა სცენაზე წარმოსახვის ტრადიცია ჩვენში შ. დადიანის პიესით „ჩატეხილი ხიდი“, ხოლო მოგვიანებით მ. ბერძენიშვილის „ოთარაანთ ქვრივით“ დამკვიდრდა. სწორედ ამ უკანასკნელმა დააინტერესა ყოფილი სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ოსური დასი ცნობილი რეჟისორის, გ. კაბისოვის ხელმძღვანელობით დაიდგა დიდებული სპექტაკლი.

აღსანიშნავია, რომ დასმა შეძლო (რა თქმა უნდა, ქართულ დასთან ერთად), სრულყოფილი სპექტაკლების შექმნა და ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელმწიფო თეატრი არც თუ ურიგოდ უძღვებოდა ამ საშვილიშვილო საქმეს.

როგორც ცნობილია, ქართული პერიოდიკა ყოველთვის დაინტერესებული იყო დიდი ილიას შემოქმედების უფრო ღრმად და ფართოდ გაშუქებით, ამჯერად ჩვენი ყურადღების ცენტრშია ცხინვალში გამომავალი ერთადერთი ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, რომლის 30-იანი წლების ნომრები ამ მხრივ საინტერესო სტატიათა სიუხვით გამოირჩევა.

1937 წელს შესრულდა 100 წელი დიდი ილიას დაბადებიდან და 30 წელი მისი ტრაგიკულად დაღუპვიდან.

24 მაისის ნომერში ვკითხულობთ: „ებრაელთა სკოლა მომზადებული ხვდება ილიას იუბილეს. ვამზადებთ გამოსაშვებად სპეციალურ ჟურნალს, სადაც მოთავსებული იქნება ილიას პორტრეტები, ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა, მოსწავლეების მიერ მიძღვნილი ლექსები, გამოვუშვებთ სპეციალურ კედლის გაზეთს. ძირითად მოხსენებებთან ერთად, მოსწავლეები ამზადებენ თემებს: „ილიას დამოკიდებულება გლეხობასთან“, „ილიას ახლად აღმოჩენილი ნაწერები“, „ილია და მეფის ცენზურა“, „ილიას დამოკიდებულება მწერლობასთან“.

გაზეთის ამავე ნომერში იბეჭდება კიდევ ერთი საყურადღებო მასალა: „ილია ჭავჭავაძე“ (ილიას ლიტერატურული მოღვაწეობა), წერილის ავტორის, ეკ. თედიაშვილის აზრით, მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ი. ჭავჭავაძე ცენტრალური ფიგურაა, მისი მწერლობის მანერა მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და თვალწარმტაცია, რის შედეგადაც ილიას შეგვიძლია ვუწოდოთ პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი.

30 მაისის გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდა გიორგი ნატროშვილის წერილი სათაურით: „ილია ჭავჭავაძე - უკვდავი მწერალია“. სტატიაში ძირითადად ილიას ბიოგრაფიული ცნობებია მოცემული. აქვეა ავტორისეული მოკლე მიმოხილვა „კაცია ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“, „კაკო ყაჩაღის“. დასასრულ ავტორი მწუხარებით დასძენს, რომ 1907 წელს დატრიალებული ტრაგედია ქართველი ხალხის მოძულეთა ნახელავია.

მასალების უფრო ღრმად გაცნობის შედეგად ფარდა ეხდება კიდევ ერთ საყურადღებო ცნობას დიდი ილიას საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით. ენახოთ „საქართველოს მწერალთა ბრიგადა სამხრეთ ოსეთში“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



როგორც ჩანს, 1937 წლის 17 მაისს ყოფ. სამხრეთ ოსეთში ჩამოვიდა საქართველოს მწერალთა ბრიგადა მწერალ შალვა აფხაიძისა და ვარლამ ქურულის შემადგენლობით. ამავე საღამოს შეიკრიბა ქ. სტალინირის (ცხინვალი) პარტკომკავშირული აქტივი, პედაგოგიური პერსონალი და მოსწავლე ახალგაზრდობა ქართველი ხალხის დიდი მწერლის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად. ილიას შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პოეტი და ლიტერატურათმცოდნე, „ცისფერყანწელთა" ლიტერატურული ჯგუფის აქტიური წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორი, საქ. მწერალთა კავშირის მთავარი კონსულტანტი შ. აფხაიძე, მის მოხსენებასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: თუთარაშვილმა, გოზალიშვილმა, ეკ. თედიაშვილმა და გიორგაძემ. „ფუტურისტ-ლეფელთა" ჯგუფის წევრმა, ხოლო შემდგომში პროლეტარულ მწერლობას დაახლოებულმა პოეტმა ვარლამ ქურულმა წაიკითხა ილიას ლექსები.

18 მაისს (1937) ანალოგიური საღამო ჩატარდა სოფ. ერედვში.

ილიაზე საუბარი ბრძენი აკაკის სიტყვებით გვსურს დავასრულოთ: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ მასთან ერთად შენც უკვდავი იქნები..."

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმ ახლო მეგობრულ ურთიერთობაზე, რომელიც აკავშირებდა ერთმანეთთან თვით აკაკი წერეთელსა და ლიახვისპირელ ვანო მაჩაბელს. მათ შორის მეგობრობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა აკაკის თამარაშენში პირველი სტუმრობის შემდეგ.

„თამარაშენისაკენ მარტო აკაკი და ვანო გაემგზავრნენ. რაც უფრო ქართლის სიღრმეში შედიოდნენ, აკაკი მით უფრო მოხიბლული რჩებოდა: წარმოიდგინე, ჩვენს იმერეთს არაფრით ჩამოუვარდებაო, ამბობდა" (ვ. ჭელიძე).

აკაკი განსაკუთრებით თამარაშენის მიდამოებს მოუხიბლავს და ამის შემდეგ იგი ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ივანე მაჩაბელს თამარაშენში.

გაზ. „საბჭოთა ოსეთში" 1940 წელს დაბეჭდილია ლიტ. წერილი „აკაკი წერეთლის იუბილესათვის", სადაც საუბარია თუ როგორ ემზადება სტალინირის №1 საშუალო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობა და პედპერსონალი ქართველი ხალხის დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილესათვის.

„სკოლაში, საიუბილეო დღეებში გამოვა ლიტერატურული ჟურნალი, სადაც მოთავსებული იქნება, როგორც აკაკი წერეთლის ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები, ასევე მოსწავლეების: შ. ყორანაშვილის, მ. კარაპეტოვისა და სხვათა ლექსები მიძღვნილი აკაკისადმი".

„სტატიაში მითითებულია, რომ იუბილესათვის მზად არის სკოლაში ჩამოყალიბებული დრამწრე, აკაკის ლექსებზე შექმნილი ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებელი გუნდი და სხვ.

საიუბილეო წინამოსამზადებელ სამუშაოებს ხელმძღვანელობს ამავე სკოლის დირექტორი ვახტანგ კასრაძე, რომელიც ყოველგვარ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევს წრეებს.

ამავე ნომერში მოთავსებულია სულიკო ბურნაძის მცირე მასალა, რომელიც აკაკის ეძღვნება: „ქართველი მგოსანი - აკაკი, წაიკითხავს ლექსს - მოგესმით, როგორც კი დატრიალდება ფირფიტა. არ შეიძლება ტანში ჟრუანტელმა არ დაგიაროთ, როდესაც გესმით მოხუცი მგოსნის ძაბუნი ხმა. უსმენთ და გგონიათ, - საფლავიდან გეხმაურებათ მისი გამხმარი ძვლები. და აი, თუ გქონიათ ოდესმე ცნობისმოყვარეობის აღტყინება, თუ გიგრძვნიათ ოდესმე ამ ქართველთა გულის მესაიდუმლის სიყვარულის მოძალება და გინატრიათ, ნეტამც მოვსწრებოდით, - ერთგვარ აღფრთოვანებას და შემდეგ კმაყოფილებას იგრძნობთ, როდესაც ისმენთ მის მთრთოლვარე ხმას. ძნელია იმ გრძნობების გადმოცემა, რომელსაც განიცდის ქართული პოეზიისა და კერძოდ აკაკის თაყვანისმცემელი ამ დროს".

დასასრულ, ს. ბურნაძე დასძენს, რომ მიმდინარე (1940) წლის 22 ივნისს მესამედ იდღესასწაულებს ქართველი ხალხი საყვარელი მგოსნის იუბილეს, რომ აკაკის დაბადებიდან 100 წლისთავი აღინიშნება უმაგალითო გრანდიოზულობით.

მასალებს სასიქადულო პოეტის შესახებ ავირგვინებს ლექსები, რომლებიც აკაკის მიუძღვნეს დ. ბუგიანიშვილმა („აკაკის") ა. მამისთვალოვმა („მგოსნის სურათთან") და ა. შ.

გაზ. „საბჭოთა ოსეთს" მხედველობიდან არ რჩება სხვა ხალხთა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები. ამჯერად ჩვენი ყურადღების ცენტრშია დიდი უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 125-ე წლისთავისადმი მიძღვნილი წერილი „ტარას შევჩენკო". მასში ნათქვამია, რომ საიუბილეო კომიტეტი უდიდეს მუშაობას აწარმოებს ამ მეტად ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად. იქვე წერილის ავტორი პროფ. შ. გოზალიშვილი დასძენს, რომ პოეტის ლექსთა კრებული „კობზარი", „გაიდამაკი", „ჰამაიკა", ცალკეული ლექსები, „ანდერძი", „კავკასიონი" და სხვები წარმოადგენენ უძვირფასეს მხატვრულ საგანძურს.

სამწუხაროდ, ეს არის სულ, რისი ამოკითხვაც სტატიაში შეიძლება. ჩვენ კი ჩვენის მხრით დავძენთ, რომ ტარას შევჩენკოს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ამ პერიოდის საქართველოს პროგრესულ ინტელიგენციასთან. კერძოდ: „არც ერთი ქართველი და უკრაინელი პოეტის სახელი ისე მჭიდროდ არ დაკავშირებია ერთი-მეორეს, როგორც აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოს. მეცხრამეტე საუკუნის ეს ორი დიდი შემოქმედი, ერის „უგვირგვინო მეფენი", როგორც მათ უწოდებენ, ცხოვრებამ გზაჯვარედინზე შეახვედრა.

ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ერის წარმომადგენელთათვის. ეს შეხვედრა არ იყო მომენტური ხასიათისა. აკაკი წერეთელს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა ცხოველი გრძნობა გენიალურ შემოქმედთან საუბრისა, ხოლო ტ. შევჩენკოსათვის ბევრ რამეს აუხადა ფარდა" (ოთ. ბაქანიძე).

ცხინვალის ერთადერთი ქართული გაზეთი, რომელიც ცნობილი მიზეზების გამო, სამწუხაროდ, აღარ არსებობს, ზემოთ მოხმობილ თემებს მომდევნო წლებშიც სათანადოდ აშუქებდა.

Omega
ომეგა

დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY



ქართული ლიტერატურის სას. მუზეუმის გამომცემლობა
„ლიტერატურის მატიანე“



ფასი 2 ლარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნომერში გამოყენებულია რეზო იაშვილის ნამუშევართა რეპროდუქციები

